საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№23 (161)
20 - 26 ივნისი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

მეუფე სერგი:

# სად გაგონილა ქართული ტაძარი შუშის კედლებითა და სახურავით?



**ლიფტები, შუშები, ორღანი, ამერიკის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, რომელშიც გიტარა შეაქვთ და ცეკვავენ და მღერიან ეკლესიებში. ვისაც ამის სურვილი აქვს, წავიდეს ამერიკაში და იქაურ ეკლესიაში ჩართოს გიტარა და ლიფტებიც და ესკალატორებიც დაამონტაჟოს, ჩვენ კი ისეთ ტაძარში უნდა ვილოცოთ, როგორიც ქართულ გულს უხარია**

8

## ალასანია და «მეგრული საკითხი»

3

## ამერიკელებს თავიანთი ერთგული „ნაბიჭვრების“ (Son of a bitch) თავიდან მოცილებაც სჩვევიათ

10

12

არქიმანდრიტი ბართლომე:

## არ არის ბიძინა ივანიშვილი განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანი

13

## ერთ-ერთ პატიმარს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, აქ უნდა დაგმარხოთო

## აფხაზთა ეთნიკური ქართველობის შესახებ

16

ЧЕГЕМСКАЯ ПРАВДА

## ტურაშვილმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ხვედელიძემ ბოდიში მოიხადა

14



„ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა განაცხადა, რომ ის პირადად აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ერთი დღის შემდეგ ამავე პრეზენტაციაზე სტეფანაკერტში არანაკლებ პოპულარულმა ქართველმა პროზაიკოსმა ბესო ხვედელიძემ ტელეკამერების წინ ბოდიში მოიხადა იმ ქართველების გამო, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში და არ დადგნენ იარაღით ხელში აფხაზების გვერდით, მაშინ, როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული ჯარები შემოვიდნენ ჩვენს პატარა ქვეყანაში.“

## ბონი და კლაიდი «რულავენ»

6



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა შეიძლება იყოს უფრო კაცთმოძულე, უფრო ამაზრზენი, ვიდრე უკიდურესად ღარიბ საქართველოში უზარმაზარი ხარჯის გაწევა ასეთი კომპლექსის ასაშენებლად? რა მნიშვნელობა აქვს, რამდენიმე ასეულ მილიონზე ვსაუბრობთ, როგორც ამას ხელისუფლება გვიმტკიცებს, თუ რამდენიმე მილიარდზე? ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის მოქმედება „ზღვარს მიღმა“, რასაც არანაირი გამართლება არ აქვს.**

# პარლამენტის ახალი შენობა: აკვარიუმი თუ შიზარიუმი?

**როდესაც აკაკი მინაშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი ერთმანეთს გამჭვირვალობისა და შემოქმედებითობის ბულვარების გადაკვეთაზე შეხვდნენ... ამ ფრაზის ალალი და შეუბღალავი სიგიჟე, მისი გამჭოლი სენტიმენტალურობით, რეალობად იქცევა, თუ პარლამენტი ქუთაისში გადავა და ეს ორი ახალგაზრდა კვლავ დეპუტატი გახდება. ტერიტორიას პარლამენტის ახალი შენობის გარშემო „ათასწლეულის პარკი“ ერქმევა და იქ იქნება არა მხოლოდ გამჭვირვალობისა და შემოქმედებითობის, არამედ კომუნიკაბელურობის, თავისუფლებისა და ტრადიციულობის ბულვარები, აგრეთვე, იქნება „ანგელოზების ტბა“. იქ, ალბათ, ჯონდი ბაღათურიას დაახრჩობენ.**



**ხეტიალი არქიტექტურისა და შიზოფრენიის მიჯნაზე გზამკვლევის გარეშე ერთობ პრობლემურია და მის როლს ჩვენთვის „CMD ინჟინრების“ მიერ მომზადებული ილუსტრირებული ბროშურა შეასრულებს. მასში პარლამენტის ახალ შენობაზე ბევრი საგულისხმო ინფორმაციის აღმოჩენა შეიძლება, თუნდაც შენობის სხვადასხვა ელემენტის დამატებითი დატვირთვის შესახებ.** მაგალითად, ბეტონის გარსი, რომელიც, ერთი შეხედვით, მკვდარი სპილოს ხორთუმსა და ტუალეტის ქაღალდის გაშლილ რულონს მოგაგონებს, თურმე **„რბილად ერწყმის მისი** (გამჭვირვალე ბუშტის) **მრუდის მშვენებას. ეს გამოხატავს საქართველოს მთავრობის ძალასა და სიმტკიცეს“,** ხოლო საკუთრივ ბუშტი **„დაცულობასთან, გამჭირვალობასა და სიწმინდესთან ასოცირდება“.** საერთოდ, აქამდე ბუშტი წარმავალობისა და ყოფიერების არამდგრადობის სიმბოლოდ ითვლებოდა; შუა საუკუნეების ალეგორიებს, სადაც ბუშტი იყო გამოსახული, ხშირად თან ერთვოდა მარკუს ტერენციუს ვარონის ციტატა **„ადამიანი საპნის ბუშტია“.** მართალია, შესაძლებელია გარკვეული სპეკულაციების დაფუძნება პითაგორელთა „თევზის ბუშტსა“ და ძველინდურ „ჯაგატ იონიზე“ (ამ თემას, თქვენის ნებართვით, არ ჩავუღრმავდები), მაგრამ „დაცულობისა და გამჭვირვალობის“ აღმოჩენა ამ შემთხვაშიც ძალიან გაგვიჭირდება.

პრინციპში, პროექტის დამკვეთებსა და შემსრულებლებს სრული უფლება აქვთ დაინახონ ამ კონტურებში ის, რაც მოეხასიათებათ (არის ერთი ცნობილი, თუმცა ძლიერ უცენზურო ანეგდოტი როოშახის ტესტზე), მაგრამ **შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მათი მიზანი, საკმაოდ უხეში ხერხების გამოყენებით პარლამენტზე აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირების იდეის გადმოცემა გახლდათ: ბეტონის გარსი დამთრგუნველად აწვება „ბუშტს“, ხოლო შენობის ყველაზე მაღალ — მე-6 სართულზე პრეზიდენტის აპარტამენტებია განლაგებული.**

პირველი სურათი, რომელსაც ამ აპარტამენტებისადმი მიძღვნილ გვერდზე ვხედავთ, აბაზანა-ტუალეტია; ალბათ, იგულისხმება, რომ შავი და თეთრი ფერების შეხამება სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლას განასახიერებს. კიდევ ერთი სურათი ამ სივრცეს სხვა რაკურსიდან გვიჩვენებს. **ეს დაჟინებული ყურადღება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ ადგილს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება, დაახლოებით ისეთი, როგორც ოვალურ კაბინეტს თეთრ სახლში ან ფიურერის ბუნკერს რაიხსკანცელარიის ბაღში; მისი იდუმალი სიმბოლიკის გაშიფრვა ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება.** მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სააკაშვილის მომხრეებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ, მათ ბელადს ისეთივე მყუდრო და კეთილმოწყობილი საპირფარეშო ექნება, როგორც მავზოლეუმი — ლენინს.

საერთოდ, **ინტერიერში ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის აეროპორტის, სპორტდარბაზისა და ბორდელის ესთეტიკა; გაუგებარია სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე. შესაბამისად, იბადება განცდა, რომ მესამეში ვიმყოფებით.** შენობის შიგნით იქნება უამრავი ეგზოტიკური მცენარე და პალმის სამი სახეობა, გეგონება საქმე მაიმუნსაშენის მოწყობას ეხებოდეს. თავისთავად გამწვანებაში ცუდი არაფერია, თუმცა **იმის წარმოდგენამ, თუ როგორ ისეირნებენ პალმებს შორის ნუგზარ წიკლაური და შოთა მალაშხია, შეიძლება დარვინის სასწრაფოდ გადაკითხვის ხასიათზე დაგვაყენოს.**

აშკარაა, რომ დიზაინერებმა ბევრი იწვალეს, თუმცა, ინტერიერში მაინც რაღაც უკიდეგანოდ უგემოვნო, უხეშად რომ ვთქვათ, გამორჩეულად გოიმური იგრძნობა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის ჩარევის შედეგია. **საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ მას დრაკულას ღიმილივით კოშმარული გემოვნება აქვს და სწორედ აქედან მოდის ის ანტიარქიტექტურა და ანტიესთეტიკა, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობს. ყველაფერს პარლამენტის ახალ შენობაში თითქოსდა ასვია დამღა „ამას შეეხო სააკაშვილი“, რომელიც ერთგვარ „უხარისხობის ნიშანს“ წარმოადგენს.**

ალბათ, აჯობებს, დავტოვოთ ეს შენობა, რომელმაც უკვე სამი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, და ისევ „ათასწლეულის პარკში“ დავბრუნდეთ, სადაც გამჭვირვალობისა და შემოქმედებითობის ბულვარების გადაკვეთაზე ერთმანეთს, იდეაში, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკაკი მინაშვილი უნდა შეხვდნენ.

პარლამენტართა საცხოვრებელი ადგილი „პარკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 12 015 კვადრატული მეტრის ფართობზე გაიჭიმება, — წერენ ბროშურის ავტორები, — ეს იქნება პარკის საცხოვრებელი ზონა. აქ ტერასებად განლაგდება სახლები დეპუტატებისა და მათი ოჯახებისთვის, ასევე რამდენიმე სამუშაო და სათათბირო დარბაზი და სხვ. პარლამენტის წევრებისა და მათი ოჯახების საცხოვრებელი ზონა შემოღობილი იქნება დამატებითი უსაფრთხოებისთვის“. ყოველივე ეს ერთობ მოგაგონებს ევროპულ სეტლმენტს XIX საუკუნის ჩინეთში, მეტიც, კოლონიზატორების დასახლებას აფრიკაში: ღობის შიგნით — მიწიერი სამოთხე ხელოვნური ტბებითა და ეგზოტიკური ბაღებით, ღობის გარეთ — შიმშილი, სიკვდილი და სრული ჯოჯოხეთი. ეს წარმოუდგენელი კონტრასტი იქნება, **ძალიან ძნელია, მოიფიქრო სისტემა, რომელიც ხალხს და მის მიერ არჩეულ დეპუტატებს ერთმანეთს უფრო ეფექტურად რომ დააშორებს და ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს პროექტის დამკვეთთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი და მოთხოვნა იყო.**

ჩვეულებრივ მოკვდავებს „სხვა ცხოვრების“ შორიდან ნახვა ე.წ. „ათასწლეულის გადმოსახედი პუნქტიდან“ შეეძლებათ. **„პარკში ეს ერთადერთი ადგილია, რომელიც არ იქნება შემოღობილი“,** — წერია ბროშურაში. ამ ადგილიდან კარგად გამოჩნდება 52 400 კვ.მ. ფართობის „კოლხეთის ტბა“ (გრუნტის წყლების პრობლემის გამო ქმნიან; ისე, საკმაოდ ენამოსწრებულად კი თქვა ერთმა ქუთაისელმა პენსიონერმა: **„ამ დაჭაობებული ადგილის მეტი არაფერი ელირსოთ“**) და დიდი მწვანე ტერიტორია, რომელიც (მომიტევეთ ამ პოლიტიკურ-არქიტექტურული ერესის ციტირება) **„ბუნებრივად ერწყმის გარს არქიტექტურის ამ ნიშანსვეტს, რომელიც საქართველოს თავისუფლების სიმბოლო გახდება, ისევე, როგორც საქართველოს ჰიმნის სიტყვები“.** თურმე რა ყოფილა, ჩვენ კი ის, უბრალოდ, აკვარიუმის ფორმის შიზარიუმი გვეგონა.

„ათასწლეულის გადასახედი“ საინტერესო სახელწოდებაა. შესაძლოა, იგულისხმება, რომ ამ წერტილიდან მომავალი ათი საუკუნის განმავლობაში მათ მინიატურულ „ათასწლოვან რაიხს“ უნდა ვუყუროთ. ზებუნებრივი სიმბოლური დატვირთვის გაფაციცებულმა, ერთობ ხელოვნურმა და ნაძალადევმა ძებნამ კი შეიძლება ერთ ძველ ციტატამდე მიგვიყვანოს: **„ჩვენს ქალაქებს არ გააჩნიათ ისეთი ძეგლები, რომლებიც აღქმული იქნებოდა, როგორც მთელი ეპოქის სიმბოლო... ანტიკური ქალაქი ისეთ მიმზიდველ საშუალებებს ფლობდა, რომლებზეც დღეს წარმოდგენაც კი არ გვაქვს. ამ ქალაქის მაცხოვრებელს თვალწინ ჰქონდა არა ცალკეული მეპატრონეების მეტ-ნაკლებად საცოდავი სახლები, არამედ დიადი შენობები, რომლებიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ამ შესანიშნავ შენობებთან მიმართებაში მათი საკუთარი სახლები მხოლოდ დაქვემდებარებულ მნიშვნელობას იძენდა“ (ადოლფ ჰიტლერი, „მაინ კამპფი“).**

სხვათა შორის, რაც უფრო ახლოვდებოდა მესამე რაიხის აღსასრული, მით უფრო მეტ დროს ატარებდა ნახევრადშეშლილი ფიურერი ბერლინის რეკონსტრუქციის გეგმასთან და ესაუბრებოდა ალბერტ შპეერს რაღაც საოცრად მეგალომანიურსა და მანიაკალურზე. გამორიცხული არაა, რომ მას ქვეცნობიერად სურდა, ერთგვარი „არქიტექტურული კაუჭებით“ ჩაჭიდებოდა სიცოცხლეს და რეალობას, რომელსაც გაურბოდა, დაეტოვებია ეპოქალური კვალი და ისტორიაში „ჩაბეტონებული“ ყო“. ერთმანეთს არავის ვადარებთ, თუნდაც იმიტომ, რომ მასშტაბები განსხვავებულია, თუმცა **ეს არქიტექტურული სიგიჟე ქვეყნის ნანგრევებზე მეტად უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს.**

სუბიექტური შთაბეჭდილება: ამ ბროშურის კითხვის დროს არ მტოვებდა შეგრძნება, რომელსაც რუანდაში გაეროს ძალების ყოფილმა სარდალმა, კანადელმა გენერალმა რომეო დალერმა **„ეშმაკისთვის ხელის ჩამორთმევა“** უწოდა, და იმის განცდა, რომ არა უბრალოდ მორიგ სისულელეს, არამედ ძალიან დიდ ბოროტებას შევეხე. **რა შეიძლება იყოს უფრო კაცთმოძულე, უფრო ამაზრზენი, ვიდრე უკიდურესად ღარიბ საქართველოში უზარმაზარი ხარჯის გაწევა ასეთი კომპლექსის ასაშენებლად? რა მნიშვნელობა აქვს, რამდენიმე ასეულ მილიონზე ვსაუბრობთ, როგორც ამას ხელისუფლება გვიმტკიცებს, თუ რამდენიმე მილიარდზე? ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის მოქმედება „ზღვარს მიღმა“, რასაც არანაირი გამართლება არ აქვს.**

ბუნებრივად იბადება კითხვა: **რა უნდა ვუყოთ ამ ახალ საპარლამენტო კომპლექსს?** მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებას დატოვებს, პარლამენტი, 99%-იანი ალბათობით, ისევ თბილისში გადმობარგდება და, შესაბამისად, ამ შენობას და მიმდებარე ტერიტორიას რაღაც უნდა მოვუხერხოთ. შეიძლება გაჩნდეს ცდუნება, მეგალომანიური ამპარტავნების ეს სიმბოლო ბასტილიასავით მიწასთან გავასწოროთ, მაგრამ ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და, ალბათ, უფრო გონივრული გამოსავალი უნდა მოვძებნოთ. აქ მნიშვნელოვანია შემდეგი რამ: **ფუნქცია, რომელიც ამ კომპლექსს მომავალში მიენიჭება, უაღრესად პოზიტიური უნდა იყოს, რათა მთელი ის ბოროტება, რომელიც მის აშენებას უკავშირდება, წარსულს ჩაბარდეს, გაიფანტოს.**

ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისში „ქართული ოცნების“ 10 ივნისის აქციაზე ამ ქალაქში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის იდეა გააჟღერა. რატომ არ შეიძლება ეს ახალი კომპლექსი ამ მიზნისთვის გამოვიყენოთ? ცხადია, საჭირო გახდება გარკვეული რეკონსტრუქცია, თუმცა ის შეუდარებლად ნაკლებ ხარჯს მოითხოვს, ვიდრე ახალი სასწავლებლის ინფრასტრუქტურის ნულიდან შექმნა. ეს იქნება ჩვენი პირველი სერიოზული, სტრატეგიული ინვესტიცია მომავალში.

ამ შემთხვევაში, ეს კომპლექსი მართლაც გახდება ახალი, თავისუფალი საქართველოს სიმბოლო და არა ერთი მუჭა პოლიტიკური ვამპირების სამფლობელო, რომელთაც თურმე პალმების ჩრდილში დასვენება მოუნდათ. კაი გვარიანი ბუდე კი მოიწყვეს, თუმცა, ჩემი სუბიექტური პროგნოზი თუ გაინტერესებთ, იქ დაბინავებას ვერ ეღირსებიან, ვერ გაიხარებენ.

**რა უნდა მოვაწყოთ იქ უნივერსიტეტზე უკეთესი? კაზინო? აბანო? ფსიქიატრიული კლინიკა?** უკანასკნელი იდეა შეიძლება ერთობ ლოგიკურად მოგვეჩვენოს, თუმცა ფსიქიატრებს, თუ მაინც და მაინც, შეუძლიათ ავლაბრის რეზიდენცია აიღონ (მე არ მითქვამს „შტურმით აიღონ“, ბალანსზე აყვანა ვიგულისხმე; არადა, შტურმზე მიმავალი ფსიქიატრები ლამაზი სანახაობა კი იქნებოდა, აუსტერლიცის კავალერგარდების არ იყოს). **ვარიანტი, პრინციპში, ბევრია, თუმცა „საუნივერსიტეტო იდეა“, ალბათ, მაინც ერთ-ერთი ყველაზე კონსტრუქციული იქნება.**

რჩება მხოლოდ ერთი დაბრკოლება — ქუთაისის პარლამენტის შენობას ჩაბღაუჭებული სააკაშვილი. თუმცა, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, აღნიშნული პრობლემა არცთუ შორეულ მომავალში მოიხსნება.

ბევრისთვის „იმედისა“ და „რუსთავის 2“-ის დეზინფორმაციის ერთადერთი ალტერნატივა არის სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთი „ილორი“, რომელიც უფასოდ რიგდება. სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ახერხებს თავისი მრავალრიცხოვანი აქტივისტებისთვის სხვა გამოცემების მიწოდებასაც და რეგიონში ერთ-ერთი მთავარი პოლიტინფორმატორია. მოძრაობა „სამეგრელო“ ათეული წელია, მოღვაწეობს და არა მარტო სამეგრელოს პრობლემებს იცნობს, არამედ მეზობელ აფხაზეთთანაც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი... „ოცნებას“ და ალასანიას კი მოძრაობა „სამეგრელოსთან“ ჯერჯერობით ურთიერთობა არ ჰქონიათ...



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალასანია და «მეგრული საკითხი»



ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის მოსახლეობასთან შეხვედრისას

**„ქართულმა ოცნებამ“ ირაკლი ალასანია სამეგრელოს მიავლინა. წაჰყვა თუ არა თანამედროვე დეკაბრისტს „გადასახლებაში“ მეუღლე, ამაზე მატიანე დუმს. აპრილიდან „ხალხში“ გასული ალასანია სოფელ-სოფელ დადის და ერთსა და იმავე დაპირებებს არიგებს.**

4 მაისი, ზუგდიდი:

„სამეგრელო იქამდე ვერ დადგება ფეხზე, ვიდრე ხელისუფლება სინგაპურიზაციას და ქვეყნის ეკონომიკის ბენდუქიძისეული მეთოდებით მართვას გააგრძელებს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა სფეროში ერთპიროვნული მმართველობა დასრულდება. ჩვენი ამოცანაა, ევროპის ნაწილი გავხდეთ ისე, რომ ჩვენი ეროვნული ღირსება შევინარჩუნოთ. შემდეგი არჩევნები არის გადამწყვეტი, კერძოდ, ის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხალხი ამ არჩევნებში“.

5 მაისი, თეკლათი:

„ბოლო რვა წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად განადგურდა. ეს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი არ იყო, შედეგად, 80% სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ქვეყნის გარედან შემოგვაქვს. გლეხები და ფერმერები უმუშევრები არიან. ჩვენი მთავარი გზავნილი ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში მილიარდიან ინვესტიციას ჩავდებთ და ამ სფეროს წელში გავმართავთ. დავიბრუნებთ როგორც შიდა ბაზარს, ასევე ჩვენს ტრადიციულ ბაზრებს. „ქართული ოცნების“ პრიორიტეტები სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, განათლება და სოციალური თემებია“.

7 მაისი, კირცხი, ლეწურწუმე:

„ეს სოფელი პრაქტიკულად საძოვრების გარეშეა დარჩენილი, რადგანაც ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლების მალულად გაასხვისა მათი კუთვნილი მიწები. სოფლის საჯარო სკოლა დანგრევის პირასაა მისული. სკოლის 1-ლ, მე-2, და მე-3 კლასელებს ერთ საკლასო ოთახში უტარდებათ გაკვეთილები.

ეს არის ის რეალობა, რომლის დანახვაც სააკაშვილს არ უნდა. ეს არის სააკაშვილისა და შაშკინის განათლების რეფორმა. ამ სკოლაში არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული. მე ჩავალ ყველა სოფელში და ავუხსნი ჩვენს მოქალაქეებს, თუ როგორ შეიცვლება მათი ცხოვრება ჩვენი გამარჯვების შემდეგ. „ქართული ოცნება“ — ეს არის ჯანმრთელი, განათლებული, დასაქმებული და სამართლიანი საქართველო“.

23 მაისი, ურთა:

„ურთაში ადგილობრივი მაჟორიტარის დაპირების მიუხედავად, არ არსებობს სამედიცინო პუნქტი და შიდა გზები. როდესაც გავიმარჯვებთ, ჩვენი გლეხი წელში გაიმართება, ეს შექმნის რეალურ სამუშაო ადგილებს და უმოკლეს ვადაში სოფლად უმუშევრობის პრობლემა აღარ იქნება“.

24 მაისი, ინგირი:

„ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, დასაქმება და სოციალური პროგრამები არის ის თემები, რომლებიც შეხვედრაზე მოსულ ადამიანებს აინტერესებთ“.

**სხვა მრავალ** ამგვარ განცხადებას შორის ყურადღებას იქცევს ერთი ასეთი: **„ყველას უნდა, მრავალპარტიული, დაბალანსებული პარლამენტი დაინახოს და არა ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა, როგორიც ბოლო 8 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. პირველ რიგში, საბიუჯეტო სახსრების სწორი ხარჯვა იქნება მოწესრიგებული, მოისპობა მონოპოლიები, დამარცხდება კლანური მმართველობა ჩვენს ქვეყანაში. სამეგრელოს მართავს რამდენიმე კლანი, მათ შორის, ახალაიებისა და გოროზიების. ეს კლანური მმართველობა დასრულდება. სივრცე გაეხსნება მცირე და საშუალო ბიზნესს და სამუშაო ადგილები რეალურად გაჩნდება“.**

ამ განცხადებაში საინტერესო ის არის, რომ ნაცვლად სამი მეოთხედით მოგებისა, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, აქცენტი მრავალპარტიულ, დაბალანსებულ პარლამენტზე კეთდება, ანუ, **როგორც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას, ალასანია მზად არის, დღევანდელ მმართველ პარტიასთან მომავალ პარლამენტშიც ითანამშრომლოს და, თუ საჭირო შეიქნა, გამარჯვებაც მიულოცოს!**

ახლა — რაც შეეხება ახალაიებისა და გოროზიების კლანს: გოროზიას ისიც ეყოფა, ჰოლანდიიდან შემოტანილი სპერმით ქართული ჯიშის ძროხები რომ გაანაყოფიერებინა — ტანმორჩილმა ქართულმა ძროხებმა მსხვილი ნაყოფი ვერ ატარეს და დაიხოცნენ. გულმოსულმა გოროზიამ ხელქვეითები დატუქსა: **„ის სპერმა ნახევარი პორცია შეგეშვათ და ძროხებიც არ დაგეხოცებოდათო“!** ამ ინტელექტის პატრონს თუ „თანაკლანელებიც“ ასეთი ჭკვიანი ჰყავს, აშენებულა სამეგრელო? და მმართველი პარტიაც!

ახალაიების საკითხი კი სულ სხვაა: **ხელისუფლებამ ალასანიას გამოწვევა მიიღო და ზუგდიდის მაჟორიტაროზის კანდიდატად სწორედ ამ კლანის ნათლიმამა — როლანდ ახალაია განიხილება.** სამეგრელოში ჩასვლა ეგრე არ უნდაო და მაისის ბოლოს ბაჩო ახალაიაც ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად. დიპლომატიური და სტერილური ალასანიასგან განსხვავებით, იგი, მართალია, ხშირად იგინება, მაგრამ მეგრულად მაინც ლაპარაკობს. **ალასანია კი სამეგრელოში „პარკეტნი“ მეგრელს უფრო ჰგავს, რომელსაც ერთი და იმავე სიტყვებით წალენჯიხელი, ჩხოროწყუელი და მარტვილელი ამომრჩევლის მოხიბლვა სწადია.**

მისი ზოგადი ფრაზები საქართველოს ნებისმიერ კუთხეშიც ასევე იქნება მიღებული, რადგან, ცხოვრება რომ მძიმე აქვთ, ქართველებმა ისედაც იციან, ხოლო კონკრეტულად რა გზით აპირებს ამ პრობლემების მოგვარებას „ქართული ოცნება“, ამის შესახებ ალასანიას არაფერი უთქვამს, ან ამის რწმუნება კოალიციის ლიდერისგან არ ჰქონია. **ოზურგეთში გამართულ აქციაზე ივანიშვილმა კონკრეტულად ახსნა, როგორ უნდა ეშველოს სოფლის მეურნეობას: შეიქმნება მილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.**

ბაჩო ახალაიას გარდა, როგორც ამბობენ, სამეგრელოში გიორგი ზვიადის ძე გამსახურდიაც გადავიდა და მამაპაპეულ აბაშაში გამაგრდა. ისიც დაუქადნია, ერთი ვნახავ, აქ როგორ ჩამოვა ალასანიაო! **აბაშაში მისი ერთადერთი ვიზიტის ამსახველი ფოტოები „ფეისბუქზე“ დევს, მაგრამ იქ იგი მოსახლეობასთან არ ჩანს, სამაგიეროდ, ზვიად გამსახურდიას დიდ ფოტოსთან არის გადაღებული.**

ალასანია აცხადებს: **„მოსახლეობასთან შეხვედრები დიდ სტიმულს მაძლევს. ყველგან ხალხმრავლობაა, ყველგან მეუბნებიან, — მე აქ ერთი მოვედი, მაგრამ ჩემ უკან 100 კაცი დგას, რომელთაც თქვენგან მოსმენილი სიტყვები უნდა მივუტანო“.** ერთი სიტყვით, ეს „ხალხმრავლობა“ სინამდვილეში თითო-ოროლა კაცია, რომელთა უკან **„100-100 კაცი დგას“.** ზრდილი მეგრელები სტუმარს უკადრებელს არასოდეს ჰკადრებენ, მაგრამ ეს სიტყვები თავად მეტყველებს იმაზე, რომ მას აწყნარებენ, მერე რა, რომ ცოტანი ვართ, წავალთ და ამბავს ჩვენ მივუტანთ იმ 100 კაცსო!

თუმცა ყველაზე საინტერესო ამ უცნაური ფორმულირების შემდეგ მაინც ის არის, რომ, ალასანიას ვერსიით, **„რომ არა ბეჭდური მედია და „ფეისბუქი“, გაგვიჭირდებოდა ამ კამპანიაში ჩვენი გზავნილის მიტანა მოსახლეობამდე“.** როგორ წარმოუდგენია მას სამეგრელოს მოსახლეობამდე საკუთარი გზავნილების სოციალური ქსელებით მიტანა, როცა თავად აცხადებს: **„საქართველოს 230 სოფელი მოვიარე. საქართველო ვითარდება მხოლოდ ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, რამდენიმე ასეულ მეტრს როგორც კი გადაუხვევთ, ნახავთ უგაზო, უწყლო, უგზო სოფლებს, სადაც გლეხს არა აქვს ელემენტარული საარსებო საშუალება. სკოლებში არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული“.**

ამ სოფლებში „ფეისბუქით“ მიტანილი გზავნილები უთუოდ მეტად ეფექტური იქნება და ალასანიაც ეიფორიაშია: **„აისბერგი უკვე დაიძრა!“**

თანამედროვე ქართული კართაგენი დაეცემა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ „ტიტანიკი“ ნამდვილად ჩაიძირა და მასზე მყოფ მგზავრს აისბერგის დაძვრა მაინცდამაინც არ უნდა უხაროდეს! თუმცა ალასანიას არჩევნებში გამარჯვებისა უზომოდ სწამს და ჟურნალისტის კითხვაზე — რატომ აიგივებთ სამეგრელოში მოგებას საქართველოში გამარჯვებასთან? — პასუხობს: **„უპირველესად, იმიტომ, რომ ახლა სამეგრელოში ვარ და იმ ადამიანების სახელით ვლაპარაკობ, რომლებიც მხარს მიჭერენ“.**

**მოკლედ, ხვალ თუ მარნეულში მიავლენენ, იქაც იმავეს იტყვის, რადგან „მარნეულში იქნება და იმ ადამიანების სახელით ილაპარაკებს, რომლებიც მხარს უჭერენ.“**

არა, დიპლომატებს, როგორც ჩანს, რაღაც ისეთ ვაქცინას უკეთებენ, რომელიც სისხლიდან აღარ გამოდის. მათი ნალაპარაკევიდან აზრის გამოტანა ყოველთვის ჭირს. ამ თვისებით სიძე-ცოლისდა — ალასანია-ფანჯიკიძეც უხვად შეუმკია შემოქმედს. ამომრჩეველი პოლიტიკური ლიდერის სიტყვებში შენიღბული ინფორმაციის ამოცნობაზე ვერ იქნება მომართული. ვერც იმას გაიგებს, რასაც დიპლომატები ერთმანეთს უფრო იმიტომ ეუბნებიან, რომ არაფერი თქვან. **სოფელ-სოფელ სიარული კარგიცაა და აუცილებელიც, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ადგილობრივ საზოგადოებაზე, სოციალურად აქტიურ ადამიანებზე დაყრდნობა, რადგან სწორედ მათ იციან იქაური პრობლემები და კონკრეტული ადამიანების გასაჭირი.**

თანაც აქ, სადაც „არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული“, არა მგონია, „ფეისბუქი“ და სოციალური ქსელები ალასანიას დიდად წაადგეს. თანაც იქ არც „კავკასიას“ აჩვენებს, არც „მაესტროს“ და არც „მეცხრე არხს“, ბეჭდურ მედიასაც ძალიან უჭირს, იმიტომ, რომ გაზეთში გადასახდელი 2 ლარის გამონახვა ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის შეუთავსებელი ფუფუნებაა.

**ისეც ნუ წარმოვიდგენთ, რომ ადგილზე ბნელი და უკუნია, ინფორმაცია ვრცელდება, ოღონდ სხვა მეთოდებითა და საშუალებებით. ბევრისთვის „იმედისა“ და „რუსთავის 2“-ის დეზინფორმაციის ერთადერთი ალტერნატივა არის სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთი „ილორი“, რომელიც უფასოდ რიგდება. სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ახერხებს თავისი მრავალრიცხოვანი აქტივისტებისთვის სხვა გამოცემების მიწოდებასაც და რეგიონში ერთ-ერთი მთავარი პოლიტინფორმატორია. მოძრაობა „სამეგრელო“ ათეული წელია, მოღვაწეობს და არა მარტო სამეგრელოს პრობლემებს იცნობს, არამედ მეზობელ აფხაზეთთანაც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი.**

ალასანია არ ტყუის, როცა ამბობს: **„სამეგრელო არის ხიდი ქართულ-აფხაზური ურთიერთობისა და ძმობის აღდგენისთვის, რაც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია“.** მართალია, მაგრამ ეს ხიდი სწორედ ის კონკრეტული ადამიანები არიან, რომელთა გარეშეც აპირებს ალასანია (და არა მარტო იგი) ამ საკითხის მოგვარებას. **„ოცნებას“ და ალასანიას კი მოძრაობა „სამეგრელოსთან“ ჯერჯერობით ურთიერთობა არ ჰქონიათ...**

ამასობაში კი მმართველი პარტია ამომრჩეველთან მუდმივად უშუალო კონტაქტშიც არის და არც ალასანიას ნახსენებ სოციალურ ქსელებს ივიწყებს, თუმცა ეს მანაც კარგად იცის, როცა აცხადებს: **„სოციალურ ქსელებში „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერჯგუფები აქტიურად მუშაობენ“.** ამ „მუშაობის“ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ასეთია: **„დღეს მინდა პირველად გიამბოთ იმ საქციელზე, რასაც ირაკლი ალასანია აკეთებდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სოფელში მისმა რაზმმა ააოხრა ყველაფერი. ოჯახი არ დატოვეს გაუქურდავი. მოროდიორობდნენ, წვავდნენ სახლებს, რაც ვერ მიქონდათ, პირდაპირ ანადგურებდნენ. პირუტყვი და შინაური ფრინველიც არ დაუტოვებიათ ცოცხალი და წასვლისას წამოგვაძახებდნენ ხოლმე „შიმშილით უნდა მოგკლათო“. მახსოვს, ერთმა თანამებრძოლმა ალასანიას ხელი აურტყა იარაღზე, რომელიც საქონლის მოკვლას აპირებდა და ალასანიამ ფეხებში ესროლა. მისი რაზმი ცივსისხლიანობით გამოირჩეოდა“.**

აფხაზეთიდან ჩამოტანილ ამ რეპორტაჟში კიდევ ბევრი სისაძაგლეა, მაგრამ მათი განეიტრალება ალასანიას მხოლოდ იქ დასახელებული აფხაზის — არნოლდ ჯალაღონიას მეშვეობით შეუძლია...

**თამარ დავითულიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილს არ ეშინია მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე (ვინ იცის, რის გაკეთებას აპირებს?) მის უშუალო სიახლოვეს იმყოფება, ის არ კარგავს კონტროლს კრიტიკულ ვითარებაში და ფერწამხდარი პანიკაში არ ვარდება; მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ბიძინა ივანიშვილი ჰალსტუხებს არ ჭამს.**

## მოსკოვში ირანისა და ექვსეულის მოლაპარაკებები დაიწყო

**ირანის დელეგაცია, ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივნის — საიდ ჯალილის ხელმძღვანელობით, მოსკოვში ჩავიდა. ირანელი დიპლომატიები მონაწილეობენ ექვსეულის შეხვედრაში, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას უკავშირდება.** მოლაპარაკებები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, კანადის, საფრანგეთის, რუსეთისა და ირანის მონაწილეობით 18 ივნისს დაიწყო. ირანი დაჟინებით მოითხოვს მისი უფლების აღიარებას, განავითაროს ბირთვული პროგრამა და მოითხოვს მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნას. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები კი ცდილობენ, მიაღწიონ შეთანხმებას, რათა თეირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები სამხედრო კომპლექს პარჩინში დაუშვას. დასავლეთის სპეცსამსახურები მიიჩნევენ, რომ სწორედ პარჩინში მიმდინარეობს ბირთვული იარაღის შექმნის სამუშაოები.



## ერაყში დაღუპულთა რაოდენობა 62-მდე გაიზარდა

**ბაღდადსა და ჰილაში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 62-მდე გაიზარდა. ზუსტი რაოდენობა ჯერაც უცნობია.** ვრცელდება ინფორმაცია ასობით დაჭრილზე. ინფორმაციას ამის შესახებ ერაყის ოფიციალური პირები ავრცელებენ. პოლიციისა და მედიკოსების ინფორმაციით, ქალაქ ჰილაში, ერთ-ერთი რესტორნის ახლოს, ორი დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. პირველმა ბომბმა 6 ადამიანი მოკლა და 20 დაჭრა. მეორე აფეთქება რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა და მან 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ ბაღდადში, სულ მცირე, 5 ბომბი აფეთქდა და ქალაქის რამდენიმე რაიონში ცეცხლი გაიხსნა. პოლიციის ინფორმაციით, იერიშების სამიზნეს წარმოადგენდნენ შიიტი მომლოცველები, რომლებიც ამჟამად ბაღდადში ჩადიან რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად.

# ჯანყი გურიაში და «ბერძენიშვილების პრობლემა»

**გამორიცხული არაა, რომ ივლის-აგვისტოში, რომელიც ადრე, პოლიტიკური თვალსაზრისით, მკვდარ სეზონად ითვლებოდა, დაპირისპირება განსაკუთრებით დრამატული გახდება. საერთოდ, ნამდვილი პოლიტიკა და რეალური ბრძოლა ხელისუფლებისთვის, გულისცემის არ იყოს, პაუზებს არ ცნობს, იმ რიტუალური პოლიტ-ცეკვებისგან განსხვავებით, რომელთაც თვალს ბოლო წლებში ვადევნებდით. ამიტომ, ალბათ, წინასწარ უნდა შევეგუოთ აზრს, რომ არანაირი შესვენება და სულის მოთქმის საშუალება ქვეყანას არჩევნებამდე და, შესაძლოა, შემდეგაც არ ექნება; წილი უკვე ნაყარია, რუბიკონი კი — გადალახული.**




### ივანიშვილი ჰალსტუხებს არ ჭამს

ვიდრე ოზურგეთში გამართულ „ქართული ოცნების“ აქციამდე მივალთ, ალბათ, გარკვეული ყურადღება მის პროლოგს უნდა დავუთმოთ. დასავლეთ საქართველოს სოფლებში ბიძინა ივანიშვილის მოგზაურობის დროს საზოგადოებამ დააფიქსირა (და ეს სოციალურ ქსელებშიც აისახა) **„ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრებს შორის აშკარა და თვალშისაცემი სხვაობა, რომლის აღწერა ძალიან მარტივად, ორიოდე სიტყვით შეიძლება: სააკაშვილისგან განსხვავებით, ივანიშვილი ხალხს უსმენდა.**

ეს იყო ჩვეულებრივი დიალოგი, რომელიც, როგორც კომუნიკაციის ფორმა, უხსოვარი დროიდან არსებობს, თუმცა სააკაშვილის მმართველობის წლებში საზოგადოება მას იმდენად გადაეჩვია, რომ ივანიშვილის ქცევა ლამის რევოლუციური ხასიათის სიახლედ აღიქვა. **ოპოზიციური კოალიციის ლიდერი მშვიდად უსმენდა ამომრჩევლებს, მათ შორის ოპონენტებს, არ აწყვეტინებდა უხეშად და არ წარმოთქვამდა რეალობისგან მოწყვეტილ მონოლოგებს ისტერიულ ტონალობაში — სულ ეს იყო, მაგრამ ამან საკმაოდ შთამბეჭდავი ეფექტი მოახდინა.**

საზოგადოება, ცოტა არ იყოს დაიღალა იმით, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მას აღიქვამდნენ მხოლოდ მაყურებლად ერთი მსახიობის თეატრში, რომელსაც სპექტაკლის დროს ხმის ამოღების უფლება არ აქვს. დღეს მას, სავარაუდოდ, სურს არა მხოლოდ ის, რომ რაიმე უთხრან, ანუგეშონ ან თუნდაც მრავალ წყალობას დაჰპირდნენ, არამედ ელემენტარულად მოუსმინონ და, გამორიცხული არაა, რომ ეს უკანასკნელი სურვილი სხვა დანარჩენზე დომინირებდეს. მარტივად რომ ვთქვათ, **ხალხს პოლიტიკურ ელიტის წარმომადგენლებთან ნორმალური, ადამიანური კომუნიკაცია მოსწყურდა და ივანიშვილმა თავისი რეგიონული ტურნეს დროს ეს გარემოება გაითვალისწინა.**




კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დასავლეთ საქართველოს სოფლებში შეხვედრების დროს დაფიქსირდა, იყო ივანიშვილის რეაქცია ადგილობრივი „ნაციონალური აქტივისტების“ მოქმედებაზე, რომლებიც მისი შეხვედრების ჩაშლას ცდილობდნენ. ზოგიერთი მათგანი აშკარა პროვოკაციაზე მოდიოდა, ზოგიც (ვიდეოჩანაწერებიდან ასეთი შთაბეჭდილება რჩება) ფრიად არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფიზიკური დაპირისპირების დაწყების შემთხვევაში ივანიშვილის სანიმუშოდ მომზადებული დაცვა და მის გარშემო შეკრებილი უამრავი ხალხი ამ ჯგუფებს, სავარაუდოდ, ორიოდე წუთში გადაუვლიდა და კონკრეტულ ეპიზოდში სიმბოლურ „გამარჯვებასაც“ მოიპოვებდა (უცხოელი დამვირვებლების თვალში ეს გახდებოდა ჩვეულებრივი წინასაარჩევნო შეხლა-შემოხლა სხვადასხვა პარტიის მომხრეებს შორის და აქედან გამომდინარე, ხელისუფლება მასშტაბურ, არათანაზომად რეპრესიებს ამ ფაქტით ვერ გაამართლებდა), თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მაქსიმალურად შეიკავა თავი იმ ტიპის ნაბიჯებისგან, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2003 წლის არჩევნების წინ ბოლნისში გადადგა. მისთვის, სავარაუდოდ, **გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, დაეფიქსირებინა კონტრასტი ისტერიკასა და სიმშვიდეს, არაადეკვატურ შეძახილებსა და დალაგებულ საუბარს შორის, აგრეთვე, ხაზი გაესვა იმისთვის, რომ მოწადინების მიუხედავად, ხელისუფლებამ ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩაშლა ვერ მოახერხა. ეს იყო შეგნებული უარი „ქვის ხანის“ დროინდელ პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე** და მისგან მიღებული ფსიქოლოგიური ეფექტი, სავარაუდოდ, გაცილებით დიდი გამოდგა, ვიდრე შეხვედრის ადგილიდან რამდენიმე აღგზნებული „ნაციონალის“ გაპანღურება მოიტანდა. თუმცა, ამასთანავე, ამ ინციდენტების დროს აშკარად გამოჩნდა, რომ **ივანიშვილს არ ეშინია მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე (ვინ იცის, რის გაკეთებას აპირებს?) მის უშუალო სიახლოვეს იმყოფება, ის არ კარგავს კონტროლს კრიტიკულ ვითარებაში და ფერწამხდარი პანიკაში არ ვარდება; მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ბიძინა ივანიშვილი ჰალსტუხებს არ ჭამს.**

არც ამაშია რაიმე ზებუნებრივი, ეს ნორმალური მამაკაცის ნორმალური ქცევაა, თუმცა ცნობილი ეპიზოდების შემდეგ, რომლებშიც მთავარი როლი „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადმა შეასრულა, პოლიტიკოსისგან ესეც გვიკვირს, რაც, ისევ და ისევ, სიახლის განცდას აჩენს.

შემდეგ იყო ოზურგეთის აქცია, თავისი ტრიუმფალური მასშტაბით; გურულების აქტიურობამ მოლოდინს გადააჭარბა, „პროცენტულად“ მათ თბილისსა და ქუთაისს აჯობეს. ეს იყო ნამდვი- ▶

მოკლედ

## ჰილარი კლინტონმა რუსეთი დაადანაშაულა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რუსეთის ხელისუფლება სირიის ხელისუფლებისათვის საბრძოლო ვერტმფრენების მიწოდებაში დაადანაშაულა.** კლინტონმა შესაბამისი განცხადება ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე გამოსვლისას გააკეთა. „აშშ შეშფოთებულია იმით, რომ სამხედრო ვერტმფრენები რუსეთიდან სირიისკენ მიმავალ გზაზე არიან. აშშ შიშობს, რომ ვერტმფრენებმა, შესაძლოა, კონფლიქტის მკვეთრ ესკალაციას შეუწყოს ხელი“, — განაცხადა ჰილარი კლინტონმა. თუმცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა უარი თქვა იმ წყაროს დასახელებაზე, რომლისგანაც რუსეთის მიერ სირიისათვის სამხედრო ვერტმფრენების მიწოდების ინფორმაცია გავრცელდა.

## წითელი ჯვარი: სირიაში მდგომარეობა უარესდება

ჰუმანიტარული მდგომარეობა სირიის ზოგიერთ რაიონში დღითიდღე სერიოზულად უარესდება, ქვეყნის ზოგ რაიონში კი ბრძოლები სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდება. ეს განცხადება საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა გააკეთა. ორგანიზაციის მონაცემებით, მიმდინარე კვირას ასობით ადამიანმა დატოვა ქალაქი ჰომსი, რომელსაც სამთავრობო ჯარები გამუდმებით ცხრილავენ. მცირე ხნის წინ ქალაქ ხაფას მიდამოებში, რომელიც სირიის სამხრეთით მდებარეობს, თავს გაეროს დამკვირვებლებს დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ რამდენიმეჯერ ცეცხლი გაუსხნეს, ხოლო ვინ ისროდა, ამ დრომდე უცნობია.

**გაჩნდა ეჭვი, რომ დავით ბერძენიშვილმა კოალიციის ლიდერის პოზიცია უგულებელყო (მისი დამკვიდრება სახელისუფლო პროპაგანდამ მოახერხა თუ ოპოზიციურ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულმა ჭორებმა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ეს მოხდა) და ბიძინა ივანიშვილმა ის უნდა გააქარწყლოს, შესაბამისად, ან 100%-ით დაეთანხმოს ბერძენიშვილს ან კიდევ მკაფიოდ დააფიქსიროს ზღვარი, რომელზეც მოუსვენარი ძმებისა და მათი თანაპარტიელების ამბიციები სრულდება და, მარტივად რომ ვთქვათ, მათ მოკრძალებულ ადგილზე მიუთითოს, თანაც ისე, რომ არავინ იფიქროს, მისი კოალიციის შიგნით „სამოქალაქო ომი" დაიწყო.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლი „ჯანყი გურიაში", ოღონდაც მშვიდობიანი და მეტად ავისმომასწავებელი სააკაშვილისთვის. ამ აქციამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ **ამ ეტაპზე წინასაარჩევნო ტურნემ დასავლეთ საქართველოში ივანიშვილს ბევრი, მოსალოდნელზე მეტი, ბონუსი მოუტანა.** მაგრამ ყოველივე თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების" ლიდერი სირთულეებს არ ეჯახება.

## რაც ელანდება, ის ესიზმრება

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბოლო დროს გავრცელებული ფრაზის პათოსს **„ბიძინა ივანიშვილის ერთადერთი პრობლემა თინა ხიდაშელია, სხვა სერიოზული პრობლემა ივანიშვილს არ აქვს",** ალბათ, იმის აღიარება მოგვიწევს, რომ „რესპულიკელების პრობლემა" (და არა მარტოდენ ხიდაშელის, მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის მმართველ რგოლში მას, როგორც ჩანს, უფრო მეტი ფუნქცია აკისრია, ვიდრე მისი პარტიის ყველა დანარჩენ ლიდერს ერთად აღებულს) მართლაც არსებობს და ივანიშვილის ურთიერთობას ამომრჩევლებთან გარკვეულ დაღს ასვამს. გასულ კვირას ამ პრობლემამ მორიგი გამოვლინება ჰპოვა.

15 ივნისს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა გააკეთა განცხადება, რომელიც სახელისუფლო პროპაგანდისთვის სპეკულაციის საგნად იქცა, ხოლო ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია და გარკვეული დაბნეულობაც კი გამოიწვია. **ბერძენიშვილის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ" ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ თბილისის რაიონებში მაჟორიტარობის ყველაზე სასურველ კანდიდატებად განიხილებიან: საბურთალოზე — სოზარ სუბარი,** [sic: სამგორში] **სამგორში — სოზარ სუბარი, მთაწმინდაზე — ვახტანგ ხმალაძე, ჩუღურეთში — ვიქტორ დოლიძე, კრწანისში — გია ცაგარეიშვილი და შოთა ხაბარელი, ნაძალადევში — ეკა ბესელია, ვაკეში — ლევან, ხოლო დიდუბეში — დავით ბერძენიშვილი, ისანში, საბურთალოსა და გლდანში კი — თინა ხიდაშელი.** იქვე ბერძენიშვილმა (კაცმა რომ თქვას, ერთობ წინდახედულად) განაცხადა, რომ ამ კვლევების შედეგები მაჟორიტარების შერჩევის დროს ერთ-ერთი და არა ერთადერთი კრიტერიუმი იქნება და ჩამოთვლილი პოლიტიკოსები შეიძლება სხვა ოლქებში წარადგინონ ან, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მაჟორიტარობის კანდიდატად საერთოდ არ დაასახელონ.

განსაკუთრებული აქცენტი თავის გამოსვლაში ბერძენიშვილმა ლიდერების ცნობადობაზე გააკეთა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა მისთვის გადამეტებული მნიშვნელობის მიცემა, ალბათ, მაინც არ ღირს. ნებისმიერ ჩვენგანს იაგო კაჭკაჭიშვილის გარეშეც შეუძლია თავის საახლობლოში ჩაატაროს გამოკითხვა თემაზე „ყველაზე ცნობადი გერმანელი პოლიტიკოსი" და შემდეგ დაფიქრდეს იმაზე, ისურვებდნენ თუ არა გერმანელები ამ ადამიანის ხილვას კანცლერად.

გვერდზე გადავდოთ სპონტანურად გაჩენილი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ უბანში (იგულისხმება სიის ბოლო ნაწილი) კვლევა რესპუბლიკური პარტიის რაიონულ ოფისებში ჩატარდა, თანაც ალკოჰოლური ინტოქსიკაციის უკანასკნელ სტადიაზე, და მარტივი კითხვა დავსვათ: **რა საჭირო იყო ამ სამუშაო ხასიათის, შიდა მოხმარების ინფორმაციის, განხილვის სტადიაში მყოფი საკითხის საჯაროზე გამოტანა?** კოალიციის წარმომადგენლის — თეა წულუკიანის ვერსიით (სხვათა შორის, მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილების გატანაში, რომელიც სამეგრელოში ირაკლი ალასანიას „დესანტირებას" გულისხმობდა), ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით მედიაში ბევრი სპეკულაცია ვრცელდებოდა, თუმცა ისიც **ფაქტია, რომ ბერძენიშვილის განცხადების შემდეგ ამ სპეკულაციებმა მომცრო სტიქიური უბედურების მასშტაბი შეიძინა. რატომ არ შეიძლებოდა დალოდება საბოლოო შეთანხმებამდე?**

**პირველი სამეული (სუბარი, ხმალაძე, დოლიძე)** ოპოზიციურ საზოგადოებაში განსაკუთრებულ კამათს, ალბათ, არ გამოიწვევს, ყველა დანარჩენ კანდიდატურასთან დაკავშირებით კი, სავარაუდოდ, აზრთა სხვაობა დაფიქსირდება. **საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ თბილისში ხელისუფლების პოზიციები დღეს იმდენად სუსტია, რომ მის კანდიდატს ნებისმიერ, განსაკუთრებით კი ცენტრალურ, უბანში, უხეშად რომ ვთქვათ, „პოლის ჯოხიც" კი დაამარცხებს,** თუმცა არის **ორი გარემოება**, რომლებმაც ეს ოპტიმისტური მოსაზრება შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს: **ა) რესპუბლიკელებმა „ჩააგდეს" წინასაარჩევნო პერიოდი ყველა არჩევნებში, რომლებშიც ბოლო დროს მონაწილეობა მიიღეს, დამოუკიდებლად იქნებოდა, თუ ბლოკის შემადგენლობაში; ბ) კოალიციაში შემავალი ძალებიდან რესპუბლიკური პარტია ყველაზე დაბალრეიტინგულია, ხოლო მის ლიდერებიდან ყველაზე ნეგატიური იმიჯი, სავარაუდოდ, ძმებ ბერძენიშვილებს აქვთ**. ამ უარყოფითი დამოკიდებულების პირველწყაროა წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომები და ის, რომ **ოპოზიციური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ სააკაშვილის გუნდთან ასოცირებულ პოლიტიკოსებად აღიქვამს** (საფუძვლიანია ეს მოსაზრება თუ თითიდან გამოწოვილი, ცალკე საუბრის თემაა, ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ის არსებობს და ფართოდ გავრცელებულია).

ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს რესპუბლიკელების იზოლირება, თითქოსდა ისინი კეთროვანები იყვნენ. ვახტანგ ხმალაძეც რესპუბლიკელია, თუმცა მთაწმინდაზე განსაკუთრებული პრობლემები, წესით, არ უნდა შეექმნას, თუ სათანადო ტექნოლოგიური მხარდაჭერა ექნება. **შედარებით რთულია თინა ხიდაშელის საკითხი, საარჩევნო კონტექსტში გლდანი, ისანი და საბურთალო, არა მხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს მასშტაბით საკვანძო რაიონებია და, წინა აბზაცში ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, რომელიმე მათგანის ხიდაშელისთვის „დათმობა" სერიოზულ რისკს უკავშირდება.** თუმცა ეს, ალბათ, მაინც გამართლებული რისკია; ივანიშვილის ფაქტორი, სავარაუდოდ, ყველა ნეგატიურ მომენტს გადაწონის. ხიდაშელი, როგორც კანდიდატი, უიმედო არაა და გარკვეული პოტენციალი გააჩნია, ბერძენიშვილების შემთხვევაში კი სიტუაცია გაცილებით პრობლემურია.


დავით ბერძენიშვილი


ლევან ბერძენიშვილი

## არ გათეთრდების ყორანი

**არის მთელ ამ სიტუაციაში, ერთი არამატერიალური, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მართებული იქნება, „პატივისცემა" ვუწოდოთ.** თბილისის ცენტრი წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებასთან ბრძოლის მედროშე იყო და ბევრი უბედურება საკუთარ მხრებზე გადაიტანა. საკითხს ანტიკურ დეკორაციებში თუ განვიხილავთ, ეს ოპოზიციის პრეტორიანული რაზმია, ძლიერი, გამორჩეული და, ამავე დროს, ამაყი და თავნება. არასასურველია პრეტორიანელებს ახალ მეთაურად საკამათო კანდიდატურა წარუდგინო, ისინი ამას ვერ გაიგებენ. ასეთი მაღალფარდოვანი პარალელები რომც არ გავავლოთ, ანდაზას ვირსა და პიტნაზე მაინც ვერსად გავექცევით. ეს არ ნიშნავს, რომ **ოპოზიციის კანდიდატები, თუნდაც მთლად „პოლის ჯოხები" იყვნენ, თბილისის ცენტრში არ დამარცხდებიან, რადგან განწყობა იქ უკიდურესად ანტიმიშისტურია, მაგრამ ბერძენიშვილების წარდგენამ შეიძლება გააჩინოს პირველი, თავიდან შეუმჩნეველი ბზარი ოპოზიციური თბილისსა და ბიძინა ივანიშვილს შორის, რაც თავს მოგვიანებით, სააკაშვილთან ბრძოლის (სავარაუდოდ, წარმატებული) დასრულების შემდეგ იჩენს.** ასე რომ, მაჟორიტარების შერჩევის საკითხში სასურველია ამ ამომრჩევლების მიმართ პატივისცემის გამოვლენა, ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც მათში აზრთა სხვაობას არ გამოიწვევს და საკუთარ პრინციპებთან კონფლიქტში არ შეიყვანს. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი დაუწერელი პაქტი, რომელიც შემდეგ ფორმულას დაეფუძნება: **„პატივი ეცი პრეტორიანელებს და ისინი გვირგვინს მოგიტანენ".**

კომენტატორების დიდი ნაწილი მივიდა დასკვნამდე, რომ **დავით ბერძენიშვილის განცხადება, უპირველეს ყოვლისა, „რესპუბლიკური პოლიტბიუროს" გაზრდილი ამბიციის დაფიქსირება იყო და „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება"-ს პრინციპით გაკეთდა.** გაუგებარი ის იყო, რამენად მისაღებია ბიძინა ივანიშვილისთვის პარტნიორების ასეთი მასშტაბის ამბიციები და პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმა.

არ არსებობს ფაქტები, რომლებიც ცალსახად დაადასტურებს, რომ ზინოვიევი და კამენევი, უკაცრავად, დავით და ლევან ბერძენიშვილები, შანტაჟისა და საბოტაჟის გზას დაადგნენ, თანაც იმ მომენტში, როდესაც „ქართული ოცნება" მარშზეა და სააკაშვილის მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. მართალია, სახელისუფლო პროპაგანდა დაჟინებით ირწმუნება, რომ დავით ბერძენიშვილის ნაბიჯმა ივანიშვილი ძალიან გააღიზიანა, თუმცა ამ ინფორმაციაზე მსჯელობას, ცხადია, ვერ დავაფუძნებთ.

პარადოქსულია, მაგრამ ამ სიტუაციაში ჭეშმარიტების დადგენაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ის შთაბეჭდილებაა, რომელსაც საზოგადოება ამ სიტუაციიდან მიიღებს. **გაჩნდა ეჭვი, რომ დავით ბერძენიშვილმა კოალიციის ლიდერის პოზიცია უგულებელყო (მისი დამკვიდრება სახელისუფლო პროპაგანდამ მოახერხა თუ ოპოზიციურ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულმა ჭორებმა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ეს მოხდა) და ბიძინა ივანიშვილმა ის უნდა გააქარწყლოს. შესაბამისად, ან 100%-ით დაეთანხმოს ბერძენიშვილს ან კიდევ მკაფიოდ დააფიქსიროს ზღვარი, რომელზეც მოუსვენარი ძმებისა და მათი თანაპარტიელების ამბიციები სრულდება და, მარტივად რომ ვთქვათ, მათ მოკრძალებულ ადგილზე მიუთითოს, თანაც ისე, რომ არავინ იფიქროს, რომ მისი კოალიციის შიგნით „სამოქალაქო ომი" დაიწყო.** ორივე ვარიანტი, პრინციპში, უსაფრთხოა, რადგან შიდაკოალიციურ განხეთქილებაზე წასვლას რესპუბლიკელები და ცალკე აღებული ბერძენიშვილები, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ გაბედავენ. **საფრთხეს მხოლოდ გაურკვევლობა შეიცავს; არასასურველია ოპოზიციურ საზოგადოებაში დამკვიდრდეს განცდა, რომ კოალიციის შიგნით დაპირისპირებაა და იქ არაჯანსაღი პროცესები ვითარდება, დანარჩენს როგორმე მოევლება.**

**დიმიტრი მონიავა**

## საბერძნეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა

**საბერძნეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებზე მთავარ ფავორიტად მემარჯვენე ცენტრისტული პარტია „ახალი დემოკრატია" და მემარცხენე რადიკალური კოალიცია „სირიზუ" მიიჩნევიან.** უკანასკნელი საზოგადოებრივი გამოკითხვით, მათი გამარჯვების შანსები თითქმის თანაბარი იყო. საბერძნეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მას შემდეგ დაინიშნა, რაც მიმდინარე წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა ვერც ერთმა პარტიამ ვერ დააგროვა. ასევე ჩავარდა კოალიციური მთავრობის ფორმირების ყველა მცდელობა. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ საბერძნეთის არჩევნებს როგორც ქვეყნის, ისე ევროზონისათვის შექმნილი ფინანსური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

## ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსული ოპოზიციის სარჩელი არ დააკმაყოფილა

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის უფლებათა დარღვევა არ სცნო. ამის შესახებ სასამართლოს საიტზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაშია ნათქვამი.** რუსეთის კომპარტია, „იაბლოკო" და რამდენიმე კერძო პირი (ვლადიმირ რიჟკოვი, ირინა ხაკამადა, სერგეი ივანენკო, ვადიმ სოლოვიოვი, ევგენი კისელიოვი, გიორგი სატაროვი, დიმიტრი მურატოვი) ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება ოპოზიციას ტელეეთერებში არ უშვებდა, რითაც თავისუფალი არჩევნების უფლება დაირღვა. საჩივარი სტრასბურგში 2005 წელს გაიგზავნა. მანამდე რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ ოპოზიციის სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელეები მოითხოვდნენ იმის აღიარებასაც, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სარჩელი არც ერთი მუხლით არ დააკმაყოფილა.

მოკლედ

## 76 მილიონი — ვირტუალური თავისუფლებისთვის

**ბოლო 4 წლის განმავლობაში აშშ-მა ინტერნეტში თავისუფლების მხარდასაჭერად 76 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა.** „ჩვენ ვახორციელებთ გრძელვადიან პროგრამებს, რომლებიც დაეხმარება ადამიანებს იმ ქვეყნებში, სადაც ინტერნეტთან მიღწევადობა შეზღუდულია, ეს არის ერთ-ერთი ფუნდამენტალური თავისუფლება", — განაცხადა მან. უნდა აღინიშნოს, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ინტერნეტში თავისუფლება და სოციალური მედიის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. მხოლოდ მიმდინარე წელს ამ მიმართულებით 25 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება.

## ესპანეთში საქართველოს 13 მოქალაქე დააკავეს

**სამართალდამცავებმა 4 ქალბატონი და 9 მამაკაცი ქალაქ ბისკაიში აიყვანეს. მათ ბრალად დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა და მისი წევრობა ედებათ.** წინასწარი ინფორმაციით, დაკავებული ქართველები ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში, ძირითადად, ბინებს ძარცვავდნენ. ესპანელი სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ეს დაჯგუფება ესპანეთში მოქმედ ქართველ კრიმინალთა დიდი ჯგუფის ერთ-ერთი დანაყოფია. ისინი არ გამორიცხავენ, რომ დაკავებულები სხვა ქართველ დამნაშავეებთან თანამშრომლობდნენ, რომლებიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად აიყვანეს. დაკავებულებს უკვე შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1989 წელსაც და 1991-შიც, ქვეყანა რომ დაიქცა და მერე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, ბონიმაც და კლაიდმაც შესაშური ალღო გამოიჩინეს: კლაიდი 9 აპრილის მეორე დღეს კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდა, ხოლო ბონიმ ზვიად გამსახურდიას მომხრე სტუდენტური მოძრაობიდან პირდაპირ შევარდნაძის ბანაკში ამოყო თავი. თვითმხილველები ბონიზე ამბობენ: „გამოირჩეოდა პერსპექტიულ და ენერგიულ სტუდენტებთან დაახლოებისა და დამეგობრების უნარით, ანუ ცდილობდა, სწორად შეერჩია სამეგობრო წრე“.**

# ბონი და კლაიდი «რულავენ»

**მდიდარია ქართული პოლიტიკური სპექტრი კინოგმირებით. აქ ძმებ კარამაზოვებსაც შეხვდები, ძმებ ბლუზებსაც, მამა-შვილ გაბაშვილსაც... თუმცა არის ერთი გამორჩეული წყვილი, რომლის მსგავსება გასული საუკუნის 30-იანი წლების ამერიკელ განგსტერებთან — ბონი და კლაიდთან თვალსაჩინოა.**



ისინი იურისტები არიან, ფული უყვართ და ყოველთვის იქ არიან, სადაც გრანტი გაფაჩუნდება. არავის დაუთვლია, ზუსტად რამდენი აქვს მიღებული ამ წყვილს ჯორჯ სოროსის ან პირდაპირ ამერიკის ბიუჯეტიდან. **მათი ბიოგრაფიებიც კი თავად ღაღადებს იმაზე, თუ როგორ ილტვიან ისინი ფულისკენ. ორივენი სოროსის ფონდის – „ღია საზოგადოება საქართველოს“ მმართველ საბჭოში იყვნენ მოკალათებულნი: ერთი თავმჯდომარე, მეორე კი წევრი იყო.** ორივეს სტუდენტობიდანვე „გაეხსნა“ საჯარო სამსახურის ხიბლი: ერთი სტუდენტობის პარალელურად პარლამენტის სპეციალისტად მუშაობს, მეორე – ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. **ერთსაც და მეორესაც უცხოურ ვოიაჟებს უცხოელები უფინანსებენ. ერთიც და მეორეც კორუფციას ებრძვიან, სულ ვიღაცის დაჭერას მოითხოვენ და ყველაზე მეტად ფულზე, ფულზე ლაპარაკობენ!**

ბონიც და კლაიდიც მაგისტრები არიან, სააკაშვილივით, ოღონდ სხვადასხვა ორდენს განეკუთვნებიან. სააკაშვილივით, მათაც თითო წელიწადში რამდენიმე უნივერსიტეტის მოვლა მოუსწრიათ და „დაშვების“ ბარათი მიუღიათ; თუკი რამ საერთაშორისო ორგანიზაცია ან ფონდი გაჭაჭანდა საქართველოში, ყველას ექსპერტი, კონსულტანტი და მრჩეველი ყოფილან. აი, მათი ბიოგრაფიების ფრაგმენტები:

**„განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1995);**

**საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი (ბუდაპეშტი, 1996);**

**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (ბუდაპეშტი, 1996);**

**ვაშინგტონის სამართლის სკოლა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურა (1996);**

**საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი (1996);**

**2005 წლიდან დღემდე – საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტი სამართლის უზენაესობის, კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში (გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, გაეროს განვითარების პროგრამა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, ევროპის საბჭო, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია, წამების პრევენციის ასოციაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.);**

**2004-2005 – მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“;**

**2000-2004 – დირექტორი, კანონის უზენაესობის პროგრამა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;**

**2004 – იელის უნივერსიტეტის მკვლევარი;**

**2002-2004 – წევრი, სახელმწიფო ანტიკორუფციული საბჭო;**

**1997-2000 – მასწავლებელი, ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ინსტიტუტი;**

**1997-1999 – დირექტორი, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი;**

**1996-1997 – იურისტ-ექსპერტი,საერთაშორისო სავალუტო ფონდი;**

**1994-1995 – უფროსი სპეციალისტი საქართველოს პარლამენტი“.**

**ბონის ინგლისურ ბიოგრაფიაში კიდევ ერთი ჩანაწერი დაუმატებია:**

**„1992–1993 Ministry of Foreign Affairs of Georgia**
**On probation**
**Consultancy“.**

ერთი სიტყვით, ბონი 19 წლის ასაკში უკვე იმდენად კვალიფიციური კადრი ყოფილა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტანტად მუშაობდა. კლაიდიც 22 წლის ასაკში იწყებს „სახელმწიფოებრივ“ შრომას: **„1990-1992 წლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულ განყოფილებაში მუშაობდა, 1992-1994 წლებში სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველი იყო, 1993-1995 წლებში კი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობდა, იყო შესაბამისი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი“.**

მართალია, იმ კომისიაში კლაიდი არავის ახსოვს — იქ ხომ მინდია უგრეხელიძე, ლევან ალექსიძე, გივი ინწკირველი და სხვა ამგვარი პერსონები იყვნენ, მაგრამ კომისიის შემადგენლობა არც ვიკიპედიაში დევს, არც სადმეა ხელმისაწვდომი და ისიც, ბონის მსგავსად, „ალამაზებს“ საკუთარ ბიოგრაფიას.

1989 წელსაც და 1991-შიც, ქვეყანა რომ დაიქცა და მერე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, ბონიმაც და კლაიდმაც შესაშური ალღო გამოიჩინეს: **კლაიდი 9 აპრილის მეორე დღეს კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდა, ხოლო ბონიმ ზვიად გამსახურდიას მომხრე სტუდენტური მოძრაობიდან პირდაპირ შევარდნაძის ბანაკში ამოყო თავი.** თვითმხილველები ბონიზე ამბობენ: **„გამოირჩეოდა პერსპექტიულ და ენერგიულ სტუდენტებთან დაახლოებისა და დამეგობრების უნარით, ანუ ცდილობდა, სწორად შეერჩია სამეგობრო წრე“.**

წრე რომ მართლაც „სწორად“ ჰქონდა შერჩეული, ამაზე ბონი საკუთარ აღიარებით ჩვენებაში ამბობს, რომელიც ცხელ გულზე მორიგი დაჯარიმების შემდეგ მისცა ჟურნალისტებს: **„როგორც ქალბატონი პროკურორი ზეპირსიტყვიერად განმარტავს, „დაკავშირებული პირი“ არის ყველა. მეც, ოპოზიციაში მყოფი და ხელისუფლებაში მყოფი კოტე კუბლაშვილიც, ორივენი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დამფუძნებლები ვართ. ისევე, როგორც საფრანგეთში გახიზნული ყოფილი მინისტრი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე, დავით უსუფაშვილი და ზურაბ ადეიშვილი. საია-ს წევრია, მაგალითად, ლალიაშვილიც, რამდენიმე ლეიბორისტიც. ავიღოთ სხვა ორგანიზაცია — დათო ზურაბიშვილი და გიგა ბოკერია თავის დროზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამაარსებლები, „დაკავშირებული პირები“ არიან. აბა, ერთი გაბედონ და მივიდნენ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ძალიან უშლით ნერვებს! მივიდნენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“, რომელიც დაკავშირებულია ჩემთანაც, მათთანაც და ბევრ სხვა პოლიტიკოსთან. მივიდნენ და დაუყადაღონ ანგარიშები საიას, რომლებზეც ევროკავშირის, USAID-ის და დემოკრატიული მსოფლიოს გრანტები აქვთ. ამ „ცუდ“ საქმეებს ყველა ერთად ვაკეთებთ“.**

კი, **ცუდ საქმეებს** (ბრჭყალების გარეშე!) **ისინი მუდამ ერთად აკეთებდნენ, ახლა ორ გუნდად გაიყვნენ და ჩვენ შორის გააკეთეთ არჩევანიო, ქართველებს გვიკიჟინებენ! ივანიშვილის გვერდით ბონისა და კლაიდის გამოჩენა სწორედ ამის სიგნალი იყო, მაგრამ ვინც ამას ვამბობდით, ბიძინამ ყური არ გვათხოვა.**

**ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-თქო!**

სულ ახლახან კი დავით ბერძენიშვილის ჩვეულმა წრეგადასულმა ტრაბახმა და ენაზე კბილის დაჭერის უუნარობამ ივანიშვილსაც აუვსო მოთმინების ფიალა – ბერძენიშვილი ოზურგეთის აქციის წინ გურიის კურატორობიდან ჩამოალაბორანტეს და იქ ალასანიას კადრი – ირაკლი ჩიქოვანი გაამწესეს.

**ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-თქო!**

ფრენა აკი იციან და გამსახურდიასგან „დროულად“ გამიჯნულებმა ჯერ შევარდნაძეს შეაფარეს თავი, მერე – სააკაშვილს, ახლა კი ივანიშვილის გუნდში ჩაწერა ვერავინ მოასწრო. დიდი ხანი არც იმისთვის დასჭირდებათ, რომ მასაც გაემიჯნონ (ამ შემთხვევაში ისინი, ტრადიციულად, დემოკრატიის ხარისხს იწუნებენ ხოლმე).

**გაფრინდებიან-თქო!**

**ბერძენიშვილი რის კარამაზოვი იქნებოდა, რომ თბილისის ათი მაჟორიტარული ოლქიდან ექვსში რესპუბლიკელების პირველობა არ ემცნო საზოგადოებისთვის, მაგრამ აქ თვით მიმნდობი ივანიშვილიც კი გამოიყვანა მდგომარეობიდან:**

**სამ ოლქში პირველ ადგილზე სწორედ ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი ბონი გამოაცხადა!**

ივანიშვილს სოციოლოგიური კვლევის გადამოწმება უთხოვია და, სავარაუდოდ, „სამართლიანობისა“ და „მიუკერძოებლობის“ თაყვანისმცემელი რესპუბლიკელების კიდევ ბევრი უკუღმართობა გამოვა დღის სინათლეზე.

**ბონისგან განსხვავებით, კლაიდი ცდილობს, სკანდალებში არ გაეხვეს და ისეთი განცხადებები არ აკეთოს, რომ ხალხის სიძულვილი კიდევ უფრო არ გაამძაფროს.** ბონი უფრო ფიცხია (რის ბონი იქნებოდა, პიპინიას პერივით რომ არ იწვევდეს, „თუ საჭიროა, კბენდეს კიდეც!“), შეფასებებში – მკვახე, შეძახილებში – გულმოსული. რაკი ხალხის აზრი ისედაც ვიცით, ყური ცნობად სახეებს ვათხოვოთ:

**ირაკლი ოქუაშვილი:** — თინა ხიდაშელსა და დავით უსუფაშვილს არანაირი პრეტენზიების საფუძველი არ გააჩნიათ, მათ პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს პოსტებს სთავაზობდა. სასამართლო რეფორმა დაიწყეთ და მიიყვანეთ ბოლომდე, თქვენ საქმეში კაცი არ ჩაერევაო. **პასუხისმგებლობის და რეალური საქმის კეთებას თავი აარიდეს და დაიწყეს ოპოზიციონერობა. რას ელოდებიან? ნეტავ, როგორი ხელისუფლება უნდა მოვიდეს ქვეყანაში, რომ მაგათ მინისტრის პორტფელი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტები შესთავაზონ?** ასეთი ხელისუფლება საქართველოში არ იქნება და, თუ იქნება, მაშინ დაღუპულა ეს ქვეყანა.

**შალვა ნათელაშვილი:** — **თინა ხიდაშელი „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ აღმოჩნდა ევა, „განხეთქილების“ ვაშლი! ახლა, მთლად სამოთხე ისედაც არ ჰქონდათ ოპოზიციაში, მაგრამ თინა ხიდაშელმა, რაც იყო, ისიც აურ-დაურია.** ვამბობ ხიდაშელს, ვგულისხმობ „რესპუბლიკელებს“ და პირიქით, ლენინისა არ იყოს.

**თემურ შაშიაშვილი:** — თინა ხიდაშელი არის კარგად გაწვრთნილი, ცოდნით შეიარაღებული და ამ ქვეყანაში შემოგზავნილი. ვინ შემოაგზავნა, ეს იმათ არკვიონ, ვისაც ევალებათ, **მე გეტყვით, რატომ შემოგზავნეს: მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაციისათვის, ეროვნული ღირებულებების გასაუფასურებლად, ქართველი სტუდენტობის, მოსწავლების, ახალგაზდობის გამოსათაყვანებლად და გადასაგვარებლად.** ამას ხიდაშელი ლიბერალურ დემოკრატიას ეძახის.

**ნესტან კირთაძე:** — **თინიკო ხიდაშელს ურჩევნია, გაჩუმდეს და უნივერსიტეტს დაანებოს თავი.** უნივერსიტეტის ხელში ჩაგდებით აპირებენ ეს ქალბატონი და მისი თანაგუნდელები ერის გადაჯიშების იმ პროგრამის ამუშავებას, სოროსმა რომ გამოატანა გრანტებთან ერთად.

**ჯანსულ ჩარკვიანი:** — **მალე დაგვინიშნავენ ამ თინა ხიდაშელს კომისრად.** ადრე რომ იყო, სტალინის დროს და, ალბათ, მიგვითითებს — ვინ რომელი სპექტაკლი დადგას და როგორ, ვინ როგორი რომანი და ლექსი დაწეროს, ვინ რა დახატოს. **მოკლედ, ამ ქალის გარეშე, ვატყობ, მალე ამ ქვეყანაში არაფერი გადაწყდება.**

**რეზო ამაშუკელი:** — ამ თინა ხიდაშელზე რაღა უნდა ვთქვა, კაცო? ქალია და არ მინდა, შემომელანძღოს. ცოტა ახალგაზრდა რომ ვიყო, გავცემდი საკადრის პასუხსს, მაგრამ... ვისაც ბინდი ჯერაც არ გადაკვრია თვალზე, ვისაც სმენა სრულიად არ დახშობია, ის დაინახავს და გაიგებს — **ხიდაშელიც იმ ხროვის წარმომადგენელი, მეტიც, ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია, საქართველოს წასაბილწად, დასაქცევად და ნაჭერ-ნაჭერ გასაყიდად რომ არიან გამოგზავნილნი.**

**ელიზბარ ჯაველიძე:** — **უსუფაშვილი იმათ რიგებში იყო, ვინც ე. წ. ინტელექტუალური დასაყრდენი გახდა ზვიად გამსახურდიას ოპოზიციისა და სამხედრო გადატრიალებას მხარი დაუჭირეს. თინა ხიდაშელიც მაგათი ჯიშ-ჯილაგისაა.** ეგ ქალი ყველაფერს ეროვნულს ებრძვის, მართლმადიდებლობას ებრძვის და მაგის კანტორა როა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სხვას არაფერს აკეთებს, გარდა იეღოველთა და სხვა სექტანტთა დაცვისა.

**ირინა სარიშვილი:** — ეს ქალბატონი ძალიან საშიშია. მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მაღალი წარმოდგენისა არ ვარ, მაგრამ საიმისო ინტელექტი ▶

**კლაიდი 9 აპრილის მეორე დღეს კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდა, ხოლო ბონიმ ზვიად გამსახურდიას მომხრე სტუდენტური მოძრაობიდან პირდაპირ შევარდნაძის ბანაკში ამოყო თავი**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველი ერისთვის, უბრალოდ, სამარცხვინოა, როცა სახელმწიფომ საფლავიც კი არ გაუკეთა ამ დონის ქართველ მოღვაწეს. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლება საკმაოდ გულუხვია ბიუჯეტიდან სხვადასხვა უსახური პროექტის, გასართობი ცენტრის, უგემოვნო კონცერტის, ამა თუ იმ უნიჭო ხელოვანის დაფინანსებაში.**

და იურიდიული ცოდნა გააჩნია, რომ ანტიქართული მისია, რაც დავალებული აქვს, წარმატებით შეასრულოს. **მისთვის ადამიანური ღირებულებები, ის, რაც ქართველებსაც, ცხადია, გვახასიათებს, უცხოა, უპირველესად, ერთგულება. მთავარია, თავად იგრძნოს კომფორტულად თავი, თუ დასჭირდა, პირველი დაუპირისპირდება იმ ლიბერალურ იდეებს, ახლა რომ ქადაგებს. მოკლედ, თინა ხიდაშელს არც ადამიანური და არც პრინციპების ერთგულება არ გააჩნია და, ვისაც ეს ნიჭი არა აქვს, ის ძალიან სახიფათოა პოლიტიკაში, უბრალოდ, ასეთი ადამიანი არც უნდა აქო და არც აძაგო, უნდა მოერიდო.** ამას დამწყებ პოლიტიკოსთა გასაგონად ვამბობ, თორემ გამოცდილი პოლიტიკოსი, მალე გაშიფრავს მას.

**კახა კუკავა:** — **თინა ხიდაშელი, სამწუხაროდ, მუდამ ბრალმდებლის როლში გამოდის. რა, პროკურორია? ვინ დანიშნა ოპოზიციის პროკურორად?** შეიძლება ადამიანი ყველასთან ყოველთვის მართალი იყოს და ერთი შეცდომა არ ჰქონდეს დაშვებული და აღიარებული? ასეთი ადამიანი მსოფლიო პოლიტიკაში არ მეგულებოდა და აჰა, გამოჩნდა თინა ხიდაშელის სახით.

**ნოდარ ნათაძე:** — თინა ხიდაშელმა და დავით უსუფაშვილმა დიდი ფული გადაუხადეს ლევან და დათო ბერძენიშვილებს, რომ უსუფაშვილი დაესვათ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ.

**გიორგი შენგელაია:** — თინა ხიდაშელი და „ახალგაზრთა იურისტთა ასოციაცია" არიან საქართველოსა და ქართველი ერის მტრები. **ღმერთმა ნუ ჰქნას და, ეგენი თუ მოუშვი ხელისუფლებაში, გარყვნიან და გააპარტახებენ ქვეყანას.**

**გოგი ქავთარაძე:** — **თინა ხიდაშელის ჭკუის დასარიგებელი რომ გავხდით, მის ჭკუის საკითხავად რომ გაიხადა ზოგიერთმა თავი, აი, მაშინ წავიდა ჩვენი საქმე უკუღმა.**

**ქეთი დოლიძე:** — **თინა ხიდაშელისა და ამ გუნდის პირველი მიზანი ქართული კულტურის განადგურებაა.** გეგმის მეორე ნაწილი რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ პირველი ნაწილი რომ ესაა, უკვე საჩინო და ყველასთვის გასაგებია, უკვე დაწყებულია ეს პროცესი ქართული თეატრებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, მეცნიერებათა აკადემიიდან, მწერლობიდან...

**ფიქრია ჩიხრაძე:** — თინა ხიდაშელს ურჩევნია, საქმეს მიხედოს, იმ გრანტების დახარჯვის ანგარიში წარმოადგინოს, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან რომ აქვს მიღებული, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისაგან. ამით იმასაც გავიგებთ, რამდენი ანტიეროვნული პროექტი აქვს დაფინანსებული".

**ამ ადამიანებიდან ზოგიერთი დღეს იმავე ბანაკშია, რომელშიც ბონიმ და კლაიდმა მოიკალათეს. დღეს გრანტების ყველაზე ალალი და უსაყვედურო წყარო ბიძინა ივანიშვილია. ისარგებლებენ მანამ, ვიდრე ხეირი ექნებათ, მერე კი...**

**გაფრინდებიან-თქო!**

**თამარ დავითულიანი**

# ხელისუფლებისგან უარყოფილი ოტია იოსელიანის პირველი იუბილე იუბილარის გარეშე

**16 ივნისს კლასიკოს მწერალს — ოტია იოსელიანს 82 წელი შეუსრულდებოდა. ეს პირველი დაბადების დღე იყო, რომელიც ბატონ ოტიას უახლოესმა გარემოცვამ იუბილარის გარეშე აღნიშნა. დიდი მწერალი ქართველ ერს უკურნებელმა სენმა შარშან, 14 ივლისს, გამოაცალა ხელიდან. მწერლის სურვილით, იგი წყალტუბოში, საკუთარ ეზოში, დაკრძალეს.**



როგორც ოტია იოსელიანის შვილიშვილმა ზვიად შვანგირაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ოჯახი საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ თარიღის აღსანიშნავად და ღონისძიების ორგანიზატორიც თავად იყო, თუმცა ბატონ ოტიას შვილებს მხარში ამოუდგა ქალაქის ხელმძღვანელობა და ღონისძიების დაფინანსება ითავა.

და აი, **16 ივნისს მწერლის საფლავთან შეკრებილმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა, სასულიერო პირებმა და მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა გულთბილად მოიგონეს დიდი შემოქმედი, ადამიანი, რომელმაც თან გაიყოლა მშობელი ერისა და ქვეყნის სატკივარზე ფიქრი. გაიხსენეს მწერლის ცხოვრების ეპიზოდები, მისი ტკბილ-მწარე საუბრები აქტუალურ საკითხებზე — რამ მიგვიყვანა უფსკრულის პირას, საით მივექანებით, სად არის გზა ხსნისა და რა გადაგვარჩენს გამოთაყვანებულ ერს...**

მამა ლუკიანემ მწერალს პანაშვიდი გადაუხადა, შემდეგ კი ბატონ ოტიას სახლში, სადაც მწერლის სიცოცხლეში დაუვიწყარი შეხვედრები და წარმოდგენები იმართებოდა, ამჯერად მასპინძლის, ამ საღამოების მთავარი რეჟისორისა და სცენარისტის გარეშე დაიდგა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია **„უსიყვარულოდ არ ვცოცხლობთ, არ ვართ"**, რომელშიც თავმოყრილი იყო ცალკეული ფრაგმენტები ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან. ღონისძიების სცენარის ავტორი გახლდათ მწერლის უმცროსი ვაჟი დაჩი იოსელიანი, რეჟისორი კი მწერლის სახლში გამართული საღამოების აქტიური მონაწილე, ქალბატონი ლილი გელენიძე.

ბოლოს სტუმრებმა წყალტუბოს ბიბლიოთეკაში გადაინაცვლეს, რომელსაც სულ მალე მწერლის სახელი მიენიჭება.

**ზვიად შვანგირაძე, ოტია იოსელიანის შვილიშვილი:**

„ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მართალი გითხრათ, იუბილეზე არც კი მოგვიწვევია. მათ თავი დაკრძალვაზე მოსვლით არ შეიწუხეს და იუბილეზე მოვიდოდნენ?! მიუხედავად ამისა, თუ კი მობრძანებას გადაწყვეტდნენ, მათთვის კარი ისევე ღია იქნებოდა, როგორც სხვა სტუმრებისთვის. რაც შეეხება ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ისინი ოტია იოსელიანის დაკრძალვასაც დაესწრნენ და გარკვეული დახმარებაც გაუწიეს ოჯახს, ამჯერად იუბილეზეც დააფასეს იგი".

ოტია იოსელიანს საზოგადოებისთვის სამართლიად არაერთხელ „გადაუკრავს მათრახი". მიუხედავად ამისა, ოთარიანი ქვრივიდან ენამწარე მწერლის ცხედარი ქართველმა ერმა გელათის მონასტრიდან დიდი პატივით გამოაცილა. ოღონდ პროცესიაში არ მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლება, რადგან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გარდაცვალების შემდეგაც ვერ აპატიეს პატრიოტ მწერალს მძაფრი შეფასებები:

**„ამ დასაქცევ მთავრობას ბარემ ტყვია ესროლა შიშველი ხელებით მყოფი ხალხისთვის. გზის გადაკეტისთვის რომ ადამიანებს მოწამლავენ, ამის მერე რა ხელისუფლების არსებობაზეა საუბარი, შიშველი ხელებით მყოფ ხალხს ხელისუფლება წყლით ებრძვის და წამლავს", „ქვეყანა გამოქვაბულისკენ მიექანება...", „ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართა ქართველ ერს...".**

ქვეყნის პირველმა პირმა ოტია იოსელიანის ოჯახს წერილობით მიუსამძიმრა, ხოლო, როცა კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრს — ნიკა რურუას დაკრძალვაზე მიუსვლელობის მიზეზი ჰკითხეს, მან ასეთი პასუხი გასცა: **„არის ასეთი ვალდებულება, რომ ვინმეს დაკრძალვაზე უნდა იყო? მე პირადად არ მეცალა. არ მრცხვენია, რომ სადმე არ ვიყავი და არანაირ ვალდებულებებს არ ვაღიარებ დაკრძალვაზე სიარულის. კულტურის სამინისტროს ოტია იოსელიანის დაკრძალვის ხარჯები არ გაუღია. ხარჯების გაღება ადგილობრივი მუნციპალიტეტის კომპეტენციაა".** ეს განცხადება სამარცხვინოდ დარჩება ისტორიას.

**„გარკვეული ეტიკეტის თანახმად, როდესაც ხელოვნების მოღვაწე გარდაიცვლება, კულტურის მინისტრი თავს ვალდებულად მიიჩნევს, მის დაკრძალვაზე მივიდეს და პატივი მიაგოს მის ხსოვნას. ასე ხდება ნებისმიერ ქვეყანაში. ეს ელემენტარული ზრდილობის ფორმაა. ჩვენმა კულტურის მინისტრმა კი არც ტელევიზიით და არც წერილობით სამძიმრის თქმა არ ჩათვალა საჭიროდ. ოტია იოსელიანი სიმართლის პირში მთქმელი ადამიანი იყო. ასეთი ადამიანები კი ჩვენთან არ უყვართ. შესაძლოა, სწორედ ოტიას პოზიციამ განაპირობა ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება მისადმი",** — განუცხადა „საქართველო და მსოფლიოს" ზვიად შვანგირაძემ.

ხელისუფლებას ოტიაზე გული გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგაც არ მოუბრუნდა. არც მას და არც ცენტრალურ ტელეარხებს ბუმბერაზი მწერლის იუბილე არ გახსენებიათ, მაშინ, როცა ტელეკომპანია „იმედი" და „რუსთავი 2" „ნაციონალებისთვის" მისაღები „ინტელიგენტების" იუბილეებს, დაჯილდოებებსა და სამძიმარს გაუშუქებელს არ ტოვებს.

**ქართველი ერისთვის, უბრალოდ, სამარცხვინოა, როცა სახელმწიფომ საფლავიც კი არ გაუკეთა ამ დონის ქართველ მოღვაწეს. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლება საკმაოდ გულუხვია ბიუჯეტიდან სხვადასხვა უსახური პროექტის, გასართობი ცენტრის, უგემოვნო კონცერტის, ამა თუ იმ უნიჭო ხელოვანის დაფინანსებაში.**

მისი საფლავის გაკეთება ისევ ოჯახის წევრებმა ითავეს. საფლავზე წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთიდან ჩამოტანილი გრანიტის ქვაა დადგმული, მასზე ბრინჯაოში ჩამოსხმული ოტია იოსელიანის ბარელიეფია დამაგრებული, ამოტვიფრულია ასევე ჯვარი და კალამი. საფლავს თავად მწერლის სიტყვები ამკობს: **„ადამიანისგან რაც რჩება, მისი სიცოცხლეც ეს არის".**

ეს ყველაფერი მწერლის ვაჟის — დაჩი იოსელიანის მოფიქრებულია.

**„თავდაპირველად ვიკითხე კიდეც, თუ ვინმეს შეეძლო ჩემი მონახაზის მიხედვით საფლავის გაკეთება, მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩნდა. მეუბნებოდნენ, ამ ქვაზე მუშაობა შეუძლებელიაო, თუმცა, როგორც ხედავთ, ეს შესაძლებელი ყოფილა. ქვისმთლელი ვერ ვიპოვე და ხარჯთაღმრიცხველები, იცოცხლე, ბევრნი არიან ამ ქვეყანაში.**

**რაც შეეხება საფლავის ხარჯებს, გეტყვით, რომ მის გაკეთებაში არავინ ჩარეულა, არც ფინანსურად და არც ორგანიზების მხრივ. ყველაფერს ვაკეთებთ ოჯახის წევრები საკუთარი ხელით და სახსრებით. გვეხმარება მამას ბავშვობის მეგობარი, მოქანდაკე გურამ კვიმსაძე.**

**საერთოდ ყველა ხელოვანი ხელისუფლებისგან იმაზე მეტ პატივს იმსახურებს, ვიდრე მიუღია. შესაბამისად, ჯეროვნად არც ოტია იოსელიანი დაფასებულა, მაგრამ რას ვიზამთ. ისე, კაცმა რომ თქვას, პიკასოზე დაფასებული მაინც კი გამოვიდა, პიკასოს საფლავიც დაუკარგეს, ჩვენ საფლავი მაინც გვაქვს. ოტია იოსელიანის დამოკიდებულება რატომღაც ოპოზიციურად აღიქმებოდა ხელისუფლებისადმი, მაგრამ რეალურად ეს იყო არა ოპოზიციური განწყობა, არამედ — ნორმალური ადამიანის დამოკიდებულება რეალობისადმი. რაც შეეხება იუბილეს, ცუდად არ წარმართულა ღონისძიება, თუმცა კარგისაგანაც შორს იყო",** — აღნიშნა დაჩი იოსელიანმა.

**ეკა რობაქიძე**



*დაჩი იოსელიანი:*

**ქვისმთლელი ვერ ვიპოვე და ხარჯთაღმრიცხველები, იცოცხლე, ბევრნი არიან ამ ქვეყანაში**

*ზვიად შვანგირაძე:*

**კულტურის მინისტრმა არც ტელევიზიით და არც წერილობით სამძიმრის თქმა არ ჩათვალა საჭიროდ. ოტია იოსელიანი სიმართლის პირში მთქმელი ადამიანი იყო. ასეთი ადამიანები კი ჩვენთან არ უყვართ. შესაძლოა, სწორედ ოტიას პოზიციამ განაპირობა ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება მისადმი**



SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მინდა, ვკითხო ამ ცოდვილ ქართველებს: როდესაც უწმინდესმა თავისი მამობრივი ზრუნვითა და სიყვარულით მიმართა ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს ერს და საზოგადოებას სთხოვა, იქნებ კაზინო და ბუდა ბარი არ აშენდეს რიყეზეო, რატომ არ შეასრულეს პატრიარქის თხოვნა, დღეს რომ ასე კადნიერად იცავენ ბაგრატის ტაძარს? ეს ჩემთვის ძალიან საწყენია. რადგან თურმე არიან ისეთი ქართველები, რომლებსაც შეუძლიათ გაბედონ და ძალიან კადნიერად განიკითხონ ეკლესია და მითუმეტეს ერის მამა, რომელიც უკვე შესულია საქართველოს ისტორიაში, როგორც ერის აღმშენებელი.“

მეუფე სერაფიმე:

# სად გაგონილა ქართული ტაძარი შუშის კედლებითა და სახურავით?



**«ლიფტები, შუშები, ორღანი, ამერიკის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, რომელშიც გიტარა შეაქვთ და ცეკვავენ და მღერიან ეკლესიებში. მართლმადიდებლობისთვის ამგვარი რამ მიუღებელია და, ვისაც ამის სურვილი აქვს, ამერიკაში გაემგზავროს და იქაურ ეკლესიაში ჩართოს გიტარა და ლიფტებიც და ესკალატორებიც დაამონტაჟოს, ჩვენ კი ისეთ ტაძარში უნდა ვილოცოთ, როგორიც ქართულ გულს უხარია»**

**პატრიარქმა ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის დაუყოვნებლივ შეჩერება მოითხოვა და საგანგებო ბრძანებაც გასცა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ირწმუნება, თითქოს ტაძრის რესტავრაციის პროცესი საპატრიარქოსა და იუნესკოსთან შეთანხმებული, მოწონებული პროექტის მიხედვითა და ყველა წესის დაცვით მიმდინარეობს, აღმოჩნდა, რომ შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს. ვინაიდან, სწორედ არასწორი რესტავრაციის შედეგების გამო, იუნესკო მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ბაგრატის ტაძრის ამოღებას აპირებს.**

მართალია, ხელისუფლებამ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პროცესი დროებით შეაჩერა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი ამტკიცებს, რომ არსებული, არქიტექტორ ივანე გრემელაშვილის მიერ მომზადებული, პროექტი, საპატრიარქოსთან შეთანხმებული იყო და იუნესკოს წინასწარი შეფასებები სიმართლეს არ შეესაბამება, ხოლო ცალკეული ცვლილებები თავად იუნესკოს მოთხოვნით განხორციელდა. თუმცა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წინასწარ დასკვნაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ ბაგრატის ტაძარი იმდენად შეიცვალა, **„ის ველარ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გამოც შეტანილი იქნა დაცული ძეგლების ნუსხაში“.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ საპატრიარქო და იუნესკო სრულიად უმიზეზოდ გამწყრალან, ხოლო პატრიარქი ცრუობს, როდესაც ბრძანებს, რომ „მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლის — ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული პროექტის უხეში დარღვევით“.

ერთი შეხედვით, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის იდეალური ურთიერთობაა, თუმცა მთელ რიგ საკითხებში არსებული უთანხმოება უკვე აშკარა ხდება. **ფაქტია, რომ ბოლო დროს ხელისუფლება საპატრიარქოს აზრს არც ერთ რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს.** ამის დასადასტურებლად ახლო წარსულში ქვეყანაში რელიგიური კონფესიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება, ბუდა ბარისა და კაზინოს მშენებლობა, დავით გარეჯის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები თუ მეჩეთების აშენების გადაწყვეტილება გამოდგება...

**პატრიარქის ბრძანებაში კიდევ ერთი საყურადღებო დეტალია გაცხადებული: ილია მეორე ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს ავალებს, დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ბრძანების შესრულებაზე ზოგადი კონტროლის განხორციელებას კათოლიკოს-პატრიარქის ქორ-ეპისკოპოსს, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოს იაკობს ავალებს (და არა მეუფე კალისტრატეს), თუმცა რატომ გახდა პრეზიდენტის მოტრფიალე მეუფისთვის იმის შეხსენება საჭირო, რომ პატრიარქი ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საქმის კურსში უნდა ყოფილიყო, უცნობია.**

**„ეს უნდა იცოდეს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალსიტრატემაც და ბაგრატის ტაძარში უნდა შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები, ვიდრე არ იქნება გარკვეული ყოველი დეტალი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ბაგრატის ტაძარი იუნესკოს ყურადღებიდან იქნას ამოღებული. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ჩვენ მივილებთ ისეთ ტაძარს, როგორიც ჩვენთვისაა საჭირო. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე და მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის“, —** ბრძანებს უწმინდესი.

**ექსპერტების განცხადებით, სრულიად განსხვავებულია და ივანე გრემელაშვილის პროექტს არ ემთხვევა ტაძრის დასავლეთი ნაწილი, რომელშიც რკინის დიდი კოლონები განთავსდება და მინით შეიმოსება. ორ სართულს კი ერთმანეთთან კიბე და ლიფტი დააკავშირებს.**

საპატრიარქოს წარმომადგენლები პრობლემის მთავარ მიზეზად რესტავრაციის პროცესში მოულოდნელად განხორციელებულ ცვლილებებსა და ტაძრის რეაბილიტაციის დაჩქარებულ ტემპსაც ასახელებენ. ხელისუფლების სულსწრაფობა „გეგმის გადაჭარბებით შესრულების“ საკითხში საიდუმლო აღარავისთვისაა, **ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია 2009 წელს დაიწყო და მისი საზეიმო გახსნა 2012 წლის შემოდგომაზე, არჩევნებამდე, იყო დაგეგმილი. თუმცა, საინტერესოა, ვინ და რატომ შეცვალა უკვე გამზადებული და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული პროექტი, რატომ ჩაერთნენ მოულოდნელად მუშაობის პროცესში უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის იტალიელი არქიტექტორი ანდრია ბრუნო, რომელსაც საპატრიარქოსთან აღარ შეუთანხმებია რესტავრაციის პროცესში განხორციელებული ცვლილებები, და რაში დასჭირდა ხელისუფლებას თანამედროვე ელემენტებით გაწყობილი ბაგრატის ტაძარი, რაც ძეგლს მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას უკარგავს? საქმე გვაქვს გულგრილობასთან თუ დანაშაულთან?** ბაგრატის ტაძრის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სასულიერო პირების მოსაზრება პატრიარქის განცხადების იდენტურია.

**წმინდა სინოდის წევრი, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე ამბობს, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა აუცილებელია, მაგრამ მისი რესტავრაცია ტრადიციული სახითა და ყველა წესის დაცვით უნდა განხორციელდეს:**

— ამ დღეებში ასეთი აზრიც მოვისმინე, თითქოს ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია საჭირო არ არის და ჯობდა, მისი კონსერვაცია მომხდარიყო, რაც არასწორია. ამ უნიკალურ ტაძარს ნანგრევებად ვერ ვაქცევთ, ჩვენი წინაპრები ამას არ გვასწავლიდნენ.

თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, როგორ ჩაუტარდება ტაძარს რესტავრაცია. არსებობდა სპეციალური პროექტი, რომელიც უწმინდესის კურთხევით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, რესტავრაციის მიმდინარეობის პროცესში რაღაცები შეიცვალა. რა თქმა უნდა, **არც ერთი სასულიერო პირი არ დათანხმდება, რომ ბაგრატის ტაძარზე ლიფტი დაამონტაჟონ და თანამედროვე შუშის ელემენტებით გააწყონ.** ეს მიუღებელია და ამას უწმინდესი არასდროს დათანხმდება. **სად გაგონილა ქართული ტაძარი შუშის კედლებითა და სახურავით? როგორ უნდა ვილოცოთ ასეთ განათებულ, ლიფტებიან ტაძარში?** ეს არამართლმადიდებლური და არაეკლესიურია. ლიფტები, შუშები, ორღანი ამერიკის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც გიტარა შეაქვთ, და ცეკვავენ და მღერიან ეკლესიებში. მართლმადიდებლობისთვის ამგვარი რამ მიუღებელია და, ვისაც ამის სურვილი აქვს, ამერიკაში გაემგზავროს და იქაურ ეკლესიაში ჩართოს გიტარა და ლიფტებიც და ესკალატორებიც დაამონტაჟოს. ჩვენ კი ისეთ ტაძარში უნდა ვილოცოთ, როგორიც ქართულ გულს უხარია. ამის უფლება ნამდვილად გვაქვს.

მოვისმინე უწმინდესის განცხადება, რომელსაც ხალხი ელოდა, რადგან ბევრი იყო უკმაყოფილო საპატრიარქოს ვითომდა რბილი პოზიციით, ზოგიერთები მასმედიის სხვადასხვა საშუალებაში რეკავდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ **ზოგიერთ ცოდვილი ქართველი, რომელმაც გუშინ ისწავლა პირჯვრის გადაწერა და დღეს ასე თამამად და კადნიერად გამოთქვამს აზრს ჩვენს უწმინდესზე, გამოდის, უფრო მეტად ზრუნავს ბაგრატის ტაძარზე, ვიდრე უდიდესი პიროვნება, დიდი ქართველი, ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი?** მინდა, ვკითხო ამ ცოდვილ ქართველებს: როდესაც უწმინდესმა თავისი მამობრივი ზრუნვითა და სიყვარულით მიმართა ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს ერს და საზოგადოებას სთხოვა, იქნებ კაზინო და ბუდა ბარი არ აშენდეს რიყეზეო, რატომ არ შეასრულეს პატრიარქის თხოვნა, დღეს რომ ასე კადნიერად იცავენ ბაგრატის ტაძარს? ეს ჩემთვის ძალიან საწყენია. რადგან თურმე არიან ისეთი ქართველები, რომლებსაც შეუძლიათ გაბედონ და ძალიან კადნიერად განიკითხონ ეკლესია და მით უმეტეს ერის მამა, რომელიც უკვე შესულია საქართველოს ისტორიაში, როგორც ერის აღმშენებელი.

ერთი რამ ცხადია, ბაგრატის ტაძრის თანამედროვე ელემენტებით რესტავრაცია ღვთისა და ისტორიის წინაშე არასწორია. მე პატივს ვცემ ნიკა ვაჩეიშვილს, ჩვენ ერთად ვსწავლობდით არქიტექტურულ ფაკულტეტზე და დარწმუნებული ვარ, მას მართლა გული შესტკივა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე და აუჩქარებლად და სრული კანონიკის დაცვით აღდგება ბაგრატის ტაძარი, რადგან, როცა საქმე ტაძარს ეხება, სიჩქარე არ შეიძლება. სჯობს, ათი წელიწადი დასჭირდეს ტაძრის რესტავრაციას, ვიდრე ასეთი სახით აღვადგინოთ.

**ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარ მამა გიორგის (რაზმაძე) აზრით, ლიფტების მიშენება და თანამედროვე ელემენტების ჩართვა მართლმადიდებლურ ტაძარში მიუღებელია:**

— რადგან პატრიარქს ასეთი რეაქცია ჰქონდა, როგორც ჩანს, რესტავრაციის პროცესში სერიოზული დარღვევები იყო, ვინაიდან აქამდე მსგავსი ბრძანება პატრიარქს არ გაუცია და ხელისუფლებისადმი მის მიმართვებს ყოველთვის თხოვნის ფორმა ჰქონდა.

**ლიფტების მიშენებითა და თანამედროვე ელემენტების ჩართვით, როგორც ჩანს, სურდათ, ბაგრატის ტაძარი ვატიკანში არსებული პეტრეს ტაძრისთვის მიემსგავსებიათ, სადაც ლიფტები, ხოლო გუმბათში ტუალეტებია მოწყობილი. რათა შემდეგ მოეყვანათ ტურისტები, ლიფტში ჩაესვათ და ასე დაეთვალიერებინებიათ ქუთაისი, ალბათ, ამისთვის სურდათ ამ ყველაფრის გაკეთება, თორემ სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ეს ყველაფერი ტურისტებზე იყო გათვლილი და არა სულიერი მიზნებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია ეკლესიისთვის.**

ვისაც ასეთი დამოკიდებულება აქვს ეკლესიის მიმართ, ის საღ აზრს არის მოკლებული.

**წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მამა დავითის (ისაკაძე) განცხადებით, ეკლესიისთვის ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელია:**

— პატრიარქმა გააკეთა განცხადება, რომელიც მთელმა საქართველომ მოისმინა. ეს არის ეკლესიის ძალიან დიდი შეურაცხყოფა და ასევე კანონის დარღვევა. რადგან, მოგეხსენებათ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, არსებობს კონსტიტუციური პროცედურები, რომლის საფუძველზეც **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ხელისუფლება ეკლესიის საკითხებში ჩაერიოს. ეს რაც შეეხება კანონმდებლობას, მაგრამ ამას გარდა, სულიერ სფეროსაც შეეხნენ უკვე და სურთ, ტაძარი გასართობ დაწესებულებად აქციონ, რაც მთლიანად ჩვენი ისტორიისა და ერის შეურაცხყოფაა.**

დღესდღეობით, პატრიარქის ბრძანების შემდეგ, სამუშაოები შეჩერებულია და, რამდენადაც ვიცი, საპატრიარქოს სამეცნიერო ცენტრსა და ნიკა ვაჩეიშვილს შორის მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს ძალიან მკაცრი პოზიცია აქვს“, — ამბობს მამა დავითი.

რაზე შეთანხმდებიან ხელისუფლება და საპატრიარქო და დარჩება თუ არა იუნესკოს მსოფლიო კულტურის საგანძურთა სიაში ბაგრატის ტაძარი, საზოგადოება, სავარაუდოდ, იუნესკოს კომიტეტის სხდომის შემდეგ შეიტყობს, რომელიც 24 ივნისს პეტერბურგში გაიმართება და მასში ქართული დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას.

**შორენა ციცქარაშვილი**

„სამუშაოები შეთანხმებული პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა, მაგრამ იუნესკოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა გამოვთქვით შენიშვნები რკინა-ბეტონის გადამეტებით გამოყენების გამო, თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდით დღევანდელ სიტუაციას. საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად პროექტში ჩაერთნენ უცხოელი არქიტექტორები, რომლებმაც უგულებელყვეს შეთანხმებული პროექტი და ეკლესიისთვის მიუღებელი იდეები განახორციელეს.“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა ბესარიონი (მენაბდე):

# ჩვენთვის უცნობია, რატომ დასჭირდათ უცხოელების ჩართვა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის საქმეში

**«როდესაც ცოდვის პოპულარიზაცია მიმდინარეობს, ბუნებრივია, ეკლესია ჩუმად ვერ იქნება»**

**ვინ და რატომ შეცვალა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი, რატომ მიმდინარეობს დაჩქარებული ტემპით ტაძრის რეკონსტრუქცია და ვინ დაბლოკა რიყეზე ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა — ამ და სხვა საკითხებზე საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ბესარიონ (მენაბდე) გვესაუბრება.**

**— მამაო ბესარიონ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურის საგანძურთა სიიდან ამოიღონ. თქვენ პროფესიით არქიტექტორი ბრძანდებით და, როგორც საპატრიარქოს სამეცნიერო საბჭოს წევრი, ბაგრატის ტაძართან დაკავშირებულ პროცესებშიც მონაწილეობდით. ახლახან ქუთაისში იმყოფებოდით, რაიმე საყურადღებო ინფორმაციას ხომ არ მოგვაწვდით?**

— ინტერვიუს სამწუხარო ინფორმაციით დავიწყებ: ახლახან გარდაიცვალა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის მთავარი არქიტექტორი ვანო გრემელაშვილი. მინდა, მივუსამძიმრო გარდაცვლილის ოჯახს. ვანო გრემელაშვილი ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციაზე დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა და ფასდაუდებელი შრომა გასწია ტაძრის აღდგენისთვის.

როგორც ჩანს, მოსახლეობას წლების განმავლობაში გაჰქონდა ბაგრატის ტაძრის ქვის დეტალები, მან კი შეძლო მათი მოძიება და დაბრუნება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ამ არქიტექტურული დეტალების მეშვეობით შესაძლებელი გახდა, ტაძრის აღსადგენი ნაწილის ძირითადი პარამეტრების დადგენა. პროექტის მიხედვით, ყველა მოძიებული ქვა თავის ადგილზე უნდა დაბრუნებულიყო. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქოს სამეცნიერო საბჭომ მხარი დაუჭირა პროექტს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან ერთობლივ საბჭოზე დამტკიცდა.

ვინაიდან საქმე ეხებოდა ძველი ისტორიული ტაძრის აღდგენას, საპატრიარქოს მოთხოვნა იყო, რომ დაცული ყოფილიყო არამარტო არქიტექტურული, არამედ ტექნოლოგიური მხარეც. კერძოდ, ტაძარი ტრადიციული მასალით — კირ-დუღაბით აღდგენილიყო. მუშაობის პროცესში ჩართული იყო კონსტრუქტორთა ჯგუფი, ასევე მონაწილეობდნენ ექსპერტებიც. მათი აზრით, რადგან ბაგრატის ტაძარი ათეული წლების განმავლობაში დანგრეული იყო და კედლები მნიშვნელოვნად დაზიანდა, ტრადიციული მასალით მისი აღდგენა შეუძლებელი იყო. გადაწყდა, აუცილებლობის შემთხვევაში, რკინა-ბეტონის კონსტრუქციული ელემენტების მინიმალური რაოდენობით გამოყენება.

**— იყო თუ არა ტაძრის რეკონსტრუქციის დეტალები იუნესკოსთან შეთანხმებული და იყო თუ არა ცვლილებების საქმის კურსში საპატრიარქო?**

— ბაგრატის ტაძარი შესულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში, ხოლო იუნესკოსთან ურთიერთობას ხელისუფლება წარმართავს. შარშან იუნესკოს სააგენტოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ერთობლივად მოვინახულეთ ბაგრატის ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესი.

სამუშაოები შეთანხმებული პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა, მაგრამ იუნესკოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა გამოვთქვით შენიშვნები რკინა-ბეტონის გადამეტებით გამოყენების გამო, თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდით დღევანდელ სიტუაციას. **საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად პროექტში ჩაერთნენ უცხოელი არქიტექტორები, რომლებმაც უგულებელყვეს შეთანხმებული პროექტი და ეკლესიისთვის მიუღებელი იდეები განახორციელეს. რატომ დასჭირდათ უცხოელების ჩართვა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის საქმეში, ჩვენთვის უცნობია.**

ახლახან საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრისა და მასთან არსებული სამეცნიერო საბჭოს წევრები ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის ხელმძღვანელობით ჩავედით ქუთაისში, იქ კი შემდეგი სურათი დაგვხვდა: ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთის კამარები გუმბათითურთ უკვე დასრულებულია ვანო გრემელაშვილის პროექტით, მაგრამ დასავლეთის მხარის რეკონსტრუქცია ჩვენთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით არ ხორციელდება, მასში შეტანილია თანამედროვე ელემენტები, კერძოდ: **პატრონიკე, რომლის აღდგენაც უკვე სრულდებოდა, დანგრეულია და მის ნაცვლად ლითონის კონსტრუქციაა მომზადებული მინის იატაკის მოსაწყობად. როგორც გაირკვა, ამ „თანამედროვე პატრონიკეზე“ მოსახვედრად გათვალისწინებულია ლიფტი.**

ჩვენი მოგზაურობის შედეგები და დასკვნა გამოქვეყნდა საპატრიარქოს ვებგვერდზე, გადაიცა საპატრიარქოს ტელევიზიით და, რა თქმა უნდა, ვაპირებთ, ოფიციალურადაც მივმართოთ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს, ვინაიდან საქართველოს საპატრიარქო ტაძრის ოფიციალური მესაკუთრეა და მასთან შეუთანხმებლად ასეთი სერიოზული სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია.

**— მამაო ბესარიონ, კულტურის სამინისტრომ უცხოელი სპეციალისტები თქვენთან შეუთანხმებლად ჩამოიყვანა?**

— საპატრიაქომ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

**— ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი დავით გარეჯის მონასტერს უკავშირდება. დავით გარეჯთან დაკავშირებით პირველად განგაში სწორედ სასულიერო პირებმა ატეხეს. პრობლემა თითქოს მოგვარდა, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ძველ ადგილს დაუბრუნდნენ, მაგრამ ამ დღეებში კვლავ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარეჯის უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ისევ დგანან. რა ხდება ამ ეტაპზე — მიმდინარეობს თუ არა ისევ მოლაპარაკება აზებაიჯანის ხელისუფლებასთან?**

— სასულიერო პირებმა იმიტომ ატეხეს განგაში, რომ ისინი იქ ცხოვრობენ და საკუთარ თავზე იწვნიეს, რას ნიშნავს, როცა მესაზღვრე გიკრძალავს დავითგარეჯის საოცარ, უნიკალურ ქვაბებში შესვლას. აღსანიშნავია, რომ პრობლემა გაამწვავა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან აშკარად არასწორმა განცხადებებმაც. **პირველი ინფორმაცია, რაც ოფიციალური პირებისგან მოვისმინეთ, ის იყო, თითქოს ეს ტერიტორია აზერბაიჯანის საკუთრებაა. მაშინ, როცა ჯერ არც არის დადგენილი სახელმწიფოთა შორის საზღვრები და ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.**

**ვერ გაიგო ვერც საზოგადოებამ და ვერც ეკლესიამ, ვის ინტერესებს ემსახურებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების აღნიშნული განცხადება.** ამან საზოგადოების აღშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია, თუმცა, იმედი გვაქვს, სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის საკითხს ამჯერად მაინც გონივრულად გადაწყვეტს.

**— საქართველოში მეჩეთების აშენების გადაწყვეტილებამ საზოგადოების და მათ შორის საპატრიარქოს აღშფოთება გამოიწვია. რა საშიშროებას ხედავს ეკლესია თუ საქართველოში მეჩეთები აშენდება?**

— საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთის სახელმწიფოსთან შეთანხმებით გადაწყვიტა, რამდენიმე ქართული ძეგლის რესტავრაციის სანაცვლოდ, საქართველოში მეჩეთები აღადგინოს, მაგრამ საპატრიარქო ამ მოლაპარაკებაში არ მონაწილეობდა. ცხადია, თავად საკითხი არასწორად არის დასმული. **ის ქართული ძეგლები, რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურია და თურქეთი ვალდებულია, ყველანაირი პირობების გარეშე ჩაუტაროს ამ ისტორიულ ძეგლებს რესტავრაცია. თურქეთის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებას, პირიქით, უნდა სთხოვდეს სპეციალისტების გაგზავნას, რადგან ამ ქართული ტაძრების სახით შეუფასებელ მემკვიდრეობას ფლობს.** ამას გარდა, გავითვალისწინოთ, რომ თურქეთის სახელმწიფომ საბერძნეთის, სომხეთისა და ისრაელის სახელმწიფოებს დართო ნება, აღადგინონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მსახურების უფლებით, ნაცვალგების გარეშე.

ამას გარდა, მეჩეთის აშენება იმ მამულიშვილების საფლავებზე იგეგმება, რომლებმაც სამშობლოსთვის გასწირეს თავი, რაც დაუშვებელია. იქ მხოლოდ ქრისტიანული ტაძარი შეიძლება აშენდეს დაღუპულ გმირთა სულის საოხად. საერთოდ რაზეა ლაპარაკი, როცა თავად აჭარელი მუსლიმანებიც კი ეწინააღმდეგებიან მეჩეთის მშენებლობას. ისინი ხედავენ საშიშროებას, რომ ეს ყველაფერი, შესაძლოა, რელიგიურ შუღლში გადაიზარდოს.

**— მამაო, საპატრიარქოს წინ კაზინოს აშენება რამდენად მიზანშეწონილი იყო და რა პოზიცია აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით ეკლესიას?**

— კაზინო „შანგრილა“ რეკორდულად მცირე დროში აშენდა, კათოლიკოს-პატრიარქის გერმანიაში ყოფნისას. რა თქმა უნდა, ეკლესია კაზინოს მშენებლობას არ დაუშვებდა.

**— კაზინოს აშენებამდე ხელისუფლებამ მიმართა თუ არა თუნდაც კონსულტაციისთვის საპატრიარქოს?**

— სახელმწიფო ვალდებული იყო, საპატრიარქოსთან შეეთანხმებია ეს საკითხი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არამარტო კაზინო, არამედ უამრავი რამ აშენდა ბოლო წლებში ძველ თბილისში, მაგალითად: ბუდა-ბარი, ხიდი, საბაგირო და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა საჯაროდ განაცხადა, დაუშვებელია რიყეზე ბუდა-ბარის აშენებაო, რიყეზე ბუდა-ბარი მაინც აშენდა. და ეს მაშინ, როცა პატრიარქის თხოვნითა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით რიყეზე ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიგეგმა, რომელიც აღარ განხორციელდა, არავინ იცის, რატომ.

როდესაც ისტორიულ ქალაქში სახელმწიფო ახალი მშენებლობის გადაწყვეტილებას იღებს, ამას წინ დიდი სამეცნიერო შრომა უნდა უძღოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიახლემ შეიძლება ძველი ქალაქის არამარტო იერ-სახე, არამედ მისი სულიერი არსიც დაარღვიოს.

როდესაც თბილისზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა თბილისი აღაშენა წმინდა ქალაქ მცხეთის კარიბჭედ და დედაქალაქს, იერუსალიმის მსგავსად, საფუძვლად დაუდო ოთხი ეკლესია: სიონის ტაძარი — სიონად, მეტეხი — გეთსამანიად, ჯვრის მამა — გოლგოთად, ზემო ბეთლემი — ბეთლემის მსგავსად, ხოლო მტკვარი თბილისის იორდანედ მოიაზრება.

**თბილისმა იტვირთა აღმოსავლეთის ქვეყნების აგრესია და იქცა მოწამეთა ქალაქად. აქ ეწამა აბო თბილელი, ასი ათასი მოწამე, ევდემოზ კათალიკოსი, დოსითეოს თბილელი, სამასი არაგველი, კრწანისელი მოწამეები და სხვა მრავალი. თბილისი წმინდა ქალაქია. აქედან გამომდინარე, როდესაც ქალაქის ისტორიულ ქსოვილს ვეხებით, უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.**

**კარგია, როცა ნარიყალაზე საბაგირო გზით ასვლის საშუალება ეძლევა ადამიანს, მაგრამ, როდესაც ირღვევა ისტორიული ქალაქის იერ-სახე, მასზე უარი უნდა ვთქვათ. როცა თავს ევროპელობაზე ვდებთ, უნდა გავიხსენოთ, როგორი რუდუნებით ეპყრობიან ისინი ისტორიულ ქალაქებსა და კულტურულ მემკვიდრეობას.**

**— ქართველი ჰომოსექსუალები ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს აღნიშნავდნენ, როცა „მართლმადიდებელმა მშობელთა კავშირმა“ და რამდენიმე სასულიერო პირმა მათ აქციის ჩატარების საშუალება არ მისცა. გასაგებია, რომ ეკლესიისთვის მიუღებელია ჰომოსექსუალიზმი, მაგრამ საზოგადოების ნაწილი აკრიტიკებდა სასულიერო პირებს, რომ ეკლესიის სახელით ძალადობა მიუღებელია.**

— ხომ ნახეთ კადრები? ისინი არავის დაურბევია და სასულიერო პირებს ძალადობა არ გამოუჩენიათ. მათ მხოლოდ გზა გადაუღობეს და აქციის ჩატარების საშუალება არ მისცეს. სასულიერო პირები შეაგონებდნენ, შვილებო, ამას ნუ გააკეთებთო. ჰომოსექსუალიზმი ისეთივე ცოდვაა, როგორიც მრუშობა, კაცის კვლა და ა. შ. ცოდვის ლეგალიზება დაუშვებელია. არადა, დღეს მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, აბა, რას ნიშნავდა ეს აქცია? მათ არავინ დასდევს, რას აკეთებენ საკუთარ სახლებში, მაგრამ, როდესაც ცოდვის პოპულარიზაცია მიმდინარეობს, ბუნებრივია, ეკლესია ჩუმად ვერ იქნება.

**— საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ქადაგების დროს ნათქვამმა ფრაზამ, რომ ქალმა ქმარს ფეხის დაბანა უნდა შესთავაზოსო. ავუხსნათ საზოგადოებას, რას გულისხმობდა პატრიარქი?**

— როცა უწმინდესმა ეს ბრძანა, პირველ რიგში, ამით შეახსენა საზოგადოებას, რომ უფალმა იესო ქრისტემ მოციქულებს დიდ ხუთშაბათს თავად დაბანა ფეხები. ეს არის სახარებისეული სიუჟეტი და ეკლესიამ ფეხთბანვის მოვლენა საეკლესიო მსახურებაშიც ჩართო. ყოველ დიდ ხუთშაბათს კათოლიკოს-პატრიარქი 12 მღვდელმთავარს ფეხს ბანს, ფეხბანვა სიმდაბლის გამომხატულებაა.

სახარება ეკლესიას უფლის სახლს უწოდებს. ოჯახი მცირე ეკლესიაა და უფალი მეუღლეებს თავდადებისკენ მოუწოდებს. ნახეთ, რა წერია ჯვრისწერის ლოცვაში: **„ვითარცა ეკლესიაი დამორჩილებულ არს ქრისტეს, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაი და თავი თვისი მისცა მისთვის, რაითა იგი წმინდა ყოს“,** ანუ მსხვერპლი გაიღეთ ერთმანეთისთვისო. მეტი რა უნდა თქვას უფალმა? სადმე წერია, რომ ცოლი უნდა ემსახუროს ქმარს და ქმარი არა? ფეხბანვა, ეს ორმხრივი პასუხისმგებლობაა. ვისაც სახარება ერთხელ მაინც წაუკითხავს, არ გაუჩნდება კითხვა, რატომ თქვა ეს პატრიარქმა. საზოგადოების აღშფოთების მიზეზი არის გაუთვითცნობიერებლობა.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელს არ აძლევს სტატუს-კვო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, არა იმიტომ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრობენ, არამედ მათი სურვილია, ირანის გარშემო შექმნან არასტაბილურობის სარტყელი და ე. წ. მართვადი ქაოსის მდგომარეობა. ისინი აქეზებენ აზერბაიჯანს, რომ დაიწყოს საომარი მოქმედებები, ხოლო შემდეგ ჰპირდებიან არა ყარაბაღის ტერიტორიას, არამედ ჩრდილოეთ ირანში ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების მიერთებას.“



გიორგი ვეკუა:

# ამერიკელებს თავიანთი ერთგული «ნაბიჭვრების» (Son of a bitch) თავიდან მოცილებაც სჩვევიათ

**საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებულ აქტუალურ მოვლენებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი, ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტი გიორგი ვეკუა.**

**— მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე 4 თვე დარჩა. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც აცხადებენ, რომ დარწმუნებულნი არიან გამარჯვებაში, თუმცა თქვენს ერთ-ერთ წერილში („ვინ შექმნის რეალურ პოლიტიკურ ალტერნატივას?!“) წერთ: „აშკარაა, რომ ამჟამად საქართველოში არათუ რეალურად დემოკრატიული, არამედ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებთან ოდნავ მაინც მიახლოებული არჩევნების ჩატარება შეუძლებელია“... რა გაძლევთ ასეთი პროგნოზის საფუძველს და სად ხედავთ გამოსავალს, თუ კი ოპოზიციის ბედი არჩევნებზე წინასწარაა გადაწყვეტილი?**

— ის, რომ ე. წ. საარჩევნო გარემო სააკაშვილის საქართველოში სულ უფრო ემსგავსება მუბარაქის დროინდელი ეგვიპტისა და მსგავსი ქვეყნების სიტუაციას, ვგონებ, არავისთვის არ უნდა იყოს დასამალი. **რა არჩევნებზე შეიძლება საუბარი, როცა ლამის ყოველდღე ხდება ამომრჩევლებისა და ოპოზიციური პარტიების წევრების დაშინება, მათზე ზეწოლის, დაჯარიმების, ცემის, გატაცებისა და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები!** იმ დროს, როცა ოპოზიციას აჯარიმებენ ამომრჩევლისთვის ტელევიზორის ან თმის საშრობი ფენის ვითომდა გადაცემის გამო, მმართველი პარტია, რაც იგივეა, რაც დღევანდელი სახელმწიფო, ათობით მილიონ ლარს ხარჯავს სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა პირდაპირი ან ირიბი მოსყიდვისთვის, მათ შორის სახელმწიფოს, მერიისა და გამგეობების პროგრამების საშუალებით. უკვე ჩართულია და მთელი სიმძლავრით მუშაობს გაყალბების მექანიზმები — სიებით მანიპულირება, უცხოეთში მყოფი მოქალაქეების, ე. წ. მკვდარი სულების გამოყენების მომზადება და ა. შ.

მე პირადად ვერ ვხედავ, რა უნდა დაუპირისპიროს ამ მექანიზმს ოპოზიციამ არჩევნებამდე დარჩენილ ოთხიოდე თვეში. **ერთადერთი შანსი მისთვის შეიძლება ყოფილიყო აშშ-ის ადმინისტრაციის მკაფიო და ხისტი გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამის ნიშნები არ ჩანს.**

ვფიქრობ, სააკაშვილი აშშ-ს რამდენიმე წელი ჯერ კიდევ სჭირდება აქ, საქართველოში, თავისი მიზნების განსახორციელებლად.

**— საქართველოში, სამხრეთკავკასიური ტურნეს ფარგლებში სტუმრად მყოფმა ჰილარი კლინტონმა, საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა. ამას გარდა, აშშ-სა თუ ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებიც ხშირად ახსენებენ მიხეილ სააკაშვილს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოში არჩევნების ხარისხზე და ხელისუფლებას საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შექმნისკენ მოუწოდებენ. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება არც ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების მითითებებს გაითვალისწინებს?**

— ე. წ. დემოკრატია დასავლეთისთვის და კერძოდ, აშშ-ისთვის, არის მხოლოდ ფიქცია, ერთგვარი რიტუალი, რომელსაც იყენებენ მაშინ, როცა სჭირდებათ. დღეისათვის დასავლეთი არ არის მზად, რომ ამ საკითხში ღიად დაუპირისპირდეს რუსეთს, რომელსაც თავის საზღვრებთან ნატოს კიდევ უფრო მიახლოება ძალზე აღიზიანებს. ამიტომაც ამერიკელები ახმოვანებენ ამგვარ პოზიციას, რათა საბაბი ჰქონდეთ, რომ დაბლოკონ საქართველოს გაწევრიანება ნატოში. შემდეგ კი საქართველოს მოსახლეობას არწმუნებენ, მათ შორის რიგი ოპოზიციური პარტიების (მაგალითად, რესპუბლიკელების) საშუალებით, რომ თურმე ჩვენს ქვეყანას იმიტომ არ იღებენ ალიანსში, რომ აქ არასაკმარისი დემოკრატიაა. ეს იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობას საბოლოოდ გული არ აუცრუვდეს ამ ყბადაღებულ „ნატოს ქოლგაზე“, თუმცა ეს პროცესი ნაწილობრივ მაინც მიმდინარეობს. ბევრს უკვე აღარ სჯერა ამ გაუთავებელი დაპირებების. **კარგად დავინახეთ ამ დაპირებების ფასი 2008 წლის აგვისტოში, როცა ამერიკამ მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების დასაცავად გამოიღო თავი, ხოლო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე თავი არ შეუწუხებია!**

**— რაც შეეხება ნატოს საკითხს, რომელიც აქტუალურია საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩიკაგოში გამართულ ნატოს მორიგ სამიტზე დიდ იმედებს ამყარებდა, აღნიშნული სამიტიც მხოლოდ დაპირებებით დასრულდა და საქართველო კვლავ ვერ გახდა ნატოს წევრი. აქვს თუ არა შანსი საქართველოს, უახლოეს მომავალში ნატოს წევრი გახდეს?**

— ამის „შანსი“ გაჩნდება მხოლოდ მაშინ, თუ დასავლეთსა და რუსეთს შორის დაიწყება ღია კონფრონტაცია. ვთქვათ, აშშ და მისი პარტნიორები მაინც გაბედავენ და სამხედრო აგრესიას წამოიწყებენ ირანის წინააღმდეგ, რუსეთი კი ამას შეეწინააღმდეგება და შეეცდება, კავკასიაში განიმტკიცოს პოზიციები. ამ შემთხვევაში, თეორიულად შესაძლებელია, რომ საქართველო დაჩქარებული წესით მიიღონ ამ ორგანიზაციაში და, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნის ჯარებიც განათავსონ ჩვენს ტერიტორიაზე. მაგრამ დღეისათვის მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. შესაბამისად, არც საქართველოს „ნატოური“ პერსპექტივაა მაინცდამაინც რეალური უახლოეს წლებში, მაგრამ ჩვენს დროში ბოლომდე არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

მაგალითად, თუ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც ნოემბერში უნდა ჩატარდეს, გაიმარჯვებს რესპუბლიკელთა კანდიდატი მიტ რომნი, არსებობს იმის გარკვეული ალბათობა, რომ აშშ რუსეთთან ღია დაპირისპირებაში ჩაებას, მათ შორის, მოხდება საქართველოს დაჩქარებული „შეთრევა“ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამერიკის გარდა, სხვა ქვეყნების თანხმობაც არის საჭირო ახალი წევრების მისაღებად. როგორც ვიცით, მთელი რიგი ქვეყნებისა, განსაკუთრებით გერმანია და საფრანგეთი, ეწინააღმდეგებიან ამგვარ ავანტიურისტულ ნაბიჯს. ასევე, ჩემი აზრით, ობამას დამარცხების შანსი მომავალ არჩევნებზე მინიმალურია.

**— საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში ცათამბჯენების აგების, ხოლო ლაზიკაში ბრიტანული სამართლის დანერგვის შესახებ განაცხადა, ვინაიდან, მისი თქმით, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, რათა რეგიონის ფინანსური ცენტრი გახდეს. „ძალიან დიდ ექსპერიმენტზე მივდივართ, იმისთვის, რომ მივიღოთ კომერციული ტრანზაქციების მაქსიმალური დაცულობა, პირველ რიგში, ქართველი და, რა თქმა უნდა, უცხოელი ინვესტორებისთვის“, —ამბობს პრეზიდენტი. რამდენად გაამართლებს პრეზიდენტის ინიციატივა?**

— ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „ლაზიკაში ბრიტანული სამართლის დანერგვა“. არ გამოვრიცხავ, რომ ვინმე ცდილობდეს, შექმნას ერთგვარი ოფშორული ზონა ამ ყბადაღებულ ლაზიკაში, რა თქმა უნდა, საეჭვო ფულის გასათეთრებლად. სავარაუდოდ, ეს ექსპერიმენტები ამისთვის სჭირდებათ. შესაძლოა, რომელიმე მეზობელი ქვეყანაც იყოს ამით დაინტერესებული. ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ გარკვეულ ფინანსურ აქტიურობას. როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებას, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამერიკელებს სჩვევიათ თავიანთი ერთგული „ნაბიჭვრების“ (Son of a bitch) თავიდან მოცილება, ამიტომ სააკაშვილი და მისი ჯგუფი, რომელსაც სიკვდილამდე არ უნდა ხელისუფლების დატოვება, ყველა ხერხს მიმართავენ, რომ ეს შესაძლებლობა თავიდან აიცილონ. ისინი ცდილობენ, რომ ახალ-ახალი გამოსავალი მოიგონონ და ამით თან ერთგულება დაუმტკიცონ ვაშინგტონს და თან თავისებურად აშანტაჟონ კიდეც, რომ, თუ სააკაშვილის ბანდის გაწირვას განიზრახავენ, ეს ასე ადვილი არ იქნება! ამისთვის მიდიან სულ ახალ-ახალ უცნაურ ინიციატივებზე.

**— ჰილარი კლინტონის წასვლისთანავე სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე კონფლიქტი დაიწყო. ზოგიერთი ექსპერტი (მათ შორის აზერბაიჯანელიც) ამ ყველაფერს კლინტონის ვიზიტს უკავშირებს. რამდენად დიდია ახალი ომის დაწყების საფრთხე კავკასიაში და რა გავლენას მოახდენს მეზობელი სახელმწიფოების კონფლიქტი საქართველოზე?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელს არ აძლევს სტატუს-კვო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, არა იმიტომ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრობენ, არამედ მათი სურვილია, ირანის გარშემო შექმნან არასტაბილურობის სარტყელი და ე. წ. მართვადი ქაოსის მდგომარეობა. ისინი აქეზებენ აზერბაიჯანს, რომ დაიწყოს საომარი მოქმედებები, ხოლო შემდეგ ჰპირდებიან არა ყარაბაღის ტერიტორიას, არამედ ჩრდილოეთ ირანში ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების მიერთებას. მაგრამ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას ესმის, თუ რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს მათთვისვე ამგვარ ავანტიურებში მონაწილეობა, ამიტომ თავს იკავებენ და ვერ ბედავენ საომარი მოქმედებების განახლებას. ირანელი აზერბაიჯანელების უმრავლესობას სულაც არ სურს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მიერთება და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, აქეთ მიიერთებენ ბაქოს.

**ომის საფრთხე არსებობს, თუმცა რუსეთი და ირანი ჯერჯერობით სტაბილურობის შენარჩუნებას ახერხებენ. რაც შეეხება საქართველოს, თუ ომი დაიწყო, შედეგების პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი იქნება. შესაძლოა, საქართველოს სახელმწიფო საერთოდ შეეწიროს ამ ქაოსს.**

**— ახლახან საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის „ტრაპიზონის ხელშეკრულება“ გაფორმდა, რომელიც რეგიონში მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება. რამდენად დროული და დადებითი იყო აღნიშნული გადაწყვეტილება და რას მოუტანს ის საქართველოს?**

— სააკაშვილის რეჟიმი ცდილობს, ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს, რომ სხვადასხვა სქემებში „ჩაჯდეს“ და ამით შეინარჩუნოს ხელისუფლება. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფო ინტერესებს, მთავარია, გარანტიები ჰქონდეთ უცხოეთიდან, რომ საჭირო მომენტში მხარს დაუჭერენ. თურქეთი და აზერბაიჯანიც ამისთვის სჭირდებათ. ჩემი აზრით, **თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის რაიმე ალიანსი უპერსპექტივოა, თუკი ის ირანისა და რუსეთის წინააღმდეგ მოიაზრება.** მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, ამ ორმა ქვეყანამ (თურქეთმა და აზერბაიჯანმა) მცირეოდენი ეკონომიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს, თუმცა ძირითადი დახმარება ისევ მმართველი რეჟიმის მისამართით წავა და არა ხალხის, როგორც აღვნიშნე.

**— ირანთან დაკავშირებით ვითარება იძაბება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა უკვე ღიად აცხადებს, რომ ირანის წინააღმდეგ შეერთებულ შტატებს საბრძოლო ოპერაცია მომზადებული აქვთ. ცნობილია ისრაელის მხარის განცხადებებიც. რამდენად რეალურია შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე?**

— ამერიკელებს ძალიანაც უნდათ, ირანზე შეტევა განახორციელონ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ამის რეალური შესაძლებლობა არ აქვთ! ირანის ისლამური რესპუბლიკა, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მორალურ-პოლიტიკური სიტუაციით, გეოგრაფიული მდებარეობითა და სიდიდით, ამერიკის საკბილოს არ წარმოადგენს. **ამერიკელები, როგორც სვავები ან აფთრები, მხოლოდ დასუსტებულ და მომაკვდავ რეჟიმებს ან პატარა ქვეყნებს უტევენ, რომლებსაც საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლიათ.** ირანი კი უკვე რეგიონის ზესახელმწიფოდ იქცა და ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ მას იგივე ბედი ეწევა, რაც ერაყს, ლიბიას ან ავღანეთს. ამისთვის ირანს სულ არ სჭირდება ბირთვული იარაღის ფლობა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ირანისთვის ზიანის მიყენებას ამერიკელები და მათი მოკავშირეები სირიაში არეულობის შექმნით ცდილობენ.

ხოლო ისრაელს საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელი აქვს და უფრო იმაზე უწევს ფიქრი, როგორ გაუმკლავდეს „ჰეზბოლას“ და „ჰამასის“ დაჯგუფებებს. სასაცილოც კია ისრაელის მხრიდან ბაქიბუქი, თითქოს ეს ქვეყანა ირანზე შეტევას ამზადებდეს. ეს, უბრალოდ, არასერიოზულია. ერთადერთი შესაძლებლობა, რაც მათ აქვთ, არის ის, რომ წყალქვეშა ნავებიდან (რომელიც გერმანიამ გადასცა) განახორციელონ ბირთვული ქობინების მატარებელი რაკეტების გასროლა ირანის მიმართულებით, მაგრამ ეს უკვე მსოფლიო ომის დაწყებას და აპოკალიფსურ სცენარს ნიშნავს. ასე რომ, **თითქმის გამორიცხულია ირანთან „მცირე ომი“ და ადვილი გასეირნება ამერიკელთათვის. ჩვენისთანა პატარა ქვეყანამ კი, უმჯობესია, არც იფიქროს ამგვარ სცენარებზე.**

## «სააკაშვილის საქართველო» სულ უფრო ემსგავსება «მუბარაქის ეგვიპტეს»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ეს ყველაფერი უკვე აღარ არის პედერასტების უფლებების „უწყინარი“ დაცვა, რასაც აქამდე აკეთებდნენ გრანტებით გამაძღარი ე. წ. არასამთავრობოები. როდესაც მსოფლიოს ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტი სოდომის ცოდვის „აპეკუნობა“ ხდება, როდესაც ამ უძლიერესი ქვეყნის დიპლომატები თავად მიუძღვებიან გეიპარადებს, როდესაც მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო მანქანა — პენტაგონი ხდება პედერასტული, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მეშვეობით და პატრონაჟით ხორციელდება მასონური ძალების მიერ მთელი პლანეტის სოდომ-გომორიზაცია.

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ თურმე მსოფლიოს პედერასტებს სემინარებს უტარებს, ამ ქვეყნის ადმინისტრაციის დაფინანსებით ალბანეთის დედაქალაქში სექსუალური უმცირესობების სემინარი ჩაატარეს, უბრალო, რიგითი გეიპარადი კი არა — სემინარი.
უცხო სიტყვათა ლექსიკონს თუ დავუჯერებთ სემინარი ლათინურისიტყვაა და ნიშნავს:
1.უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ჯგუფურ მეცადინეობას რაიმე სპეციალურ საგანში;
2. ჯგუფურ მეცადინეობას კვალიფიკაციის, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით.
ამ ორი განმარტებიდან, ვფიქრობ, მეორე უფრო მიესადაგება „ჩვენს თემას“, რადგან ტირანაში შეკრებილ 17 ქვეყნის „ათას სემინარზე გადამხტარ“ სტაჟიან მამათმავლებს დამწყები და სტუდენტი რომ უწოდო, ალბათ, უხერხულია.**

# ვარ პრორუსული? მაშასადამე, ვარ პროქართული!



**დადგა ივნისი და 2-ში რიგაში მამათმავლების «პრიბალტიისკი სლიოტი» პარადი გაიმართა, რომელსაც წინ ბალტიის ქვეყნებში აშშ-ის ელჩები მიუძღოდნენ. შემდეგ იყო ისრაელი, ხორვატია და ყველგან ურა-ვაშათი გეი-ლაღეს პედერასტებმა...**

გამოცდილება და „საქმის ცოდნა“ ხომ ნიადაგ ითხოვს საკუთარ თავზე მუშაობას, კვალიფიკაციის, მითუმეტეს იდეურ-პოლიტიკური დონის, ამაღლების მიზნით. ჰოდა, თუ როგორ იმაღლებდნენ კვალიფიკაციას და როგორ ხვეწდნენ სოდომიის იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ამას ადგილზე აკვირდებოდა აშშ-ის ელჩი ალბანეთში, ხოლო ოკეანის გაღმიდან შეკრებილთ მხურვალე სალამი თვით ჰილარი კლინტონმა შემოთვალა...

როდესაც ბარაკ ობამამ ამერიკის ჯარში ჰომოსექსუალების სამსახურის ამკრძალავი „დისკრიმინაციული კანონი“ გააუქმა, პედერასტების ისტორიულ დამსახურებაზე ისაუბრა ამერიკის წინაშე და ყოველი წლის ივნისი გეების თვედ გამოაცხადა, ეს ჩვენთან, უკეთეს შემთხვევაში „რა ჩვენი საქმეა, თავშიც ქვა უხლიათ“ კონტექსტში გაატარეს, მაგრამ თურმე ამაოდ დავიარხეინეთ თავი, რადგანაც ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირის“ ნათქვამმა ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ საქართველოში კონკრეტული გამოძახილი ჰპოვა...

იმასაც მოვესწარით, რომ 17 მაისს რუსთაველზე გეიპარადის დაწყება გაბედეს. შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით იყო: კიევი, ერევანი და მოსკოვი, ყველგან ერთნაირი ფინალით — მამათმავლების მეტნაკლები თავ-პირის მტვრევით.

**დადგა ივნისი და 2-ში რიგაში მამათმავლების „პრიბალტიისკი სლიოტი“ პარადი გაიმართა, რომელსაც წინ ბალტიის ქვეყნებში აშშ-ის ელჩები მიუძღოდნენ. შემდეგ იყო ისრაელი, ხორვატია და ყველგან ურა-ვაშათი გეილაღეს პედერასტებმა...**

მაგრამ ჯერ სადა ხარ თურმე! მართლაც, წერილზე მუშაობისას ისეთ ფაქტებს წავაწყდი, რომ ჭაღარა თმები ყალყზე დამიდგა...

აგერ თავად იხილეთ, რა დაახვავა ამას წინათ ჯონ ბასმა ამერიკაში გამართულ კიდევ ერთ „სემინარზე“:

„ელჩმა ატლანტიკურ საბჭოში საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების 20-წლიანი ურთიერთობის შედეგებზე საუბრისას ქართველ ბიზნესმენებთან გამართული სადილი გაიხსენა, ერთ-ერთმა ბიზნესმენმა მას განუცხადა, რომ ქართულ საზოგადოებაში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების სიმწირეა, რაც, მისი თქმით, ბევრი პრობლემის სათავეა. ბასმა აღნიშნა, რომ ის გარკვეულწილად იზიარებს ამ მოსაზრებას. ელჩის თქმით, ამის შედეგია მეორე პრობლემა, რაც ტოლერანტობის ნაკლებობაში გამოიხატება, რაც, თავის მხრივ, ასახულია განსხვავებული პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგური მოსაზრებების მიმართ დამოკიდებულებაში.

ელჩმა აღნიშნა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის ოცწლიანი პროცესი, „როდესაც ქართველები წყვეტენ, თუ ვინ არიან ისინი, რას ნიშნავს, იყო ქართველი თანამედროვე მსოფლიოში“. ელჩმა აღნიშნა, რომ ამ პროცესში ზოგმა ქართველმა აირჩია გზა, რომლის მიხედვითაც „ქართველობა ეს იგივეა, იყო ეთნიკურად ქართველი და მართლმადიდებელი“. ჯონ ბასის აზრით, ეს მიდგომა არ ტოვებს ადგილს საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის, რომელთაც განსხვავებული რწმენა და ეთნიკურობა გააჩნიათ“.

ამერიკის ელჩის ამ ქართველთა შეურაცხმყოფელ აბდაუბდას იქვე კვერს უკრავს ე. წ. ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი:

„ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო და სასარგებლო იყო იმის მოსმენა, რომ არსებობს დიდი ოპტიმიზმი საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის. გადადგმულია ნაბიჯები, თუმცა კიდევ ბევრი სამუშაოა დარჩენილი, არა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, არამედ, როგორც ბატონმა ელჩმა განაცხადა, მენტალური რევოლუციის ნიშნითაც, რომელიც ამჟამად სკოლებში და სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეში საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ახლო მომავალში ტოლერანტობის დამკვიდრება“.

რა უნდა უპასუხო ამ პასკვილს? ის, რომ, მიუხედავად მრავალგზის რბევა-დაპყრობა-აწიოკებისა, „ის ოცწლიანი პროცესი“ კი არა, მინიმუმ 3000 წელი ქართველები თავად ვწყვეტდით, თუ ვინ ვართ და რას ნიშნავს, იყო ქართველი, თუ ის, რომ ვის, ვის და ქართველებს სხვისგან (მითუმეტეს იანკებისგან) არ გვესწავლება ტოლერანტობა, ანუ რელიგიურ-ეთნიკური შემწყნარებლობა, რისი დასტურიც თუნდაც თბილისში, ერთ ფიორა ადგილზე, მეჩეთის, სინაგოგის, სომხურ-გრიგორიანული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის არსებობაა?..

**იქნებ ის შევახსენოთ ქართველთა სისხლში (26 მაისი) გასვრილ ბლანჟეიან დიპლომატს, რომელიც „ჰუმანურ საკითხებზე“ ლექციებს გვიკითხავს, რომ შუა საუკუნეების თამარის საქართველოში სიკვდილით დასჯა, ფაქტობრივად, გაუქმებული იყო, ჯონ ბასის ამერიკაში კი დღესაც ხრაკავენ სიკვდილმისჯილებს ელექტრო სკამებზე.**

რა ნამუსით ძრავენ საერთოდ სიტყვასაც კი ამერიკელები ჰუმანიზმზე? იანკებმა არ გაწყვიტეს ინდიელები ან აფრიკელ ზანგებს საუკუნეების განმავლობაში ტყავს ვინ აძრობდა და სულს ვინ ხდიდა მონობაში? თუ კუკლუკსკლანი ვერა-ვაკის ძველი ბიჭების საძმო იყო და არა ამერიკის რასობრივი ტერორის ლეგალური ორგანიზაცია? ან ატომური გენოციდი ვინ მოაწყო ხიროსიმა-ნაგასაკში?

ერთი სიმართლე მაინც წამოსცდა **დეიმონ ვილსონს — საქართველოს სკოლებში მართლაც მიმდინარეობს მენტალური რევოლუციის პროცესი, რაც „ვარდების რევოლუციის“ ბუნებრივი ყლორტებია.**

უფრო გასაგები ენით კი: **საქართველოს განათლების რეფორმის ეგიდით მიმდინარეობს ჩვენი მომავალი თაობების „დემოკრატიულად“ გახრწნა-გადაგვარების პროცესი, რომლის შედეგიც გიგა ბოკერიას, გიგი თევზაძის, ლევან რამიშვილისა და შინ თუ გარეთ სხვა მრავალი ნეოლიბერტარიანელი ხლისტისთვის საოცნებო ე. წ. ახალი ქართველის ჯიშის გამოყვანა უნდა იყოს, ანუ ქართველის, რომლისთვისაც უცხო იქნება საკუთარი ეთნიკურობით ჯანსაღი სიამაყე და მართლმადიდებლობა, რაც, ჯონ ბასის სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვეძვირფასება, როგორც თავად ამბობს, „ქართველთა ნაწილს“.**

და ბოლოს, წინამდებარე წერილის „გვირგვინად“ იმას გთავაზობთ, რითაც დავიწყე, ოღონდ ამჯერად პენტაგონის „ბალკონიდან“:

„ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში პირველად გაიმართება ღონისძიება, რომელიც გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს CNN, პენტაგონის განცხადებაზე დაყრდნობით.

ე. წ. გეი-აღლუმი ამ თვის ბოლოს გაიმართება. აქციის გამართვის ზუსტ დროსა და პროგრამაზე ჯერ ინფორმაცია არ გავრცელებულა. ცნობილია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას სამინისტროს მაღალჩინოსნები მიიღებენ.

The Washington Post-ის მონაცემებით, საუბარია, რომ აქცია იქნება დაახლოებით ისეთი, როგორიც ტარდება პენტაგონში ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების მხარდასაჭერად. 15 ივნისს, დილით პენტაგონის საიტზე, სავარაუდოდ, გავრცელდება თავდაცვის მინისტრის — ლეონ პანეტას ვიდეომიმართვა.

სავარაუდოდ, ის მადლობას გადაუხდის სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სამსახურისთვის და მიულოცავს არმიას, გაცხადებული გეების მიმართ სამხედრო სამსახურის აკრძალვის მოხსნას“.

**ჯერ მადამ ჰილარიმ გამოაცხადა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად პედერასტების უფლებების დაცვა, შემდეგ ობამამ პირდაპირ მიაბა ამერიკის ფინანსური დახმარება მოცემულ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვის დონეს, რასაც მოჰყვა მაის-ივნისში პედერასტების პარადების კასკადი მსოფლიო მასშტაბით, აგერ სემინარიც გამართეს ალბანეთში, ხვალ-ზეგ კი პენტაგონიც შედგება ოფიციალურად პედერასტულ რელსებზე და ჰერი, ჰერი ლიბერასტულ-გახლისტებული მსოფლიო თანამეგობრობისკენ!!!**

**ეს ყველაფერი უკვე აღარ არის პედერასტების უფლებების „უწყინარი“ დაცვა, რასაც აქამდე აკეთებდნენ გრანტებით გამაძღარი ე. წ. არასამთავრობოები. როდესაც მსოფლიოს ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტი სოდომის ცოდვის „აპეკუნობა“ ხდება, როდესაც ამ უძლიერესი ქვეყნის დიპლომატები თავად მიუძღვებიან გეიპარადებს, როდესაც მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო მანქანა — პენტაგონი ხდება პედერასტული, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მეშვეობით და პატრონაჟით ხორციელდება მასონური ძალების მიერ მთელი პლანეტის სოდომ-გომორიზაცია.**

იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ, ქართველებო, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საით მიგვაქანებს ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“?

აღარ დადგა დრო, რომ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის, მისი ბაზრის დაბრუნების „ლაითი“ თემების ნაცვლად, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და **პირდაპირ ვთქვათ, რომ ქართველი ერის ფიზიკურ-მენტალური გადარჩენა სწორედაც რომ ერთმორწმუნე რუსეთის ქოლგის ქვეშ არის შესაძლებელი.**

როგორც მეუფე იობმა ბრძანა ამასწინათ, საქართველოს გადარჩენა მართლმადიდებელ ერთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირშია. ასეთი კავშირის შექმნა რომ მხოლოდ რუსეთის ეგიდით არის შესაძლებელი, სადავო არ უნდა იყოს.

მე მეუფე იობის მჯერა. მეუფე იობის და ჩვენი მხცოვანი პატრიარქის, მისი უწმინდესობის, რომელიც „ჯიუტად“ არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს, რადგანაც იცის, რომ დღეს რუს-ქართველთა სარწმუნოებრივი ერთობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ამ 200 წლის წინ, სულკურთხეული მეფე ერეკლეს დროს, იყო...

**დავით მხეიძე**

**„ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში პირველად გაიმართება ღონისძიება, რომელიც გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს CNN, პენტაგონის განცხადებაზე დაყრდნობით.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა არის ადამიანური ტკივილი, ადამიანური გაჭირვება, ადამიანური სიხარული, დალხინება, იცის, რა არის ფუფუნებაში ცხოვრებაც. ამიტომ არ არის იგი ფობიებით შეპყრობილი. პირიქით, მას გაცნობიერებული აქვს, რომ ადამიანი რაც უფრო მიიწევს მწვერვალისკენ — ინტელექტუალური იქნება ეს მწვერვალი, ფინანსური თუ თანამდებობრივი, რაც უფრო თავმდაბალია, კაცთმოყვარე, სათნო და მიმტევებელი, მით უფრო გარანტირებული აქვს ხალხის თანადგომა."



## არქიმანდრიტი ბართლომე:

# ბიძინა ივანიშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც იტყვის, მესია ვარო

## «არ არის ბიძინა ივანიშვილი განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანი»

**არქიმანდრიტ ბართლომეს, ერისკაცობაში ნუკრი ფირცხალაიშვილს, „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველი იცნობს: საუბარი მასთან ჩვენს გაზეთში შარშან გამოქვეყნდა.**
**დღეს მხოლოდ ერთ ინფორმაციას დავუმატებ: აღკვეცილი ჰყავს 43 ბერი (მათგან 7 დასავლეთ ევროპის ეპარქიაში მოღვაწეობს), 20 მონაზონი, დაარსებული აქვს რამდენიმე მონასტერი.**

**— მამაო ბართლომე, ბიძინა ივანიშვილის პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე რომ იყავით, განახეთ. ხმა დაირხა, რომ ამის შემდეგ შედგა თქვენი შეხვედრა პარტიის ფაქტობრივ ლიდერთან და კარგა ხანს ისაუბრეთ.**
**ასეა?**

— უპირველესად, გეტყვით, რომ მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ჩემი სიტყვისა და ნების გამოხატვა უნდა შემეძლოს, ჩემი ფიქრისა და აზრის. თუ დემოკრატიაა, ჩემთვის წარმოუდგენელია, ამან გააკვირვოს საზოგადოებრიობა. ვერაფერს, ჩემი სანისთვის შეუფერებელს ვერ ვხედავ იმაში, თუ დავესწრები ამგვარ ღონისძიებებს, გნებავთ, მიტინგს, რომელსაც „ქართული ოცნება" მართავს და რომელიც ხალხთან შეხვედრისა და გაცნობის ხასიათისაა.

ჩვენი შეხვედრა კრებამდე ცოტა ადრე გაიმართა. შეხვედრასაც ვერ დავარქმევ, ძალიან ოფიციალურად ჟღერს.

ჭორვილაში ჩავედი ბებოს, ქალბატონ ციცინოს, ივანიშვილების ოჯახის დედის მოსანახულებლად. აღდგომა დღე იყო, შინ სადილზე მიმიპატიჟეს. იყვნენ თვითონ ბიძინა, ქალბატონი ეკატერინე, შვილები — უტა და ბერა, ძმა ოჯახით და, რა თქმა უნდა, დიდი ქალბატონი ციცინო. თბილი საუბარი იყო, აღდგომის შესაფერი. დღევანდელ ვითარებაზეც ილაპარაკა მასპინძელმა: იგივე დამოკიდებულება მოვისმინე, რასაც საჯაროდ გამოთქვამს.

534 ტაძარი და მონასტერი აქვს რეაბილიტირებული ბატონ ბიძინას, აღარაფერს ვამბობ წმინდა სამების კათედრალზე, და ლოცვამ, რომელსაც ტრადიციულად წარმოვთქვამთ ღვთის სახლში — „აღმაშენებელთა წმიდისა ამის ტაძრისათა" მიმართ, წარმოუდგენელია თავისი გზა ვერ ჰპოვოს.

ჰპოვა კიდეც.

**— ბატონ ბიძინასთან პირველი შეხვედრის დროს თქვენი ბერობის დროინდელი ჯვარი აჩუქეთ. იმ კრების, რომელზეც ვსაუბრობთ, დასრულების შემდეგ ერთ-ერთი ტელეარხის მიერ სპეცდავალებით იქ მივლინებულმა „ჟურნალისტმა" ბიძინა ივანიშვილს ჰკითხა, თუ მორწმუნე ხართ, ჯვარს თუ ატარებთ, მაჩვენეთო.**
**არის ეს მკრეხელობა თუ მხოლოდ უტაქტობაა?**

— მკრეხელობაზე უფრო მეტი მკრეხელობაა, ასე ვიტყოდი.

როცა ადამიანის რელიგიურ გრძნობებს ეხები, ეს ძალიან ცუდია. ბიძინა არ მოსულა როგორც რელიგიური ლიდერი, როგორც თეოკრატიული სახელმწიფოს აშენებისთვის მოღვაწე პიროვნება. მაგრამ, თუ ვინმეს აინტერესებს, ვეტყვი, რომ როგორც ტრადიციული მართლმადიდებელი ქრისტიანი, ინახავს მარხვას, ეზიარება კიდეც და აღსარებასაც ამბობს.

ის შეკითხვა პროვოკაციული იყო და იმ ჟურნალისტმა საკუთარი პროფესია შეურაცხყო.

**— თბილისური აქციის წინა დღეს ბიძინა ივანიშვილი ტელევიზიით გამოვიდა და მიმართა ხალხს, მეც ძალიან მიჭირს, მიტევენ, ვითმენ და, მოდით, ცოტა ხანს თქვენც მოითმინეთო.**

— ჩემი აზრით, ამ განცხადებით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანია, მესია არ არის, მასაც უჭირს და, ხალხო, დამიდექით გვერდზე.

ბიძინა ივანიშვილი არ არის ის ადამიანი, ვინც იტყვის მესია ვარო.

მან იცის, რა არის ადამიანური ტკივილი, ადამიანური გაჭირვება, ადამიანური სიხარული, დალხინება, იცის, რა არის ფუფუნებაში ცხოვრებაც. ამიტომ არ არის იგი ფობიებით შეპყრობილი. პირიქით, მას გაცნობიერებული აქვს, რომ ადამიანი რაც უფრო მიიწევს მწვერვალისკენ — ინტელექტუალური იქნება ეს მწვერვალი, ფინანსური თუ თანამდებობრივი, რაც უფრო თავმდაბალია, კაცთმოყვარე, სათნო და მიმტევებელი, მით უფრო გარანტირებული აქვს ხალხის თანადგომა, რადგან, მოგეხსენებათ, მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.

არ არის ბიძინა ივანიშვილი განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანი.

**— რასაც ჩვენ სხვასა და სხვას ვამჩნევთ ყოველდღიური სატელევიზიო „გამოცხადებებით".**

— საინტერესო რა არის, იცით? აღდგომა დღეს ჭორვილაში რომ ვსაუბრობდით, ამ საუბარშიც კი არ ცდილობდა, ლიდერი ყოფილიყო.

ბიძინა ივანიშვილი ბრძანებებს არ გასცემს, ადამიანს სთხოვს, იყოს თანამონაწილე — შეგნებით, რწმენით და არა დავალებული. ასეთია მისი საქმიანობის სტილი.

**— სულიერებაზე შეგეკითხებით. ჩვენს გაზეთში ძალიან ხშირად კრიტიკულად გამოდიან სასულიერო პირები, ვინც ვერ შერიგებია ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველია.**

— უნდა თქვან და კარგია, რომ ამბობენ. რადგან ადამიანი პირნათელი უნდა იყოს თავისი თავის, ღმერთისა და ისტორიის წინაშე. ღმერთი შეგინდობს, ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს, ისტორია კი ულმობელია — ულმობლად განსჯის ადამიანებს, რომლებიც ერისა და ეკლესიის გვერდით არ დგანან საჭირო ჟამს.

**— ერთსულოვანია დღეს მრევლი და სუფევს ეკლესიაში ერთსულოვნება?**

— (პაუზა მრავლისმეტყველი).

**— ნანა დევდარიანმა ჩვენი გაზეთის 22-ე ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ოლიგარქის „მარცხენა", რომლის პათოსი ასეთია: „ბატონო ბიძინა, ნუღარ ხარჯავთ ფულს, ისე მოგცემთ ხმას, უფასოდ!" დავიჯეროთ, რომ საქართველოში რწმენა საქონლად აქცია ჩვენმა ხელისუფლებამ, ისე დააკნინა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, რომ დემოკრატიულ არჩევნებში გასამარჯვებლად ხმების ყიდვა გახდა აუცილებელი?!**

— მე მგონია, ამ შემთხვევაში ფული სჭირდება იმას, ვისაც არა აქვს ჩამოყალიბებული იდეა, ვინც დაცლილია რწმენისგან. ფული სჭირდება არაპოპულარულ პარტიებს ვიწროპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

მაგრამ იმას, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, ვიწროპოლიტიკურ მიზანს ვერ დავარქმევთ. ის, რისთვისაც იგი იღვწის, არის ერის გაერთიანება ეროვნული იდეის ირგვლივ.

**— არადა, ეს ჩვენი ხელისუფალი ყოველდღე გვაყვედრის — ეს ავაშენე, ის გზა გავიყვანე, ტბა შევავსე და ა. შ., 8 საუკუნეა, მსგავსი აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანას არ ახსოვსო.**

— პატიოსანი ქალი თავის პატიოსნებაზე არც ლაპარაკობს, არც არავის უმტკიცებს, უბიწო ვარო...

*(ვიცინით და სულაც არ არის ეს სიცილი ამ შემთხვევაში ცრემლზე მწარე).*

**— ბავშვობიდანვე შეთვისებული გვაქვს, რომ ისტორიის მანძილზე მართლმადიდებლური ქართული სამღვდელოება ერთ ხელში ჯვრით, მეორე ხელში მახვილით იბრძოდა სამშობლოს გადასარჩენად.**
**საქართველო დღეს ბრძოლაშია შესული...**

— დღეს ფარი და ხმალი არ გვჭირდება. ჩვენ სწორი დამოკიდებულება გვჭირდება მიმდინარე პროცესებისადმი და არსებული პრობლემებისადმი.

თქვენ ახსენეთ და მეც ვადასტურებ, რომ ვიყავი ორივე მიტინგზე, ვესწრებოდი პარტიის დამფუძნებელ კრებას. ამის გამო ბევრი კრიტიკა დავიმსახურე და, განსაკუთრებით, დრონი.ჯისა და პრესა.ჯის ინტერნეტგვერდებზე.

ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულთა შორის იყვნენ პოლიტიკოსებიც, რომლებიც საპატრიარქოს მიერ ჩემს დასჯას მოითხოვდნენ.

ჩემმა სულიერმა შვილმა დაწერა ერთსტროფიანი ლექსი, შეიძლება მავანი და მავანი გალიზიანდეს, მაგრამ მე მაინც გეტყვით:

**ვინც უღალატოს**
**ჩვენს მამას,**
**უწმინდეს**
**საქართველოსას,**
**მისთვის საჭმელად**
**ხესაც კი**
**ფოთოლი არ გამოესხას.**

**— თქვენს ლოცვაში თუ მოიხსენიებთ ხელისუფლებას, ხელისუფალს? როგორ უთავსდება ამ შემთხვევაში თქვენი პოზიცია და ხელისუფლის დალოცვა ერთმანეთს?**

— ჩვენი მოვალეობაა, ვილოცოთ ყველასთვის, პოზიციების განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა მოვიხსენიოთ ლოცვაში, ქრისტიანობის აღმატებულობაც ეს არის... ვინც აშავებს, ლოცვა იმას უფრო სჭირდება.

**— სჭირდება, მაგრამ, როგორც ვატყობთ, მაინც და მაინც არ შველის...**

— ჩემზე ამბობენ, წყევლა იცისო... (*ეღიმება*). მაგრამ წყევლა შემაკავებელი ფორმაა, რათა ადამიანი მიხვდეს, რომ რაღაც შეეშალა. მე მგონია, რომ ისინი, ვისზეც მეკითხებით, არიან შემცდარნი და ვლოცულობ: ღმერთო, გონება გაუხსენი!

**— როგორც მღვდელს, შეგეკითხებით: ყოფილ ხელისუფალთა პასუხისმგებლობის საკითხი ადრე თუ გვიან დადგება. ღვთის სამართლის წინაშე მიეტევებათ?**

— მე ჯერ ხაზს გავუსვამ ერთ საკითხს, რომელიც ბატონ ბიძინასთან საუბრის დროს გამოიკვეთა. მან თქვა: მე არ ვებრძვი არც ერთ ადამიანს. ჩემთვის ყველა მისაღებია. მე არ დავაჭერინებ არავის. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, დამოუკიდებელმა სასამართლომ განსაჯოსო.

ახლა როგორ არის, იცით? ახალგაზრდა თაობა ლანძღავს თავისი მშობლების, თავისი ბებიებისა და ბაბუების თაობებს...

**— დავაზუსტოთ — ხელისუფლების ახალთაობა ლანძღავს.**

— გეთანხმებით... იმ თაობის წარმომადგენლები გვერდით როგორ დაიყენაო ბიძინამ, მიუღებლები არიან მათთვის. ბიძინამ თაობები ასე რომ დაყოს, საქართველო დაიშლება. იგი ამბობს — ეს ხალხი ერთად უნდა შეიკრას და ყველასგან უნდა მივიღოთ ის, რაც ქვეყნის წარმატებას სჭირდება. ჩვენ ყველანი ერთი ერის შვილები ვართ, ერთიანი ერის დაყოფა შეუძლებელია.

**— სააკაშვილმა კი სწორედ ეს შეძლო და ახლა გაფაციცებით იხევს უკან — ხანდაზმულებს ეხვევა, კოცნის და „ხუთვარსკვლავიან საავადმყოფოებს" უშენებს, სადაც ეს გაჭირვებული ხალხი უსახსრობის გამო ვერასოდეს იმკურნალებს.**

— ჩემთვის სავსებით მისაღებია ბიძინა ივანიშვილის განაცხადი, რომლის ▶

ციხის ადმინისტრაციას სულ ამ მორალს ვუკითხავ და ვეუბნები ხოლმე, რომ თქვენ ამ ქვეყანაში უნდა იცხოვროთ, ხვალ-ზეგ შეიძლება პოტენციური მკვლელი შენთან ერთად აღმოჩნდეს სუფრაზე და იქვე გაგაფრთხილოს სული-მეთქი.
ეს აბსოლუტურად რეალურია, იმიტომ, რომ, როცა ადამიანს ცოლის გაუპატიურებით, შვილის მოკვლით, ოჯახის ამოწყვეტით ემუქრები, ბუნებრივია, ის, რომ გამოვა, გადაგიხდის სამაგიეროს.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თანახმად, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არავის დაუწყებენ დევნას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო.

დემოკრატია აზრის თავისუფლებას ნიშნავს, მაგრამ დაზუსტება აქაც საჭიროა.

იქნებ, გახსოვთ, რომ საპატრიარქოსთან ე.წ. ფემინისტების აქცია გაიმართა, რომლის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: დედობა არჩევანია და არა მოვალეობაო.

ძალიან მინდა ამ ადამიანს ვუთხრა: ქალის ფიზიოლოგია მოწყობილია დედობისთვის, კაცისა — მამობისთვის. ეს არის ღვთიური ჭეშმარიტება, ბუნების კანონი. ერი, რომლის შვილები დედობას არჩევნად გამოაცხადებენ, დასაღუპადაა განწირული.

ფსალმუნში არის ასეთი სიტყვები: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ". ადამიანი, რომელიც დედობას ეწინააღმდეგება, მასზეა, ვფიქრობ, ეს სიტყვები ზედგამოჭრილი.

**— ახლა ვრცელდება ინფორმაცია, რომ მზადდება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია...**

— ჩემთვის საშინელი სანახავი იყო ქუთაისში ტყვიაგაუმტარი შუშაშემოვლებული სცენა, ტრიბუნა. მაგრამ მივხვდი, რომ ეს დაცვის აუცილებელზე აუცილებელი საშუალება იყო. რახან დაიწყო ლაპარაკი, რომ მოკვლას უპირებენ, მისი ფიზიკური დაცვა გახდა საჭირო.

ღმერთი კი არ გაწირავს!

აქციის წინა დღეს „მაესტროზე", თამარ ჩიქოვანის პროგრამაში „ჩვენ" მოვუსმინე ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს და, არ დაგიმალავთ, აღვშფოთდი.

**შეკითხვას, დაესწრებოდა თუ არა ქუთაისის მიტინგს, ქალბატონმა ეკატერინემ უპასუხა: — ჩვენ ერთად ვეღარ ვივლით! იგულისხმებოდა, რომ თუ, ღმერთმა არ ქნას, რაღაც მოხდება, მათგან ერთ-ერთი უნდა გადარჩეს და განაგრძოს ის დიდი საქმე, რომელსაც სათავეში ბატონი ბიძინა უდგას.**

**— რახან ოჯახი ახსენეთ, ქალბატონ ციცინოზე შეგეკითხებით, ბიძინას დედაზე, რომელმაც 90 წელს გადააბიჯა. ხომ არ ეშინია მისი შვილის გარშემო შექმნილი სიტუაციის? თუ არ უმხელენ?**

— არა, რას ამბობთ! მხნედ გამოიყურება, შემართებით. ტელევიზორსაც უყურებს, ბიძინა თვითონ ესაუბრება... სულ თავის შვილზე ლოცულობს.

**— არ ეშინია?**

— არ ეშინია! და საერთოდ, ვის რატომ უნდა ეშინოდეს, როცა მომავლის იმედი ძალიან დიდია.

იმედი ღმერთთან თანამკვიდრობის გზაა. ღმერთი კი არ გაგვწირავს! ამიტომ ჩვენ რასაც ვეიმედებით, ის ვთქვათ და ის გავაკეთოთ.

**„იხარეთ იმედში, მომთმენნი იყავით გასაჭირში, ლოცვაში — მდგრადნი".**
***(რომ. 12,12)***

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



## ლალი აფციაური: ერთ-ერთ პატიმარს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, აქ უნდა დაგმარხოთო

**ადამიანის უფლებების კუთხით ბოლო დროს შექმნილ მდგომარეობაზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ლალი აფციაური.**

**— ქალბატონო ლალი, რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინა თვესთან შედარებით საარჩევნო გარემო უფრო მეტად დამძიმდა. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, 4 მაისიდან 4 ივნისამდე პერიოდში დაფიქსირდა: პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების ათი, მუქარისა და ზეწოლის ცხრა, პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების ორი, ჟურნალისტების საქმიანობისთვის ხელისშემშლელი ოთხი, სადამკვირვებლო ორგანიზაციის საქმიანობის ხელისშეშლის ორი და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ექვსი შემთხვევა, თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულ დარღვევებთან გვაქვს საქმე და რეალურად რა ტენდენციაზე მიანიშნებს ეს ყველაფერი?**

— ეს მხოლოდ ის ფაქტებია, რომლებიც გახმაურდა და ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ, რაც არ ვიცით, იმდენია, რომ ჩამოწერო, შეიძლება ერთ ტომში ვერ ჩაეტიოს. იმის თქმა მინდა, რომ ეს ანგარიში არ არის სრულყოფილი. ჩემი აზრით, გაცილებით მეტი და უარესი ფაქტები არსებობს. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ის, რაც მეცხრე არხთან დაკავშირებით ხდება, **ჟურნალისტი ვერ მივა ინტერვიუზე ისე, რომ არ შეურაცხყონ, არ გალახონ და კამერა არ დაუმტვრიონ. ამასაც თავი დავანებოთ, ახლოვდება არჩევნები და რა ხდება რეგიონებში, მოსახლეობასთან როგორ და რა ფორმით მუშაობს ხელისუფლება, ვინმემ იცის? ეს არის ის საკითხები, რაზეც არ არსებობს ამომწურავი ინფორმაცია** და ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია კიდევ ვერ გაწვდება ყველა იმ ფაქტის გახმაურებას, რაც ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში.

**— გასაგებია, რომ, ერთის მხრივ, უფლებადარღვევის შემთხვევები ხშირია, მაგრამ უფლებადამცველი ორგანიზაციებიც არანაკლებ მრავლადაა. რატომ ხდება, რომ კანონდარღვევის ფაქტების უმეტესობა გაუხმაურებელი რჩება?**

— გეთანხმებით, ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს და ამასთან დაკავშირებით მეც არაერთხელ მისაუბრია.

თავის დროზე, კერძოდ 1989 წელს, ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც პატიმართა უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობდა. მაშინ სულ რამდენიმე ასეთი ორგანიზაცია იყო და, ძირითადად, მათი საშუალებით ხმაურდებოდა ესა თუ ის ფაქტები. დღეს სოკოებივით არიან ამოსულები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ არასამთავრობოებს და მათ შორის ზოგს იმხელა გრანტები აქვს მიღებული, შეიძლება არ დაიჯეროთ. ამ დროს რა ხდება: იმის ნაცვლად, რომ ახალ-ახალი ინფორმაციების ზღვა მოდიოდეს, ვსაუბრობთ იმაზე, რომ კანონდარღვევის ფაქტების უმეტესობა არ ხმაურდება. ხომ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **რას აკეთებენ ეს ორგანიზაციები ან სად არის მათი ნამუშევარი?** მაინც ჩემი კოლეგები არიან და არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ფაქტი ფაქტია, **არასამთავრობო სექტორი, კონკრეტულად უფლებადამცველები, დღესდღეობით მიძინებულია საქართველოში.** არაფერს ეს ორგანიზაციები პრაქტიკულად არ აკეთებენ, ხოლო ის, რაც გვესმის და ვხედავთ, არის ერთი და იგივე, — გახმაურდება ვილაცის საქმე, ატყდება აჟიოტაჟი და შემდეგ მთელი კვირა ამას ატრიალებს ყველა. ამის იქით არ კეთდება არაფერი. ამ დროს, ვიმეორებ, ფაქტები იმდენია და ისეთი შემზარავი, რომ ადამიანებს დაჯერება უჭირთ ხოლმე, როცა ამ ისტორიებს ისმენენ.

**— რაც შეეხება ციხეებში არსებულ მდგომარეობას, იმის მიუხედავად, რომ უფლებადამცველები მუდმივად საუბრობენ პატიმართა მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობის სიხშირეზე, მათ უმეტესობას კონკრეტული ფაქტის დასახელება უჭირს. თქვენთვის თუა მსგავსი შემთხვევა ცნობილი?**

— ის, რომ უფლებადამცველებს კონკრეტიკა აკლიათ, ძირითადად ორი მიზეზითაა გამოწვეული, **ერთი** იმით, რომ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმი დამყარდა, ციხეებში რაიმე მონიტორინგის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია; და **მეორე** იმით, რომ თვითონ მსჯავრდებულები არ საუბრობენ ფაქტებზე. თუმცა, ამის მიუხედავად, უფლებადამცველების მხრიდან კანონდარღვევის არგახმაურებას, ცხადია, გამართლება არ აქვს. პირიქით, ამით ისინი ერთგვარ სასათბურე პირობებსაც უქმნიან არსებულ რეჟიმს, ვინაიდან, მოგეხსენებათ, როცა ერთი შემთხვევა მიჩუმათდება, მეორე და მესამე, რეჟიმის თავისებურება სწორედ ისაა, რომ კიდევ უფრო გაამკაცროს ზეწოლა ადამიანებზე.



**დედამიწის რომელ წერტილშიც იქნება მიხეილ სააკაშვილი, იქ მიუვა სამართალი**

თქვენ კონკრეტულ შემთხვევებზეც მკითხეთ და იმის მიუხედავად, რომ არანაირი კონტროლის საშუალება არ გვაქვს დღესდღეობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, იქიდან მაინც უამრავი ინფორმაცია გამოდის. ციხის კედლები უკვე ვეღარ უძლებს იმ საშინელებას, რომელიც იქ ტრიალებს. მაგალითად, აქციებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" ჩაატარა, პრესა და რადიო აკრძალეს საკნებში, ასევე გათიშეს ტელეფონები და პატიმრებს ოჯახთან არ აკავშირებდნენ. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის იმ ფორმებზე, რომლებიც ხათუნა კალმახელიძის მინისტრობის დროს დამკვიდრდა, არაფერს ვამბობ, მსჯავრდებულებს ისეთ რაღაცებს უკეთებდნენ, რომ ბევრი უკვე ფსიქიურადაა დაავადებული. ერთ-ერთ პატიმარს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, აქ უნდა დაგმარხოთო. მერე ეუბნებიან, რა აზრი აქვს შენს ცხოვრებას, აგრე იარაღი და თავი მოიკალიო. ერთი სიტყვით, ხდება რაღაც საშინელება, გაუგონარი ფაქტები, რაც, არა თუ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საერთოდ არც ერთ ეპოქასა და პერიოდში არ მომხდარა.

მიუხედავად ყველაფრისა, სრული გულწრფელობით ვამბობ, რომ ეს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის, ნამდვილად არ მიკვირს, მე ჯერ კიდევ 2009 წელს, როცა ჩვენი ოფისი დაარბიეს, განვაცხადე: რეჟიმი კი არ მყარდება საქართველოში, დამყარდა უკვე-მეთქი. სხვათა შორის, ოპოზიციამ გიჟი და მარგინალი მიძახა მაშინ, მაგრამ ისე აგვიხდეს ყველაფერი კარგი, როგორც ეს ახდა.

**— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საინტერესოა, იმ მაღალჩინოსნების გამოვლენა თუ მოხერხდება, ვინც უშუალოდ იძლევა პატიმრების მიმართ მსგავსი მოპყრობის ბრძანებას.**

— საკითხი ასე არ დგას, რომ ვიღაც ბრძანებას იძლევა და ვიღაც ასრულებს. უბრალოდ, სისტემაა ასეთი და არსებობენ ამ სისტემას მორგებული ადამიანები. **ნორმალური კაცი იქ ვერ იმუშავებს, ესენი არიან ამ რეჟიმისთვის ზედგამოჭრილი თანამშრომლები.** ესაა რეალობა, მაგრამ, მეორე მხრივ, აქ სხვა მომენტიცაა, რომელსაც ვერ საზღვრავენ ეს ადამიანები: სააკაშვილი რომ გაიქცევა, მაქსიმუმ ორასი კაცი თუ ჩაეტიოს მის თვითმფრინავში, დანარჩენებმა ხომ აქ უნდა იცხოვრონ. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადმე აუცილებლად შევხვდებით ამ ხალხს და ჩათვალეთ, სააკაშვილის ამ ჯალათებისგან გაუბედურებული ადამიანი რომ იმ პოლიციელს დაინახავს, კაცი აღმოჩნდება აფექტურ მდგომარეობაში... სხვათა შორის, ციხის ადმინისტრაციას სულ ამ მორალს ვუკითხავ და ვეუბნები ხოლმე, რომ თქვენ ამ ქვეყანაში უნდა იცხოვროთ, ხვალ-ზეგ შეიძლება პოტენციური მკვლელი შენთან ერთად აღმოჩნდეს სუფრაზე და იქვე გაგაფრთხილოს სული-მეთქი. ეს აბსოლუტურად რეალურია, იმიტომ, რომ, როცა ადამიანს ცოლის გაუპატიურებით, შვილის მოკვლით, ოჯახის ამოწყვეტით ემუქრები, ბუნებრივია, ის, როცა გამოვა, გადაგიხდის სამაგიეროს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როცა საუბარია კონკრეტულ კანონდარღვევებსა და დანაშაულებზე, პასუხისმგებლობის საკითხიც ავტომატურად დგება. თქვენ, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, ვის დააკისრებდით, პირველ რიგში, ამ პასუხისმგებლობას?**

— უწინარესად, მიხეილ სააკაშვილს, იმიტომ, რომ სათავე ყველა ამ უკანონობისა საბოლოოდ მაინც ეს ადამიანია. შემდეგ მინისტრებს იმავე ხათუნა — კალმახელიძეს, მანამდე ვინც ხელმძღვანელობდა მის უწყებას, ასევე პროკურატურას, მთლიანად ძალოვან სისტემას და, რა თქმა უნდა, ვანო მერაბიშვილს. სხვა, უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკებზე არ შევჩერდები, ვინაიდან ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. აი, ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და ამათი დასჯა უნდა მოხდეს. გნებავთ, მაგალითი, გნებავთ, გაკვეთილი დაარქვით სხვებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა თუ ხელისუფლების შეცვლას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, იმ დაუსჯელობისა და ხელშეუხებლობის შეგრძნებამ, რაც ასეთ დროს ეუფლება ხოლმე ადამიანს, ამათ შეიძლება ისევ უბიძგოს უკან შემობრუნებისკენ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სააკაშვილი და მხოლოდ მისი გუნდი, ძირითადად, ახალგაზრდები არიან, ამიტომ ხელისუფლებიდან წასვლით მისი პოლიტიკური კარიერა შეიძლება დასრულდეს, მაგრამ არა საბოლოოდ. იმის თქმა მინდა, რომ, **თუ ამ ადამიანებმა პასუხი არ აგეს და ყველაფერს არ დაერქვა შესაბამისი სახელი, სადაც უნდა გავისტუმროთ და რა ფორმით, „ნაციონალური მოძრაობის" სახით საფრთხე იქნება ყოველთვის.**

**— როგორ ფიქრობთ, ერთის მხრივ, პრობლემა ხომ არ იქნება კონკრეტულ დანაშაულებზე ინფორმაციის მოპოვება? დღეს მთელი არქივი „ნაცმოძრაობის" ხელშია, საფრთხეს თუ იგრძნობენ, დიდი ალბათობით, ყველაფერს გააქრობენ.**

— არ არის ეს ისეთი ადვილი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ინფორმაციის გაქრობა ასე იოლად არ ხდება. მე ვფიქრობ, რომ, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება, პირველ რიგში, სწორედ ამათი დანაშაულებები გახმაურდება, საშინელ ინფორმაციებს მიიღებს საზოგადოება და ეს ინფორმაცია დაანგრევს ყველაფერს. ამას ხელისუფლებაც კარგად ხედავს, ამიტომ, ბუნებრივია, ყველანაირად ეცდებიან, ზოგი რამ ბოლომდე საიდუმლოდ დარჩეს, მაგრამ, კიდევ ერხელ ვიმეორებ, თუ იქნება ნება მომავალი ხელისუფლებისგან და საზოგადოებაც პრინციპულად დააყენებს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის მოთხოვნას, სადაც უნდა გადაბარგდნენ აქედან, ეს ადამიანები კუთვნილ სასჯელს ვერ გაექცევიან. **დედამიწის რომელ წერტილშიც იქნება მიხეილ სააკაშვილი, იქ მიუვა სამართალი და ამას უკვე ვერანაირი მცდელობით, ვერანაირი ძალისხმევით თავს ვერ აარიდებს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა განაცხადა, რომ ის პირადად აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ერთი დღის შემდეგ ამავე პრეზენტაციაზე სტეფანაკერტში არანაკლებ პოპულარულმა ქართველმა პროზაიკოსმა ბესო ხვედელიძემ ტელეკამერების წინ ბოდიში მოიხადა იმ ქართველების გამო, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში და არ დადგნენ იარაღით ხელში აფხაზების გვერდით, მაშინ, როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული ჯარები შემოვიდნენ ჩვენს პატარა ქვეყანაში.“**



# გამამართლებელი განაჩენები პატიმრებს არ ეხებათ

**2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე გორის სასამართლომ 11 გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, ხოლო 206 საქმე საპროცესო შეთანხმებით დაამთავრა. 2011 წლის მონაცემებთან შედარებით, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 11-ით გაიზარდა.**

გორის სასამართლოში 2011 წელს არც ერთი გამამართლებელი განაჩენი არ დამდგარა. რაც შეეხება მიმდინარე 2012 წელს, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა მოიძია მასალები წელს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების შესახებ. როგორც ირკვევა, **სასამართლო ძირითადად იმ პირებს ამართლებს, რომლებსაც აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო აქვთ შეფარდებული და პატიმრები არ არიან, ხოლო დაკავებულების ინტერესებს, ძირითადად, უფასო იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები იცავენ.**



# პარლამენტის გადატანამ ქუთაისში ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია

**„საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოს დიდ ქალაქებს შორის მიმდინარე წლის მარტში, გასული წლის დეკემბერთან შედარებით, ყველაზე მეტად ფასები ქუთაისში გაიზარდა. მარტში, 2011 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ზრდამ მთლიანად ქვეყანაში 0,5% შეადგინა, ხოლო ქუთაისში — 1,5%. თბილისსა და ბათუმში ამ პერიოდში ფასები ერთნაირად — 0,5%-ით გაიზარდა, თელავში — 0,3%-ით, ხოლო გორში ფასების კლება დაფიქსირდა 0,3%-ით.**

commersant-ის ინფორმაციით, ფასების ყველაზე მეტად ზრდის მხრივ, ქუთაისი ლიდერი იყო წინა თვეებშიც: იანვარში იქ ფასები 0,9%-ით გაიზარდა, ხოლო თებერვალში — 1%-ით. მთლიანად ქვეყანაში ამ პერიოდში ფასების ზრდამ, შესაბამისად, 0,5% და 0,7% შეადგინა, რაც თბილისისთვისაც იდენტური იყო ამ პერიოდისთვის. ბათუმში ფასების ზრდის ტემპი ამ პერიოდში ოდნავ დაბალი იყო და ორივე თვეში 0,4%-ს შეადგენდა.

თელავში იანვარში ფასები 0,1%-ით შემცირდა, ხოლო თებერვალში 0,9%-ით გაიზარდა. გორში იანვარ-თებერვალში გასული წლის დეკემბრის იდენტური ფასები შენარჩუნდა.

2003 წლის დეკემბერთან შედარებით, 2012 წლის მარტში ქუთაისში ფასები 87,3%-ით გაიზარდა (მთლიანად ქვეყნისთვის — 70,9%), ხოლო 2000 წლის დეკემბერთან შედარებით — 112,1%-ით (მთლიანად ქვეყნისთვის — 106,1%).

# დავით ტურაშვილმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ბესო ხვედელიძემ ბოდიში მოიხადა

**აფხაზურ გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ 2012 წლის 19 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ნადეჟდა ვენედიქტოვას წერილი „სამშვიდობო ნოსტალგია მზეზე“, რომელშიც მოთხრობილია სამხრეთ კავკასიელი მწერლებისა და მხატვრების ბრიტანული შეხვედრის შესახებ, რომლის ორგანიზატორია ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია Internacional Alert-ი. შეხვედრის თემა იყო „სამხრეთ კავკასიის კულტურის მოღვაწეთა დიალოგი“.**



„ალმანახ „სამხრეთ კავკასიის“ გამოცემამ, რომელშიც იბეჭდებიან ჩვენი რეგიონის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, გარკვეული შედეგი გამოიღო, — **წერს ნადეჟდა ვენედიქტოვა.** — ალმანახის მეორე ნომრის პრეზენტაციაზე **ქალაქ ერევანში ცნობილმა ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა განაცხადა, რომ ის პირადად აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.** ერთი დღის შემდეგ **ამავე პრეზენტაციაზე სტეფანაკერტში არანაკლებ პოპულარულმა ქართველმა პროზაიკოსმა ბესო ხვედელიძემ ტელეკამერების წინ ბოდიში მოიხადა იმ ქართველების გამო, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში და არ დადგნენ იარაღით ხელში აფხაზების გვერდით, მაშინ, როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული ჯარები შემოვიდნენ ჩვენს პატარა ქვეყანაში.**

ნუ ვიოცნებებთ, რადგან ჩვენი ქვეყნების სამშვიდობო მოლაპარაკებამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ **ის, რომ ორმა ქართველმა მწერალმა გაბედა და გულწრფელად აღიარა სიმართლე, იმის ნათელი მაგალითია, რომ პირადი კონტაქტები აუცილებელია.** ასევე აუცილებელია საერთო კავკასიური იმედისმომცემი ინიციატივის გამოჩენა, რაც, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში, მშვიდობიანი და აყვავებული კავკასიის არსებობის საწინდარი გახდება.“

**„საქართველო და მსოფლიო“ ქართველ მწერლებს დაუკავშირდა.**

**დავით ტურაშვილმა** უარყო „ჩეგემსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია და გაიკვირვა, — **რა სისულელეა, მე როგორ უნდა ვაღიარო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, პარლამენტი ხომ არ ვარო.**

**ბესო ხვედელიძემ** კი **აგრესიული ინტერპრეტაცია** უწოდა ვენედიქტოვას წერილში გამოქვეყნებულ მოსაზრებას: **„მე ვთქვი, რომ ძალიან მეცოდებიან ის ქართველები, რომლებიც სოხუმში ცხოვრობდნენ, აფხაზებთან მეგობრობდნენ, მეზობლობდნენ და იმის ნაცვლად, რომ გასცლოდნენ ამ სიტუაციას, მოუწიათ თავიანთი მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის და ნათესავებისთვის იარაღის მიშვერა. ეს არის ჩემი, როგორც მწერლის, პოზიცია. მეგობრობა და სიყვარული ტომობრივ-გვაროვნულ ურთიერთობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. ამას გვეუბნება ვაჟა-ფშაველაც. ძლიერის მხარეზე დადგომა არ არის მოსაწონი საქციელი, ჯობდა, გარიდებოდნენ. ორივე მხარემ თავი უნდა დაანებოს მუშტებზე ყურებას. საჭიროა ურთიერთობის ფორმების გამოძებნა ისევე, როგორც ამ ალმანახით მწერლებმა, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა მოვახერხეთ ერთ სივრცეში გაერთიანება“.**

## Миротворческая ностальгия по солнцу

Британский дождь похож на сухумский – такой же настырный и долгоиграющий, сыплет уже второй день. Мы в 60-ти км от Лондона, в Фархам Кэстл, замке, построенном в 12 веке. Здесь была резиденция епископа Винчестерского, третьего по значимости лица в средневековой Англии. Здесь живала Елизавета, королева-девственница, а сейчас писатели и художники Южного Кавказа обсуждают, как сделать наш неспокойный регион комфортной средой обитания. Британская НПО International Alert проводит встречу "Диалог деятелей культуры Южного Кавказа. Мир через общение".

Многие из участников были знакомы заочно как авторы двух номеров литературного альманаха "Южный Кавказ", который начал выходить в прошлом году. Тон задал Генеральный секретарь Алерта Дан Смит, предложивший обмениваться не только мнениями, но и чувствами, чаяниями, страхами и т.д. Перед нами выступили деятели культуры, имеющие не просто большой опыт работы в конфликтных зонах, но активно использовавшие при этом скульптуру, живопись, театр и другие формы искусства. Очень интересен опыт североирландского города Дерри, который благодаря подобным инновациям в миротворческих инициативах стал культурной столицей Европы. Многое для этого сделали художник и профессор Деклан МакГонагал и основательница и художественный руководитель драмтеатра Паулина Росс.

Честно говоря, некоторые из нас даже прослезились, когда Паулина описывала очень эмоциональный проект, в котором на одной сцене рассказывали о своих реальных человеческих историях католик, протестант, полицейский, юноша, потерявший отца, и другие участники конфликта, который тянется с 17 века. Мы, спотыкаясь, идем по нашему мирному процессу, сказала Паулина. Мы еще не дошли до того, чтобы просить прощения друг у друга, но оно уже на горизонте. Когда британский премьер-министр Дэвид Кэмерон публично извинился перед североирландцами за кровавое воскресенье, добавила Паулина, люди в Дерри плакали и сказали, что улицы города очистились от насилия.

Издание альманаха "Южный Кавказ", в котором публикуются представители всех национальных литератур нашего региона, уже привело к интересным результатам. На презентации второго номера в Ереване известный грузинский писатель Дато Турашвили заявил, что он лично признает независимость Абхазии. Через день на такой же презентации в Степанакерте не менее популярный грузинский прозаик Бесо Хведелидзе, стоя перед телекамерами, извинился за тех грузин, которые жили в Абхазии и не встали с оружием в руках рядом с абхазами, когда 14 августа 1992 года грузинские войска вошли в нашу маленькую страну.

Не будем обольщаться, до мирного договора между нашими странами еще далеко, но то, что два грузинских писателя нашли в себе мужество публично произнести эти слова, свидетельствует о полезности личных контактов и общекавказских инициатив, позволяющих надеяться – хотя бы далекой перспективе – на возможность возрождения мирного и процветающего Кавказа.

А пока мы тоскуем по сухумскому солнцу, которое благосклоннее к людям, чем британское...

***Надежда ВЕНЕДИКТОВА***

ЧЕГЕМСКАЯ ПРАВДА
Еженедельная газета. 19 июня №23(395) 2012 г.

# სააკაშვილს მოლდოვაში პრეზიდენტის სავარძელს უმზადებენ

**კიშინიოვის მერმა, მოლდოვის ლიბერალური პარტიის ვიცე-პრეზიდენტმა დორინ კირტოაკემ მერიაში გამართულ თათბირზე განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას შემდეგ, რაც საქართველოში საპრეზიდენტო უფლებამოსილება ამოეწურება, მოლდოვის პრეზიდენტი უნდა გახდეს. საინტერესოა, რომ ამ თათბირზე რესპუბლიკასა და დედაქალაქში კორუფციის პრობლემების განხილვა მიმდინარეობდა.** „იდეა მაქვს: სააკაშვილს ხომ მეორე საპრეზიდენტო ვადა ეწურება საქართველოში და იგი თავის კანდიდატურას ვერ წარადგენს. მას შეუძლია მოლდოვაში ჩამოვიდეს. იყოს ჩვენთან ორი ვადით და დარწმუნებული ვარ, ქვეყანაში ვითარება შეიცვლება: კორუფცია გაქრება, წამოვა ინვესტიციები“, — განაცხადა კირტოაკემ.

**წაიყვანეთ, მადლობელი დაგრჩებით, ოღონდ დაიმახსოვრეთ: წაყვანილი პრეზიდენტი უკან არ მიიღება! საინტერესოა, მოლდოვაში მხოლოდ მიშას პატიჟებენ თუ მთელ მის გუნდსაც მოგვაშორებენ?**

# პენსიის რიგში ქალი გარდაიცვალა

**„ლიბერთი ბანკის“ ოზურგეთის ოფისის წინ პენსიის რიგში მდგარი მელექედურელი ქალბატონი გარდაიცვალა. როგორც თვითმხილველები „გურია ნიუსთან“ საუბარში ამბობენ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა, რომლებიც ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ, მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. თვითმხილველები გარდაცვალების მიზეზად სიცხის გამო განვითარებულ გულის შეტევას ასახელებენ. ერთ-ერთი მოქალაქე კი ამბობს, რომ გარდაცვლილს იცნობდა და მას შაქრიანი დიაბეტი აწუხებდა.** გარდაცვლილის რიგში დგომას უარყოფს ბანკის დაცვის თანამშრომელი და ამბობს, რომ ქალბატონმა თავი ცუდად მაშინ იგრძნო, როცა ბანკის შენობის კიბეზე იდგა. გურიაში „ლიბერთი ბანკი“, შენობაში რიგების თავიდან აცილების მოტივით, პენსიონერებს მოძრავი ავტობუსებით ემსახურება, რომლებიც ადგილს ხშირად იცვლიან. პენსიონერები ხშირად ჩივიან, რომ წინასწარ არ იციან, სად იპოვონ ბანკის მოძრავი ავტობუსი და ამის გასაგებად სიცხეში ჯერ ბანკში მისვლა, შემდეგ კი ჩრდილსშეფარებული ავტობუსის მოძებნა უხდებათ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტის ინიცირებული დაზღვევა საყოველთაო არ არის!

**საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი ეხმაურება 14 ივნისს ქ. ბათუმში მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის შესახებ და ამ ინიციატივის განხორციელებას ეჭვქვეშ აყენებს.**



ინსტიტუტის განცხადებით, 2011-2015 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში პენსიონერების, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების, სტუდენტებისა და უნარშეზღუდული პირების სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში ჩართვის შედეგადაც კი მოსახლეობის ნახევარი მაინც დაზღვევის მიღმა დარჩება და ამდენად, დაზღვევა საყოველთაო ვერ იქნება.

**ინსტიტუტისთვის გაუგებარია, ასევე, იმავე განცხადებაში გაჟღერებული ფარმაცევტულ საშუალებებზე ფასების დაწევის ინიციატივა გრძელვადიანი რეგულაცია იქნება თუ მხოლოდ ერთჯერადი წინასაარჩევნო ნაბიჯი.**

„პრეზიდენტის განცხადებაში ნახსენები ამა წლის 7 მაისის 165 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში 1 სექტემბრიდან შესული პენსიონრების საერთო რაოდენობა იქნება 741 ათას 300, 0-დან 6 წლამდე ბავშვები — 332 ათას 400, სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებული უნივერსტეტების სტუდენტები — 104 ათასი, ხოლო ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, 18 წლამდე უნარშეზღუდულ პირთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან უმწეოთა დაზღვევის პროგრამის ბენეფიციარები, დაახლოებით 3 ათას 600 ადამიანს შეადგენს.

არსებული მონაცემებით, უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით, მათ შორის თბილისის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დაზღვევით, სარგებლობს 900 ათასამდე მოქალაქე, აქედან მნიშვნელოვანი წილი სწორედ პენსიონერებსა და მცირეწლოვან ბავშვებზე მოდის. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4 მილიონ 497 ათას 600 ადამიანს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო სტრატეგიის შედეგად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულთა სრული რაოდენობა 2012 წლის 1 სექტემბრისთვის გადაფარვის გათვალიწინების გარეშე იქნება 2 მილიონ 81 ათას 300 მოქალაქე, ანუ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 46%.**

რაც შეეხება კერძო ნებაყოფლობით დაზღვევას, ინდივიდუალური დაზღვევით, 2009 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 1.5%-ზე ნაკლები, ანუ დაახლოებით 67 ათასი მოქალაქე სარგებლობდა, ხოლო კორპორატიული დაზღვევით მოსახლეობის 5%, ანუ დაახლოებით 225 ათასი მოქალაქე. შესაბამისად, **ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, 2012 წლის 1 სექტემბრისთვის დაზღვეული მოქალაქეების სრული რაოდენობა 2 მილიონ 373 ათას 300 იქნება, რაც მოსახლეობის მხოლოდ 52%-ს შეადგენს.** ვინაიდან ნათელია ის ფაქტი, რომ ხელისუფლების სტრატეგიის შედეგად მოსახლეობის თითქმის ნახევარი კვლავ ჯანმრთელობის დაზღვევის გარეშე დარჩება, საქართველოში ჯანდაცვის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობისთვის აუცილებლად მიგვაჩნია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და სისტემის ძირეული რეფორმირება.

პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების – ფარმაცევტულ საშუალებებზე ფასების დაწევის მოწოდების საპასუხოდ კი თავს ვალდებულად ვთვლით, ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ **არსებობს რეალური საფრთხე: იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული რეგულაცია მხოლოდ ფასის რეგულაციით შემოიფარგლება, დამძიმდება ქვეყანაში ისედაც ფართოდ გავრცელებული ინტერესთა კონფლიქტი სამედიცინო პროვაიდერებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის, რაც დაწეული ფასის საკომპენსაციოდ პაციენტებზე დანიშნული საშუალებების რაოდენობის შესაბამის ზრდაში გამოიხატება.** აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, შეიქმნას ფარმაცევტული ბაზრის კომპლექსური რეგულაციის ეფექტური მექანიზმები.

ინსტიტუტის ხედვით, ჯანდაცვის ძირითადი სერვისები ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ინსტიტუტში მზადდება შესაბამისი ანალიზი ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ და უახლოეს მომავალში საზოგადოებას შევთავაზებთ რეკომენდაციებს ამ ნაკლოვანებების გასაუმჯობესებლად“, — **ნათქვამია ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**



# ნატახტარის მცხოვრები ჩოჩელების საწარმოებს უჩივიან

**მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარის მცხოვრებთა განცხადებით, საწარმოები: „ბარამბო“, „იბერმითი“ და ლუდსახარში სოფელს პრობლემებს უქმნის. როგორც ადგილობრივებმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, „იბერმითში“ საქონლის დაკვლის შედეგად დარჩენილ ნაგავს მიმდებარე ტერიტორიაზე ყრიან, რაც ირგვლივ ანტისანიტარიას ქმნის. „ბარამბოსა“ და ლუდსახარშის კანალიზაცია და ქიმიური ნივთიერებები ჯერ მდინარე ნარეკვავში, ხოლო შემდეგ არაგვში ჩაედინება.**

**„სასაკლაოდან ისეთი სუნი მოდის, ველარ ვუძლებთ. ნარჩენებს პირდაპირ გარეთ ყრიან. დაბინძურებულია აქაურობა. ხალხს ეშინია და ვერაფერს ამბობს“,** – აღნიშნა ნატახტარის ერთ-ერთმა მკვიდრმა.

პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა ვინაობის გამჟღავნებას ერიდება, რადგან, მათი თქმით, სოფელში მდებარე მსხვილი ობიექტები მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის ძმის — იაგო ჩოჩელის საკუთრებაა.

ცეზარ ჩოჩელის განცხადებით, ნატახტარის მკვიდრთ გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავთ. **„მივიღებთ ზომებს, მოვიკვლევთ, მოვიყვანთ კომისიას, შევისწავლით. ვინც აბინძურებს, დაჯარიმდება“,** — განუცხადა ცეზარ ჩოჩელმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

# სააკაშვილი მერაბიშვილის ბაღს ესტუმრა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორის რაიონის სოფელ შინდისში ყოფნის დროს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების პერიოდში დაღუპული ჯარისკაცების პატივსაცემად დადგმული მემორიალი არ დაათვალიერა. ისე ჩაუარა მემორიალს და იქ შეკრებილ მოსახლეობას, არც მიესალმა და არც გადმოვიდა მანქანიდან. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებს ადგილობრივებმა უთხრეს.** შინდისელებისთვის ცნობილი იყო, რომ პრეზიდენტი მემორიალთან მივიდოდა და ომში დაღუპულების ნეშტს პატივს მიაგებდა, თუმცა მემორიალის ნაცვლად, პრეზიდენტი წვეთოვანი სისტემებით გაშენებული ბაღებისკენ წავიდა. შინდისელები ამბობენ, რომ ეს ნაკვეთები ხელისუფლების მაღალჩინოსნებისაა, კონკრეტულად ისინი მერაბიშვილის (შს მინისტრის) გვარს ასახელებენ.

# კვლევამ დაადასტურა, რომ ხატს სისხლი სდიოდა

**ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატს ექვსი დღის განმავლობაში სისხლი სდიოდა. ექსპერტიზის შედეგი კახეთის საინფორმაციო ცენტრს სასულიერო პირმა გააცნო. მისივე თქმით, საპატრიარქო ექსპერტიზის პასუხს იმიტომ არ ახმაურებს, რომ ხალხში პანიკა არ გამოიწვიოს.**



სოფელ მსხალგორში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ახლადაშენებულ ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატს სისხლისფერი სითხე 9 აპრილიდან სდიოდა. მსხალგორის მცხოვრებთა თქმით, ხატიდან ჩამონადენი მაშინ შენიშნეს, როცა ის ხელნაწერი ხატით უნდა ჩაენაცვლებიათ.

**„9 აპრილს ვნახეთ, რომ ხატს სისხლი სდიოდა. ამ ხატის შეცვლას ვაპირებდით, რადგან ეს არის რეპროდუქცია და ხელით ნაწერი ხატით უნდა ჩაგვენაცვლებია. ამ განწყობით შემოვედი, რომ ეს ხატი ჩამოგვებრძანებინა და, რაც დავინახე, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო“,** — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მსხალგორის მკვიდრმა ბელა სტეფნაძემ.

**„ხატზე მუქი ფერის ჩამონადენი იყო. თავზე ბადისებური გარსი იყო, მერე იშლებოდა და ბოლოს წვეთების სახით მთავრდებოდა. ეს არის პოლიგრაფიული ხატი. იმის ალბათობაც კი არ არის, რომ საღებავისგან ყოფილიყო ეს ჩამონადენი. მეუფემაც თქვა, რომ ეს არის ძალიან დიდი მადლი, რომელიც დიდ სასწაულს და იშვიათობას წარმოადგენს ქრისტიანულ სამყაროში“,** — აღნიშნა იზა სტეფნაძემ.

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა მსხალგორში მდებარე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატიდან ჩამონადენი ნივთიერების სინჯები 18 აპრილს აიღეს. მეუფე სერგის თქმით, ანალიზის პასუხი 4 დღეში უნდა გამხდარიყო ცნობილი.

მას შემდეგ კახეთის საინფორმაციო ცენტრი მეუფე სერგის არაერთხელ დაუკავშირდა, თუმცა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის პასუხი ჯერ ცნობილი არ იყო. **„სახელმწიფო დონეზე უნდა გაკეთდესო ეს ექსპერტიზა და რა ვიცი, მე მგონი, ჯერ ვერ აკეთებენ. ჩვენ ისეთი დონის პრეპარატები არა გვაქვს, რომ ამის ანალიზი ჩატარდესო. რაც გინდა იყოს, ფაქტია, რომ სასწაულია“,** — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მეუფე სერგიმ.

ახლახან ერთ-ერთმა სასულიერო პირმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაუდასტურა, რომ ხატს სისხლი სდიოდა. **„დიახ, კვლევამ დაადასტურა, რომ ხატს მირონის გარდა სისხლიც სდიოდა, მაგრამ პასუხი არ ხმაურდება იმ მიზეზით, რომ ხალხში პანიკა არ გაჩნდეს. როგორც იცით, აქამდეც რამდენიმეჯერ იყო ასეთი შემთხვევა და მალე ომი დაიწყო“,** — აღნიშნა სასულიერო პირმა.

მსხალგორის მკვიდრი ბელა სტეფნაძეც ადასტურებს, რომ ხატს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა და დადასტურდა, რომ ხატს სისხლი სდიოდა. **„მეც სასულიერო პირებისგან ვიცი, მათ მითხრეს. უბრალოდ, არ სურთ ამ ფაქტის გახმაურება“,** — აღნიშნა ბელა სტეფნაძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი საქართველოს საპატრიარქოს კიდევ ერთხელ დაუკავშირდა. ამ საკითხზე მათ კომენტარი არ გააკეთეს.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აფხაზებს ჰქონდათ და აქვთ თავიანთი საკუთარი, მშობლიური აფხაზური ენა, რომელსაც იმდენი ხნის ისტორია აქვს, რამდენიც აფხაზ ხალხს. ამიტომაც სწორი არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ აფხაზები მეტყველებდნენ შუა საუკუნეების მეგრულის დიალექტზე და ამდენად წარმოადგენდნენ ქართველურ ტომს. არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ აფხაზური ენა საერთოდ არ არსებობს დედამიწაზე და არსებობს მხოლოდ აფსუური, რომელიც ჩერქეზულ-ადიღეურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. აფხაზური ენის სპეციალისტების მტკიცებით (ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე და სხვ.), აფხაზური და აბაზინური (აფსუური) ერთი ენის დიალექტებია, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთიმეორეს.**

გივი როგავა:

# «ძველი», ანუ «ისტორიულ» აფხაზთა ეთნიკური ქართველობის მამტკიცებელ არგუმენტთა ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ

**აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი ვერ არის. მკვლევართა ერთი ნაწილი, დაწყებული პ. ინგოროყვათი და დამთავრებული ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსით, ერთმანეთისგან ასხვავებს „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს და თვლის, რომ „ძველი“, ანუ „ისტორიული აფხაზები“ (XVII საუკუნემდე) ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო XVII საუკუნიდან ხდება მათი ასიმილაცია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული აფსუების მიერ და მათში გათქვეფა, „ახალი აფხაზების“ ჩამოყალიბება.**



**პირველი არგუმენტი,** რომლითაც პ. ინგოროყვა და მისი კონცეფციის წარმომადგენლები ამტკიცებენ **„ძველ“, ანუ „ისტორიულ“ აფხაზთა ქართველობას**, არის შემდეგი: **„ძველი აფხაზები“ (XVII საუკუნემდე) იგივე ქართველები არიან და ისინი ერთ-ერთ ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ... აფხაზების წინაპრები მესხი ტომები იყვნენ, მაგრამ რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე, თუ ადგილობრივ მეგრულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება“**, ან კიდევ: **„აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) — ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტომები: ქართები, მეგრელები და სვანები“**.

გ. გასვიანის მტკიცებით, „აფხაზში“ ეთნიკურად ქართველი უნდა ვიგულისხმოთ და არა აფსუა. „ძველი აფხაზები ანუ ქართული ტომი, თუ ქართველი ტომების შენაჯვარი“. ან კიდევ: „აფხაზთა სამეფო“ მთელი თავისი შემადგენლობით იმთავითვე ქართული და ქართველური იყო — ეთნიკურად (ხაზგასმა ჩვენია — გ.რ.), სულიერად, ტერიტორიულად, ენობრივად. მისივე მტკიცებით ძველი აფხაზები მეტყველებდნენ შუა საუკუნეების მეგრულ ან სვანურ დიალექტზე.

ისმის კითხვა: **თუ აფხაზები მესხები იყვნენ წარმოშობით, მაშინ რატომ უნდა ყოფილიყო მათი სამეტყველო ენა მეგრულის ან სვანურის დიალექტი?** ეს ერთი და მეორეც — **არავინ არაფერი იცის აღნიშნული დიალექტების შესახებ, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი.** აი, ასეთი დაუდგენელი დებულება მიჩნეულია აფხაზთა ქართველობის მამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად, რაც სინამდვილეში ვარაუდს, ჰიპოთეზას წარმოადგენს და არა დასაბუთებულ, ჭეშმარიტ არგუმენტს.

**ნამდვილად რა ვიცით ჩვენ აფხაზთა სამეტყველო ენის შესახებ?** რასაკვირველია, რაიმე დოკუმენტური მასალა, უტყუარი წყარო მასზე დღემდე უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯერ კიდევ ექვთიმე ათონელი სვანებზე აფხაზებზე, მეგრელებზე... XIს. წერდა: „ამათ ყოველთა ნათესავთა არა თუ ყოველთა თვისი ენა აქუს, არამედ მრავალნი ერთითა ენითა ზრახვენ“. ე.ი. თითოეულ ამ ტომს საკუთარი ენა ჰქონდა და ამავე დროს ისინი საერთო (უნდა ვიგულისხმოთ — ქართული) ენასაც ფლობდნენ. ექვთიმე ათონელის ეს ცნობა, ჩვენი აზრით, უტყუარია, რადგან მას კარგად უნდა ცოდნოდა თავისი თანამედროვე აფხაზების ვინაობა. XVIIIს. დიდი ქართველი ისტორიკოსის — ვახუშტი ბაგრატიონის მტკიცებით, „აფხაზებს აქუსთ თვისი საკუთარი ენა“.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელიც სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-1649 წლებში, კოდორს გაღმა მცხოვრებ აფხაზებს ჰქონდათ „თავიანთი განსხვავებული ენა“, ან კიდევ: „როგორც კი გადახვალ კოდორს ანუ კორაქსს, მის მეორე მხარეზე ლაპარაკობენ აფხაზურად“. იმავეს ამტკიცებენ ლამბერტის თანამედროვე მისიონერები — ძამპი და ჟან-დე-ლუკა. ლუკა (1629წ.) აღნიშნავს, რომ „აფხაზებს აქვთ თავიანთი საკუთარი ენა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენისაგან“. ამავე აზრისაა XVIIს. ნიდერლანდელი სახელმწიფო მოღვაწე ნ. ვიტსენიც.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ **„ძველ“ აფხაზებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სამეტყველო ენა — მეზობელი ტომების, ხალხების სამეტყველო ენებისაგან განსხვავებული. რომელი იყო ეს ენა? რა ვუწოდოთ მას? რასაკვირველია, აფხაზური ენა, ე. ი. XVII საუკუნის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ ჩრდილოეთიდან აფხაზეთში აფსუები არ არიან ჩამოსულნი, „ძველი“ აფხაზები ლაპარაკობენ აფხაზურ ენაზე. როდის უნდა წარმოშობილიყო ეს ენა? რასაკვირველია, არა XVIIს. დამდეგს, არამედ აფხაზების წარმოშობასთან ერთად, ე.ი. ის იყო აფხაზთა უძველესი მშობლიური ენა.**

**«ძველ» აფხაზებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სამეტყველო ენა — მეზობელი ტომების, ხალხების სამეტყველო ენებისაგან განსხვავებული. რომელი იყო ეს ენა? რა ვუწოდოთ მას? რასაკვირველია, აფხაზური ენა, ე. ი. XVII საუკუნის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ ჩრდილოეთიდან აფხაზეთში აფსუები არ არიან ჩამოსულნი, «ძველი» აფხაზები ლაპარაკობენ აფხაზურ ენაზე**

ისმის კითხვა: **ხომ არ შეიცვალა XVII საუკუნეში აფსუების „ჩამოწოლასთან„ დაკავშირებით აფხაზური ენა სხვა რომელიმე ენით?** ჩვენი აზრით, ეს გამორიცხულია. ჯერ ერთი, ხალხის ერთი ენის შეცვლას მეორე ენით საუკუნეეები სჭირდება და ეს არ მოხდებოდა აფხაზეთის პირობებშიც ერთბაშად ან რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მეორე, ჩამოსულები იყვნენ დამხვდურ მოსახლეობასთან შედარებით უმცირესობა. უმცირესობა კი ვერ მოახდენდა უმრავლესობის ასიმილირებას, მით უფრო, რომ ისინი არ ყოფილან დამპყრობლები (ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აფხაზები ჩრდილოეთიდან ჩამოსულებს „სტუმრებს„, ანუ „ასას“-ს ეძახდნენ), ან კიდევ კულტურის მხრივ დამხვდურ მოსახლეობასთან შედარებით მაღალ დონეზე მყოფნი. და კიდევ, XVII-XVIII საუკუნეებში სამეგრელოში მოღვაწე მისიონერები და ვახუშტი ბატონიშვილი საერთოდ არ ახსენებენ აფსუებს, ისინი ხმარობენ მხოლოდ ტერმინ „აფხაზებს“. ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ჩამოსულები დამხვდურთა თანატომელები იყვნენ, რომლებსაც ენა საერთო ჰქონდათ, როგორც ამას აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს. და ბოლოს, **აფსუებს რომ აფხაზთა ასიმილირება მოეხდინათ, ეს აღუნიშნავი არ დარჩებოდა ვახუშტის, რომელიც არც თუ დიდად იყო დაშორებული აფსუათა ჩამოწოლის პერიოდს.**

ამრიგად, ჩვენი აზრით, **აფხაზებს ჰქონდათ და აქვთ თავიანთი საკუთარი, მშობლიური აფხაზური ენა, რომელსაც იმდენი ხნის ისტორია აქვს, რამდენიც აფხაზ ხალხს.** ამიტომაც, სწორი არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ აფხაზები მეტყველებდნენ შუა საუკუნეების მეგრულის დიალექტზე და ამდენად წარმოადგენდნენ ქართველურ ტომს. არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ აფხაზური ენა საერთოდ არ არსებობს დედამიწაზე და არსებობს მხოლოდ აფსუური, რომელიც ჩერქეზულ-ადიღეურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. აფხაზური ენის სპეციალისტების მტკიცებით (ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე და სხვ.), აფხაზური და აბაზინური (აფსუური) ერთი ენის დიალექტებია, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთიმეორეს.

* * *

**მეორე არგუმენტი** აფხაზების ქართველობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას კონცეფციის წარმომადგენლების მიხედვით ისაა, რომ აფხაზეთში არ არსებობს არც ერთი მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელზედაც რაიმე წარწერა იყოს აფხაზურ ენაზე, ყველა წარწერა ქართულია. აქედან მათი დასკვნა: **გარდა ქართველებისა, იქ სხვა ხალხი XVII საუკუნემდე არ არსებობდა. აფხაზურ წარწერებიანი მატერიალური ძეგლები, ჩვენი აზრით, იმიტომ არ არსებობს, რომ, ჯერ ერთი, აფხაზებს იმ დროს საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ. მეორე. ისინი კულტურულად ქართველები იყვნენ, ე. ი. მათთვის კულტურის ენა ქართული იყო და აფხაზური დამწერლობის შექმნის საჭიროება არც კი არსებობდა.**

შემდეგი არგუმენტი, რომლითაც პ. ინგოროყვას მიმდევრები ცდილობენ „ძველ აფხაზთა“ ქართველობის დამტკიცებას, არის აფხაზეთის ტოპონომიკისა და ჰიდრონიმის მონაცემები. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პ. ინგოროყვამ და მისმა თანამოაზრეებმა ცხადად დაასაბუთეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა უდიდესი უმრავლესობა ქართული ან ქართველური წარმოშობისაა და XVII საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობდა ადგილთა თუ მდინარეთა აფსუური სახელწოდებები, რაც ვითომდა იმაზე მეტყველებს, რომ იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ.

რა შეიძლება ითქვას ამ არგუმენტის შესახებ? ნამდვილად სწორია მტკიცება, რომ აფხაზეთში გეოგრაფიული პუნქტებისა და მდინარეების უმრავლესობის სახელწოდებები ქართულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ უარვყოთ იქ აფხაზების ყოფნა. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ისინი (აფსილები და აბაზგები) I-II საუკუნიდან მაინც ცხოვრობენ დღევანდელი ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში. მიუხედავად ამისა, ზღვისპირა ქალაქებსა და დაბებს ქართული წარმოშობის სახელები ჰქონდათ: ძველი ლაზიკა, გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთა, ლიხნი, ცხუმი, ტყუბუნი, ოჩამჩირე. ეს იმით აიხსნება, რომ თავდაპირველი მოსახლეობა აქ იყო ქართული (მეგრული და სვანური). უმრავლესობის მიერ დარქმეულ ტოპონიმებს ჩამოსული უმცირესობა – მთიელი აფხაზები ანუ აფსუები — სახელს ვერ შეუცვლიდნენ, მით უფრო ამ სახელებით იცნობდნენ ამ ადგილებს სხვა ხალხებიც, კერძოდ ბერძნები და რომაელები. აფხაზებს ძირითადად, როგორც მთიან ადგილებიდან ჩამოსულებს, მთის კალთების სოფლებში უნდა ეცხოვრათ. ბუნებრივია, რომ აფხაზები მათ საკუთარ სახელებს დაარქმევდნენ, მაგრამ ეს სახელწოდებანი ისტორიამ, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახა. დაუდგენელია, თუ როდის წარმოიშვა აფხაზური სოფლების დღევანდელი სახელწოდებები. თუ ვიტყვით, რომ ისინი წარმოიშვნენ XVII-XVIII საუკუნეებში, ამის დასაბუთება ძალიან გაჭირდება, ხოლო დაუსაბუთებელი განცხადება ჭეშმარიტებას ვერ მოგვცემს.

**აფხაზები (აფსილები და აბაზგები) საქართველოში მოსულ ხალხად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებების გამო:**

**1. ისინი I-II საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომთა შორის არ მოიხსენებიან;**

**2. აფხაზები ზღვისპირა ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, ვერ იტანდნენ ნოტიო ჰაერსა და ნესტიან ადგილებს;**

**3. აფხაზებს უძველესი დროიდან აფხაზეთში რომ ეცხოვრათ, მათ ბერძნების სახელწოდება „აბერზენ“ ქართველებისაგან არ უნდა აელოთ;**

**4. აფხაზებს უკანასკ-** ▶

**ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზები ეთნიკურად, გენეტიკურად არ არიან ქართველები, ისინი „ქართველები“ მხოლოდ კულტურულ-ისტორიულად. ასეთებად ისინი მეტ-ნაკლებად დარჩნენ XVII საუკუნემდე, მთიელი აფხაზების, ანუ აფსუების ჩამოსვლამდე, რომლის შემდეგაც იწყება მათი თანდათანობითი გაუცხოება ქართველებისაგან, „ახალი აფხაზების“ ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საკუთრივ აფხაზების, აფსუებისა და ქართველთა ეთნოსუბსტრატის საფუძველზე კონსოლიდირებულ ერთიანობას — ერს.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნელ დრომდე არ ჰქონდათ (ამჟამადაც იშვიათად) ქალაქებსა და დაბებში თავიანთი სასაფლაოები;

**5. აფხაზების სიმპათიები და ორიენტაცია მთიელი კავკასიელების მიმართ, მათი ისტორიული მახსოვრობის — საკუთარი მთიელობის — გამოვლენა უნდა იყოს;**

**6. აფხაზთა მთიდან ჩამოსულობის იდეა, წითელი ზოლივით გასდევს მათ ფოლკლორს.**

რაც შეეხება ჰიდრონიმებს, აქ საკითხი უფრო რთულადაა. მდინარეთა სახელწოდებები: ფსოუ, მძიმთა, აზასკოი-ბზიფ-ბზიჩ, ხიფსთა, აფსთა, გუმისთა, ძნელი სათქმელია, როდის დაერქვათ ამ მდინარეებს. ეს სახელწოდებები რომ არაქართულია, საეჭვო არ უნდა იყოს, გარდა ბზიფისა, რომელსაც მის გვერდით მცხოვრები საძები „ბზიჩს“ უწოდებდნენ, რაც უბიხურ ენაზე ნიშნავს ცივ მდინარეს, ხოლო ქართველები მის სახელს ბზას უკავშირებენ.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში არსებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები ჯერ კიდევ არ იძლევიან ერთმნიშვნელოვან საფუძველს იმისათვის, რომ გავაკეთოთ კატეგორიული დასკვნა: XVII საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობდა არც ერთი აფხაზური (აფსუური) ტოპონომი და ჰიდრონიმი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ **XVI საუკუნის (1525) დოკუმენტში აღნიშნულია ბიჭვინთაში არსებული სამი ტოპონიმი, რომლებიც უთუოდ აფხაზური წარმოშობის ჩანს: აითარნე, არუხა, რაბიწა. მათი ქართული წარმოშობის მამტკიცებელი დებულებები, არადამაჯერებელია. ეს ტოპონიმები, ალბათ, უფრო ადრეც, XV საუკუნისთვის მაინც არსებობდა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელი პერიოდის წყაროები აფხაზეთში არსებული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შესახებ საკმაოდ მწირია.**

აფხაზური ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ახსნა მსგავსი ფონეტიკური ჟღერადობის სიტყვებით ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: მდ. აფსთას სახელს ხსნიან ქართული სიტყვით „აფუსტა“, რომელიც სვანური ტოპონომია, მაშინ, როდესაც იგი აფხაზური წარმოშობისაა და ნიშნავს ღმერთ „აფის“ მდინარეს. „ბზიფს“ ხსნიან „ბზით“ მაშინ, როცა ის შეიძლება აიხსნას, აგრეთვე, „ბზიჩი“-თ, „ოჩამჩირეს“ — ტყიანი ჭაობით, აფხაზურად — ბზის ტყით და ა. შ. ამიტომაც ყველა ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ქართულად ახსნა არადამაჯერებელია და ზერელობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აფსუების არააფხაზობის დასამტკიცებლად იყენებენ ისეთ „არგუმენტებს“, როგორიცაა: აფსუებს, ამ ზღვისპირას მცხოვრებ ხალხს, თურმე არა აქვს ზღვის სახელი და მას „ამორეს“ ან „აზღვას“ უწოდებენ. ეს დებულება ერთ-ერთმა აფხაზეთელმა ისტორიკოსმა ჩაწერა თავის წიგნში, ალბათ, აფხაზებზე ძალზე განაწყენებულმა, მაგრამ ამ არასწორ დებულებას, სრულიად შეუმოწმებლად იმეორებენ სხვა ავტორებიც, რომლებიც აფხაზებზე წიგნებსა და სტატიებს წერენ. აფხაზებს აქვთ ზღვის აღმნიშვნელი საკუთარი ცნებები — „ამშინ“ და „აგა“ და ჰყავთ ზღვის და წყლის ღმერთი აგანიჰვა.

ზოგიერთი ცნობილი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აფხაზებს (აფსუებს) არა აქვთ თევზეულობის სახელწოდება და ყველა თევზს ერთ სახელს — „აკალმახს“ უწოდებენ. ეს აზრი სრული გაუგებრობაა, ნებით თუ უნებურად დაშვებული. ვინც ასეთ რამეს ამტკიცებს, ის, უბრალოდ, არ იცნობს სათანადო ლიტერატურას, რომელშიც დაფიქსირებულია თევზის 29 ჯიშის აფხაზური სახელწოდება. იგივე ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ვაზის ქვეყანაში მცხოვრებთ არა აქვთ მათი სხვადასხვა ჯიშის სახელები. არც ეს მტკიცებაა სწორი. სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მაჭავარიანი) დაფიქსირებულია ვაზის 50-ზე მეტი ჯიშის აფხაზური სახელწოდება. რასაკვირველია, მათში არის ნასესხები ტერმინებიც, მაგრამ რომელი ხალხის ენაში არ არის ნასესხები სიტყვები, თანაც ასობით და ათასობით? განა ამის საფუძველზე შეიძლება მეცნიერმა ამტკიცოს, რომ თანამედროვე აფხაზები (აფსუები) ჩამორჩენილი და საკუთარი კულტურის არმქონე ხალხია, ეს ხომ ერის აშკარა დამცირება და შეურაცხყოფაა?

* * *

აფხაზთა ქართველობის მამტკიცებელი ზოგიერთი ისტორიკოსი ძალიან გულმოდგინედ ცდილობს, სათანადო არგუმენტად გამოიყენოს ტერმინი „აფხაზი“. არანაირი ახსნა არ მოუძებნეს მას: ერთნი ამტკიცებენ, რომ იგი მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს ამაღლებულ ადგილს: **აფხა=ბეჭს; აფხაზეთი — ზურგით მაღალს. ასევე — აფხა+ჟი = აფხა+ზევით, ე.ი. ბეჭმაღალს.**

სხვების მტკიცებით — „აფხვაზარი“ სვანურად ნიშნავს „ბაყაყთა ყიყინს“ და, საფიქრებელია, აფხაზთა სახელწოდება ამას უკავშირდებოდესო. ზოგი კი ამტკიცებს, რომ „აფხაზებად იწოდებოდნენ დასავლეთ საქართველოს ქართველები, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მხარის სახელწოდებიდან გამომდინარე, მათ მექანიკურად მიიღეს სახელი „აფხაზები“, რაც ყველა შეცდომისა და გაუგებრობის საფუძველი გახდა“. ეს მტკიცება ნამდვილ არგუმენტად რომ არ გამოდგება, იქიდანაც ჩანს, რომ ხალხის სახელწოდება და მისი საცხოვრისი ადგილის მიმართება უკუღმა არის გაგებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადგილებს ხშირად ჰქვია მათზე მაცხოვრებელი ხალხის სახელი, მაგალითად: სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, კახეთი, დვალეთი და ა. შ. და არა პირიქით. თვითონ ტერმინი „აფხაზეთი“ საიდან მომდინარეობს, ამ ისტორიკოსს ახსნილი არა აქვს, არც იმათ, ვინც ამ მოსაზრებას უკრიტიკოდ იღებენ.

აბასხ-იდან „აფხაზის“ წარმოშობა, ერთი რამ უეჭველია, „აბასხისათვის“ „ა“ აფხაზური პრეფიქსია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ, როცა „ბასხისაგან“ „აბასხი“ მივიღეთ, აფხაზები უკვე სახლობდნენ აფხაზეთში. სწორედ მხოლოდ მათ შეეძლოთ აღნიშნული სიტყვის ასეთი სახით წარმოება. ასხ მასხ სხვები (ნ. მარი, პ. ინგოროყვა და მათი თანამოაზრენი) ტერმინ „აფხაზს“ უკავშირებენ „მესხს“ და იქიდან გამოყავთ „მასხ“, „ბასხ“, „აბასხ“. ნ. მარის მტკიცებით, აფხაზები მესხეთიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასახლებულ მესხებს ეწოდათ“. მაგრამ მან ასეთი თავდაპირველი მტკიცება შემდეგში უარყო და ივანე ჯავახიშვილიც კი გააკრიტიკა აფხაზების ქართველად მიჩნევის გამო. ჩვენი აზრით, თუნდაც სწორიც რომ იყოს მესხი, ჩვენი აზრით, ტერმინ „აფხაზის“ სწორი ახსნა მოცემული აქვს აკად. ს. ჯანაშიას, რომელსაც მიაჩნია, რომ „აფხაზი“ (მეგრულად — „აფხაზა“) შეიძლება წარმოშობილიყო ტერმინ „აბაძახასაგან“, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს „ქვემო აბაზინელს“, ანუ ბარში მცხოვრებ აბაზინელს. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ XIX საუკუნემდე „აფხაზური ტომების კრებითი სახელი „აბაზა„ ყველა აფხაზის საერთო სახელად იხმარებოდა“. მაგრამ ამ დებულებების გათვალისწინება ჩვენს ოპონენტებს არ უნდათ, რადგან ხელს არ აძლევთ.

აფხაზები ქალაქ სამსუნის პორტში კავკასიის ომის შემდეგ, 1864 წ.



**«ძველი» აფხაზები ქართველები რომ არ იყვნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ, თუ მეგრელთა შორის ქრისტიანობა I საუკუნიდან ვრცელდება, აფხაზებმა ის VI საუკუნის შუახანებში მიიღეს ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მხრივ ძალდატანებით**

ერთ-ერთი არგუმენტი იმის მტკიცებისათვის, რომ „ძველი“ აფხაზები ქართველები იყვნენ, პ. ინგოროყვას მომხრეების აზრით, ისიც არის, რომ „ბიჭვინთის იადგარსა“ და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც ბიჭვინთის საკათალიკოსოს ეხება, „აფსუური გვარ-ჩამომავლობის მოღვაწეთა და რიგით ადამიანთა ხსენებაც კი არსად არის, როდესაც ყველა მათგანში ქართველები უწყვეტად მოიხსენებიან“. ეს გამოწვეულია იმით, რომ იმ დროისათვის აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქცია კოდორს იქითა ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა, ამიტომაც იქაური მოსახლეობა ამ დოკუმენტში ვერ დაფიქსირდებოდა, რადგან საქმე საეკლესიო გადასახადებს ეხებოდა, ვის რამდენი მართებდა და რა უნდა გადაეხადა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოდორს იქით აფხაზები არ ესახლნენ. მაშინ სწორედ კოდორს იქით იწყებოდა „აფხაზთა ქვეყანა“, რომელიც იმდროინდელ რუკაზეც არის დაფიქსირებული. ასე რომ, **„ბიჭვინთის იადგარი“ სრულებითაც არ ადასტურებს აფხაზთა ქართველობას. „ძველი“ აფხაზები ქართველები რომ არ იყვნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ, თუ მეგრელთა შორის ქრისტიანობა I საუკუნიდან ვრცელდება, აფხაზებმა ის VI საუკუნის შუახანებში მიიღეს ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მხრივ ძალდატანებით. მაგრამ ქრისტიანობას, აკად. ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით, აფხაზებში არასდროს არ ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული, რამდენადაც მათ არ იცოდნენ ღვთისმსახურების ენები (ბერძნული და ქართული), ხოლო აფხაზურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურა არ არსებობდა.**

„ძველი“ აფხაზების ქართველობის მამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად პ. ინგოროყვას თანამოაზრენი იმასაც აღნიშნავენ, რომ ერთ ციდა ტერიტორიაზე, მდ. კოდორიდან მდ. ბზიფამდე, ორი ერი ერთმანეთის გვერდით ვერ იცხოვრებდა და ე. წ. ორი აბორიგენობის თეორია ანტიმეცნიერული და ანტიქართულია და მის ავტორობას მიაწერენ აკად. მ. ლორთქიფანიძეს, პროფ. ნ. ლომოურს, აკად. ე. ხოშტარია-ბროსეს, ხოლო მათ მიმდევრობას — პროფ. ზ. პაპასკირსა და გ. როგავას და სხვ. თეორია შეხედულებათა გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნის სისტემაა. ასეთი სისტემა ორი აბორიგენობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ უცნობია. მაგრამ არსებობს ორი პრინციპული მნიშვნელობის დებულება, რომელიც ეხება ქართველებისა და არაქართველი ტომების საქართველოში ერთდროულად და მხარდამხარ ცხოვრებას, რომელიც მიეკუთვნება აკად. ნ. ბერძენიშვილს. იგი წერს: „ქართველი ტომების ავტოქტონობის აღიარებით, უნდა დავუშვათ არაქართველთა ავტოქტონობაც, ბრძოლა ამ ტომთა შორის და ქართველი ტომების გამარჯვება (ასიმილაცია, განდევნა). „უცხო მოდგმის ტომების გვერდით ქართველური ტომებიც ცხოვრობდნენ“.

და ბოლოს, **კიდევ ერთი არგუმენტი**, რომელსაც ხშირად იყენებენ პ. ინგოროყვას მიმდევრები: ისინი ამბობენ, რომ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი „ძველ“ აფხაზებს ქართველებად მიიჩნევენ და მოაქვთ მათი შრომებიდან ციტატები დამახინჯებული ფორმით, რათა თავიანთი მოსაზრებები გაამართლონ.

კატეგორიულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ არც ერთი მათგანი „ძველ აფხაზებს“ ქართველებად არ მიიჩნევდა. მართალია, რომ ივ. ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში გამოთქვა მოსაზრება (1913წ.), რომ „კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“, მაგრამ უფრო გვიან, 1928 წელს, მან ეს დებულება ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით შეცვალა და თავისი თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს, და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ“. ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ გამოცემაში 1908წ. წერდა: „მთავარი ქართველი ტომები არიან: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები“. იმავეს იმეორებს ს. ჯანაშია ქართველ ტომთა შესახებ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 1943 წელს. ორივე აკადემიკოსის მტკიცებით, აფხაზებს ჰქონდათ საკუთარი, აფხაზური ენა.

რაც შეეხება აკად. ნ. ბერძენიშვილს, ის არაერთგან მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზებმა (იგულისხმება მასა), არ იცოდნენ ქართული ენა, რომ ისინი ინარჩუნებდნენ საკუთარ ენას, რომ აფხაზური ენა ვერ გახდა სახელმწიფოებრივი ენა, რომ დამხვდურ აფხაზებსა და მთიელ აფხაზებს ენა საერთო ჰქონდათ. ენა კი ეთნოსის უპირველესი ნიშანია. **ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზები ეთნიკურად, გენეტიკურად არ არიან ქართველები, ისინი „ქართველები“ მხოლოდ კულტურულ-ისტორიულად. ასეთებად ისინი მეტ-ნაკლებად დარჩნენ XVII საუკუნემდე, მთიელი აფხაზების, ანუ აფსუების ჩამოსვლამდე, რომლის შემდეგაც იწყება მათი თანდათანობითი გაუცხოება ქართველებისაგან, „ახალი აფხაზების“ ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საკუთრივ აფხაზების, აფსუებისა და ქართველთა ეთნოსუბსტრატის საფუძველზე კონსოლიდირებულ ერთიანობას — ერს.**

დღეს იმის მტკიცება, რომ აფხაზების ერად აღიარება დიდი მკრეხელობაა, არამეცნიერული და ანტიქართულია; ჩვენი აზრით, თავის მხრივ, არის დიდი შეცდომა და მტრის წისქვილზე წყლის დასხმა, რაც აშკარად ვნებს ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულ თანაცხოვრებასა და მეგობრობას. ქართველებმა და აფხაზებმა უნდა დაძლიონ ურთიერთმტრობა და დაპირისპირება და, როგორც სავსებით თანასწორუფლებიანმა ერებმა, ერთად უნდა შექმნან დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ერთიანი სახელმწიფო.

https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008

**ტერმინ «აფხაზის» სწორი ახსნა მოცემული აქვს აკად. ს. ჯანაშიას, რომელსაც მიაჩნია, რომ «აფხაზი» (მეგრულად — «აფხაზა») შეიძლება წარმოშობილიყო ტერმინ «აბაძახასაგან», რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს «ქვემო აბაზინელს», ანუ ბარში მცხოვრებ აბაზინელს**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როგორც ცნობილია, კოლხური წარმოშობის მქონე კორიბანტები ფლობდნენ წერის სპეციფიკურ ხელოვნებას, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორები „ოქროთი წერას“ (ოქროდამწერლობას) უწოდებდნენ. კორიბანტებმა ამ ხელოვნებით შექმნილი წარწერები ჩაიტანეს კრეტაზე და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებზე. ოქროთი წერის ამ ტექნიკის აღწერა ვერძის ტყავზე იყო აღწერილი; ქართველ მკვლევართა აზრით (მაგ., ინგოროყვა პ. 1939, 169-170), სავარაუდოდ, სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხელოვნების ამოსაცნობად ჩამოვიდნენ არგონავტები კოლხეთში.

**ნანა შენგელაია,**
**ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# ფესტოსის დისკოს წარწერის ამოკითხვის შესახებ

ეს წერილი მოკლედ განიხილავს იმ ვითარებას, რომელიც ახლდა 1908 წელს ლუიჯი პერნიეს მიერ კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, აღმოჩენილი ე. წ. ფესტოსის დისკოს შესწავლას, შეფასებასა და მისი წარწერის დეშიფრირების ცდებს, სანამ ამ დისკოს ტექსტს პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე ამოიკითხავდა მათემატიკოსი გია კვაშილავა.

ვეცდები, ერთის მხრივ, ვაჩვენო, თუ რამ დააბრკოლა მთელი ამ დროის განმავლობაში ფესტოსის დისკოს ტექსტის დეშიფრირება. ამას გარდა, წარმოვადგენ ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა პოსტულატებისა და თეორიული წანამძღვრების წარმოდგენით შეძლო გ. კვაშილავამ დისკოს ტექსტის ამოკითხვა. აქ ზოგადად ვიტყვი, რომ Mმათემატიკოსმა გ. კვაშილავამ გადაჭრა მანამდე გადაუწყვეტელი საკითხები, წარმოადგინა ფესტოსის დისკოს პრობლემისადმი ახლებური მიდგომა და შექმნა სრულიად ახალი, ზოგადი სახის ალგორითმი ტექსტის წასაკითხად.

უკვე 100 წელია, რაც მე-20 საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკო მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ამ დროის განმავლობაში 16-სანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე დისკოსთან დაკავშირებით სპეციალისტები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ დისკოს ორივე მხარეს დაბეჭდილია გარკვეული სახის ტექსტი, თუმცა თვით ამ ტექსტის რაგვარობის თაობაზე მრავალი სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

2008 წლის შემოდგომაზე ლონდონში ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილმა საგანგებო კონფერენციამ ერთგვარად შეაჯამა დისკოს კვლევის ყველა შედეგი, ცხადად წარმოაჩინა მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები და შეხედულებათა მრავალფეროვნება.

გადაუჭრელ საკითხთა ისეთი სიმრავლე და სირთულე გამოჩნდა კონფერენციაზე, რომ ლამის უკვე დაბეჯითებით გამოცხადდა, რომ მკვლევართათვის ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია; კონფერენციის ორგანიზატორმა ჯ. აიზენბერგმა დასვა შეკითხვა: ხომ არ არის დისკოს წარწერა ნიშნების ნებისმიერად დაბეჭდვით შექმნილი ნაყალბევი?

მაგრამ ამ მოსაზრებამ ვერ პოვა მხარდაჭერა, რამდენადაც წაუკითხავი წარწერაც კი ნიშნების განაწილების ისეთ კანონზომიერებასა და სიმეტრიას ავლენს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა მხოლოდ ის არის ცხადი, რომ ეს ტექსტია, არამედ ფესტოსის დისკოს ტექსტის რაგვარობაზეც მეცნიერთა ჯგუფმა ერთნაირი ზოგადი ვარაუდიც გამოთქვა. კონფერენციის დასასრულს 29 რეგისტრირებული მონაწილიდან 20-მა დისკოს წარწერის ავთენტურობას დაუჭირა მხარი, 5-მა — თავი შეიკავა, ხოლო 4 მონაწილე ფიქრობს, რომ ტექსტი ნაყალბევია. ამდენად, ფესტოსის დისკოს წარწერა ნამდვილ ტექსტად გამოცხადდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით კრეტაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე – არკალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე არსებული წარწერები იმეორებს დისკოს ნიშნებს და, როგორც უკვე ვიცით (კვაშილავა გ. 2008, 230-233), მათი ამოკითხვაც იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რასაც თვით დისკოს წარწერა.

ქვემოთ მოკლედ შევეხები რამდენიმე კონკრეტულ საკითხს.




**ფესტოს დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები: ნიკოლას რიდი, ედმუნდ მერიჯი, გია კვაშილავა, მარკ მერონი, ჯერომ აიზენბერგი და სხვები ლონდონის სიძველეთა შემსწავლელი საზოგადოების (ხელოვნების სამეფო აკადემია) წინ**

## I. ფესტოსის დისკოს ტექსტის შესახებ

### ა. წარწერის შესრულების ტექნიკური მხარე

აღიარებულია, რომ წარწერა შესრულებულია ოქროსაგან საგანგებოდ დამზადებული „საბეჭდი ქვებით“, როდესაც ერთი და იგივე ყალიბი იმდენჯერ გამოიყენა მბეჭდავმა, რამდენჯერაც გვხვდება მოცემული ნიშანი დისკოზე, ამ თვალსაზრისით ფესტოსის დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში ჯერჯერობით ცნობილ ყველაზე ძველ ნაბეჭდ ტექსტს. თუ ფესტოსის დისკო, როგორც ვარაუდობენ, ძველი წელთაღრიცხვის 1850-1700 წლებით თარიღდება, იგი გუტენბერგის მიერ დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნებს (1440-1445 წ.წ.) დაახლოებით 3300 წლით უსწრებს წინ.

წარწერის შესრულების ტექნიკასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანელი მკვლევარის — დ. რუმპელის (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008) მიერ დიუსელდორფში ჩატარებული სამუშაო. მან თვითონ დაამზადა დისკოზე აღბეჭდილი ქალღმერთის მსგავსი ოქროს ყალიბი და ამ ყალიბით თიხაზე დაბეჭდა გამოსახულება, შემდეგ თიხა გამოწვა (ანუ მან, ფაქტობრივად, გაიმეორა დისკოს ტექსტის შექმნის პროცესი). დ. რუმპელის მიერ დაბეჭდილი გამოსახულება გამოწვის შემდეგ უფრო ნატიფი და მკვეთრი გახდა.

მისი აზრით, ოქროს აქვს თიხაში შეღწევის ქიმიური თვისება, რითაც იქმნება მტკიცე შენაერთი, რომელსაც შეუძლია საუკუნეები გაძლოს. ლ. გოდარი თვლის, რომ თიხაზე ოქროს ყალიბებით ბეჭდვა საერთოდ ბეჭდვის ყველა სხვა საშუალებაზე უფრო გამძლე და მტკიცეა. დ. რუმპელის მიერ სხვა მეტალის ყალიბით დაბეჭდილი გამოსახულებები არ გამოდგა ასეთი მკვეთრი — ისინი გაფუჭდა და დაიფშვნა.

**როგორც ცნობილია, კოლხური წარმოშობის მქონე კორიბანტები ფლობდნენ წერის სპეციფიკურ ხელოვნებას, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორები „ოქროთი წერას“ (ოქროდამწერლობას) უწოდებდნენ. კორიბანტებმა ამ ხელოვნებით შექმნილი წარწერები ჩაიტანეს კრეტაზე და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებზე. ოქროთი წერის ამ ტექნიკის აღწერა ვერძის ტყავზე იყო აღწერილი; ქართველ მკვლევართა აზრით (მაგ., ინგოროყვა პ. 1939, 169-170), სავარაუდოდ, სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხელოვნების ამოსაცნობად ჩამოვიდნენ არგონავტები კოლხეთში.**

### ბ. ფესტოსის დისკოს ნიშნების გრაფიკა და თვისებრიობა

აღიარებულია, რომ ფესტოსის დისკოს ნიშნები არის ლოგოგრამები და სილაგოგრამები, ანუ ეს არის სილაბურ-ლოგოგრამული დამწერლობით შესრულებული ტექსტი.

ფესტოსის დისკოს ნიშნების გრაფიკული მახასიათებლების ტიპოლოგია, ამ ნიშნების გრაფიკული მსგავსება სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან ადრეც შეისწავლებოდა.

სპეციალისტების აზრით, დისკოს ნიშნები აშკარა მსგავსებას ავლენს მინოსური A და B ხაზოვანი დამწერლობების, აგრეთვე, კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებთან (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008). გ. ოუენსი თვლის, რომ მ. ვენტრისის მიერ მიკენური პერიოდის ბერძნულით ამოკითხული B ხაზოვანი წარწერის ნიშანთა ფონეტიკური მნიშვნელობებით შესაძლებელია ფესტოსის დისკოს ზოგიერთ ნიშანთა ფონეტიკური წაკითხვაც. აგრეთვე, ფიქრობენ (დ. რუმპელი. იხ. კონფერენციის თეზისები, 2008), რომ ფესტოსის დისკოს ნიშნების ფონეტიკური შედარება A ხაზოვანი წარწერის სტრუქტურებთან დიდი ალბათობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფესტოსის დისკოზე წარმოდგენილი სილაბური ნიშნები ღია მარცვლებს წარმოადგენს.

### გ. ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვის მიმართულება

მნიშვნელოვანია ფესტოსის დისკოს სპირალური ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა; ამ საკითხზე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული.

ეს სხვადასხვაობა ჩანდა ამ საკითხის გადაწყვეტაში ლონდონის 2008 წლის საერთაშორისო კონფერენციაზეც, მაგრამ ახლა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საერთო დასკვნა მაინც ის არის, რომ წაკითხვა სპირალის ცენტრიდან გარეთ უნდა იყოს მიმართული. მკაფიოდ დასაბუთდა გია კვაშილავას მტკიცებულება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების თაობაზე ტექსტის ცენტრიდან გარეთ წაკითხვის შესახებ (ამაზე უფრო დაწვრილებით — ქვემოთ). უნდა ითქვას, რომ კითხვის მიმართულების გასარკვევად საკმაო მასალა ჰქონდათ ხელთ მკვლევარებს, მაგრამ ეს საკითხი მაინც საკამათოდ იყო მიჩნეული.

### დ. ფესტოსის დისკოს ტექსტის შესახებ

**თავისი აღმოჩენის შემდეგ ფესტოსის დისკო მტკიცედ ინახავდა წარწერის საიდუმლოებას ერთი საუკუნის განმავლობაში. არსებობს მრავალი ვერსია იმის თაობაზე, თუ რას ეხება ტექსტი. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ ეს არის პროტო-ბიბლიური ტექსტი, უძველესი მიკენური საზღვაო კალენდარი, სასოფლო-სამეურნეო კატასტროფის აღწერა და სხვა მრავალი** (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008).

მაგრამ არტურ ევანსის მიმდევრები (მკვლევართა დიდი ნაწილი) ფიქრობენ, რომ **ტექსტი წარმოადგენს ჰიმნს ან სხვა სახის რელიგიურ ტექსტს.** უფრო მეტიც, ნ. რიდი, მაგალითად, თვლის, რომ ტექსტის ორი მხარე ერთმანეთისაგან განსხვავებულია (და დაკავშირებულიც) იმით, რომ A მხარეზე მიმართავენ ან ხოტბას ასხამენ ერთ ღვთაებას, ხოლო B მხარეზე კი — მეორე ღვთაებას (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008).

ნ. რიდი ამბობს, რომ ბეჭდვის დროს ფესტოსის დისკოზე 16-ჯერ მოხდა ნაბეჭდის ჩასწორება: მბეჭდავმა საგულდაგულოდ წაშალა და გაასწორა ნაბეჭდი ნიშნები, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექსტის გამიზნული შინაარსის ზუსტი გადმოცემა. ამის საფუძველზე, მეცნიერის აზრით, არა მხოლოდ დასტურდება ტექსტის ავთენტურობა, არამედ ისიც, რომ ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი ან, იქნებ, კანონიკური ტექსტი, რომელშიც დაუშვებელი იყო შეცდომა, ნიშნების შეცვლა, გადასმა და ა.შ.

**ტექსტის განსაკუთრებულ ღირებულებას და მისი ორივე მხარის ერთიან ტექსტად განხილვის აუცილებლობას ადასტურებს ისიც, რომ წარწერისათვის დისკოს ორივე მხარეა გამოყენებული, რაც გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. თიხის დისკოს ორივე მხარეს ბეჭდვას, ცხადია, ზედმეტი ტექნიკური სიძნელეები უნდა შეექმნა მბეჭდავისათვის.**

ახლა შეგვიძლია ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ფესტოსის დისკოს ტექსტი სხვადასხვა თვალსაზრისით იყო შესწავლილი მრავალი გამოჩენილი მკვლევარის მიერ, მისი ამოკითხვა ვერა და ვერ მოხერხდა. გ. კვაშილავას მიერ ტექსტის ამოკითხვამდე მიღებული ყველა დასკვნა ეხებოდა მხოლოდ ტექსტის ნიშანთა გრაფიკულ დახასიათებას, ნიშანთა განაწილებასა და გამოჩენის სიხშირეს, გრაფიკული პარალელების ძიებას, ზოგი ნიშნის შესაძლო ფონეტიკურ გაჟღერებას.

ყოველივე ეს, ცხადია, ტექსტის შინაარსის ცოდნის გარეშე ხდებოდა, კვლევა ერთგვარად „ადგილზე იტკეპნებოდა“, ანუ დისკოს აღწერისა და შესწავლის პროცესში არ მომხდარა ტექსტის ამოკითხვისთვის საკმარისი და საჭირო თვისებრივი სიახლე, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს იკვლევდნენ, როგორც ვთქვით, გამოჩენილი მეცნიერები და ანალიზური კვლევის დიდოსტატები (მაგ., ე. კობერი).

თვითონ წარწერის გარკვეული ვიზუალური სისადავე და სილამაზე არის, ალბათ, იმის მიზეზი, რომ მეცნიერები განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებიან ფესტოსის დისკოს და იმ საიდუმლოსაც, რომელსაც, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, ისინი ვერასდროს ამოიცნობდნენ. როგორც ლონდონის საერთაშორისო ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამოკითხვის შემდეგ ფესტოსის დისკოს ტექსტი უნდა ვაღიაროთ ამქვეყნად ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ტექსტად. ეს არის ჰიმნი-ლოცვა, რომელიც მიმართულია დიდ დედაღვთაება ნენანასადმი, ჰეფესტოსადმი, თარხონისადმიAდა ერთგვარ მიმართვას წარმოადგენს, ასევე, ნენანას (რეა-კიბელეს) მცველების — კორიბანტებისადმი.

◀ კონფერენციაზე ითქვა, **წარწერის მტკიცე ოქროს ყალიბებით შესრულება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მბეჭდავებს სურდათ მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დისკოს ტექსტი უსათუოდ დიდხანს (საუკუნეები) შენახულიყო, რაც ასეც მოხდა, მაგრამ მის წაკითხვას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთო.**

მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი ამბობდნენ, დისკოს ტექსტს ვერ ვკითხულობთ იმიტომ, რომ არ ვიცით, რა ენაზეა იგი შესრულებულიო. **მათ ვერ მოახერხეს დისკოს ენის ამოცნობა. ერთადერთი, რაც მათ სრულიად მტკიცედ და ცალსახად განაცხადეს და რაც ყველა მკვლევარმა გაიზიარა, ის იყო, რომ დისკოს ენა არ არის ძველი ბერძნული** (ამის თაობაზე, აგრეთვე, იხ. ყაუხჩიშვილი თ. 2002, 47, 51).

### ე. მცირე დასკვნა

ახლა შევაჯამოთ ფესტოსის დისკოს კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები მისი ტექსტის ამოკითხვამდე პროტო-ქართველურ ენაზე:

**1. ფესტოსის დისკოს წარწერა არის ტექსტი;**
**2. დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში პირველ ნაბეჭდ ტექსტს;**
**3. ტექსტის საბეჭდი ყალიბები ოქროსაგან იყო დამზადებული;**
**4. დისკოს ტექსტი შესრულებულია წერის სილაბურ-ლოგოგრამული სისტემით;**
**5. დისკოს სილაბური ნიშნები წარმოადგენდნენ ღია მარცვლებს;**
**6. დისკოს ნახატ-ნიშნებს გარკვეული გრაფიკული მსგავსება აქვს მინოსური A და B ხაზოვანი დამწერლობებისა და კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებთან; ასეთ ნიშნებთაგან რამდენიმეს აქვს, აგრეთვე, მსგავსი ფონეტიკური გაჟღერებაც;**
**7. ტექსტი რელიგიური ხასიათისაა და წარმოადგენს ჰიმნს;**
**8. ტექსტის ენა არ არის ძველი ბერძნული.**

## II. ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვის შესახებ გ. კვაშილავას მიერ

### 1. ტექსტის ენის შესახებ

ცხადია, ზემოთ წარმოდგენილი მიღწევები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ წაკითხულიყო ფესტოსის დისკოს ტექსტი. ამდენ ხანს წარმოებული ასეთი ზომის სამუშაოს მიუხედავად, დისკოს დეშიფრირებით დაკავებულმა ბრწყინვალე მეცნიერებმა მაინც ვერ ამოიკითხეს ტექსტი; ამის მიზეზად თვითონვე ასახელებდნენ იმას, რომ ვერ გაირკვა, რა ენაზეა შესრულებული ტექსტი.

მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო: ვარაუდი იმისა, რომ ტექსტის ენა კოლხურია, გამოითქვა 20-22 წლის წინ.

ავსტრიელმა ინჟინერმა ჰ. ძებიშმა, შექმნა კომპიუტერული პროგრამა ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების სტატისტიკური მახასიათებლებისა და მათი განაწილების საფუძველზე; იგი დაინტერესებული იყო ფესტოსის დისკოთი და სურდა დაედგინა, რომელ ენაზეა შედგენილი ტექსტი. ამ პროგრამას ძებიშმა დაუკავშირა ყველა მისთვის ცნობილი ძველი ენა: უძველესი ბერძნული, ბიბლიის ებრაული, ძველი სლავური, სხვა ძველი აღმოსავლური ენები, მაგრამ ამაოდ, ეს ენები პროგრამას არ მიუდგა. წელიწადნახევარიანი ძიების შემდეგ ძებიში წააწყდა გამოკვლევას პროტო-ქართველური ენის შესახებ. შეიტანა მისი მონაცემები კომპიუტერში და აღმოჩნდა, რომ პროგრამამ „უპასუხა" მასალას – მარცვლების განაწილება ეთანადებოდა დისკოს ნიშნების განაწილებას.

ჰ. ძებიშმა გააგრძელა მუშაობა, დაიბეჭდა მისი შრომები და გამოიცა მისი წიგნები იბერიულ-კოლხური ენის შესახებ, რომელსაც იგი ევროპის უძველეს ენას უწოდებს (ბიბლიოგრაფიისათვის იხ. კვაშილავა გ. 2008, 307-308). თავისი შრომის შედეგები მან 1988 წელს ბუდაპეშტის კონგრესს (EIRENE) მოახსენა. **ბუდაპეშტის მოხსენებაში ჰ. ძებიშმა განაცხადა, რომ ფესტოსის დისკო კოლხურ-იბერიულზეა დაწერილი.**

ძებიშის თეორიამ ვერ პოვა გაგრძელება, ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურზე ამოკითხვის მიმართულებით სხვა კვლევა აღარ ჩატარებულა. მაგრამ დისკოს ტექსტი საბოლოოდ (2006 წელს) სწორედ ამ ენაზე ამოიკითხა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ.

### 2. ფესტოსის დისკოს ტექსტის წაკითხვის მიმართულება

მხოლოდ დისკოს ენის არცოდნა და ძებიშის ჰიპოტეზის უგულებელყოფა არ ყოფილა ტექსტის ვერ ამოკითხვის მიზეზი.

კვლევის დროს მეტისმეტი ყურადღება ენიჭებოდა ტექსტის წაკითხვის მიმართულებაზე მსჯელობას, რაც აქამდე მთავარ პრობლემად იყო მიჩნეული. ეს საკითხი „მარტივად" გადაწყვიტა გ. კვაშილავამ:

ფესტოსის დისკოს ტექსტის, როგორც A ისე B მხარეს სპირალის გარე ბოლო უჯრაში მოცემულია **დასასრულის ნიშანი** – ხუთი ვერტიკალური წერტილი. ამ ნიშნის თაობაზე ადრეც მსჯელობდნენ ა. ევანსი და ლ. გოდარი. გ. კვაშილავამ აჩვენა, რომ ამ წერტილების მნიშვნელობა კარგად დასტურდება სხვადასხვა წარწერებში (მაგ., კვიპროსული მარცვლოვანი, ძველბერძნული, ეტრუსკული და ძველი ქართული წარწერები). განკვეთილობის ნიშნები ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (ჯავახიშვილი ივ. 1949, 144-146; ყაუხჩიშვილი თ. 2002, 95, 50), ქართულ დამწერლობაში გამოიყენება VI საუკუნიდან, შემდეგ კი გიორგი მთაწმინდელთან, ეფრემ მცირესთან და სხვებთან.

გ. კვაშილავამ, აგრეთვე, გაითვალისწინა ვ. კეანის მოსაზრება დისკოს A მხარის ცენტრალური ნახატ-ნიშნის — ვარდულის ერთ-ერთი მნიშვნელობის შესახებ, კერძოდ, ეს მნიშვნელობაა „დასაწყისი". გ. კვაშილავას აზრით, სპირალის ცენტრი ვარდულით ტექსტის დასაწყისია და დისკოს B მხარეზე ცენტრში მოთავსებული მთვარის ნიშნის სიმბოლოც დასაწყისის ნიშანია.

ამდენად, მარტივად და ცალსახად განისაზღვრა ტექსტის წაკითხვის მიმართულება **სპირალის ცენტრიდან გარეთ,** ანუ მარცხნიდან მარჯვნივ სპირალის გასწვრივ (საზოგადოდაც, სპირალი ბრუნვის დროს ცენტრიდან გარეთ იშლება და ფართოვდება).

### 3. ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნიშანთა ბრუნვა და გ. კვაშილავას ალგორითმი

ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რამაც დააბრკოლა ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა, იყო მასზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნების სხვადასხვა მიმართულებით დაბეჭდვის, ანუ მათი ბრუნვის ენობრივი ღირებულების უგულებელყოფა. ეს, ალბათ, ზოგადად გამოწვეული იყო მეცნიერთა შორის გავრცელებული წინასწარი განწყობით, რაც ხშირად დიდი ხნით აბრკოლებს კვლევას.

მაგალითად, დისკოზე ლომის თავის ხან ჰორიზონტალურად და ხან ვერტიკალურად, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიმართულად (სულ ოთხი შესაძლებიელი პოზიციაა) დაბეჭდვის მიზეზად ითვლებოდა მბეჭდავის დაუდევრობა. მაგრამ, ამავე დროს, სხვა მკვლევრები ხაზს უსვამდნენ დისკოზე შეცდომების საგულდაგულო გასწორებას (ნ. რიდი და სხვები), რაც ცხადყოფს, რომ ეს ისეთი სახის ტექსტია, რომელიც უსათუოდ უხარვეზოდ, უშეცდომოდ უნდა დაბეჭდილიყო.

ტექსტის შესწავლის დროს გ. კვაშილავამ მისი ამოკითხვისათვის გადამწყვეტი და თვისობრივად ახალი ნაბიჯი გადადგა: მან ღირებულად ჩათვალა ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნიშნების სხვადასხვა პოზიცია სპირალის ხაზის მიმართ, და განსხვავებულ პოზიციაში დაბეჭდილი ერთი და იგივე ნიშნები ფონოლოგიურად და, მაშასადამე სემანტიკურადაც, სხვადასხვანაირად ამოიკითხა. მის მიერ ტექსტის **წაკითხვის მიმართულების დადგენამ მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ გაირკვეს თვით მბრუნავი ნიშნების ამოსავალი პოზიციის განსაზღვრა.**

მეტიც, გ. კვაშილავამ შექმნა **ალგორითმი,** რომელიც ასახავს ამ ბრუნვის დროს ნიშანთა წაკითხვისა და ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე ზოგად კანონზომირებას.

კერძოდ, ალგორითმი განსაზღვრავს დისკოს წარწერის მბრუნავი ნიშნებისათვის მათი მარცვლების წაკითხვის რიგს: სპირალის ხაზისადმი ჰორიზონტალურად დაბეჭდილი ნიშნები იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა; სპირალის ხაზისადმი 900-ით დაბეჭდილი იმავე ნიშნისათვის იკითხება მხოლოდ პირველი მარცვალი, სპირალის ხაზისადმი ჰორიზონტალურად 1800-ით დაბეჭდილი ნიშანი იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა მარცვალთა შებრუნებული რიგით, ხოლო სპირალის ხაზისადმი 2700-ით დაბეჭდილი ნიშნისათვის იკითხება მხოლოდ მეორე მარცვალი.

რა თქმა უნდა, უფრო მეტი დეტალი არსებობს ალგორითმის სრულყოფილი მოქმედებისათვის, მაგრამ ჩვენ მიერ მათი აქ განხილვა ზედმეტია.

მოცემული ალგორითმი წარმოადგენს ფესტოსის დისკოს ტექსტის წაკითხვის გასაღებს. მეტიც, გია კვაშილავას ალგორითმით, **იმავე სისტემითა და იმავე ენაზე იკითხება წარწერები არკალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე; აგრეთვე, კრეტული იეროგლიფური და A ხაზოვანი წარწერებიც.** აქაც ნიშნები სხვადასხვა მიმართულებით არის ამოტვიფრული.

### 4. ხაზების მნიშვნელობა ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოსაკითხად

ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვის დროს, გ. კვაშილავას მიხედვით, მნიშვნელობას იძენს და სხვა თვისებრიობა ენიჭება, აგრეთვე, დისკოს უჯრებში ვერტიკალური და დახრილი ხაზების გამოჩენას.

ეს ხაზებიც, მბრუნავი ნიშნების მსგავსად, სერ ა. ევანსმა და მის შემდეგ ყველა სხვა მკვლევარმა ახსნეს მბეჭდავის აჩქარებით და დაუდევრობით. მაგრამ, როგორც გ. კვაშილავა წერს, დისკოზე კარგად ჩანს, რომ ამ ხაზებს ძალიან ზუსტი პოზიცია უჭირავს, მათი გამოჩენა დისკოს წარწერაზე გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. გ. კვაშილავამ გამორიცხა ამ ხაზების შემთხვევითად გამოჩენა ნაბეჭდ ტექსტში და დაუშვა, რომ ისინი **ფონეტიკურად და სემანტიკურად ღირებულ ნიშნებს წარმოადგენენ.**

აქვე მინდა მხოლოდ დამატებით აღვნიშნო საინტერესო ფაქტი, რომელიც გ. კვაშილავას კვლევას განსაკუთრებულ თვისებას ანიჭებს: ალგორითმი, ისევე როგორც ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა, ნიშანთა ბრუნვისა და ხაზების რელევანტურობის დაშვება და სხვა მიგნებები, თავის საფუძველში ეყრდნობა **თავისთავად ცხად და ბუნებრივ კანონზომიერებებსა** თუ მონაცემებს, ე.წ. **ბუნებრივ ლოგიკას.** ამიტომაც ჩანს ეს მიგნებები მარტივი და ესეც სარწმუნოს ხდის გ. კვაშილავას შედეგებს.

### 5. ლინგვისტური მასალის მნიშვნელობა

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ამოკითხვას ბრწყინვალედ ასაბუთებს ძალიან ზუსტი ლინგვისტური მასალა, რომელიც ქართველური ენების უძველესი საფეხურის რეკონსტრუქციას ეხება (გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. 1965).

ლინგვისტურ მასალას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფესტოსის დისკოს წარწერის დათარიღებაში: დისკოს ტექსტში დასტურდება ისეთი ფონეტიკური მასალა, რომელიც **მხოლოდ პროტო-ქართველურისათვის არის დამახასიათებელი, უფრო გვიანდელი პროცესები, რომლებიც პროტო-ქართველურის დაყოფის შემდეგ მოხდა, დისკოს ტექსტში არ არის ასახული.** იგივე ითქმის პროტო-ქართველურის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თავისებურებაზე და სხვ.

### გ. შეჯამება

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა პროტო-ქართველურ ენაზე შესაძლებელი გახდა, პირველ რიგში, ყველა იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომლებიც თვით ფესტოსის დისკოს ეხება.

ეს არის: დისკოს დათარიღება, მისი თიხის მასალის თავისებურება, ბეჭდვის სახე; გათვალისწინებულია, აგრეთვე, ყველა ის ანალიზი, რომელიც გაუკეთდა ტექსტს, ის მასალა და მოსაზრებები, რომელიც მანამდე გამოითქვა დისკოს შესახებ. ასევე გათვალისწინებულია ძველი ბერძნული და სხვა ევროპული თუ ქართული წყაროები, გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა; კარტოგრაფია, მიგრაციები, მითოლოგია. შესწავლილია ის დამწერლობები და ენები, რომლებიც რაღაცნაირად მაინც უკავშირდება ფესტოსის დისკოს წარწერას.

ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა ამოკითხვა მოხდა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, აგრეთვე, სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან გრაფიკული, ფონეტიკური და სემანტიკური პარალელების დადგენის საფუძველზე. მთელი ამ მასალის სიუხვემ გააბათილა სირთულე, რაც განპირობებულია ამ სილაბურ-ლოგოგრამული ნიშნებით დღემდე მხოლოდ ერთი გაბმული ტექსტის – ფესტოსის დისკოს წარწერის არსებობით და, ამავე დროს, მანვე გახადა სარწმუნო ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე ამოკითხვა.

**ამოკითხვის შემდეგ ფესტოსის დისკოს ტექსტი უნდა ვაღიაროთ ამქვეყნად ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ტექსტად. ეს არის ჰიმნი-ლოცვა, რომელიც მიმართულია დიდ დედაღვთაება ნენანასადმი, ჰეფესტოსადმი, თარხონისადმიAდა ერთგვარ მიმართვას წარმოადგენს, ასევე, ნენანას (რეა-კიბელეს) მცველების — კორიბანტებისადმი.**

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახადა გ. კვაშილავას დიდი ხნის განუზომელმა და თავდადებულმა შრომამ და ნიჭმა.

ტექსტის გაშიფვრისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, რომ გ. კვაშილავა ღია აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ იყო შეზღუდული წინასწარი განწყობით, რაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხშირად ყველაფერში ასე ძალიან გვიშლის ხელს.

ყოველივე ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან ერთი საუკუნის შემდეგ გია კვაშილავამ ამოიკითხა XX საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკოს წარწერა.




### დამოწმებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. 1965. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. *მეცნიერება. თბილისი, 1965.*

2. ინგოროყვა პ. 1939. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა I. *მნათობი №1. თბილისი, 1939.*

3. კვაშილავა გ. 2008. კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის — ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008, 202-308. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 26-45.*

4. კონფერენციის თეზისები, 2008. ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის თეზისები. 31.10-1.11.2008 *(ინგლისურ ენაზე).*

5. ყაუხჩიშვილი თ. 2002. ბერძნული ეპიგრაფიკა. *ლოგოსი. თბილისი,* 2002.

6. ჯავახიშვილი ივ. 1949. ქართული დამწერლობათამცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1949.*

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საირმის წყლის უნიკალურობა ისაა, რომ ის ადგილზე უნდა დაილიოს, საიდანაც მოედინება. მისი დაგროვება, შენახვა და ტრანსპორტირება დაუშვებელია. ამ ხელისუფლებამ კი გააკეთა რეზერვუარები, რომლებშიც გროვდება საირმის წყალი და ამას სთავაზობენ დამსვენებლებს.“

# ნაირა მესხია: საირმის ცნობილი წყლები მამაჩემის ბიძამ — გრიგოლ ქანთარიამ აღმოაჩინა

**ამ დღეებში ზუგდიდში შევხვდი საირმის მკვიდრს, ამჟამად ქუთაისში მცხოვრებ, მომღერალ ნაირა მესხიას და ჩვენი საუბარიც სახელგანთქმული კურორტ საირმის ისტორიაზე და დღევანდელობაზე აეწყო. საუბრისას მან სინანულით აღნიშნა, რომ „საირმის ცნობილი წყლები მამაჩემის ბიძამ — გრიგოლ ქანთარიამ აღმოაჩინა. არადა, ამის შესახებ არავინ იცისო“.**



**— ქალბატონო ნაირა, მქონდა ბედნიერება, 2001 წელს საირმეში შევხვედროდი მამათქვენს — ვალიკო მესხიას. მან მიამბო საირმის აღმოჩენის ისტორია, რომელიც გამოვაქვეყნე ზუგდიდის ადგილობრივ გაზეთში. ასე რომ, ეს მოვლენა არ ყოფილა მიჩქმალული.**

— ვიცი ამის შესახებ, სტატიაც წაკითხული მაქვს, მაგრამ... მამაჩემი მაშინ 85 წლის მოხუცი იყო და ყველაფერი ვერ მოგიყვათ დალაგებულად.

მამაჩემის ვალიკო მესხიას ბიძა დედის მხრიდან გრიგოლ ქანთარია დაიბადა წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში 1885 წელს. როდესაც 18 წლის გახდა, ბიძაშვილებმა ვანში წაიყვანეს, სადაც ისინი საქონელს აძოვებდნენ. მაშინ ვანს განაგებდა საშა ერისთავი, რომელსაც ძალიან მოეწონა გრიგოლ ქანთარია და მას თავისი საქონელიც ჩააბარა. ერთ დღეს საქონელი არ მოვიდა და გრიგოლი გაემართა დაკარგული საქონლის საძებნელად. მან რაღაც უცნაური კვალი ნახა და გაჰყვა ამ კვალს, რომელმაც ჩაიყვანა იმ ტყეში, სადაც ახლა საირმეა. მინდორი და წყალი გაწითლებული იყო. გრიგოლმა ნახა ირმების ჯოგი, რომლებიც ამ წყალს სვამდნენ. „მუამბე რე თაქ, ოირემე რენო?“ (რა ამბავია აქ, საირმე არისო?) — წარმოუთქვამს გრიგოლ ქანთარიას. ეს წყალი თვითონაც დაულევია და ძალიან მოსწონებია. ეს ყველაფერი მას საშა ერისთავისთვის მოუხსენებია. მაშინ ერისთავს დაუვალებია, რომ რამდენიმე ბოთლით მოეტანა ეს წყალი მისთვის. საშა ერისთავმა თავისი მღვდელი ბიძა გააგზავნა სანკტ-პეტერბურგში, რომელმაც წაიღო საირმის წყალი იქაურ ლაბორატორიაში გასასინჯად. საირმის წყალი აღმოჩნდა უნიკალური წყალი თავისი მრავალფეროვანი შემადგენლობით. სანკტ-პეტერბურგიდან გამოუშვეს ექიმი ციციშვილი, რომელმაც საექსპერიმენტოდ დაავადებული მაიმუნები ჩამოიყვანა. ციციშვილს გვერდით გრიგოლი და მისი მეგობრები ედგნენ. სამ წელიწადში დაავადებული მაიმუნები სრულიად განიკურნენ.

ერისთავის ძალისხმევით საცალფეხო გზით გრიგოლმა საირმე ბაღდადს დაუკავშირა. 1925 წლიდან დაიწყო საირმის კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ გრიგოლი და მისი უმცროსი ძმა პეტრე. აიგო პატარ-პატარა დასასვენებელი სახლები და ხალხს მიეცა ამ უნიკალური წყლით მკურნალობის საშუალება. გრიგოლს ზუგდიდშიც ჰქონდა სახლი, სადაც ხანდახან ჩამოდიოდა ხოლმე, მაგრამ მთელი ცხოვრება საირმეში გაატარა, სადაც გარდაიცვალა 1959 წელს.

**— ქალბატონო ნაირა, შთამომავლობა თუ დარჩა გრიგოლ ქანთარიას?**

— მას ოთხი შვილი ჰყავდა. ამჟამად ცოცხალია მისი ქალიშვილი — ქალბატონი ვარდო ქანთარია. იგი 87 წლისაა და ზუგდიდში ცხოვრობს. მრავლად არიან შვილიშვილები და შვილთაშვილები.

**— მამათქვენი — ვალიკო მესხია როგორ მოხვდა საირმეში?**

— მამაჩემი 8 წლის ყოფილა, როცა 1924 წელს გრიგოლს საირმეში წაუყვანია. ასწავლა მას ნადირობა და ისიც ბოლომდე დარჩა საირმეში — 2005 წელს გარდაიცვალა 85 წლის ასაკში. ამჟამად საირმეში თავისი ოჯახით ცხოვრობს ჩემი და — ნაზი მესხია. ჩვენი დიდი სურვილია, რომ იქ ჩვენი ფუძე არ დაიკარგოს, არ მოიშალოს. მეც საირმის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

**— ქალბატონო ნაირა, ამჟამად რა ვითარებაა საირმეში?**

— ძალიან ცუდი. როდესაც თავის დროზე საირმეში მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე იყო ამოსული, გვითხრა: „ააშენეთ საირმეში სახლები, გააშენეთ სოფელი და მოამარაგეთ ადგილობრივი პროდუქტებით საირმის დამსვენებლები“. მჟავანაძის შემდეგ იგივე გაიმეორა შევარდნაძემაც. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი პირიქით ყველაფერი წაართვა ადგილობრივებს. ამჟამად საირმის აღმომჩენის — გრიგოლ ქანთარიას შთამომავლებს თითქმის არაფერი გააჩნიათ. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, ნაზი მესხიას ის ჯიხურიც დაუნგრიეს, საიდანაც ის დამსვენებლებს ნატურალური ნაწარმით: თაფლით, ყველით თუ სხვა პროდუქტებით ამარაგებდა. ამჟამად საირმელებს საკუთარი ნაწარმის გაყიდვის უფლება არ აქვთ. ბაზარიც ქვევით ჩაიტანეს, რაც დამსვენებელთა უკმაყოფილებას იწვევს.

საირმეში ყველაფერი გაძვირდა, განსაკუთრებით საგზური. ცნობილია, რომ საირმის წყლის უნიკალურობა ისაა, რომ ის ადგილზე უნდა დაილიოს, საიდანაც მოედინება. მისი დაგროვება, შენახვა და ტრანსპორტირება დაუშვებელია. ამ ხელისუფლებამ კი გააკეთა რეზერვუარები, რომლებშიც გროვდება საირმის წყალი და ამას სთავაზობენ დამსვენებლებს. მე მახსოვს, გასული საუკუნის 50-იან წლებში უცხოელი სპეციალისტები იმყოფებოდნენ საირმეში, რომლებმაც დაადგინეს, რომ საირმის წყლის დაგროვება და დაგუბება არ შეიძლება. ამის გამო შარშან ბევრმა დამსვენებელმა დატოვა საირმე.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# სააკაშვილი, როგორც ჩანს, ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერს ილონებს

**სულ რაღაც ხუთი თვე რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოში, რასაც ქვეყნის პარლამენტის სრული შემადგენლობის განახლებისა და უკიდურესად ანომალიური სიტუაციის დასრულების იმედი უკავშირდება. ის ანომალიურია, რადგან საქართველოს პარლამენტში არ არიან პოლიტიკური პარტიები – მათ ოთხი წლის წინ უარი თქვეს მანდატებზე, არ აღიარეს რა თავად არჩევნების შედეგები, რასაც სააკაშვილის პარტიის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) გამარჯვება მოჰყვა. მათ პარლამენტის 150 ადგილიდან 119 დაიკავეს.**



ოპოზიციონერი პოლიტიკოსების თქმით, კენჭისყრის დროს ადგილი ჰქონდა უმძიმეს დარღვევებს და გაყალბებას სააკაშვილის სასარგებლოდ, შესაბამისად, ოპოზიციამ მიიჩნია, რომ ამ შედეგების ლეგიტიმურად ცნობა არასწორი იქნებოდა. თავად ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დამკვირვებლებმაც აღიარეს კენჭისყრის პროცესში მრავალრიცხოვანი დარღვევა, მაგრამ მიიჩნიეს, რომ ეს არჩევნები ყველა წინა არჩევნებზე უკეთესი იყო...

შედეგად, დასავლური მთავრობების შუამავლობით, ამ პოლიტიკოსების ნაწილი ოპოზიციის რიგებიდან დათანხმდა პარლამენტში შესვლას, მაგრამ მათ ძალთა წონასწორობაზე რაიმე ზეგავლენის ან ამ ბალანსის შეცვლის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ. 2008 წლიდან დღემდე სააკაშვილის პარტიას, მის „ბულგარულ უმრავლესობასთან“ ერთად, არასდროს შექმნია პრობლემები მმართვისა და კანონების მიღების თვალსაზრისით.

**სამწუხაროდ, უამრავი ანალიტიკოსი ეთანხმება იმას, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ გამართულა არც ერთი სერიოზული პოლიტიკური დებატი ქვეყნის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის.** მმართველობის ეს „ერთპარტიული“ სტილი პარლამენტში ნაგატიურად აისახა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტების „ზრდასა“ და „სიმწიფეზე“.

**დღეს საქართველოს შიდა პოლიტიკა უკიდურესად რთულია. პრეზიდენტი სრულიად მოწყვეტილია ქვეყნის ოპოზიციური პარტიების ლიდერებს. ხელისუფლების პარტია მკვეთრად უპირისპირდება ოპოზიციას და ოპოზიციონერებს და, როგორც ეს ადრეც აღვნიშნეთ, ხშირად იყენებს რუსულ საფრთხეს იმისთვის, რომ ოპოზიციის ლიდერების დისკრედიტაცია მოახდინოს და ადგილობრივ მოსახლეობას მათი მტერთან (ამ შემთხვევაში კრემლთან) „კოლაბორაციონიზმზე“ ეჭვები გაუჩინოს. ოპოზიცია კი თამაშის ტაქტიკის შეცვლას ცდილობდა და ერთადერთი კანდიდატის ირგვლივ დაიწყო გაერთიანება.**

ახალი კანდიდატი ბიძინა ივანიშვილია, ფრანკო-ქართველი მილიარდერი, ბიზნესმენი, რომელიც ღირსეული კანდიდატის სახით სცენაზე რამდენიმე თვის წინ გამოვიდა. მან განაცხადა, რომ პოლიტიკაში ერთვება, რათა სააკაშვილი დაამარცხოს და საქართველოში დაამყაროს „რეალური დემოკრატია და არა მისი კარიკატურა“. ბიძინა ივანიშვილმა უკვე შექმნა პარტია „ქართული ოცნება“ და დაიწყო მანიფესტაციის ორგანიზება თბილისში ნიადაგის მოსასინჯად და ხალხის რეაქციის გასაგებად. ამ წლის მაისში სააკაშვილის საწინააღმდეგო მანიფესტაციაზე მან ქუჩაში 50 000-დან 100 000-მდე ადამიანი გამოიყვანა, ქვეყანაში, სადაც სულ ოთხი მილიონი მცხოვრებია.

იმავე დღეს მან საკუთარი პარტიის პროგრამა წარმოადგინა და ქვეყნის აღორძინების პირობა დადო, დაიწყო რა ქართული საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენით, რომელსაც ისეთი თემები აინტერესებს, როგორიცაა პენსია, მინიმალური ხელფასი, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. მან განაცხადა, რომ აპირებს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და ნატოსთან კავშირების განმტკიცების პოლიტიკის გაძლიერებას, რათა ალიანსში გაწევრიანების პროცესი დააჩქაროს და ასე შემდეგ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ოპოზ- ►

„ამ ხელისუფლებას აფხაზეთი საერთოდ არ ახსოვს, ამიტომ მე მათგან არაფერს ველი. ახლა საქართველოში ახალი ძალა მოქმედებს და ჩვენც იმედით შევყურებთ მას. ვინაიდან ამ ხელისუფლებამ ნდობის ლიმიტი მთლიანად ამოწურა, ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია კოალიცია „ქართული ოცნებისკენ“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა მოხდა გასულ ოთხშაბათს რადიო «ობიექტივის» ეთერში და მის გარეთ

**6 ივნისს, როგორც ყოველ ოთხშაბათს, „ობიექტივის“ რადიოეთერში და ინტერნეტსაიტზე „საქართველო და მსოფლიოს“ მიმოხილვა გადის. ეს გადაცემა ნანა დევდარიანს მიჰყავს.**

იმ დღეს მე მთხოვა გაძღოლა.

მივედი. ჩემთან ერთად არიან სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე (ტიტულების და თანამდებობების ჩამოთვლას აქ შევწყვეტ) გურამ საღარაძე და ბოლნისის საკრებულოს დეპუტატი მალხაზ ერაძე.

ორივენი თავთავიანთი პრობლემებით „გამოდიან ხალიჩაზე“.

საუბრობენ მწვავე საკითხებზე. ეტყობა, საინტერესოდ, უკომპრომისოდ, რადგან მსმენელები ერთიმეორის მიყოლებით რეკავენ და აქტიურად ერთვებიან განსჯა-განხილვაში.

სახალხო რადიოპროგრამაა.

და აი, მივადექით იმ დღეების სენსაციურ მოვლენას — ახალგაზრდა მოჭიდავეები, ფაქტობრივად ქვეყნის ნაკრები, „ქართული ოცნების“ მხარეს დგებიან.

სახელგანთქმულმა ქართველმა მოჭიდავემ ზარბეგ ბერიაშვილმა ამასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთს განუცხადა:

**„— ასე უნდა მოიქცეს ყველა წესიერი ადამიანი, ვინც ობიექტურად შეაფასებს ბიძინა ივანიშვილის უშურველ ქველმოქმედებას. პირდაპირ ჩაწერეთ: ვინც არ არის დახვეწილი არამზადა, ბიძინას გვერდით უნდა იდგეს“!**

გურამ საღარაძე ამბობს, რომ სრულიად ეთანხმება ზარბეგს.

რადიომსმენელებიც. ერთსულოვნად.

მათ შორისაა ჩვენი კოლეგა დავით მხეიძე, რომელიც, როგორც ყოველთვის, თავის პუბლიკაციებში ამჯერადაც (ტელეფონით უკავშირდება სტუდიას) დანის პირზე გადის:

**— მართალს ამბობენ საღარაძეც და ბერიაშვილიც, მაგრამ ჩვენ, ჟურნალისტები, ყოველთვის ბოლომდე არ მივყვებით სიმართლეს, სათქმელს ბოლომდე არ ვამბობთ. აი, მაგალითად, ჩვენი საყვარელი მეგობრის** (ასახელებს სახელსა და გვარს) **შვილები, ცნობილი ფეხბურთელები ცრუპენტელა ტელეარხების ხან ერთ შოუში სხედან, ხან მეორეში მონაწილეობენ, მაგრამ არ აფიქსირებენ თავიანთ მოქალაქეობრივ პოზიციას. ვის მხარეს ხართ, ძმებო?**

ისევ რეკავენ:

**— სპორტის პოლიტიზაციას ცდილობთ, —** გვიტევს მსმენელი, **— რა არის კარგი იმაში, როცა სპორტსმენები პოლიტიკურ მიდრეკილებებს ამჟღავნებენ?! ჭიდაობას მიხედონ.**

**— აშკარად მიშისტია**, — შენიშნავს მალხაზ ერაძე, **— დეპოლიტიზაციის მოშველიებით ცდილობს, დაფაროს, რომ გულზე არ ეხატება მოჭიდავეების დემარში.**

გურამ საღარაძე თავის პოზიციაზე დგას:

**— არ არის ეს პოლიტიზება. ადამიანს თავისი აზრი, საკუთარი რწმენა თუ აქვს, რა არის ამაში ცუდი? სპორტსმენები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მოაზროვნე ადამიანები. მე, მაგალითად, ყოველთვის საქართველოისტი ვიყავი, თუმცა საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით გამოვდიოდი.**

დავით მხეიძე ისევ რეკავს (ყოჩაღ, დათო! მოახერხა ამ გადატვირთულ ეთერში მეორედ შემოღწევა).

**— საქართველოისტობა დღეს ბიძინა ივანიშვილის მხარეს დგომაა.**

ამ დროს კი „მაესტროს“ ეკრანზე „ქართული ოცნების“ ლიდერის სამეგრელოს სოფლებში წინასაარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების ფრაგმენტებს გადასცემენ, კერძოდ, ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ „კინბოქსელთა“ ნაძალადევ და წყალწყალა აქციას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

**ეტყობა ეს-ესაა წამოაყენეს „ხალიავა“ სუფრიდან. ერთი, რომელიც აქციის ხელმძღვანელობაზე დებს თავს და ჯერ კიდევ შერჩენია დანაწევრებული საუბრის უნარი, ხრინწიანი ხმით ისე ალაპარაკდება, თითქოს თამადა მასთან ალავერდს გადასულიყოს:**

— კინბოქსელები დღევანდელ ხელისუფლებას ვუჭერთ მხარს, იმიტომ, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში დადგა ჩვენი სახეობა და ყველა სახეობები ფეხზე... დღევანდელ ხელისუფლებას ვუჭერთ ბოლომდე (არ შეწყვიტოთ, მოუჭირეთ, მოუჭირეთ!). **მე ძალით არავინ გამომიყვანია. ყველა სპორტსმენი არის თავისით გამოსული** (კარგად დაუსწავლია ჩაძახილი). **ყველა თავის აზრს გამოხატავს** (ცოტაც, და ვნახავთ, როგორ გამოხატავენ). **აიყვანეთ** (პოლიციის ტერმინოლოგიიდანაა!), **უთხანა** (?!) **იმიტომ არა, რაღაცა და რილაცის გამო.**

ჰოდა, „აიყვანეს“ მაესტროელებმა ერთი შავმაისურიანი „თავისით გამოსული“, რომელიც, არ ვიცი, „მახათის მთის ეპიზოდის“ გათამაშებას ცდილობდა, თუ მომაკვდავი გედის პარტიის შესრულებას მსუქანი მკლავების ნარნარი მოძრაობითა და ნახევარპირუეტების მონდომებული დემონსტრირებით, მაგრამ მჭევრმეტყველებდა:

**— დღეს შედგა, ეეე... ეს ყველაფერი... ეეე. მთლიანად ბატონი ირალი** (ირაკლი?) **ჩამოვიდა... ყველაფერი აქ... ეეე, ესე იგი, ჩამოაყალიბა. თვითონ ეეე რაღაც რასაც რაც... ეეე სჯეროდა.**

აი, ასე დამაჯერებლად გაგვაგებინა, რომ ზუგდიდის რაიონის კინგბოქსმენები სულაც არ არიან პოლიტიზებულნი.

ეეე!

დოუ ნანა, დოუ ნანა.

აწრიალდნენ ხუთკაციანი „საპროტესტო აქციის“ მონაწილენი: ფორსირებაა საჭირო, თორემ უვარდებათ ღონისძიება:

**— გაწი კამერა!**

— რატომ უნდა გასწიოს კამერა?

**— პუტინს გადაუღე!** — გააქტიურდება მამალი ქალბატონი და თანასოფლელთა ზურგს უკან სასწრაფოდ მიიმალება: რაც დაავალეს, გააკეთა. დანარჩენზე დანარჩენებმა იზრუნონ...

**— მი-შაა, მი-შაა, ოუუ!** — წამოიწყებს ერთი. აჰყვებიან სხვები.

უსტვენენ, არ გამოსდით!

**— ფხსშშშ...**

უფშტვენენ.

სიმთვრალე, მიშა და დავალება „ზაგრადიტელნი ბატალიონივით“ უკან უდგანან და ესენიც, სხვა გზა რომ არ აქვთ, მომტირალი ქალებივით ულიმღამოდ ცდილობენ, იყვირონ:

**— მი-შააა... მი-შაა!**

მი-რე-დო და „დოუ ნანა, დოუ, დოუ...“

კადრში ბატონი ივანიშვილი მსხვილი პლანით, მშვიდად:

**— ესაა სააკაშვილის დემოკრატია!**

ანუ — დეპოლიტიზებული სპორტი.

**არმაზ სანებლიძე**

---

◀ იციური პარტიების ალიანსი ჩამოაყალიბა და სახალხო მხარდაჭერის მოპოვება დაიწყო, სააკაშვილის პარტია თავად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პირდაპირ შეტევაზე გადავიდა.

ეს სერიოზული საქმეა და ის ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების უმკაცრესი დაკვირვების ქვეშაა, პოლიტიკოსების, რომლებმაც ეს ამბავი ცუდად აღიქვეს. თავდაპირველად საქმე ბიძინა ივანიშვილის ორმაგ მოქალაქეობას ეხებოდა, რისი გამოყენებაც სააკაშვილს თავის სასარგებლოდ სურს. ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის პოზიცია ძალიან მკაცრია. ითქვა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ის, რომ მას არასდროს არ მიუნიჭებია ივანიშვილისთვის ორმაგი მოქალაქეობა (საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ) და, შესაბამისად, მას საფრანგეთის მოქალაქედ მიიჩნევს. ამ გზით ადგილი აქვს ივანიშვილისთვის არჩევნებში კანდიდატურის დაყენებაზე უარის თქმის მცდელობას, მაგრამ ასეთი უარის მიზეზის არგუმენტირება მართლაც რთულია.

**კანონი ორმაგ მოქალაქეობაზე თავად სააკაშვილმა შემოიღო და ამისთვის მას პოლიტიკოსები მკაცრად აკრიტიკებდნენ. მოკლედ თუ ვიტყვით, ორმაგი მოქალაქეობა, ფაქტობრივად, დაშვებულია: კანონი ეხება დაბადებით ქართველებს, რომლებიც მეორე მოქალაქეობას სხვა ქვეყანაში იღებენ. ის განსხვავდება საქართველოში უცხოელი მოქალაქეების ნატურალიზაციის შესახებ კანონისგან. ის ძალაშია მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ოფიციალური თანხმობის შემდეგ. ჩვეულებრივ ასეთ თანხმობას რეგულარულად აძლევენ ყველას, ვინც განაცხადს წარადგენს, და დღემდე ამ ტიპის პრობლემები არ დაფიქსირებულა.**

რა თქმა უნდა, ყველა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა და ქვეყნის საზოგადოების დიდმა ნაწილმა, თბილისსა და მის შემოგარენში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ინტერვიუების შედეგების მიხედვით, ამ უარის უკან პოლიტიკური მოტივი დაინახა. ისინი საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის ჩარევას და ივანიშვილთან დაკავშირებული სიტუაციის უფრო ყურადღებით გაანალიზებას მოითხოვენ.

**შესაბამისად, საქართველოში არსებული სიტუაცია დღეს ძალიან დინამიკურია: ერთის მხრივ, ბევრი ოპოზიციური პარტია შეთანხმდა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებაზე საკუთარი პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდის მიზნით; მეორე მხრივ კი, მხარდაჭერის დაკარგვითა და დასავლეთის მხრიდან ერთგვარი კრიტიკით შეწუხებული სააკაშვილის პარტია ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნებისთვის ყველაფერს გააკეთებს.**

**როგორც ჩანს, საქართველოს შიდა პოლიტიკას ცხელი ზაფხული ელის, თანაც ბევრი რამ დამოკიდებულია იმ ოფიციალურ პოზიციაზე, რომელსაც აშშ და ევროკავშირი დაიკავებენ.**

L'OCCIDENTALE

---

## მურმან მალაზონია: ამ ხელისუფლებამ დევნილებში საპროტესტო მუხტი ჩაკლა

**პოსტშევარდნაძის ეპოქაში ზუგდიდში ჩასახლებულ დევნილებს არც ერთხელ არ ჩაუტარებიათ საპროტესტო აქცია, მაშინ, როდესაც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ენგურის ხიდთან ყოველ წელიწადს რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციები იმართებოდა სხვადასხვა, მათ შორის ძალიან რადიკალური, მოთხოვნებით. ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი გაზეთის მკითხველებს საკუთარ მოსაზრებას უზიარებს ზუგდიდში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი მურმან მალაზონია.**

— შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს აქცია აქციაზე იმართებოდა, შექმნილი იყო საკოორდინაციო საბჭო იმისათვის, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოგვარებულიყო. მაშინ ხელისუფლებისგან წინააღმდეგობის გაწევას ვერ ვგრძნობდით, უფრო მეტიც — ხელსაც გვიწყობდნენ, რომ საპროტესტო აქციები მოგვეწყო. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი ეს საპროტესტო მუხტი დევნილებში ჩაკლა, რაც გარკვეულწილად განაპირობა შიშმა, რომელიც ამ ხელისუფლებამ დათესა.

**— ბატონო მურმან, როგორ ფიქრობთ, დაიძლევა ეს შიში და დაუბრუნდებათ დევნილებს რწმენა?**

— ადამიანი ყოველთვის იმედით ცხოვრობს. **ამ ხელისუფლებას აფხაზეთი საერთოდ არ ახსოვს, ამიტომ მე მათგან არაფერს ველი. ახლა საქართველოში ახალი ძალა მოქმედებს და ჩვენც იმედით შევყურებთ მას. ვინაიდან ამ ხელისუფლებამ ნდობის ლიმიტი მთლიანად ამოწურა, ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია კოალიცია „ქართული ოცნებისკენ“.** პირველ რიგში მათ უნდა გამონახონ დრო და შეხვდნენ დევნილთა წარმომადგენლობებს; აგვიხსნან, როგორ აპირებენ ქართულ-აფხაზური პრობლემების მოგვარებას, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას, რომლის გარეშეც ქართულ აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საჭიროა კოალიციისა და დევნილი საზოგადოების ხშირი შეხვედრები, დიალოგები, რათა შეიმუშაონ პროგრამა, რომელშიც მარტივი და გასაგები ენით იქნება მოცემული, თუ რას და როგორ აპირებენ.

**— რა ხდება ამჟამად აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში?**

— ძალიან რთული ვითარებაა. გალში მცხოვრები ქართველები გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან. გალში კი კეთდება რაღაც-რაღაცები, მაგრამ მათთვის ყველაზე კატასტროფულია გადაადგილების პრობლემა — გალი-ზუგდიდს შორის სატრანსპორტო მოძრაობა შეზღუდულია. ეს საკითხი კი ჩვენს ხელისუფლებას სულაც არ ადარდებს. რა აზრი აქვს ამდენ ორმხრივ მოლაპარაკებას, თუ მათ არანაირი შედეგი არ მოაქვს.

**— ბატონო მურმან დევნილები უკეთეს მდგომარეობაში არც აქ, ენგურს გამოღმა, ცხოვრობენ, მაგრამ ბევრი ამ ხელისუფლების მომხრეა, რა არის ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზის გარკვევა, ალბათ, გამიძნელდება. სამწუხაროდ, დევნილები კმაყოფილდებიან ძალიან მცირედით (როგორიცაა საცხოვრებელი ფართი, ვაუჩერები). **იმის გამო, რომ ხელისუფლებამ საცხოვრებელი ფართი მომცა, მხარს მაინც არ დავუჭერ. ასე უნდა მოიქცეს ყველა დევნილი. ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია მშობლიურ კუთხეში ჩვენს დასაბრუნებლად.** მე საყვედურს გამოვთქვამ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართ. და საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია, რას საქმიანობენ ისინი, მაშინ, როცა ჩვენთან — დევნილებთან შეხვედრას გაურბიან.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

— პირველ რიგში, საჭიროა პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან, ასევე აუცილებელია სახალხო დიპლომატიის ამოქმედება. ჩემი არასამთავრობო ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებაა მტრის ხატის მოშლა ქართველებსა და აფხაზებს შორის. რეალურად დასაწყებია პროექტების შემუშავება, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან როგორც ქართველები, ისე აფხაზები. აუცილებელია ურთიერთობა აფხაზეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი ბიზნესის წარმოება ქართველებისა და აფხაზების მიერ. ყოველივე ამას სჭირდება ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, წახალისება, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან არანაირი წახალისება და მხარდაჭერა არ გვაქვს. უფრო მეტიც, ხელსაც გვიშლიან. **მათთვის პრიორიტეტი არ არის ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის აღდგენა. და ბოლოს, რაც მთავარი და აუცილებელია, ესაა დიალოგის დაწყება რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა მასთან, რაც შეეხება ნატოს, არანაირი ნატო არ გვინდა, თუ იქ საქართველა აფხაზეთის გარეშე შევა.**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოფიციალური ჩინეთის მონაცემებით, 2012 წლის ბიუჯეტი არის 106 მილიარდი დოლარი, რაც 11%-იან ზრდას ნიშნავს გასული წლის მონაცემებთან შედარებით და ათი წლის წინანდელი მაჩვენებლის გაოთხმაგებას, თუმცა პენტაგონი ჩინეთის მთლიან სამხედრო დანახარჯებს 120-დან 180-მილიარდ დოლარამდე აფასებს. ამ იდუმალებით მოცული ციფრის ზუსტ გაშიფვრას პენტაგონი ხელს არ ჰკიდებს — კალკულატორებით შეიარაღებულ ამერიკელებს ჩინეთის თავდაცვის აღრიცხვიანობის „გამჭვირვალობა“ არ აკმაყოფილებთ.**

# ჩინეთი შეიარაღებას ზრდის, ამერიკა შფოთავს



**აშშ-ის ახალი შიში ჩინეთის სამხედრო მანქანის მიმართ 2011 წელს გაჩნდა, მაშინ, როდესაც ჩინეთის ხელისუფლებამ თავდაცვისათვის დაგეგმილი ხარჯების შესახებ განაცხადა. 2012 წლის იანვრის დასაწყისში ბარაკ ობამამ თქვა, რომ ქვეყნის სამხედრო ხარჯების საბიუჯეტო შემცირება გავლენას არ მოახდენს აშშ-ის შესაძლებლობაზე, სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებთან კონკურენციას გაუძლოს. აშშ-ის სტრატეგიულ მოწინააღმდეგეთა შორის ობამამ გამოყო ირანი და ჩინეთი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პეკინი გრძელვადიან პერსპექტივაში სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენს აშშ-ის ეკონომიკასა და სამხედრო სფეროზე. შეიარაღებულ ძალთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ბაკმაკეონმა კი სამხედრო რესურსების შემცირების ობამასეული გეგმა გააკრიტიკა და განაცხადა: „პრეზიდენტს უნდა ესმოდეს, რომ მსოფლიოს მუდამ ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება ლიდერი. ვიდრე ამერიკა უკან იხევს, ვიღაც წინ მიიწევს“. როგორც ჩანს, ამ „ვიღაცაში“, პირველ რიგში, ჩინეთი იგულისხმება.**

4 მარტს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ დაიბეჭდა სტატია, რომლიდანაც შესაძლებელი გახდა იმის გაგება, თუ რა ძირითადი მიზეზების გამო ეშინია ამერიკას ჩინეთის. ამერიკას კი ჩინეთის მართლაც ეშინია ან, სულ მცირე, თავს ისე აჩვენებს, თითქოს ეშინია.

ობამას ადმინისტრაციისთვის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერიდან მთელი სტრატეგიის გულია. თავდაცვაზე ახალი ხარჯები, რომლის შესახებაც ჩინეთის საკანონმდებლო ორგანომ ყოველწლიური სესიის დასაწყისში გამოაცხადა, ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტს 670 მილიარდ იუანამდე, ანუ 106 მილიარდ დოლარამდე გაზრდის. გასულ წელთან შედარებით ზრდამ 10,06 მილიარდი შეადგინა.

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის ბიუჯეტი 2011 წელს 91,5 მილიარდს შეადგენდა, რაც 12,7%-ით აღემატება 2010 წლის ბიუჯეტს.**

უფრო მეტიც, არაჩინელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თავდაცვის ნამდვილი ხარჯები გაცილებით მეტია, მით უფრო, თუ მასში სხვა დარგების, მაგალითად, კოსმოსური პროგრამის ხარჯებსაც ჩავთვლით.

ამერიკაში დაასკვნეს: ჩინეთის არმია მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს არა მხოლოდ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, არამედ სომალის სანაპიროებამდე. ამერიკას არ მოსწონს, რომ ჩინეთი ახორციელებს უხილავი გამანადგურებლის „J-20“-ის პროგრამას, რომ მან შეიარაღებაში მიიღო თავისი პირველი ავიამზიდი, თუნდაც ეს 1998 წელს უკრაინისაგან ნაყიდი და შემდეგ გარემონტებული საბჭოთა გემი იყოს.

ზოგიერთი კიდევ უფრო მშიშარა ანალიტიკოსი პროგნოზირებს, რომ **2015 წლისათვის ჩინეთის სამხედრო ხარჯები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მისი 12-ვე მეზობლისას გადააჭარბებს.**

ჩინეთის სამხედრო ძლევამოსილების სწრაფი ზრდის ფონზე გაჩნდა შიში, რომ ჩინეთი რეგიონში სამხედრო და პოლიტიკურ დომინირებას მიაღწევს. ნავთობით მდიდარ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთი მონაწილეობს დავაში, რომელიც კუნძულების პატარა ჯაჭვის გარშემო გაჩაღდა და რომელშიც ჩინეთთან ერთად ფილიპინები, ვიეტნამი, მალაიზია და ბრუნეი მონაწილეობენ.

ჩინეთს იაპონიასთანაც დავა აქვს, თანაც უკვე დიდი ხნის დავა, კუნძულ სენკაკუსთან დაკავშირებით. დაპირისპირება უკანასკნელად 2010 წელს გამწვავდა, როდესაც ჩინური თევზსაჭერი გემის კაპიტანმა იაპონიის საპატრულო კატერი გაიტანა ერთ-ერთ სადავო კუნძულთან ახლოს.

კიდევ ჩინეთს დავა აქვს ინდოელებთანაც. ისინი დავობენ არუნაჩალ-პრადეშის გამო, რომელიც სამხრეთ ტიბეტს ეკუთვნის.

და ბოლოს, **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძლევამოსილების გაზრდის საპასუხოდ რეგიონში სამხედრო გაძლიერება დაიწყეს ინდოეთმა, ინდონეზიამ და ვიეტნამმა. გარდა ამისა, ფილიპინელები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ის პოზიციების გაზრდას მოითხოვენ.**

მაგრამ ამერიკელები ჩინეთს არ უნდა ადანაშაულებდნენ ტოტალურ დაპირისპირებაში. სამხედრო ისტერიას დიდწილად თავად აშშ ბადებს. აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა ხომ დაკავშირებულია 2012 წლის 3 იანვარს ვაშინგტონში მიღებულ სტრატეგიულ დოკუმენტთანაც სახელწოდებით „Sustaining U. S. Global Leadership: Priorities for 21 Century Defense“. ამ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ **ჩინეთის მცდელობებმა გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს აშშ-ის ეკონომიკასა და უსაფრთხოებაზე. აშშ-ის მიერ მიღებულ სამხედრო სტრატეგიაში საკვანძო მომენტები ითვალისწინებს ამერიკის შეიარაღებული ძალების რიცხოვნების შემცირებას და საბიუჯეტო სახსრების კონცენტრირებას თანამგზავრებსა და უპილოტო საფრენ აპარატებზე. სტრატეგია ასევე ითვალისწინებს რესურსების ორიენტირებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე.** როგორც მასმედიაში იტყობინებიან, ვაშინგტონი ჯარების განთავსებას აპირებს ავსტრალიაში, დამატებითი სამხედრო გემები გაიგზავნება სინგაპურსა და ფილიპინებში.

მაშ ასე, **ობამას ადმინისტრაცია ამცირებს სამხედრო რესურსებს, მაგრამ არ ამცირებს მათ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგიულ ზოლში.** უფრო მეტიც, საუბარია ამ რეგიონზე განსაკუთრებულ ორიენტირებაზე.

თუ ასეა, იქნებ ჩინეთს ეშინია ამერიკის და არა ამერიკას ჩინეთის?

აზიაში უსაფრთხოების სპეციალისტი, ჩინეთის შეიარაღებულ ძალთა ერთ-ერთი ამერიკელი ანალიტიკოსი დინ ჩენგი ამ კითხვაზე მტკიცედ პასუხობს არას. იგი მოიხსენიებს იმ 106 მილიარდ დოლარიან ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტს და იქვე აღნიშნავს, რომ დამკვირვებელთა უმეტესობის ვარაუდით, ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი ამაზე ორჯერ ან მეტჯერ მეტია. მისივე განცხადებით, ზოგიერთ წრეებში ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტის ზრდა ითარგმნება, როგორც 2012 წლის იანვარში აშშ-ის მიერ გამოცხადებული „აზიური ღერძის“ პასუხი. ავტორის განცხადებით, აზროვნების ეს სტილი ამართლებს ძველ ანდაზას, რომლის თანახმადაც, ყველა პრობლემას აქვს გადაწყვეტა — სიმართლისმაგვარი და არასწორი.

რეალობა ისაა, რომ ჩინეთის თავდაცვაზე დანახარჯები ორნიშნა ციფრებით იზრდება და ეს გრძელდება ცივი ომის დასრულების პერიოდიდან ამ დრომდე — უკვე ორი ათწლეულია. ამრიგად, **არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წელს ჩინეთის სამხედრო ხარჯების ზრდა აშშ-ის ქმედებებზე გაცემული პასუხია.**

**ჩინეთი შეიარაღებაზე ზრუნავს იმიტომ, რომ ღელავს თავდაცვაზე, მათ შორის მეზობლების ტერიტორიალური პრეტენზიებისა და სავაჭრო მარშრუტების გათვალისწინებით**; დიდი ხანია, დროა, შეიძინოს თანამედროვე იარაღი, სამხედრო ტექნოლოგიები და ტექნიკა; სჭირდება არმიის ხარისხიანი რეფორმა, მაგრამ კარგი შეიარაღება ძვირი ღირს.

ამერიკას, შესაძლოა, ეშინია, მაგრამ არა ჩინეთის თავდაცვის ბიუჯეტის ზრდის, არამედ იმის, თუ როგორ გამოიყენებს ჩინეთი დამატებით რესურსებს. მაგალითად, მან შესაძლოა იყიდოს ის სისტემები, რომლებიც სპეციალურად ამერიკის შესაძლებლობებზეა ორიენტირებული.

ეს კი ნამდვილად შეიძლება აშშ-ის შიშის საფუძველი გახდეს.

სხვათა შორის, „Die Welt“ წერს, რომ ბონის უნივერსიტეტის გლობალურ კვლევათა ცენტრის დირექტორის — სიუე-უ გუს განცხადებით, **ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის 2%-ს არ აღემატება, რაც თითქმის ორ-ნახევარჯერ ჩამოუვარდება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს.**




სპეციალისტები ჩინური არმიისთვის პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისაგან, მათ შორის აშშ-ისგანაც, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შემცირებას. ეს ჩამორჩენა ჩინეთის შემთხვევაში ორ ათწლეულს უტოლდება.

სხვათა შორის, შეიარაღების დანახარჯების ყველაზე დიდი ზრდა ამჯერად ჩინეთმა კი არა, აზერბაიჯანმა აჩვენა. **მსოფლიოს პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებული გათვლებით, მსოფლიოში სამხედრო** ▶

მოკლედ

## ათენში ხანძარს 300 მეხანძრე ებრძოდა

**ათენის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში გაჩენილ ხანძარს 300 მეხანძრე და 12 ვერტმფრენი ებრძოდა.** ცეცხლი რამდენიმე ადგილზე გაჩნდა და საფრთხეს მოსახლეობასაც უქმნიდა. ხანძრის შედეგად დაიწვა ტყესთან ახლოს მდებარე ნაყინის ქარხანა და ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი. ცეცხლის ჩაქრობის დროს ორი მეხანძრე დაშავდა, ასევე დაიწვა 20 მსუბუქი და ერთი სატვირთო ავტომობილი. სულ საბერძნეთში 35 ხანძარია დაფიქსირებული. ცეცხლის გავრცელებას ხელს სიცხეც უწყობს. ათენში რამდენიმე დღეა ტემპერატურე 38 გრადუსია.

## ვიქტორ იანუკოვიჩმა იულია ტიმოშენკოს შეწყალება გადაწყვიტა

**უკრაინის პრეზიდენტს — ვიქტორ იანუკოვიჩს ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — იულია ტიმოშენკოს შეწყალება სურს. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ამჟამად მას ეს არ შეუძლია, რადგან ჯერჯერობით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.** „როდესაც სასამართლო დასრულდება და მოსამართლეები გადაწყვეტილებას მიიღებენ, მათ შორის ევროპული სასამართლო, ტიმოშენკოს შეწყალების საკითხი პრეზიდენტის კომპეტენციაში იქნება“, — აღნიშნა იანუკოვიჩმა. თავად ტიმოშენკომ უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ის პრეზიდენტს შეწყალებას არ სთხოვს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინეთი კოსმოსში სულ უფრო მეტ გამოცდილებას იძენს. პენტაგონის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩინეთი აწყობს თავის თანამგზავრულ GPS-ქსელებს და უკვე შექმნა სახმელეთო ბაზირების ანტითანამგზავრული რაკეტა. მაგრამ რატომღაც პენტაგონი საერთოდ არ ახსენებს კოსმოსში ჩინეთის ყველაზე ამბიციურ პროექტს — კოსმოსურ თვითმფრინავ „SHENLONG"-ის განვითარებას და მასთან დაკავშირებული ძრავების სისტემის შექმნას. ამგვარი სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად ზრდის კოსმოსურ შეიარაღებაში აშშ-ის მიმართ კონკურენციის რისკს.**

**◀ საჭიროებებისათვის დანახარჯების ყველაზე დიდი ზრდის მაჩვენებელი აზერბაიჯანს აქვს და ის წელიწადში 89%-ს უტოლდება.**

მაგრამ ამერიკას მაინც ჩინეთისა ეშინია.

2012 წლის 23 მაისს ჟურნალში „საგარეო პოლიტიკა" გამოქვეყნდა ტრევორ მოსის სტატია სათაურით „ხუთი რამ ჩინური მილიტარიზაციის შესახებ, რაზეც პენტაგონი არაფერს გვეუბნება".

ამ სტატიაში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს უკანასკნელი ანგარიში, რომელიც ჩინეთის აღმასვლას ეხება, შედარებულია აისბერგთან: წვერი ჩანს, მაგრამ ძირითადი ნაწილი წყლის ქვეშ იმალება. როგორც სტატიის ავტორი ამბობს, ანგარიშში ჩინურ მილიტარიზაციასთან დაკავშირებულ ბევრ კითხვაზეა პასუხი გაცემული, მათ შორის გემთსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტის შექმნის მცდელობებზეც, მაგრამ, რაც შეეხება ჩინეთის სტრატეგიის მრავალ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, პენტაგონი, როგორც ჩანს, მხოლოდ გამოცნობას ცდილობს. მოსი ჩინეთის თავდაცვითი სტრატეგიის შესახებ ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას სვამს. მათგან ყველა ჯიუტად პასუხგაუცემელია პენტაგონის მხრიდან.

**პირველი: როგორია ჩინეთის გრძელვადიანი გეგმები თავდაცვის ხარჯებთან დაკავშირებით?**

ამ თემასთან მიმართებაში სახელდება შემდეგი ციფრები: **ოფიციალური ჩინეთის მონაცემებით, 2012 წლის ბიუჯეტი არის 106 მილიარდი დოლარი, რაც 11%-იან ზრდას ნიშნავს გასული წლის მონაცემებთან შედარებით და ათი წლის წინანდელი მაჩვენებლის გაოთხმაგებას, თუმცა პენტაგონი ჩინეთის მთლიან სამხედრო დანახარჯებს 120-დან 180-მილიარდ დოლარამდე აფასებს. ამ იდუმალებით მოცული ციფრის ზუსტ გაშიფვრას პენტაგონი ხელს არ ჰკიდებს — კალკულატორებით შეიარაღებულ ამერიკელებს ჩინეთის თავდაცვის აღრიცხვიანობის „გამჭვირვალობა" არ აკმაყოფილებთ.** გამჭვირვალობის უკმარისობა კი, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჯერ არ გადასულა სრულად საბაზრო ეკონომიკაზე.

ასეა თუ ისე, დაზუსტებული და საიმედო შეფასება იმისა, თუ რას აპირებს გრძელვადიან პერსპექტივაში პეკინი სამხედრო დანახარჯებთან დაკავშირებით, უცნობია.

მიუხედავად ამისა, უკვე არსებული ტრენდის შესაბამისად, **2020-დან 2030-წლამდე პერიოდში ჩინეთი თავდაცვის ხარჯებში აშშ-ს უკან ჩამოიტოვებს.**

აბსოლუტურად გაურკვეველია, არის თუ არა დამოკიდებული ბიუჯეტის დაგეგმვისას სამხედრო ხარჯების გაზრდა მთლიან ეკონომიკაზე. შესაძლოა, ჩინეთის გენერლები, რომლებმაც ორნიშნა ციფრებით ზრდის პირობა დადეს, ამ პირობას მაშინაც კი ასრულებენ, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ ვარდნას განიცდის. ერთი რამ ცხადია: რაც უფრო მეტ სახსრებს იღებს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, მით უფრო მალე მივა ჩინეთი აშშ-თან პარიტეტის მიღწევამდე.

## მაინც რა ჯდება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ამგვარი რეკლამირება? რისთვისაა გამიზნული ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული არმიის მოდერნიზება XXI საუკუნის არმიად — თავდაცვისთვის თუ კომუნისტური პარტიის დაცვისთვის?

**მეორე საკითხი: რა არის ჩინეთის ბირთვული სტრატეგია?**

პენტაგონის აზრით, ჩინეთის ბირთვული არსენალი ახლა შედგება დაახლოებით 50-75 ბაზირების შახტისაგან, მათ შორისაა თხევადი საწვავის კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტები და მყარი საწვავის კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტები. პენტაგონს არც კი უცდია, შეეფასებია იმ ბირთვული იარაღის სრული რაოდენობა, რომელსაც ჩინეთი ფლობს, თუმცა, როგორც წესი, ვარაუდობენ, რომ ეს რაოდენობა ბევრად ნაკლებია აშშ-ის 5000-ზე მეტი ბომბისგან შემდგარ ბირთვულ არსენალზე.

მიუხედავად ამისა, საუბარი იმის შესახებ, რომ პეკინს უკვე აქვს ან მომავალში აპირებს შექმნას გაცილებით დიდი ბირთვული არსენალი, არ ცხრება. ჰიპოთეზები იმის შესახებ, რომ ჩინეთის 3500 ბირთვილი ქობინი ჯერ კიდევ გასულ წელს მწყობრში იყო, უკვე მონათლა სპეკულაციად, მაგრამ ზოგიერთები ამ დრომდეც ირწმუნებიან, რომ **პეკინი ეძებს სტრატეგიულ შესაძლებლობებს ბირთვული არსენალის შესაქმნელად და ეს არსენალი უნდა შეესაბამებოდეს აშშ-ის შეიარაღებას, უახლოეს ათ წელიწადში კი მასზე უკეთესიც უნდა გახდეს.**

ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი სულ რაღაც ორი ატომური წყალქვეშა ნავი აქვს ექსპლოატაციაში, თუმცა აბსოლუტურად გაურკვეველია იმ ატომური წყალქვეშა ფლოტის რეალური მასშტაბები, რომლის აშენებასაც ჩინეთი აპირებს.

**მესამე საკითხი: რა არის ჩინური ფლოტი?**

ამერიკელი ანალიტიკოსები ხშირად იყენებენ ტერმინს „მარგალიტის ძაფი" და ასე აღწერენ პეკინის სავარაუდო სტრატეგიას საზღვარგარეთული სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩინელები ამ ბაზებს არ ქმნიან. **პენტაგონის უკანასკნელ ანგარიშში საერთოდ არ განიხილება საკითხი, აპირებს თუ არა ჩინეთი ამერიკის სტილში შექმნას მუდმივი ბაზების ქსელი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის**.

მიუხედავად ამისა, დასასრული არ უჩანს სპეკულირებას იმ თემაზე, რომ ჩინეთი ბირმაში, პაკისტანსა და შრილანკაში არსებულ საპორტო ნაგებობებში დაიწყებს შეიარაღებული ძალების განვითარებას. **სეიშელის კუნძულებმაც შესთავაზეს ჩინეთს, გამოიყენოს მისი პორტები ჩინური გემებისათვის**. თუმცა პეკინი დაჟინებით ირწმუნება, რომ საუბარი არაა უცხოეთში ბაზების შექმნაზე და რომ ეს პორტები ჩინეთს მხოლოდ გემებზე მარაგის შესავსებად ესაჭიროება. ამ თემაზე კამათი, უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება, პეკინი კი რეალურ გეგმებზე ძველებურად დუმს.

პენტაგონის ანგარიში ასევე ცდილობს, ნათელი მოჰფინოს ჩინეთში ავიამზიდების აშენების პროგრამის მომავალს. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ჩინეთი რამდენიმე ავიამზიდს და მათ მხარდამჭერ გემებს ააშენებს, მაგრამ ეს მხოლოდ პენტაგონის ვარაუდია.

**მეოთხე საკითხი: რამდენადაა განვითარებული ჩინეთის კოსმოსური პოტენციალი?**

ჩინეთი კოსმოსში სულ უფრო მეტ გამოცდილებას იძენს. პენტაგონის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩინეთი აწყობს თავის თანამგზავრულ GPS-ქსელებს და უკვე შექმნა სახმელეთო ბაზირების ანტითანამგზავრული რაკეტა. მაგრამ რატომღაც პენტაგონი საერთოდ არ ახსენებს კოსმოსში ჩინეთის ყველაზე ამბიციურ პროექტს — **კოსმოსურ თვითმფრინავ „Shenlong"-ის განვითარებას** და მასთან დაკავშირებული ძრავების სისტემის შექმნას. ამგვარი სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად ზრდის კოსმოსურ შეიარაღებაში აშშ-ის მიმართ კონკურენციის რისკს. პენტაგონს კი აქვს, თუ კვლავაც წარმოდგენა არა რა არის რეალურად ეს პროექტი და როგორ მიმდინარეობს მისი განხორციელება.

**მეხუთე საკითხი: ქაღალდის ვეფხვი თუ ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული?**

ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში კიდევ ბევრი წარმოუდგენელი რამაა. მაგალითად, ჩინური კიბერჯაშუშობა ეფექტური აღმოჩნდა უცხოური სამხედრო საიდუმლოებების მოპოვების საქმეში. კვლავაც აბსოლუტურად გაურკვეველია, მოპარული სიახლეებიდან რამდენი დაინერგა წარმატებულად და სასარგებლოდ ჩინეთის სამხედრო პროგრამასა და მის დოქტრინაში.

ყველა უცნობი ამ განტოლებაში ბოლოს ერთ დიდ შეკითხვად ერთიანდება: მაინც რა ჯდება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ამგვარი რეკლამირება?

ჩინეთის არმია, დიდი ხანია, საქმეში არავის გამოუცდია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ მონაწილეობდა არც ერთ მასშტაბურ ომში, რომლებიც კი 1979 წლის ვიეტნამის ომის შემდგომ მოხდა. იმუშავებს გამოცხადებული ახალი ეფექტურობა თუ კორუფცია და გამოუცდელობა კრიტიკულად ჩაშლის ჩინეთის სამხედრო შესაძლებლობებს? რისთვისაა გამიზნული ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული არმიის მოდერნიზება XXI საუკუნის არმიად — თავდაცვისთვის თუ კომუნისტური პარტიის დაცვისთვის? პენტაგონს ამ კითხვებზე პასუხი არ აქვს.

რაც შეეხება ვაშინგტონის შიშებს ჩინეთის მიმართ, ამის ყველაზე რეალური ახსნა შემდეგია: **ამერიკას ეშინია ჩინეთის, რადგან არ იცის, რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს ეს ქვეყანა. ყველაზე საშიში მტერი კი უცნობი მტერია.**

topwar.ru



# რიჩარდ რასელი: რაღაც უზარმაზარი გვიახლოვდება




**მსოფლიო ბაზარზე უზარმაზარი რყევების მიუხედავად, საინფორმაციო ბიულეტენების ნათლიმამა რიჩარდ რასელი თავის მკითხველს აფრთხილებს, რომ ქვეყანას რაღაც უზარმაზარი უახლოვდება და საინტერესოა, თუ რამდენ ხანს დარჩება ვარდნა გარკვეულ ჩარჩოებში.**

„შესაძლოა, მხოლოდ დოუ კვდება და სხვა დანარჩენი ბაზარი წესრიგშია. დოუ არის აშშ-ის სამრეწველო სიმძლავრე და როდესაც ხედავთ, რომ დოუ აკეთებს იმას, რასაც ახლა აკეთებს, შეგიძლიათ დარწმუნებულნი იყოთ, რომ ბიზნესი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

**სხვათა შორის, 1 მაისს დოუმ პიკს მიაღწია, მაგრამ ეს არ დადასტურებულა. მოგვიანებით ორი ინდექსი აპრილის მინიმუმზე დაბლა დაეცა და ნათელი სიგნალი გაუშვა დოუს თეორიისათვის, რომ ეს „დათვების ბაზარია". ეს არის ბაზარი, რომელიც ეცემა და რომელსაც დათვები მართავენ. ეს არის დათვების ბაზრის გაგრძელება, მაგრამ იწყება ყველაზე უცნაური მეთოდით. შესაძლოა, ექსპერტები იმდენად არიან მოხიბლულნი დოუთი და ფეისბუქით, რომ, უბრალოდ, ვერ ხედავენ იმას, რაც ირგვლივ ხდება.**

რაღაც უზარმაზარი გვიახლოვდება. საუკეთესო პოზიცია იქნებოდა აქციებში დაბანდების ნულოვანი მაჩვენებელი. ჩვენ დათვის ბაზრის მეორე ნახევარში გადავდივართ. ბაზარზე გატარებული ამდენი წლის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ყველაფერი ვნახე, მაგრამ არა ამ შემთხვევაში.

არსებობს იმდენი დათვური სცენარი, რომ თავბრუ დაგეხვევათ. რამდენიმე დღის წინ შევნიშნე, რომ დოუ 55 პუნქტით დაეცა. მთელი ცხოვრების მანძილზე მსგავსი არაფერი მინახავს. ვარ რა ლოიალური ამერიკელი, თავს გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი, ადამიანები ჩემსავით შეშინებულები რომ იყვნენ.

**როგორც ჩანს, საბერძნეთი დატოვებს ევროკავშირს. ბერძნებს მოუწევთ თავიანთი ევროების ამოღება და გერმანულ ბანკებში გადაგზავნა. ზუსტად ანალოგიური მდგომარეობა იქნება ესპანეთშიც, რომელიც, ჩემი აზრით, ევროზონას საბერძნეთის კვალდაკვალ დატოვებს.**

დავუბრუნდეთ ბაზრებს. ამ დრომდე ბაზრებზე ვარდნა საკმაოდ მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, არავითარი პანიკა, ბაზრიდან ისტერიკით არავინ გავარდნილა. საინტერესოა, როდემდე გასტანს ვარდნის მოწესრიგებულობა. როგორც ვხვდები, ინვესტორები რაღაც ქმედებებს ელიან ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან, შესაძლოა, სავალუტო სტიმულირების მესამე რაუნდს. ამიტომაც ჯერჯერობით თავს იკავებენ საკუთარი ქონების გაყიდვაზე.

მართალი რომ ითქვას, რაღაც საშინელი არის იმაში, რაც ხდება. ბერნანკე დათვის შეყოვნებას ცდილობს. გულახდილად რომ ითქვას, ის, რაც ახლა ხდება, ანალიზის საზღვრებს სცილდება. უბრალოდ, არ ვიცი, რას შეიძლება ეს შევადარო.

მოცემულ სიტუაციაში კვლავაც ჩემს ინტუიციასა და ინსტიქტებს ვეყრდნობი. ისინი კი მეუბნებიან, რომ ფულის განაღდება სჯობს. მთელი მსოფლიოს ინვესტორები უსაფრთხო თავშესაფრებს ეძებენ და ეს ტყავშესაფრები, როგორც ჩანს, ამერიკული დოლარები, სახაზინო ობლიგაციები, გერმანული ობლიგაციები და ოქროს ზოდებია.

mixednews.ru

მოკლედ

## კანადაში სცენის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა

**ტორონტოში სცენა, რომელზეც ცნობილი ბრიტანული ჯგუფის — „რედიოჰედის" კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, ჩამოინგრა, რის გამოც ჯგუფის კონცერტი გადაიდო.** შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, სამი ადამიანი კი დაშავდა. ერთი დაშავებული კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. შემთხვევა კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოხდა. დაშავდა ტექნიკური პერსონალი. სცენის ჩამონგრევის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მიმდინარეობს გამოძიება. კონცერტს, გაყიდული ბილეთების რაოდენობის მიხედვით, 40 ათასი ადამიანი უნდა დასწრებოდა.

## აშშ ახალგაზრდა არალეგალებს მუშაობის უფლებას აძლევს

**ამერიკის შეერთებული შტატების საემიგრაციო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები, რის შედეგადაც ქვეყნიდან 16-30 წლამდე არალეგალებს აღარ გააძევებენ. ახალგაზრდა ემიგრანტებს, რომლებიც ქვეყანაში, მინიმუმ ხუთი წელია, ცხოვრობენ, მუშაობისა და სწავლის უფლება ეძლევათ.** ამერიკელი პოლიტოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ ობამას ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები წინაასაარჩევნო კამპანიას უკავშირდება. მათი თქმით, დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი ბარაკ ობამა ამერიკაში მცხოვრები ლათინოსებისა და სხვა უმცირესობების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ წინასაარჩევნოდ საემიგრაციო პოლიტიკა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადებატო თემად იქცევა.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ობლიგაციების ბაზარი, რომელიც ძალისა და სისუსტის ნათელი მაჩვენებელია, ლამის ცამდე აიჭრა, 10-წლიან ობლიგაციებზე შემოსავლიანობა კი ისტორიულად უპრეცენდენტო მინიმუმამდე — 1,45 პრცენტამდე დაეცა. საერთო შიდა პროდუქტის გადახედილი მაჩვენებლები ძლივს მოძრავ 1,9 პროცენტამდე დაეცა პირველ კვარტალში, რასაც თან ახლდა საქმიანი აქტივობისა და მომხმარებლური რწმენის ინდექსების მნიშვნელოვანი შემცირება.**

# დასავლეთის ექვსი მკვლელი დანამატი

**ხუთი საუკუნის მანძილზე დასავლეთი დომინირებდა აღმოსავლურ ეკონომიკებზე, მაგრამ, როგორც ნეილ ფერგიუსონი მიიჩნევს, 1989 წლიდან ბერლინის კედლის ნგრევიდან მოყოლებული, აღმოსავლეთი დანაკარგს ინაზღაურებს. და ის ამას აკეთებს დასავლეთის ექვსი მკვლელი დანამატის გადაქაჩვით. ეს მკვლელი დანამატებია ინსტიტუციონალური იდეები, რომელთა კულტივირებასა და წინ წამოწევასაც ახორციელებს დასავლეთი, რათა ხელი შეუწყოს აყვავებას, სტაბილურობასა და ინოვაციებს: პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენცია, სამეცნიერო რევოლუცია, კანონის უზენაესობა, თანამედროვე მედიცინა, განათლება და შრომის ეთიკა.**



როგორც ფერგიუსონი ამბობს, ეს დანამატები დასავლეთს აღარ აქვს მონოპოლიზებული, სწორედ ამიტომაა, რომ **ახლა საშუალო ამერიკელი მხოლოდ ხუთჯერ უფრო მდიდარია საშუალო ჩინელზე. 1979 წელს ეს მაჩვენებელი 23-ს უტოლდებოდა.**

ფერგიუსონი მიესალმება ცვლილებებს, მაგრამ ის აღელვებს, რომ, როდესაც აღმოსავლეთი იწყებს ამ დანამატების ჩატვირთვას, დასავლეთი უარს ამბობს მათზე და საერთოდაც შლის, რაც დიდწილად ხელმძღვანელობის არარსებობის გამო ხდება.

ფერგიუსონი ჰარვარდში ისტორიის პროფესორი და ახლახან გამოქვეყნებული წიგნის „ცივილიზაცია: დასავლეთი და სხვა დანარჩენი“ ავტორია. იგი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძალთა ბალანსს განსაზღვრავს ზემოხსენებული ექვსი საკითხი, მაგრამ დასაწყისისთვის ის მტკიცებულებები განვიხილოთ, რომლებიც ფერგიუსონს მოჰყავს ამ გადაქაჩვის არსებობის შესახებ საკუთარი აზრის დასადასტურებლად.

იმის დადასტურება, რომ დასავლეთის მიერ შეწყვეტილია პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციის განვითარება (პირველი დანამატი) გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიმოხილვიდან, რომელიც ყოველი წლის იანვარში შვეიცარიის ქალაქ დავოსში ტარდება.

## ახლა საშუალო ამერიკელი მხოლოდ ხუთჯერ უფრო მდიდარია საშუალო ჩინელზე. 1979 წელს ეს მაჩვენებელი 23-ს უტოლდებოდა

**იმ კვლევების თანახმად, რომლებიც ყოველი ქვეყნისათვის კონკურენტუნარიანობის ინდექსს განსაზღვრავს, 2004 წლიდან აშშ-ის კონკურენტუნარიანობა 7 პროცენტით შემცირდა, ჩინეთისათვის კი ეს მაჩვენებელი 14-ჯერ გაიზარდა.**

ფერგიუსონი ირწმუნება, რომ სამეცნიერო რევოლუცია ერთმნიშვნელოვნად დასავლური ფენომენი იყო, მაგრამ ახლა ინოვაციები, რომლებიც, როგორც ჩვენ ვთვლით, წმინდად ამერიკულია, თავის წარმატებებს დიდწილად აზიას უნდა უმადლოდნენ. მაგალითად, აიფონი კალიფორნიაში გამოიგონეს, მაგრამ ჩინეთში იწყობა და, როგორც ფერგიუსონი ირწმუნება, მომავალში ეს ტექნოლოგიური განვითარების მოდელად იქცევა.

უფრო მეტიც, **პატენტების რაოდენობის მხრივ იაპონია ლიდერია, კორეამ გერმანიას გაუსწრო და მეორე ადგილი დაიმკვიდრა, ჩინეთი კი ამ ორს სულ მცირედით ჩამორჩება.**

**აშშ-მა დაკარგა თავისი უპირატესობა კანონის უზენაესობაში, იმიტომ, რომ კრიზისების მართვით დაკავდა. კონგრესის წევრთა ერთი მესამედი იურისტია და ისინი წარმოუდგენელი სირთულის კანონებს იღებენ. მაგალითად, დოდ-ფრანკის 2000-გვერდიანი კანონი, რომელიც გაჯერებულია ორაზროვანი ფრაგმენტებით და იმდენად რთულია, რომ მასში მხოლოდ იურისტები თუ მოახერხებენ გარკვევას.**

რაც შეეხება მედიცინას, მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან დასავლეთში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაორმაგდა, მაგრამ უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე დასავლეთის ზოგიერთი ნაწილი სერიოზულ გაუარესებას განიცდის ჯანდაცვის სფეროში. მაგალითად, შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ბანგლადეშში და ეს დიდწილად დაკავშირებულია ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარებასთან, ასევე არასწორ კვებასთან.

**დასავლეთმა კონკურენტუნარიანობა დაკარგა განათლების სფეროშიც**. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 15 წლამდე ასაკის მოსწავლეების ტესტირების სტანდარტიზირების შედეგად მიღებული მონაცემებით, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ახლა პირველი ადგილი შანხაის უჭირავს. შანხაისა და აშშ-ს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც აშშ-სა და ალბანეთს შორის.

აქტიური შრომითი ეთიკა ადრე წმინდა დასავლური მოვლენა იყო, მაგრამ ახლა საშუალო სამხრეთკორეელი წელიწადში საშუალო გერმანელზე დაახლოებით ათასი საათით მეტს მუშაობს.

**„რომელი დანამატიც არ უნდა განვიხილოთ, არასასიამოვნო სიურპრიზი ის იქნება, რომ ჩვენ უკვე აღარ ვლიდერობთ“,** — ამბობს ფერგიუსონი.

ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ **დასავლეთი არა მხოლოდ მარცხდება აღმოსავლეთთან, არამედ უარყოფს კიდეც ამ დამარცხებას.**

**„ჩვენ ვიტანჯებით ინსტიტუციონალობის მასშტაბური დეფიციტით, რაც საშუალებას არ გვაძლევს, ვაღიაროთ მარცხი და მივიღოთ ზომები იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე სერიოზულად ჩამოვრჩით“,** — ამბობს იგი.

დასავლეთის ვარდნის სიჩქარე გაცილებით მეტია, ვიდრე დასავლეთის მოსახლეობა აღიარებს ამას. დასავლეთის 500-წლიანი ბატონობის შემდეგ ეს ბატონობა დასრულდა.

აშშ-მა არ შეიძლება, საკუთარ თავს იმის უფლება მისცეს, რომ კიდევ ოთხი წელი საკუთარი პრობლემების მოგვარებით დაკავებული ქვეყნის იმიჯით გაატაროს.

ლიდერობამ, შესაძლოა, წარმოუდგენელი ცვლილებები განაპირობოს, მაგრამ ამისათვის გამოკითხვებსა და საზოგადოებრივი აზრის ტენდენციებთან დაპირისპირებაა საჭირო.

mixednews.ru

# გლობალური რეცესიის შანსები 100 პროცენტია



**საფონდო ბაზარი, როგორც ჩანს, კრიტიკულ ზღვარზეა. ეს ფართოდ ცნობილი ეკონომისტის — მარკ ფაბერას დასკვნაა. როგორც ბოლოდროინდელ ინტერვიუში ექსპერტმა განაცხადა, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკა სერიოზული ეკონომიკური ვარდნის წინაშე იდგეს. ფაბერი მიანიშნებს, რომ ინვესტორების მხრიდან ძველებურად საბერძნეთსა და ევროპაზე ორიენტირების მიუხედავად, თავი იჩინა გაცილებით უფრო სერიოზულმა პრობლემებმა. ეს პრობლემები კი დიდ საფრთხეს ქმნის.**

„ბაზრის დამკვირვებლებს, რომლებიც საბერძნეთსა და ევროპაზე არიან ორიენტირებულნი, შესაძლოა, გამორჩეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ჩინეთისა და ინდოეთის ზრდის არსებითი შენელება“.

პეკინიდან მიღებული უკანასკნელი ანგარიშები ფაბერის მტკიცებულებებს ამართლებს. **საქმიანი აქტივობის ინდექსი HSBC FLASH, რომელიც ჩინეთში ეკონომიკური ცვლილებების ნაადრევ ეტაპებზევე შესამჩნევი შეიქნა, მაისში 49,3 პუნქტიდან 48,7 პუნქტამდე დაეცა. ეს კი საქმიან აქტივობის შენელებაზე მიანიშნებს.**

ფაბერი ასევე ამახვილებს ყურადღებას მაღალტექნოლოგიურ ლიდერებზე, რომლებიც საკვანძო კატალიზატორებს წარმოადგენენ.

**„სულ უფრო მეტი აქციები სუსტდება. სუსტდება ეკონომიკურად მგრძნობიარე აქციები და კომპანიები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღლტექნოლოგიურ მწარმოებლებზე. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკა სუსტდება, აქციებში შექმნილი აჟიოტაჟი კი, სავარაუდოდ, დასრულდება, რის შემდეგაც აქციების ფასზე მნიშვნელოვანი დეფლაცია დაიწყება“.**

რამდენიმე დღის წინ ტიფანიმ აქციების გაყიდვასთან დაკავშირებით პროგნოზები შეამცირა. მაშინ „Fast Money“-ს ტრეიდერი დენ ნატანი ამბობდა, რომ ამგვარი შედეგები ცუდის მომასწავებელია და ივარაუდა, რომ მაღალტექნოლოგიურ სექტორში ბზარი გაჩნდა.

ფაბერი აცხადებს, რომ ერთმანეთთან ურთიერთკავშირის გამო ამ ნეგატიური ტენდენციების შედეგად მთელი მსოფლიოს ეკონომიკები განიცდის დანაკარგებს.

**„ვფიქრობ, გლობალური რეცესია დაიწყება ან 2012 წლის მეოთხე კვარტალში, ან 2013 წლის დასაწყისში“,** — ამ პროგნოზთან დაკავშირებით ფაბერი აცხადებს, რომ ის ასპროცენტიანია.

მიუხედავად ამისა, ახლოაღმოსავლურ პერსპექტივებში ფაბერი საბაზრო ზრდის პოტენციალს ხედავს.

მისი აზრით, ევროზონიდან საბერძნეთის გასვლა პოზიტიური მოვლენა იქნება. „ვფიქრობ, ბაზარი თავისუფლებას მიიღებს, თუ საბერძნეთი ბოლოს და ბოლოს გავა ევროზონიდან. ბოლოს და ბოლოს, რალაც მაინც გაცხადდება. მიუხედვაად იმისა, რომ ეს არ იქნება კარგი ბანკებისა და აქციების მზღვეველი კომპანიებისათვის, ვფიქრობ, რომ საერთო ჯამში ზრდას დაიწყებენ ის ბაზრები, რომლებიც ახლა უკიდურესად დაბალი კურსით ხასიათდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაბერი მხოლოდ ჰიპოთეზურად საუბრობს, მაგრამ იგი არ ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში საბერძნეთი რეალურად გავა ევროკავშირიდან.

„ვფიქრობ, საბერძნეთი მეტ მოქნილობას გამოიჩენს და უფრო მეტ ევროობლიგაციას გამოუშვებს.

ევროს ბოლოდროინდელ ვარდნაზე ფაბერმა მიანიშნა როგორც მტკიცებულებაზე, რომ ბაზრები მის აზრს იზიარებენ. **„ევროობლიგაციების დიდი რაოდენობა საეჭვოს გახდის ევროს ხარისხოვნებას. აი, ამის გამო სუსტდება ბოლო დროს ევროპული ვალუტა“.**

mixednews.ru

ასადის მოწინააღმდეგეები სირიაში მიმდინარე სისხლისღვრის ფონზე საერთაშორისო საზოგადოებას ადანაშაულებს გულხელდაკრეფილი ჯდომის გამო, მაგრამ სირია ლიბია არ არის. ასადის არმია აღჭურვილია უახლესი სამხედრო ტექნიკით და ქიმიური იარაღის უზარმაზარი მარაგი აქვს. გადაარჩენს დასავლეთის ბომბები სირიელთა სიცოცხლეს? სავარაუდოდ, სირიაში მიმდინარე სასტიკი მკვლელობები და გაეროში რუსეთის ურყევი პოზიცია დასავლეთს სირიული ოპოზიციისათვის შეიარაღების მიწოდებისაკენ უბიძგებს.

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრეიგ სმიტი: ჩვენ მორიგი კრიზისის ზღვარზე ვდგავართ

**ძვირფასი ლითონების ექსპერტმა და სავაჭრო კორპორაცია „Swiss America“-ს თავმჯდომარემ კრეიგ სმიტმა დააგზავნა სასწრაფო წერილები, რომლებშიც აცხადებს, რომ იმ ეკონომიკური მოვლენების შემდეგ, რომელთაც ბოლო დღეებში ჰქონდათ ადგილი, ბაზარი ახალი კრახისაკენ მიექანება. ეს ძალიან ჰგავს იმას, რაც 2008 წელს დაემართა ფინანსურ სისტემას.**


კრეიგ სმიტი



„Swiss America“-ს მართვის ოცდაათი წლის მანძილზე აქამდე არასდროს მიგრძვნია აუცილებლობა, სასწრაფოდ გამეკეთებია ის, რასაც ახლა ვაკეთებ — შევხმიანებოდი 40 ათას კლიენტს ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით“, — ამბობს ექსპერტი.

აშშ-სა და ევროპაში არსებული მდგომარეობის შესახებ ავბედითი მონაცემები კიდევ უფრო მიმძაფრებს შფოთვას. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ჩემი მღელვარება გამართლებულია და აუცილებელია დაუყოვნებელი პასუხი.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ქვეყანამ გაღვიძებისთანავე მიიღო ცნობა იმის თაობაზე, რომ უმუშევრობა 8,2 პროცენტამდე გაიზარდა და რომ მხოლოდ 69 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა. **აშშ-ის ობლიგაციების ბაზარი, რომელიც ძალისა და სისუსტის ნათელი მაჩვენებელია, ლამის ცამდე აიჭრა, 10-წლიან ობლიგაციებზე შემოსავლიანობა კი ისტორიულად უპრეცენდენტო მინიმუმამდე — 1,45 პრცენტამდე დაეცა. საერთო შიდა პროდუქტის გადახედილი მაჩვენებლები ძლივს მოძრავ 1,9 პროცენტამდე დაეცა პირველ კვარტალში, რასაც თან ახლდა საქმიანი აქტივობისა და მომხმარებლური რწმენის ინდექსების მნიშვნელოვანი შემცირება.**

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ფინანსურ ინდუსტრიაში ჩვენ მორიგი კრახის წინაშე ვდგავართ. 2008 წლის კრიზისის შემდეგ არსობრივად არაფერი შეცვლილა. „J.P. Morgan“-მა სარისკო სავაჭრო პრაქტიკაში ორმილიარდიანი დანაკარგების შესახებ გამოაცხადა. მსხვილი ბანკები, გახდნენ რა უფრო დიდები, ვიდრე ოდესმე ყოფილან, იძულებულნი არიან, კლიენტებს დიდი საკომისიოების გადახდა დააკისრონ, რათა განაგრძონ ჩვენი გაკოტრებული ხელისუფლებისათვის ფულის სესხება.

კრეიგ სმიტის თავდაჯერებულობას, რომ ეკონომიკური სისტემა მორიგი ფინანსური კრახის წინაშე დგას, სხვა მრავალი მაღალი რანგის ანალიტიკოსი და ფინანსური ექსპერტიც ეხმაურება. **მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა რობერტ ზელიკმა 31 მაისს გამოსცა გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ჩვენ კვლავ 2008 წლის პანიკის ზღურბლზე ვდგავართ, მეორე დღიდან კი გავრცელება დაიწყო საბაზრო ჭორებმა იმის შესახებ, რომ უმსხვილესმა ჰეჯფონდმა „Pimco“-მ და „JP Morgan“-მა საზაფხულო შვებულებები გააუქმეს, რათა როგორმე გაუმკლავდნენ ბაზრებზე პოტენციურ ფინანსურ კოლაფსს.**

გარდა ამისა, ფედერალური ხელისუფლება მალე შეიძლება იმ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომელშიც კრახის თავიდან აცილებას ველარ შეძლებს, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. **31 მაისისათვის აშშ-ის სახელმწიფო ვალი 15,7 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა და სავალე ზედა ზღვრამდე აშშ-ს უკვე მერამდენედ სულ რამდენიმე თვეღა რჩება.** თუ ეს მანამდე მოხდება, ვიდრე ფინანსური კრიზისი დაიწყება, ხელისუფლებას კონგრესის კანონზე მოუწევს დაყრდნობა ან იძულებული გახდება, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, რათა როგორმე დააკომპენსიროს თავისი უუნარობა. **რაც შეეხება ევროპას, მას ახლავე სჭირდება 2 ტრილიონი ევრო, რომ როგორმე გაართვას თავი ევროზონის მზარდ სავალე პრობლემებს. გაისად კი უფრო მეტი დასჭირდება. ევროპა ახლაც, ისევე, როგორც 2008-ში, განუყოფლადაა დაკავშირებული იმ ეკონომიკურ საკითხებთან, რომლებიც აშშ-ის ბაზრებსა და ფინანსურ სისტემაზე მოქმედებს.**

mixednews.ru

# ნავთობი, ფული და დასავლეთის ორმაგი სტანდარტები



**ახლო აღმოსავლეთი ეთიკური საგარეო პოლიტიკის სასაფლაოა. ადგილობრივები მუდამ დასავლეთის ორმაგ სტანდარტებზე ჩივიან. ამაში ახალი არც არაფერია, მაგალითად, ამერიკელებმა ბრიტანელების წაქეზებით ჩამოაგდეს მუჰამედ მოსადიკი. ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სოციალური რეფორმების გზა, რომელზეც მაშინდელმა მინისტრმა დააყენა ირანი, შესაძლოა, მთელი რეგიონისათვის პერსპექტიული მოდელი ყოფილიყო, მაგრამ მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც ჩათვალა, რომ ქვეყნის ნავთობის მრეწველობა ირანს ეკუთვნის და არა ბრიტანეთს. დადგა არაბული გაზაფხული და სულ მცირე ყოყმანის შემდეგ დასავლეთის ლიდერებმა გადაწყვიტეს, ისე მოიქცნენ, თითქოს დაბადებიდან არაბული დემოკრატიის დროშას აფრიალებდნენ.**

მაგრამ მთავარი მაინც ის ღირებულებებია, რომლებითაც ასე ხშირად სპეკულირებენ. დემოკრატია ძალიან კარგია მანამ, ვიდრე დასავლეთის ინტრესებს არ ეწინააღმდეგება, არჩევნები მშვენიერი მოფიქრებაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ამომრჩევლები ვინმე ისლამისტისთვის არ აპირებენ ხმის მიცემას. ამბოხების მხარდაჭერა ხდება შერჩევით, მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით.

ნატომ სამხედრო მხარდაჭერა გაუწია კადაფის მოწინააღმდეგეებს, მაგრამ როგორც კი საუბარი ეხება ბაჰრეინში შიიტი უმრავლესობის წინააღმდეგ მიმდინარე რეპრესიებს, უმალ დუმილი ისადგურებს. როგორც ერთმა ევროპელმა დიპლომატმა განმარტა, მსოფლიო ნავთობის დიდი ნაწილი ბაჰრეინის წყლების გავლით მოძრაობს, ყურის მეორე მხარეს კი მრისხანედ ზის შიიტური ირანი.

**საუდის არაბეთი ხელშეუხებელია. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იქიდან მოდის ახლო აღმოსავლური ისლამური ექსტრემიზმის ყლორტები, საუდის არაბეთი მსოფლიოში ნავთობის უდიდესი ექსპორტიორია.** გარდა ამისა, ის ყიდულობს ძალიან ძვირადღირებულ სამხედრო ტექნიკას და ერაყში ომის შემდეგ ირანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სუნიტური საპირწონეა.

**ასადის მოწინააღმდეგეები სირიაში მიმდინარე სისხლისღვრის ფონზე საერთაშორისო საზოგადოებას ადანაშაულებენ გულხელდაკრეფილი ჯდომის გამო, მაგრამ სირია ლიბია არ არის. ასადის არმია აღჭურვილია უახლესი სამხედრო ტექნიკით და ქიმიური იარაღის უზარმაზარი მარაგი აქვს. გადაარჩენს დასავლეთის ბომბები სირიელთა სიცოცხლეს? სავარაუდოდ, სირიაში მიმდინარე სასტიკი მკვლელობები და გაეროში რუსეთის ურყევი პოზიცია დასავლეთს სირიული ოპოზიციისათვის შეიარაღების მიწოდებისაკენ უბიძგებს**. მაგრამ ეს ბედნიერი გამოსავლის გარანტია არავის ეგონოს.

დასავლელი პოლიტიკოსები, როდესაც მათ ორმაგ სტანდარტებში სდებენ ბრალს, როგორც წესი, მხრებს იჩეჩავენ და პასუხობენ, რომ ასეთია მსოფლიო. თუ საუბარია ბაჰრეინსა და საუდის არაბეთზე, ისინი მტკიცედ უძლებენ კრიტიკას. როგორც ჩანს, რეალურ პოლიტიკას მხედველობის მიღმა რჩება დასავლეთის პოზიციებსა და გავლენაზე მზარდი თვალთმაქცობისა და ორპირობის უზარმაზარი გავლენა.

ცივი ომის პერიოდში აშშ და მისი მოკავშირეები, როგორც წესი, საბჭოთა კომუნისტებთან ბრძოლის აუცილებლობას იყვნენ ამოფარებულნი. მათ შეეძლოთ, ცივი გონებით გაეთვალათ და დაესკვნათ, რომ არაბული ქუჩა, მიუხედავად ატეხილი აჟიოტაჟისა, სტატუს-კვოს საფრთხეს არ წარმოადგენს. თანამგზავრული ტელევიზიის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების შექმნამდე ჯერ კიდევ ძალიან შორი იყო.

**ახლა ბარაკ ობამას, ფრანსუა ოლანდს, დევიდ კემერონსა და დანარჩენებს საქმე აქვთ ავადმყოფურ პარადოქსთან. ერაყსა და ავღანეთში ომებმა, ასევე არაბულ სამყაროში პოლიტიკურმა გამოღვიძებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა მათი შესაძლებლობები ახლო აღმოსავლეთში ცვლილებების განხორციელების მიმართულებით.**

არადა, სისხლიანი რეპრესიების ამსახველი კადრების მთელ მსოფლიოში დაუყოვნებელი გავრცელება მათგან მოქმედებას მოითხოვს. დასავლეთს გამარჯვება არ შეუძლია. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი სამარცხვინო ქმედებების შემდეგ ის ამას არ იმსახურებს.

The Financial Times

**ბარაკ ობამას, ფრანსუა ოლანდს, დევიდ კემერონსა და დანარჩენებს საქმე აქვთ ავადმყოფურ პარადოქსთან. ერაყსა და ავღანეთში ომებმა, ასევე არაბულ სამყაროში პოლიტიკურმა გამოღვიძებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა მათი შესაძლებლობები ახლო აღმოსავლეთში ცვლილებების განხორციელების მიმართულებით**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასონურ-კათოლიკური კავშირი დღეს უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე ოდესმე. ან რატომ უნდა ყოფილიყო სხვანაირად?! საერთო იდეალები არ შეცვლილა. პრინციპი „ყველა თავისთვის“ ერთ მხარესაც აძლევს ხელს და მეორესაც, რადგან ეკუმენიზმი ისეთ წყალსატევად რჩება, რომლის „მღვრიე წყალში თევზს ადვილად იჭერენ“.**

# მართლმადიდებლობა და ახალი მსოფლიო წესრიგი

დასასრული. დასაწყისი იხ. №21-22 (159-160)

**დოქტორი მარკო მარკოვიჩი, რომელიც ჩვენს წინა პუბლიკაციაში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №22) აანალიზებდა მასონების დამოკიდებულებას ქრისტიანობის მთავარი დოგმატების მიმართ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კალატოზების“ დღევანდელი შთამომავლები ფაქტობრივად ქრისტეს ჩაანაცვლებენ ადამიანით — რომის პაპით, და, მაშასადამე, თავად ხდებიან მწვალებლები, ქრისტიანობის მასონური ასიმილაციის დამამკვიდრებლები.**
**ქრება ქრისტეს რწმენა, ქრისტიანობიდან არაფერი რჩება. მარსოდონის მცდელობა შერწყმისა და გაერთიანების თუ არა, ქრისტიანობასა და მასონობას შორის თეორიული ხიდების გადების თაობაზე, პრაქტიკულად ამაოებაა ამაოთა. ამიტომ იგი მასონური ასიმილაციის დაკონკრეტებას ცდილობს და ეძებს გავლენიან თანამდგომებს ქრისტიანთა ბანაკში.**

## ხიდები მასონობასა და კათოლიკობას შორის

— და თითქოს რაღაც ბედნიერმა წინათგრძნობამ უკარნახაო, — **განაგრძობს მარკო მარკოვიჩი,** — 1947 წელს იწყებს მოლაპარაკებას კარდინალ რონკლისთან, პარიზში პაპის ნუნცისთან, და მომავალ პაპ იოანე XXIII-სთან. ამ შეხვედრას მასონებმა იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ პაპის ერთ-ერთმა მასონმა ბიოგრაფმა თავისი წიგნი ასე დაასათაურა „იოანე XXIII-ის რევოლუცია“.

**— მიგაჩნიათ, რომ პაპი და ბარონი მარსოდონი მასონურ-კათოლიკური მომავალი თანამშრომლობის პიონერები იყვნენ, თუ რაღაც კონტაქტები ადრეც არსებობდა?**

— მოლაპარაკება მათ შეხვედრამდე იყო დაწყებული. მარსოდონი აღიარებს, რომ მასონებისა და კათოლიკების კავშირები ათეულობით წლის წინათ დამყარდა. მასა და დასახელებულ კარდინალ რონკალს შორის უცებვე დამყარდა სრული ურთიერთგაგება. კარდინალმა არა მარტო იმთავითვე იცოდა, რა მაღალი თანამდებობა ეკავა მარსოდონს მასონურ იერარქიაში, არამედ ურჩია, დარჩენილიყო მასონობაში, როცა ბარონმა გულახდილად გაანდო, რომ ერთდროულად არის მალტის ორდენის რაინდი.

**— გაგრძელდა ასეთი ურთიერთობა მაშინაც, როცა კარდინალი რონკლი იოანე XXIII გახდა?**

— იოანე XXIII-მ ბარონი მიიღო კასტელ განდოლფოს სასახლეში და გულწრფელი ურთიერთობა პაპის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

**— რომელ ბაზას, რომელ საფუძველს ეყრდნობოდა ეს თანამშრომლობა?**

— ეკუმენიზმის ბაზას... მარსოდონის თვალსაზრისით, ქრისტიანული ეკლესიების ერთიანობა შეიძლება ერთი ეტაპი ან საფეხური ყოფილიყო მასონური იდეალისკენ, რასაც ადასტურებს შარლ რიანდე, საფრანგეთის დიდი საბჭოს სუვერენული დიდი კომანდორი: **„მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ ეს ძალისხმევა მხოლოდ ნაბიჯებია ეკუმენიზმისკენ, რომელიც გვსურს, ვიხილოთ როგორც ტოტალური... ვინ წარმოთქვამს გაფართოებული ახალი აღთქმის სიტყვებს, რომელსაც (ახალ აღთქმას) თავის საფუძვლად ადამიანი ეყოლება, მწვერვალზე კი — უზენაესი ძალა, ვინ დააყენებს ამ საძირკველსა და ამ მწვერვალს შორის მთელ ცოცხალ კაცობრიობას?.. ჩვენ წინასწარმეტყველებას ველოდებით“.**

**— მოკლედ, მასონობას სურდა, გამოეყენებია კათოლიკური ეკლესია როგორც საშუალება საკუთარი მიზნების მისაღწევად, ხოლო პაპს მასონების დახმარება სჭირდებოდა, რათა თავისი ძალაუფლება მთელ ქრისტიანობაზე განევრცო.**

— „... და გააერთიანებინა 900 მილიონი ქრისტიანი“, როგორც ამას თავად მარსოდონი ამბობდა. მასონური იდეალის განხორციელება შეიძლება ან გაურკვეველი დროით გადადებულიყო, ან განხორციელებულიყო რომის პაპის პირობების თანახმად და მისი დირიჟორობით.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მარსოდონს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ რომის ეკლესიას იოანე XXIII-ის მეთაურობით გააჩნდა იგივე იდეალები, რაც მასონებს?**

— დიახ. ასეთი დასკვნის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ კარდინალი ბეა აწარმოებდა მოლაპარაკებას იუდეველებთან. ამის გამო იყო, რომ პაპის პავლე VI-ს ხელისუფლებაში მოსვლამ იმედი გაუცრუა.

**— მაგრამ თუ კათოლიკურმა ეკლესიამ ახალი პაპის მოსვლით შეწყვიტა კონტაქტები მასონებთან, მაშასადამე, კათოლიკებისა და მასონების თანამშრომლობა დროებითი იყო?**

— შეიცვალა პოლიტიკა, მაგრამ თანამშრომლობა არ შეწყვეტილა. პირიქით, მათი კავშირები უფრო განმტკიცდა. ერთი ხანობა მარსოდონს იმედი ჰქონდა, რომ პაპი პავლე VI გააგრძელებდა იოანე XXIII-ის პოლიტიკას. ბომბეიში ჩასულმა პაპმა წარმოთქვა მაგიური სიტყვა „სინთეზი“, რომელიც მარსოდონმა თავისი იმედის დადასტურებად აღიქვა. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა პაპის ენციკლიკის — „Ecclesiam suam“-ის შემდეგ... ეკუმენური მოძრაობა „მშვიდობიან თანაარსებობამდე“ იქნა დაყვანილი. მარსოდონის აზრით, გადაულახავი წინააღმდეგობა პაპისა და „მისი სუროგატების, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა რომის ეპისკოპოსის უცოდველობა. აქედან — განაჩენი: „ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა იოანე XXIII საბოლოოდ გარდაიცვალა და მასთან ერთად „საყოველთაო უნციის“ შექმნის იმედიც.

ბარონის გულგატეხილობაც საშინელი იყო. წიგნში „მასონური განდობიდან ქრისტიანულ მართლმადიდებლობამდე“ მან განაცხადა: „არ ვმალავ, რომ ამ სარწმუნოებას უპირატესობას ვანიჭებ“.

**— როგორ შეიძლება ვენდოთ ამგვარი შემობრუნების სიწრფელეს, როცა ვიცით, რომ თავდაპირველად უპირატესობა კათოლიციზმსა და პაპ იოანე XXIII-ს მიანიჭა?**

— **როცა მარსოდონზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, საქმე გულწრფელობას ან არაგულწრფელობას კი არ ეხება, არამედ მსოფლიო პოლიტიკას. ორ შემთხვევას შეიძლება ემოქმედა მასზე ასეთი გზის არჩევისას: მისთვის ცნობილი მართლმადიდებელი მასონების დიდ რაოდენობას და მართლმადიდებლობის არასაკმარის ცოდნას.** იგი არასოდეს ივიწყებდა „ბევრ რუს მასონს“, რომლებიც გაიცნო „მასონობაში ყოფნის 40 წლის განმავლობაში“ და „რომლებიც მართლმადიდებლობის წიაღში გარდაიცვალნენ ერთდროულად ქრისტიანობისა და მსოფლიო მასონობის მომავლის რწმენით“. მას თუ დავუჯერებთ, „მასონი ემიგრანტების რაოდენობა პროპორციულად დიდია მართლმადიდებელთა შორის, რომლებიც ეკლესიებში დადიან“.

**— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, მარსოდონი მხოლოდ რუსულ წრეებში ტრიალებდა. სხვა ეროვნების მართლმადიდებლებს, რომლებიც მასონებიც იყვნენ, არ იცნობდა?**

— რუსების შემდეგ მარსოდონი სხვებზე მეტად რუმინელებზე ლაპარაკობს...

ამასთან, იგი არ ერიდებოდა კრიტიკული შენიშვნების გამოთქმას კათოლიკური ეკლესიის მიმართ, მაგალითად, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ცდილობდა მართლმადიდებელი რუსების კათოლიკურ რწმენაში გადაყვანას(?!), რომ იგი მეორე მსოფლიო ომის დროს პაპი პიუს XII არ რეაგირებდა ჰიტლერის მასობრივ ბოროტმოქმედებაზე; რომ ვატიკანის კრებამ ყურადღება არ მიაქცია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ტანჯულ მდგომარეობას... მარსოდონმა, რომელიც ილუზიამ მოიცვა, დაიჯერა მართლმადიდებლობის „რეალიტივიზმი“ და ირწმუნა, რომ იქ შეძლებდა დამკვიდრებას... იმედოვნებდა, რომ ცალკეული პირების მეშვეობით შეძლებდა ეკლესიის დაპყრობას...

**— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ფიქრობდა, რომ მიაგნო ტროას ცხენს, რომლის მეშვეობით შეაღწევდა მართლმადიდებლობის ბანაკში... მიგაჩნიათ, რომ კათოლიკეთა შორისაც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები?**

— მარსოდონის ტაქტიკამ კათოლიკეთა ბანაკშიც თავისი შედეგები გამოიღო... **მასონურ-კათოლიკური კავშირი დღეს უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე ოდესმე. ან რატომ უნდა ყოფილიყო სხვანაირად?! საერთო იდეალები არ შეცვლილა. პრინციპი „ყველა თავისთვის“ ერთ მხარესაც აძლევს ხელს და მეორესაც, რადგან ეკუმენიზმი ისეთ წყალსატევად რჩება, რომლის „მღვრიე წყალში თევზს ადვილად იჭერენ“.**

**— ანუ ერთნი კვლავ ურჩევენ მართლმადიდებლებს, უწინარეს ყოვლისა, აღიარონ პაპის პრიმატი, მეორენი კი ისწრაფვიან, რომ ისინი პირდაპირ მასონობაში შეიყვანონ. თუ ასეთი ახსნა მართალია, მაშინ, ხომ ამგვარი თამაში ვნებს მხოლოდ მართლმადიდებლობის ინტერესებს: პაპის პრიმატის აღიარებითაც თუ მასონთა ბატონობითაც, მართლმადიდებლური ეკლესია ორივე შემთხვევაში კარგავს არსებობის შესაძლებლობას, ვითარცა ჭეშმარიტების რელიგია.**

— ჩვენ გონიერი ადამიანები ვართ და, თუ ლოგიკას გავყვებით, სწორედ ასეთ დასკვნამდე მივალთ...

**— ლაპარაკობდნენ, რომ პაპი იოანე-პავლე I მოკლეს...**

— ეს თემა განხილულია ერთ ფრიად სერიოზულ წიგნში, რომელიც წავიკითხე — „ღმერთის სახელით“. ავტორი კათოლიკე დევიდ ელოპია. ამას ხაზს ვუსვამ, რათა არავინ ეს ნაშრომი არ წარმოიდგინოს ანტიკათოლიკური პროპაგანდის ნიმუშად.

ავტორმა უამრავ მოწმეს მოუსმინა, მათგან 27 ეკლესიის მსახურია, 77-მა მათი გვარების დასახელების უფლება მისცა. გამოკვლევისთვის საჭირო ცნობები დევიდ ელოპს მიაწოდა 20-მა საეკლესიო და სამოქალაქო დაწესებულებამ. ავტორის დასკვნა ასეთია: **პაპი იოანე-პავლე I მოკლეს იმიტომ, რომ იგი ემზადებოდა „წმენდის“ ჩასატარებლად ვატიკანში. მის სიაში შეტანილი ►**



**პაპი იოანე-პავლე I მოკლეს იმიტომ, რომ იგი ემზადებოდა „წმენდის“ ჩასატარებლად ვატიკანში. მის სიაში შეტანილი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უნდა დაეტოვებიათ თავიანთი თანამდებობები მასონობაში ყოფნის ან ფინანსური მაქინაციების გამო**

მოკლედ

### შიმონ პერესი აშშ-მა თავისუფლების მედლით დააჯილდოვა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — თავისუფლების მედლით დააჯილდოვა. ეს ჯილდო სამოქალაქო პირებისთვის არის განკუთვნილი.** „აშშ-ს გაუმართლა, რომ მთელ მსოფლიოში ბევრი მოკავშირე და პარტნიორი ჰყავს. რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი უძლიერესი პარტნიორი და უახლოესი მეგობარი ისრაელის სახელმწიფოა. არც ერთ ადამიანს არ გაუკეთებია ჩვენი პარტნიორული კავშირების დამყარებისა და ხალხების დაახლოებისათვის მრავალი წლის მანძილზე იმდენი, რამდენიც ამ ლიდერმა გააკეთა, რომელსაც დღეს ვაჯილდოებთ – ჩვენს მეგობარ შიმონ პერესს, — განაცხადა ბარაკ ობამამ დაჯილდოების ცერემონიაზე.

### ლიბიაში წითელი ჯვრის წარმომადგენლობა ააფეთქეს

**ლიბიაში საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლობა ააფეთქეს. აღნიშნული ინციდენტი ქალაქ მისურატაში მოხდა. აფეთქების შედეგად არავინ დაღუპულა, დაჭრილია ერთი ადამიანი.** აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. ზუსტად ასეთივე თავდასხმა მოხდა ქალაქ ბენღაზში საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლობაზე მაისში. თავდასხმა განახორციელა ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „ომარ შეიხ აბდურახმანოვის ბრიგადას“ უწოდებს. მაშინ მათ საერთაშორისო წითელ ჯვარს ქრისტიანული საქმიანობის შეწყვეტა და ქრისტიანული სიმბოლიკის მოშორება მოსთხოვეს.

**მათ (ქრისტიანებს) შეეძლოთ თავიდან აერიდებიათ დევნა, თუ აღიარებდნენ ღვთაებრივი იმპერატორისთვის მსხვერპლშეწირვის კულტს და დათანხმდებოდნენ, რომ ქრისტეს ქანდაკება სხვა წარმართი ღმერთების გვერდით დაეყენებიათ პანთეონში — რომაული ეკუმენიზმისა და სარწმუნეობრივი ტოლერანტობის ტაძარში.**

# ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უნდა დაეტოვებიათ თავიანთი თანამდებობები მასონობაში ყოფნის ან ფინანსური მაქინაციების გამო. იოანე-პავლე II-ს მოსვლის შემდეგ ყველა ისინი ადგილებზე დარჩნენ.**

**— პრესაში ლაპარაკობდნენ ვატიკანში ფინანსურ სკანდალებზე, მაგრამ მასონობამ თუ იქაც შეაღწია, ამაზე არაფერი ვიცოდი.**

— თანაც — უმაღლეს დონეზე! ელოპი პირდაპირ ასახელებს მათ და საქვეყნოდ არცხვენს: „კარდინალი, სახელმწიფო მდივანი ვიიო, მასონური სახელი — ჟანი (ან ჯანი?), ლოჟა ნომერი 041/3. კარდინალი, საგარეო საქმეთა მინისტრი აგოსტინო კაზაროლი; კარდინალი უგო პოლეტი; კარდინალი ბაჯო, ეპისკოპოსი პავლე მარცინკუსი და მონსენიორი დონატო ვატიკანის ბანკიდან“.

**— ამ ცნობებმა რომელი წყაროებიდან მიაღწია პაპ იოანე-პავლე I-მდე?**

— როგორც ვიცი, ერთი მთავარი წყაროა „ოსერვატორე პოლიტიკო“ — საინფორმაციო სააგენტო, რომლის სათავეში იდგა ყოფილი მასონი ნინო პეკორელი. მან წარადგინა 121 მასონის, ლოჟების წევრთა, სია, რომელსაც თვითონ უწოდა „ვატიკანის დიადი ლოჟა“.

**— რატომ უნდა ვერწმუნოთ მას?**

— ერთი დეტალის თქმა დამავიწყდა. ამ სიის წარდგენის შემდეგ პეკორელი მოკლეს. თუ არ ვცდები, ეს მოხდა 1979 წლის 21 მარტს. 21 საათსა და 15 წუთზე იგი თავის კანცელარიიდან ვია ორაციოზე გამოვიდა და გაემართა თავისი ყოფილი ლოჟის ხელმძღვანელთან შესახვედრად. როცა ავტომანქანაში ჩაჯდა, ორი ტყვია პირში დაახალეს... ამით დამტკიცდა, რომ **„ოსერვატორე პოლიტიკოში“ გამოქვეყნებული ცნობა მართალია. პაპის შემდეგ, რომელსაც ვატიკანიდან მასონების მოცილება სურდა, დაეცა იგი, ვინც ისინი გასცა.**

**— საშინელებაა! მაგრამ ამ ცნობის ჭეშმარიტება რომ ვირწმუნოთ, ვატიკანსა და მასონობას შორის ტოტალური კავშირის მტკიცებულებად ვერ გამოდგება.**

**(პასუხად მარკო მარკოვიჩი იმოწმებს 1917 წლის პორტუგალიის სოფელ კოვა და ირიაში ღვთისმშობლის მაისიდან ოქტომბრამდე ექვსგზის გამოცხადებას, ექვსივეჯერ 13 რიცხვში, და მის მიერ სამი ცნობის დატოვებას. მესამე საიდუმლო ცნობა, რომელიც ვატიკანში ინახებოდა და მხოლოდ 1960 წლის შემდეგ უნდა განესაიდუმლოებიათ, წაიკითხეს იოანე XXIII-მ, პავლე VI-მ და იოანე-პავლე II-მ, მაგრამ არც ერთმა არ ისურვა მისი საჯაროდ გამოტანა).**

— ფრანგმა ჟურნალისტმა მარკ დემმა თავის წიგნში „ფატიმის მესამე საიდუმლო“ მიიჩნია, რომ არც ერთმა პაპმა არ ისურვა „მესამე საიდუმლოს“ გამხელა იმიტომ, რომ ღვთისმშობელი იქ გმობდა რომის ეკლესიის ამჟამინდელ პოლიტიკას, უწინარეს ყოვლისა, ვატიკანის მეორე კრების (1962-1965) ეკუმენიზმს. დემმა ისიც დაიჩივლა, რომ კათოლიკური ეკლესია, რომელიც მონოთეიზმის პოზიციაზე დგას, იუდეველებისა და მუსლიმთა მსგავსად გვერდს უვლის ქრისტეს ღვთაებრიობის საკითხს. იგი (კათოლიკური ეკლესია) ამყარებს გულითად კავშირს ბრაჰმანისტებთან და ბუდისტებთან, დრუიდებს კი შარტრის ცნობილ ტაძარსაც უთმობს. ახალი კათოლიკური მესის შემუშავებაში პავლე VI-ს დროს მონაწილეობდა ექვსი პროტესტანტი თეოლოგი, რომელთა შორისაც იყო „მონარქი“ — მაქს ტურიანი, ძმობის დამფუძნებელი ტეზაში (საფრანგეთი). ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლოცვაში ამოიღეს გამოთქმა „პრისნოდევა“ — საუკუნო ქალწული მარიამი. ასეთი და მსგავსი ეკუმენური მანიფესტაციების შემდეგ არმანდო კორონას, დიად ოსტატსა და იტალიის დიადი აღმოსავლეთის წევრს, გაუჩნდა საფუძველი მშვიდად განეცხადებინა, რომ 1738 წელს მასონების ანათემას გადაცემა შეცდომად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ამჟამად პაპი ასიზიურ შეხვედრას (რელიგიათაშორისი შეხვედრები იტალიის ქალაქ ასიზიაში ეძღვნება „ბრძოლას მშვიდობისათვის“) მასონური სულისკვეთებით ხელმძღვანელობს.

**ამჟამად და უახლოეს მომავალში პაპს დიდი შანსი აქვს, შეინარჩუნოს თავისი პირველობა და გახდეს „მსოფლიო მონარქი“, რადგან, ერთი ფრანგი ჟურნალისტის თქმით, „ამ სამყაროში, რომელიც მუდმივი, შიშისა და მუქარის გავლენის ქვეშ ცხოვრობს, მხოლოდ ერთმა სულიერმა ავტორიტეტმა შეძლო ემოქმედა — ეს იყო პაპი“, თუმცა, მეორე მხრივ, პაპი მნიშვნელოვნად უგულებელყოფს დოგმატებს.**

ჩვენი მკითხველებისთვის უთუოდ საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რომელი ეკლესიები იყო წარმოდგენილი 2002 წლის 24 იანვრის შეხვედრაზე, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში გაიმართა. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ აღნიშნული შეხვედრის მთავარი მიზანი იყო დადასტურება იმისა, რომ „2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მკვეთრად გამწვავებული საერთაშორისო ვითარების ფონზე რელიგიური ლიდერები კვლავაც ერთგულებენ მშვიდობის საქმეს“.

იოანე-პავლე II-ს მიწვევით შეხვედრაში მონაწილეობდა 200-ზე მეტი რელიგიური მოღვაწე.

კათოლიკებთან ერთად ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ დასავლეთის შემდეგი კონფესიები: ანგლიკანელები, ლუთერანელები, რეფორმატები, მეთოდისტები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მენონითები, ხსნის არმია, კვაკერები, მორავიის ძმები.

წარმოდგენილი იყვნენ, აგრეთვე: კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, რუსეთის, ალბანეთის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსისა და პოლონეთის ოფიციალური წარმომადგენლები. ელადის ეკლესიის ჩაუსვლელობა საბერძნეთის იერარქმა, ეპისკოპოსმა ათანასემ შემდეგნაირად ახსნა: მართლმადიდებელი არქიერების უმრავლესობა მხარს უჭერს ეკუმენური დიალოგის იდეას, მაგრამ რიგითი მორწმუნენი, ძირითადად, სხვა აზრზე დგანან. ისინი მიიჩნევენ, რომ ასიზის შეხვედრა „რელიგიური სინკრეტიზმის“ გამოვლენაა, რაც მართლმადიდებლებისთვის მიუღებელია. „რელიგიური სინკრეტიზმი“ არის ეკლექტური რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელმაც მოიცვა საზოგადოების მხოლოდ უმაღლესი ფენები.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის დელეგაცია სიზაში არ ჩასულა.

**— არის თუ არა ეს მასონურ-კათოლიკური კავშირი საშიში მართლმადიდებლობისთვის?**

— იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენები, ვფიქრობ, ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია. კათოლიკური ეკლესია და საერთაშორისო ორგანიზაციები შეთანხმებულად მოქმედებენ სერბების წინააღმდეგ. ამაში ახალი არაფერია. **როცა ტოტალიტარული რეჟიმები ათეული წლების განმავლობაში ანადგურებდნენ მართლმადიდებლობას, ეს არავის აღელვებდა, მაგრამ, როცა ტოტალიტარიზმი დაინგრა, ეს „გაერთიანებული ევროპული სახელმწიფოები“, „ევროპული კავშირის ქვეყნები“ და „მსოფლიო მონარქია“ უცებ გამოფხიზლდა და გაერთიანდა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.** რახან კომუნიზმით ჩვენი განადგურების საშუალება მოესპოთ, ახლა ისინი თავადვე გაგვანადგურებენ.

პირველი ქრისტიანები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიც ჩვენ აღმოვჩნდით. მათ გზა გვიჩვენეს. მათ შეეძლოთ თავიდან აერიდებინათ დევნა, თუ აღიარებდნენ ღვთაებრივი იმპერატორისთვის მსხვერპლშეწირვის კულტს და დათანხმდებოდნენ, რომ ქრისტეს ქანდაკება სხვა წარმართი ღმერთების გვერდით დაეყენებიათ პანთეონში — რომაული ეკუმენიზმისა და სარწმუნეობრივი ტოლერანტობის ტაძარში.

მაგრამ ქრისტიანთა ღმერთი არის ერთი და ჭეშმარიტი და არა ღმერთი ღმერთთა შორის. ერთიანი ღმერთის სადიდებლად ეწამნენ ქრისტიანენი. რამდენიმე საუკუნის შემდეგ მათმა ღმერთმა, ყველაფრის მიუხედავად, დააჯილდოვა ისინი გამარჯვებით — დამხმარედ და შემწედ გამოუგზავნა იმპერატორი კონსტანტინე...

უნდა გავიხსენოთ პირველი ქრისტიანები, სანამ ვუპასუხებთ შეკითხვას „მაძლევს კი უფლებას ჩემი მართლმადიდებლური რწმენა, გავხდე მასონი?“



## ქრისტიანთა ღმერთი არის ერთი და ჭეშმარიტი და არა ღმერთი ღმერთთა შორის. ერთიანი ღმერთის სადიდებლად ეწამნენ ქრისტიანენი

## ფრანგმა ჟურნალისტმა მარკ დემმა თავის წიგნში „ფატიმის მესამე საიდუმლო“ მიიჩნია, რომ არც ერთმა პაპმა არ ისურვა „მესამე საიდუმლოს“ გამხელა იმიტომ, რომ ღვთისმშობელი იქ გმობდა რომის ეკლესიის ამჟამინდელ პოლიტიკას, უწინარეს ყოვლისა, ვატიკანის მეორე კრების (1962-1965) ეკუმენიზმს

# თურქეთის ციხეში ამბოხს 13 პატიმარი შეეწირა

**პატიმრებმა თურქეთში ციხე დაწვეს. წყაროს ცნობით, ციხეში მომხდარი ამბოხის დროს ცამეტი პატიმარი დაიღუპა, ხუთმა კი ტრავმა მიიღო. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სირიის საზღვრის სიახლოვეს, შანლიურფის ციხეში არეულობა გუშინ საღამოს დაიწყო.** წინასწარი მონაცემებით, პატიმრების უკმაყოფილება ციხის პირობებს, კერძოდ, კამერაში 40-გრადუსიან ტემპერატურას უკავშირდება. ამის გამო მათ ერთ-ერთ კამერაში ლეიბები და თხელი საბნები დაწვეს. ამას ბუნტი მოჰყვა, რაც მთელ სასჯელაღსრულების დაწესებულებას მოედო. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიფ ერდოღანმა მოგვიანებით აღიარა, რომ კამერა, რომელშიც ამბოხი დაიწყო, პატიმართა ასეთი დიდი რაოდენობისათვის მართლაც არ იყო გათვალისწინებული. სულ ამ ციხეში სასჯელს იხდის დაახლოებით 1000 პატიმარი, რომელთა შორის ბევრი პოლიტპატიმარია.



# აშშ ლავროვის ბრალდებას უარყოფს

**აშშ-მა სირიელი მეამბოხეების შეიარაღებაზე სერგეი ლავროვის ბრალდება უარყო. ლაპარაკია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, სირიელ მეამბოხეებს აშშ იარაღს აწვდის.** ეს განცხადება თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ უარყო. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს პოზიცია არ შეუცვლია და სირიელ მეამბოხეებს შეიარაღებას არ აწვდის. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადება ასევე უარყო სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა. გარდა ამისა, მან რუსეთს დამასკოსათვის იარაღის მიწოდების შეწყვეტისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. სერგეი ლავროვმა ზემოთ ხსენებული განცხადება 13 ივნისს ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში გააკეთა.

მოკლედ

# ნიკოლა სარკოზის გაასამართლებენ



**ნიკოლა სარკოზის სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ხელშეუხებლობის მანდატი ეწურება და სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემა ერთდროულად რამდენიმე საქმის გამო მოუწევს.** ყველაზე გახმაურებული საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ქალბატონის — ლილიან ბეტანკურის საქმეა. ბრალდების მტკიცებით, ლორეალის სახლის მფლობელი 2007 წელს უკანონოდ აფინანსებდა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიას. სარკოზის პასუხის გაცემა მოუწევს „ყარაჩის საქმესთან“ დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე. გამოძიების ვერსიით, ყოფილი პრეზიდენტი პაკისტანისთვის წყალქვეშა გემების მიწოდებაში მილიონობით ევროს იღებდა.

# ეგვიპტეს „საშიშ დღეებს“ ჰპირდებიან

**ეგვიპტის პარტია „ძმები მუსლიმანების“ მომხრეები აცხადებენ, რომ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო ეგვიპტის „მყიფე დემოკრატია“ საფრთხის ქვეშ დგას.** სასამართლოს მიერ ქვეყანაში გამართული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობამ და ქვედა პალატის დაშლის მოთხოვნამ „ძმები მუსლიმანების“ მომხრეებში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. მათი თქმით, თუ ქვეყანაში ხელისუფლება დაბრუნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც დამხობილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს უკავშირდებიან, ქვეყანას „საშიში დღეები“ ელოდება.

კომენტარით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩერჩილი გვთავაზობს, რომ აქ, კონფერენციაზე, შევქმნათ პოლონეთის მთავრობა. ვფიქრობ, რომ ბატონ ჩერჩილს წამოსცდა: როგორ შეიძლება პოლონეთის მთავრობის შექმნა პოლონელების გარეშე? ბევრნი დიქტატორს მიწოდებენ, მაგრამ მე დემოკრატიულობის საკმარისი გრძნობა მაქვს საიმისოდ, რათა არ ვეცადო პოლონეთის მთავრობის შექმნას უპოლონელებოდ. პოლონეთის მთავრობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ პოლონელების მონაწილეობითა და მათი თანხმობით“.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-22 (139-160)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### იალტის კონფერენცია

**ნიშანდობლივია უკვე ის, რომ „დიდი სამეულის“, მსოფლიოს სამი წამყვანი ქვეყნის ლიდერების, მოკავშირეთა შეხვედრა გაიმართა ყირიმში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელიც ჰიტლერელებისგან იყო გათავისუფლებული.**

**გამარჯვება ახლოს იყო და საჭირო ხდებოდა სამომავლო ამოცანების გადაწყვეტა. უეჭველი იყო, რომ საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის გავლენის ზონები მნიშვნელოვნად გაფართოვდებოდა უპირატესად დიდი ბრიტანეთის ყოფილი ტერიტორიების ხარჯზე. ჩერჩილის ამოცანა უაღრესად ძნელი იყო — რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის.**

წყნარი ოკეანის ვრცელი რეგიონი, უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის გამოკლებით, აგრეთვე, ნავთობის მდიდარი ახლო აღმოსავლეთი აშშ-ის ეგიდის ქვეშ მოექცა. ხმელთაშუაზღვის რეგიონი ინგლისის ინტერესებს დაექვემდებარა კვლავ, რასაც სტალინი დაეთანხმა. აღმოსავლეთი ევროპა და ჩინეთი, საგანთა ლოგიკის მიხედვით, სოციალისტურ სისტემაში უნდა გაერთიანებულიყო.

რომელი ლოგიკა იგულისხმება? უწინარეს ყოვლისა, ის, რომელიც განისაზღვრება მეორე მსოფლიო ომში მხარეთა მონაწილეობითა და ამასთან დაკავშირებული დანაკარგებით. აქ საბჭოთა კავშირი კონკურენციის გარეშე იყო. ამერიკელთა დანაკარგები მეორე ადგილზე იყო (მოკავშირეთა შორის). ინგლისელი მფრინავები და მებრძოლები საოცარი გმირობის მაგალითებს ავლენდნენ, სახმელეთო ჯარების წარმატება კი გაცილებით ნაკლები იყო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას ძირითადად საბჭოთა ჯარები ათავისუფლებდნენ. აქედან გამომდინარე, უცნაური იქნებოდა, სტალინს ჩერჩილისთვის რომ დაეთმო ტერიტორიულ კამათში. დევნილი პოლონური მთავრობის ანტისაბჭოთა პოზიცია და გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მისი მომხრეების მიერ წითელი არმიის მეომრების მკვლელობები განუმტკიცებდა სტალინს იმის რწმენას, რომ მხარი დაეჭირა პოლონეთში სახალხო დემოკრატიის დამყარებისთვის. ამ ქვეყნის მიმართ ჩერჩილს თავისი ანგარიში ჰქონდა, მაგრამ ვითარება ისეთი ყალიბდებოდა, რომ ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო მოწყობის მთავარი განმსაზღვრელები ხდებოდა აშშ და საბჭოთა კავშირი.

**...ჩერჩილსა და რუზველტს სტალინი იალტაში ჩამოფრენისას არ დახვედრია, თუმცა მათზე ადრე იყო ჩასული ყირიმში. მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებამ, გერმანიასთან სეპარატული ზავის დადების მცდელობამ ერთგვარი დაღი დაასვა მოკავშირეთა ურთიერთობას.**

ჩერჩილის უმთავრესი ამოცანა ყირიმის კონფერენციაზე ევროპაში მისი გავლენის განმტკიცება, „ძალთა ბალანსის“ შენარჩუნება და ბრიტანეთის იმპერიის შენარჩუნება იყო.

იგი იმედოვნებდა, რომ ამ მისწრაფებას მხარს დაუჭერდა შეერთებული შტატები, მაგრამ, როგორც ისტორიის მკვლევარები შენიშნავენ, **„კონფერენციის დაწყებისთანავე რუზველტი ცდილობდა, საერთო ენა გამოენახა სტალინთან, მნიშვნელოვანწილად ჩერჩილის წინააღმდეგ გამოსვლითაც კი“.**

კონფერენციაზე სტალინი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო ერთ მნიშვნელოვან თემასაც, რომელიც დღესაც აქტუალური რჩება, — ნებისმიერ საკითხზე არა მხოლოდ აზრის გამოთქმის უფლებას. „ასეთი უფლება იაფი ღირს“, — ზუსტად შენიშნა მან. მთავარია, არსებობდეს საჭირო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

**თუ ჩავუფიქრდებით, მან განაცხადა, რომ სიტყვის თავისუფლებასთან ერთად საქმის თავისუფლებაც უნდა არსებობდეს.**

მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების თავისუფლება! ეს ნათქვამი იყო 68 წლის წინათ საბჭოთა კავშირის ლიდერის მიერ.

პოლონეთის პრობლემის განხილვაზე რომ გადავიდნენ, სტალინმა შეახსენა მოკავშირეებს, რომ **კერზონის ხაზი რუსებმა კი არ მოიგონეს, არამედ კერზონმა, კლემანსომ და ამერიკელებმა, რომლებიც პარიზის 1919 წლის კონფერენციაში მონაწილეობდნენ.** ლენინი არ დაეთანხმა ასეთ საზღვარს. „მაშ, თქვენ გსურთ, რომ ჩვენ კერზონსა და კლემანსოზე ნაკლები რუსები ვიყოთ? ასე თქვენ თავის შერცხვენამდე მიგვიყვანთ...“

ჩერჩილი უთუოდ დიდად შეცდა, როცა მხარი დაუჭირა ლონდონში შეხიზნულ პოლონური მთავრობის პოზიციას ამ ქვეყნის მომავალი საზღვრების საკითხში. სტალინმა ამაზე გამაცამტვერებელი და ირონიული პასუხი გასცა. საბჭოთა ხელმძღვანელმა დამატებით შესთავაზა: **„ჩერჩილი გვთავაზობს, რომ აქ, კონფერენციაზე, შევქმნათ პოლონეთის მთავრობა. ვფიქრობ, რომ ბატონ ჩერჩილს წამოსცდა: როგორ შეიძლება პოლონეთის მთავრობის შექმნა პოლონელების გარეშე? ბევრნი დიქტატორს მიწოდებენ, მაგრამ მე დემოკრატიულობის საკმარისი გრძნობა მაქვს საიმისოდ, რათა არ ვეცადო პოლონეთის მთავრობის შექმნას უპოლონელებოდ. პოლონეთის მთავრობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ პოლონელების მონაწილეობითა და მათი თანხმობით“.**

მან, როგორც სამხედრო მოღვაწემ, მკვეთრად დაგმო პოლონელი იატაკქვეშელების — პოლონეთის მთავრობის აგენტების ძირგამომთხრელი მოქმედება, რომლებმაც ყველაფერთან ერთად წითელი არმიის 212 სამხედრო მოსამსახურე მოკლეს. „სიმშვიდე და წესრიგი ზურგში ჩვენი წარმატების ერთ-ერთი პირობაა. ეს ესმით არა მხოლოდ სამხედროებს, არამედ არასამხედროებსაც. ასეთია ვითარება“.

ჩერჩილი შეეპასუხა: პოლონეთის ამჟამინდელი დროებითი მთავრობა პოლონელი ხალხის ერთ მესამედზე ნაკლებს წარმოადგენს (მას კარგად ესმოდა, რომ ასეთი განცხადება ლიტონია, ფუჭია და ამიტომ ორჯერ გაიმეორა — შესაძლებელია, ვცდებოდეო). მაგრამ სტალინის არგუმენტების საწინააღმდეგო არც ერთი სერიოზული მოსაზრება არ წამოუყენებია.

**როცა ჩერჩილმა ომისშემდგომი გერმანიის საკითხის განხილვა შესთავაზა კონფერენციის მონაწილეებს, დაუმატა: „თუ მას საერთოდ ექნება რამენაირი მომავალი“.**

**— გერმანიას ექნება მომავალი, — უპასუხა სტალინმა და მართალიც აღმოჩნდა.**

**პოლონეთში ჩასატარებელ არჩევნებთან დაკავშირებით რუზველტმა ასეთი სურვილი გამოთქვა:**

**— მინდა, რომ პოლონეთის არჩევნები, კეისრის ცოლის მსგავსად, ეჭვზე მაღლა იდგეს.**

**— კეისრის ცოლზე, — გამოეხმაურა სტალინი, — ასე მხოლოდ ამბობდნენ, სინამდვილეში მას რაღაც პატარა ცოდვები ჰქონდა.**

ძნელია იმის თქმა, ჩადო თუ არა სტალინმა ამ მინიშნებაში განსაკუთრებული აზრი, რომელიც უკავშირდებოდა, დავუშვათ, ე. წ. დემოკრატიულ თავისუფლებებს (კერძოდ, „თავისუფალ არჩევნებს“) კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ ახლა გამჟღავნდა, თუ რა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ეს სისტემა...

ყირიმში ერთ-ერთი სადილის დროს ჩერჩილმა გრძელი სადღეგრძელო წარმოთქვა:

**— მე არ მივმართავ არც გაზვიადებას, არც ფერადოვან კომპლიმენტებს, როცა ვამბობ, რომ მარშალ სტალინის სიცოცხლე უძვირფასესი განძია ჩვენი იმედებისა და ჩვენი გულებისათვის. ისტორიაში ბევრი დამპყრობი ყოფილა, მაგრამ მათგან ცოტა ვინმე თუ იყო სახელმწიფო მოღვაწე... მე ამქვეყნად დავაბიჯებ დიდი გაბედულებითა და იმედით, როცა ვაცნობიერებ, რომ მეგობრული და ახლობლური ურთიერთობა მაქვს ამ უდიდეს ადამიანთან, ვისმა დიდებამაც გადაუარა არა მხოლოდ მთელ რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოს!**

იყო თუ არა ბრიტანეთის პრემიერი გულწრფელი, თუ ცდილობდა საბჭოთა ბელადის გულის მოგებას, მისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას? ამაზე დღეს ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ჩერჩილისთვის მნიშვნელოვანი იყო, მოეპოვებია სტალინის კეთილგანწყობა გავლენის სფეროების განაწილების საკითხში.

სამადლობელ სიტყვაში საბჭოთა კავშირის მთავარმა თქვა:

— კავშირის შიგნით მოკავშირეებმა ერთმანეთი არ უნდა მოატყუონ. შესაძლოა, ეს **გულუბრყვილობაა?** გამოცდილმა დიპლომატებმა შეიძლება თქვან: „რატომაც არ უნდა მოვატყუო ჩემი მოკავშირე?“ მაგრამ მე, როგორც **გულუბრყვილო** ადამიანს, მიმაჩნია, რომ უმჯობესია, არ მოატყუო შენი მოკავშირე, სულელიც რომ იყოს იგი. შეიძლება, ჩვენი კავშირი ესოდენ მტკიცე არის სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ ვატყუებთ ერთმანეთს, ან შეიძლება იმიტომაც, რომ არც ისე ადვილია ერთმანეთის მოტყუება?..“

ჩანს, ეს სიტყვები, ძირითადად, ჩერჩილისადმი იყო მიმართული, რომელიც არაერთხელ შეეცადა სტალინის მოტყუებას...

**...ბევრი ანტისტალინელი აცხადებს, რომ სტალინი ტკბებოდა თავისი პიროვნების კულტით, ნებისმიერ დანაშაულს სჩადიოდა პიროვნული ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, პანიკურად უფრთხილდებოდა თავის სიცოცხლეს და ა. შ.**

**მაგრამ არც ერთი ობიექტური მკვლევარი, მათ შორის, ამ ნაშრომის ავტორები, რომლის თარგმანსაც ქართველ მკითხველებს სთავაზობს ჩვენი გაზეთი, არსად, არასოდეს, არც ერთ ფაქტს არ წარმოგვიდგენს, ამ ბრალდებებს რომ ადასტურებდეს.**

პირიქით: მისთვის ორგანულად უცხო იყო თვითგანდიდებაზე ზრუნვა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო კულტის ელემენტების ნებისმიერი გამოვლენის...

იალტაში მან თავის ყველა ხანდაზმულ მოკავშირეს უთხრა: ▶

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „გავა 10 წელიწადი, შეიძლება ნაკლებიც, და ჩვენ გავქრებით. მოვა ახალი თაობა, რომელსაც არ გაუვლია ყველაფერი ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ, რომელიც ბევრ საკითხს, ალბათ, ჩვენგან განსხვავებულად შეხედავს. რა იქნება მაშინ? ჩვენ თითქოს მიზნად გვაქვს დასახული უზრუნველვყოთ მშვიდობა, სულ მცირე, 50 წლით, ან, ეგებ მე ასე ვფიქრობ ჩემი გულუბრყვილობის გამო?“

**„გავა 10 წელიწადი, შეიძლება ნაკლებიც, და ჩვენ გავქრებით. მოვა ახალი თაობა, რომელსაც არ გაუვლია ყველაფერი ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ, რომელიც ბევრ საკითხს, ალბათ, ჩვენგან განსხვავებულად შეხედავს. რა იქნება მაშინ? ჩვენ თითქოს მიზნად გვაქვს დასახული უზრუნველვყოთ მშვიდობა, სულ მცირე, 50 წლით, ან, ეგებ მე ასე ვფიქრობ ჩემი გულუბრყვილობის გამო?“**

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს მისი **გულუბრყვილობის შესახებ სიტყვების ასე აკვიატებულად გამეორება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სიტყვები მოწმობს საბჭოთა ლიდერის პოზიციის გულწრფელობას,** მაშინ, როცა მოკავშირეებს ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება ჰქონდათ და რის შესახებაც დუმილს ამჯობინებდნენ. იმ დროისთვის სტალინს ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰიტლერები მზად არიან, გაურიგდნენ ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელებს გერმანიის მათთვის ჩაბარების შესახებ ან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედების საწარმოებლად.

დღეს სრული საფუძველი გვაქვს, რათა აბსოლუტურად სწორად მივიჩნიოთ სტალინის დაეჭვება სამი დიდი სახელმწიფოს სამომავლო მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

სამხედრო შეტაკებების თავიდან აცილება მან შეძლო საბჭოთა არმიისა და მთელი ქვეყნის ძლიერებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მართლაც გულუბრყვილობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ბურჟუაზიული ქვეყნები დაჯერდებოდნენ საბჭოთა კავშირის წარმატებული წინსვლისა და სოცბანაკის ქვეყნებში კომუნისტური სულისკვეთების გამარჯვების მშვიდად მაცქერალთა როლს. დაიწყო ანტისაბჭოთა და კომუნისტური იდეალების წინააღმდეგ მიმართული მძაფრი კამპანია, რომელშიც ზოგიერთი ქვეყნის შიგნით არსებული ანტისაბჭოთა ძალების, რაც მთავარია, გავლენიანი მოღვაწეების, მათ შორის, სახელმწიფო და პარტიულ ხელმძღვანელთა ჩართვა შეძლეს.

ომის დამთავრების პერიოდში მოკავშირეები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ მომავალს.

სამხედრო მემუარებში ჩერჩილი წერდა, რომ მისი პოლიტიკური სტრატეგია 1945 წლის მარტში (იალტის კონფერენციის შემდგომ და მის შედეგებზე დაყრდნობით) შემდეგი იყო.

**„პირველი, საბჭოთა რუსეთი სასიკვდილოდ საშიში გახდა თავისუფალი სამყაროსთვის; მეორე, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ახალი ფრონტი მისი გამალებული წინსვლის წინააღმდეგ; მესამე, ეს ფრონტი ევროპაში უნდა წაიწიოს რაც შეიძლება აღმოსავლეთით; მეოთხე, ინგლის-ამერიკის ჯარების მთავარი და ნამდვილი მიზანია ბერლინი; მეხუთე, ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლებას და ამერიკის ჯარების პრაღაში შესვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება; მეექვსე, ვენას და, არსებითად მთელ ავსტრიას უნდა მართავდეს დასავლეთის სახელმწიფოები...; მეშვიდე, აუცილებელია მოითოკოს მარშალ ტიტოს აგრესიული მისწრაფებანი... დაბოლოს, მთავარია, რომ ყველა ძირითადი საკითხის მოწესრიგება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომლებიც ევროპას ეხება, დამთავრდეს მანამდე, სანამ დემოკრატიის არმიები გავლენ...“**

ბრიტანეთის პრემიერის ორპირობა აშკარაა. ეტყობა ზედმეტად გულუბრყვილოდ იქცეოდა სტალინი, როცა ასეთ პოლიტიკოსს მოუწოდებდა, არ ეეშმაკა, არ ეცრუა. მოუწოდებდა და, ეგებ, სჯეროდა კიდეც?

„ჩერჩილის ოფიციალური პოზიცია უცვლელი რჩებოდა, — წერდა მისი ბიოგრაფი ვ. გ. ტრუხანოვსკი, — იალტის გადაწყვეტილებებზე უარი ჯერ კიდევ არ ეთქვა, მაგრამ, როგორც თვითონ ირწმუნება მემუარებში, მისი პოლიტიკა იმ გადაწყვეტილებების სრულიად საწინააღმდეგო იყო“.

შეიძლება, რა თქმა უნდა, ასეთი ორპირობა დიპლომატიურ მანევრად ჩავთვალოთ, წინ რა უდგას: აბა, სხვანაირად როგორ უნდა ემოქმედა „პატარა ბრიტანელ ვირუკას“ უზარმაზარი და დაუნდობელი „რუსი დათვის“ წინააღმდეგ? მაგრამ **სტალინს მოკავშირეების წინააღმდეგ არასოდეს გამოუყენებია არც ძალა და არც სიცრუე. იგი თავისი სიტყვის ერთგული რჩებოდა, არ არღვევდა შეთანხმებებს, უნამუსო და ფლიდ მანევრებს მოკავშირეთა ზურგს უკან არ განახორციელებდა.** ასეა თუ ისე, სიმართლის დიპლომატიამ გაიმარჯვა სიცრუის დიპლომატიაზე. ამ დასკვნამდე მივდივართ სტალინისა და ჩერჩილის არა მარტო იალტის, არამედ ყველა სხვა ორთაბრძოლის ანალიზის შედეგად.

შეიძლება ზოგიერთს ასეთი დასკვნა ზედმეტად მიკერძოებული ეჩვენოს. ბოლოს და ბოლოს, დიპლომატია სულაც არ გულისხმობს უნაკლო გულწრფელობას. აკი ამერიკელ მწერალ ამბროს ბირსსაც აქვს ნათქვამი, რომ „დიპლომატია არის ტყუილის თქმის პატრიოტული ხელოვნება სამშობლოს სასიკეთოდ“.

სამწუხაროდ, ასეთი „ხელოვნება“ მიმართულია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, თანაც არა იმდენად თავისი ქვეყნის სასიკეთოდ, რამდენადაც გარკვეული ჯგუფებისა და სოციალური ფენების სასარგებლოდ. სხვა რამეცაა აქ ნიშანდობლივი: **სტალინმა არა მარტო დაამტკიცა, რომ ერთგულია მოკავშირის ვალდებულების, არამედ შეეცადა, შეექმნა მომავალი მშვიდობიანი თანამშრომლობის გარანტიები მომდევნო ათწლეულების პერსპექტივაში.**

როგორ წერილებს წერდა ჩერჩილი სტალინს მაშინ, როცა დარწმუნებული იყო, რომ „საბჭოთა რუსეთი სასიკვდილო საშიშროებად იქცა თავისუფალი სამყაროსთვის? აი, ორპირობის თვალსაჩინო მაგალითი. დოკუმენტი დათარიღებულია 1945 წლის 18 თებერვლით:

„მისი უდიდებულესობის სახელით მოგახსენებთ მხურვალე მადლობას სტუმართმოყვარეობისა და მეგობრული მიღების გამო, რაც ბრიტანეთის დელეგაციას ყირიმის კონფერენციაზე აღმოუჩინეთ... ამას უნდა დავუმატო ჩემი პირადი მადლიერება... აღვსილი ვარ სიმტკიცით, ისევე, როგორც პრეზიდენტი და თქვენ, რაშიც დარწმუნებული ვარ, გამარჯვების შემდეგ არ დავუშვა დამკვიდრებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ესოდენ მტკიცე კავშირის შესუსტება. ვლოცულობთ, რათა მოგენიჭოთ ხანგრძლივი ცხოვრება, რათა შეძლოთ წარმართოთ ბედ-იღბალი თქვენი ქვეყნის, რომელმაც თქვენი ხელმძღვანელობით დაგვახანა მთელი თავისი სიდიადე, და გიგზავნით თქვენ მთელ ჩემს საუკეთესო სურვილებსა და გულწრფელ მადლობას“.

სჭირდება ამას კომენტარი?

საბჭოთა არმიის შესვლა ევროპაში



## არავინ იყო დარწმუნებული, რომ წითელი არმიის დასავლეთისკენ წინსვლას ვინმე, თუნდაც გერმანელებთან ერთობლივი მოქმედებით, შეაჩერებდა

### უთანხმოებათა გამჟღავნება

სტალინს ნაკლები საფუძველი ჰქონდა, თავის მოკავშირეებს რომ ნდობოდა, რომელთა იდეოლოგიური ერთიანობა ომის დასრულებისთვის აშკარად გამოიკვეთა. ესმოდათ ეს ჰიტლერელებსაც. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, გიმლერი, მზად იყო მორიგებოდა ინგლის-ამერიკელებს.

1945 წლის თებერვალში გენერალმა კარლ ვოლფმა, რომელიც სს ჯარებს სარდლობდა იტალიაში, კონტაქტი დაამყარა ამერიკულ დაზვერვასთან შვეიცარიაში. შეხვედრა ციურიხში გაიმართა. მარტის დასაწყისში იგი შეხვდა ალენ დალეს — აშშ-ის დაზვერვის ხელმძღვანელს. სამხედრო მემუარებში ჩერჩილი წერდა, რომ ამის თაობაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეცა მოკავშირეთა შტაბბინას.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ შემთხვევაში მოკავშირეებად ნაგულისხმებია მხოლოდ ინგლისელები და ამერიკელები. საბჭოთა მხარეს არავითარი შეტყობინება ამ მოლაპარაკების შესახებ არ მიუღია.

რატომ?

განმარტებები ასეთ არამეგობრულ, უფრო მეტიც, მოღალატურ ნაბიჯზე, რაც საბჭოთა მხარეს პოსტფაქტუმ წარუდგინეს, სრულიად არადამაჯერებელია. ადვილი ამოსაცნობია, რომ **დასავლეთელი მოკავშირეები არ გამორიცხავდნენ გერმანელებთან გარიგებას სსრ კავშირის ზურგს უკან. შედეგად, ისინი თავიანთ განკარგულებაში მიიღებდნენ მთელ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული წითელი არმიის მიერ.**

თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს კი საეჭვოს ხდის ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, მაგრამ დაეჭვებას მნიშვნელოვნად აქარწყლებს შემდეგი მოსაზრებანი:

**პირველი,** ჰიტლერი ჯერ ცოცხალი იყო, ხოლო ვერმახტის ნაწილებზე მისი საერთო ხელმძღვანელობა რევიზიას არ ექვემდებარებოდა. თავდასხმები ფიურერზე უშედეგო იყო, რაც განუმტკიცებდა მას საკუთარი გამორჩეულობის რწმენასა და არჩეული ავანტიურისტული კურსის უცვლელობას, რაც ბედნიერ მოულოდნელობებზე იყო გათვლილი და, მისი აზრით, ყველა ფრონტზე მოწინააღმდეგის შეჩერებას ხელს შეუწყობდა.

**მეორე,** ინგლისისა და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირს აღიქვამდა როგორც სანდო მოკავშირეს — რადიოცნობები წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ, ჩერჩილის განკარგულებით, საბჭოთა კავშირის ჰიმნის თანხლებით გადაიცემოდა. **გერმანიასთან სეპარატული ზავის დადებას შეეძლო გამოეწვია უკმაყოფილება და პროტესტიც კი აშშ-ისა და ინგლისის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის, რაც ჩერჩილს პრემიერის სავარძლად დაუჯდებოდა.**

**მესამე,** ორივე მოკავშირე სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი, აშშ-ში, მთავრობებზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ებრაელთა წრეებს, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდნენ. გერმანელების მიერ განხორციელებული ებრაელთა გენოციდის ფონზე, რომელიმე ნაცისტურ ხელმძღვანელთან გარიგება აღიქმებოდა როგორც ღალატი და ნაცისტებისთვის ხელშეწყობა.

**დაბოლოს, მეოთხე:** გაურკვეველი იყო, როგორ პოზიციას დაიკავებდა სტალინი. მას მიეცემოდა საშუალება, მთელი მსოფლიოს გასაგონად განეცხადებინა მოკავშირეთა ვერაგობის შესახებ. ამასთან, **არავინ იყო დარწმუნებული, რომ წითელი არმიის დასავლეთისკენ წინსვლას ვინმე, თუნდაც გერმანელებთან ერთობლივი მოქმედებით, შეაჩერებდა.**

საკვირველია, რომ ასეთი წინაპირობების, ასეთი დაეჭვების ფონზე მოლაპარაკება ვოლფთან მაინც გაიმართა.

რატომ?

დასკვნა შეიძლება ასეთი იყოს: **ამ ორი სახელმწიფოს მმართველი წრეები ძალიან იყვნენ შეშფოთებულნი საბჭოთა კავშირის წარმატებებით, მისი ავტორიტეტისა და მსოფლიოში გავლენის ზრდით.**

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. თუმცა არცთუ უსაფუძვლო და არალოგიკური. საქმე არც ისე მარტივი იყო, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოჩვენებოდა ვინმეს. მესამე რაიხის საგარეო დაზვერვის სისტემის ხელმძღვანელის — ვალტერ შელენბერგის მოგონებებში ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო მომენტების ამოკითხვა შეიძლება. მისი სიტყვებით, 1944 წლის ივნისში მან გიმლერს განუცხადა:

„მოვლენების განვითარება გვაიძულებს, გაცილებით ძვირი გადავიხადოთ, თუ ჯერ კიდევ გვსურს დასავლეთის სახელმწიფოებთან კომპრომისზე მოლაპარაკება, თუნდაც სახეშეცვლილი „უსიტყვო კაპიტულაციის“ საფუძველზე. გიმლერს მივუთითე იმაზეც, რომ აუცილებელია რაიმეს გაკეთება ებრაელებისთვისაც, რომლებიც გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში არიან გამომწყვდეულნი.

ერთდროულად შვედეთში ჩემი თანამშრომლობის — დოქტორ ლანგდენის მეშვეობით და ვერსტანის დახმარებით მოვსინჯე ნიადაგი გიმლერთან ებრაელთა კავშირის ხელმძღვანელის დოქტორ ჟან მარის შესახვედრად, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა უმაღლეს რაბინთან დოქტორ შტერნბუხთან...

ოქტომბრის დასაწყისში შვეიცარიიდან მაცნობეს, რომ დოქტორი მიუზი მზად არის, ჩამოვიდეს ბერლინში და კონტაქტი დაამყაროს გიმლერთან. მოლაპარაკების მთავარი თემა — ებრაელთა ბედი გერმანიაში. ამის შემდგომ დოქტორი მიუზი მართლაც გამოჩნდა ბერლინში...“

გასაგებია, რომ გიმლერსა და შელინბერგს დაპატიმრებული ებრაელების ბედი არ აღელვებდათ. გაიცა მითითება საკონცენტრაციო ბანაკების ებრაელი პატიმრების მდგომარეობის შესამსუბუქებლად (რუსებზე სიტყვა არ თქმულა) და ზოგიერთი ჯგუფის გასათავისუფლებლად გარკვეული გამოსასყიდის საფასურად. თებერვლის დასაწყისში 1200 ებრაელი პირველი ტრანსპორტით შვეიცარიის საზღვართან მიიყვანეს, მაგრამ **როგორც კი ეს ჰიტლერმა შეიტყო, გამოიცა ბრძანება, რომლის ძალით ნებისმიერი გერმანელი, რომელიც ებრაელს, ინგლისელსა და ამერიკელს ტყვეობიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდა, დაიხვრიტებოდა.**

მოგვიანებით გიმლერმა განაგრძო მოლაპარაკებები საერთაშორისო წითელი ჯვრისა და ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლებთან ებრაელთა გათავისუფლების ან ბანაკებში მათი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე. იგი ამზადებდა აშშ-ისა და ინგლისის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისთვის საჭირო ნიადაგს. შელენბერგის სიტყვით, გიმლერმა მას სიტყვასიტყვით შემდეგი რამ განუცხადა:

**„ჩვენ, გერმანელებმა, უნდა განვაცხადოთ, რომ დაგვამარცხეს დასავლეთის სახელმწიფოებმა, და გთხოვთ, გადასცეთ ეს გენერალ ეიზენჰაუერს შვედეთის მთავრობის მეშვეობით, რათა შეჩერდეს შემდგომი სისხლისღვრა. მაგრამ რუსების წინაშე კაპიტულირება შეუძლებელია, განსაკუთრებით, ჩემთვის. მათ წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ დასავლეთის ფრონტი არ გადაიქცევა რუსებთან ბრძოლის ფრონტად“.**

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ვოლფთან მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირს მონდომებით უმალავდნენ.

**საეჭვოა, რომ ამ მოლაპარაკების შესახებ ჰიტლერმა რაღაც იცოდა. სტალინი კი თავისი შვეიცარიული რეზიდენტურის მიერ საქმის კურსში იყო ჩაყენებული.**

ნიშანდობლივია, რომ ვოლფი ჯერ დალესს შეხვდა და მხოლოდ 10 დღის შემდეგ — სამხედროებს. კიდევ ორი დღის შემდეგ, 21 მარტს, აშშ-ის ელჩმა მოსკოვში აცნობა საბჭოთა მთავრობას ამ მოლაპარაკების შედეგები.

სტალინის პასუხი მკვეთრი იყო: „ორი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ზურგს უკან, რომელსაც გერმანელების წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე მხრებზე აწევს, მიმდინარეობდა მოლაპარაკება გერმანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს, ერთის მხრივ, და ინგლისისა და ამერიკის სარდლობის წარმომადგენლებს შორის, მეორე მხრივ...“. **სტალინის თქმით, საბჭოთა მთავრობა ამ საქმეში ხედავს არა გაუგებრობას, არამედ რაღაც უარესს“.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყავის სმის რეკორდი

**ცნობილმა იაპონელმა რეკორდსმენმა ტაკერუ კობაიაშიმ, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში ქათმის ფრთებისა და ჰოთ-დოგების სწრაფი ჭამით მოხვდა, ახალი რეკორდი დაამყარა. მან 2 წუთში 42 ჭიქა ხსნადი, მაგარი ყავა დალია, რომელსაც ადგილზე ადუღებდნენ. ამასთან, რეკორდსმენს ყავისთვის არაფერი მიუყოლებია.** მიუხედავად იმისა, რომ რეკორდსმენმა კოფეინის ზედმეტი დოზა მიიღო, რეკორდის დამყარების შემდეგ თავს მშვენივრად გრძნობდა. რეკორდი ტაკერუმ ერთ-ერთ გადაცემაში, კომიკოს ჯიმ ბრაუერთან სტუმრობისას, დაამყარა.




# ქალაქი-უტოპია

**ბრიტანელმა არქიტექტორმა ცვეტან ტოშკოვმა საზოგადოებას ფუტურისტული არქიტექტურული პროექტი City in the Sky, იგივე „ქალაქი ცაში“ წარუდგინა.**



**სუპერ-განვითარებულ მეგაპოლისებში, ცათამბჯენებს შორის, არქიტექტორი ჩუმი, მშვიდი ოაზისების აგებას გეგმავს. იქ ადამიანები შეძლებენ წყნარად დასვენებას, განტვირთვას და ხმაურისა და სიბინძურისგან თავის დაღწევას.** პროექტის მიხედვით, ქალაქებში, ცათამბჯენების ზემოთ, უნდა ჩაიდგას ლოტოსის ფორმის ნაგებობები, რომელთა თავზეც დასასვენებელი კომპლექსები განთავსდება.

**„ამ ცის ქალაქებში ყველა იპოვის იმას, რასაც ეძებს: სიმშვიდეს და სისუფთავეს“,** — განაცხადა ტოშკოვმა.

ლოტოსის ფორმა, რომელიც ამ შენობებს ექნებათ, ცვეტანს შემთხვევით არ აურჩევია. ლოტოსი წყლის მცენარეა, რომელსაც მდორე და ბინძურ წყალში გაშლა და ყვავილობა შეუძლია.



# ცოცხალი ქვები

**რუმინეთში საოცარი ქვები „ცხოვრობენ“. ისინი ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად იზრდებიან და მრავლდებიან. „ტროვანტები“ — ასე ეძახის ამ ქვებს ადგილობრივი მოსახლეობა.**

ამ გასაოცარ ქვებს არ აქვთ ბასრი კიდეები. „ტროვანტები“ არ განირჩევიან სხვა ქვებისგან, მაგრამ წვიმის მერე საგრძნობლად იზრდებიან ზომებში. მაგალითად ამ სახეობის პატარა ქვა, რომელიც თავიდან იწონის სულ რამდენიმე გრამს, წვიმის შემდეგ შეიძლება 2 ტონამდე გაიზარდოს. რაც უფრო დიდი ხნისაა ქვა, მით უფრო ნელა იზრდება. პატარა წლოვანების ქვები უფრო სწრაფად იზრდებიან.

თუ ამ ქვას ორ ნაწილად გავჭრით, ეგრეთ წოდებულ ხნოვანების აღმნიშვნელ რგოლებს დავინახავთ. მიუხედავად მოვლენის უცნაურობისა, გეოლოგებმა შეძლეს „ტროვანტების“ ბუნების ახსნა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ „ტროვანტები“ სხვა არაფერია, თუ არა სილის გაცემენტების ხანგრძლივი პროცესი. გეოლოგებმა, აგრეთვე, ადვილად ახსნეს მათი ზრდის პროცესი. საქმე ისაა, რომ „ტროვანტები“ ძალიან დიდი რაოდენობით მინერალურ მარილებს შეიცავს. ხოლო როდესაც იწყება წვიმა, იჟღინთება წყლით და ქიმიური შენაერთები ფართოვდება.







# მარკ ცუკერბერგი გაღარიბდა

**მარკ ცუკერბერგი, რომელიც ახლა იტალიაში თაფლობის თვეს ატარებს, მიმტანებს ზედმეტ გროშს არ უტოვებს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ცუკერბერგი ყოველდღიურად კარგავს მილიონებს.**

**ახალგაზრდა მილიარდელი მსოფლიოს 40 ყველაზე მდიდარ ადამიანთა სიაში აღარ შედის. ჯერ კიდევ 25 მაისს ცუკერბერგის ქონება 16.2 მილიარდ დოლარს შეადგენდა, დღეს კი ეს ციფრი 14.7 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.**

ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ მიზეზი Facebook-ის აქციების ფასის ვარდნაა. სოციალური ქსელის აქციების ფასი ბოლო დროს 9.6%-ით დაეცა. Facebook-ის ერთი აქციის ფასი 28.8 დოლარია, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 2 კვირის წინ ის 38 დოლარად იყიდებოდა.

პრესა წერს, რომ მარკ ცუკერბერგი Facebook-ის ტელეფონის შექმნას აპირებს და მზადაა, მის შემუშავებაში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადოს.

ახალდაქორწინებული ცუკერბერგის რომანტიკული თაფლობის თვეც, მისი ბიზნესის მსგავსად, კრახს განიცდის. მარკის მეუღლე, პრისცილა, მეგობრებთან საუბრისას აცხადებს, რომ მისი ქმარი Blackberry-სთან უფრო დიდ დროს ატარებს, ვიდრე მასთან. რამდენიმე დღეა, რაც მილიარდელი წყვილი იტალიაში გაემგზავრა. მათი თაფლობის თვე საკმაოდ მოკრძალებულია. მარკი და პრისცილა მდიდრულ რესტორნებში ვახშამს იაფფასიან „ფასტ-ფუდს“ ამჯობინებენ.



# უცნაური კაფე

**ამსტერდამში უცნაური კაფე — Basis გაიხსნა, რომელშიც სტუმრებს საკუთარი საჭმლით მისვლა შეუძლიათ. კაფე ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით გაიხსნა. ამ ფონზე ამსტერდამში კაფეების 10% დაიხურა.**

კაფეს ახალგაზრდა ადმინისტრაცია ჰყავს, რომელმაც მოსახლეობის რთული ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა და შეეცადა, კაფეში მისული ადამიანის ბიუჯეტს გაფრთხილებოდა. იქ კლიენტებს უფლება აქვთ, კაფეში საკუთარი მომზადებული ან სწრაფი კვების ობიექტში შეძენილი კერძებით მივიდნენ. ამასთან, მათ განკარგულებაშია საკვების გასაცხელებელი ღუმელი და ჭურჭელი. ადმინისტრაციის ერთადერთი მოთხოვნა კაფეში სასმელის შეძენაა. გახსნის დღიდან Basis ამსტერდამის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კაფეა.

**„ამსტერდამის კაფეებში სადილი დაახლოებით 20 ევრომდე ჯდება. ხალხს ზედმეტი ფული აღარ აქვს და ამიტომ სახლებში იკეტებიან. ჩვენ მათ მივეცით საშუალება, რომ სახლიდან გამოვიდნენ და იაფად ისადილონ“,** — განაცხადა კაფის მეპატრონემ.




# «ყვავილები» წყლით



**მხატვარი ჯეკ ლონგი საზოგადოებას შთამბეჭდავი ფოტოებით აოცებს. როდესაც ამ ნამუშევრებს უყურებ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს წყლისა და საღებავის ნაზავია, რომელიც ჰაერში აისროლეს და ფოტო გადაუღეს.**

**მხატვარი** საიდუმლოდ ინახავს ნამუშევრების შექმნის ტექნიკას, მაგრამ ცნობილია, რომ ჯეკი იყენებს წყალს და სხვადასხვა ფერის საღებავს, რომელთაც ერთმანეთში ურევს. როდესაც მიღებული მასა ჰაერში აიჭრება, სპეციალური განათების წყალობითა და მაღალი ხარისხის ფოტოაპარატით სასურველ მომენტს აფიქსირებს. თითო ფოტოს უამრავი ტესტის შემდეგ იღებენ. როგორც მხატვარი ამბობს, ზოგჯერ ერთი ფოტოსურათი რამდენიმე თვის განმავლობაში იქმნება.

**„მიყვარს წყალთან მუშაობა. საშუალებას გაძლევს, დაგეგმო და მოემზადო სასურველი შედეგის მისაღწევად. მართალია, თემატიკა არაა განსხვავებული, მაგრამ ვფიქრობ, ყველა მათგანი ინდივიდუალურია. მიყვარს სხვადასხვა ფერის — წითლის, ლურჯის, ყვითლისა და მწვანის გამოყენება. უამრავი კადრი გამიფუჭდა, მაგრამ საბოლოო შედეგით კმაყოფილი ვარ. ფოტოშოპს მხოლოდ ფოტოსურათის გასაწმენდად ვიყენებ“,** — ამბობს მხატვარი.





## სახლი — ჩამოვარდნილ თვითმფრინავში

**ბრიუს კემპბელი ორეგონის ტყეში ჩამოვარდნილ თვითმფრინავ 727-200-ში ცხოვრობს.** მგზავრებისთვის განკუთვნილი სკამები მან უკვე გააუქმა და თვითმფრინავის მთავარი კაბინა საძინებლად აქცია. თვითმფრინავში ელექტროობაა გაყვანილი. როგორც ბრიუსი ამბობს, პირველ რიგში, წყალგაყვანილობაზე იზრუნა. გარდა ამისა, დაამონტაჟა დროებითი საშხაპე, რომელიც თვითმფრინავის მთავარ კაბინაშია მოთავსებული. მართალია, საშხაპე იზოლირებული არ არის, მაგრამ ეს ბრიუსს არ ადარდებს, რადგან ტყეში ხალხის თვალს არ ემალება. „ჩემი ყველაზე საყვარელი ოთახი პილოტის კაბინაა“, — ამბობს იგი. „სახლის“ პატრონს არ უყვარს, როდესაც მყუდროებას ურღვევენ და, შესაბამისად, ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანია ნამყოფი.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაჩიპული მომავალი

**უკვე არსებობს იმ ჩიპების შექმნის იდეა და ზოგ შემთხვევაში განხორციელებული იდეაც, რომლებიც კაცობრიობის მომავალს მნიშვნელოვნად შეცვლის, მრავალი ასეთი ჩიპიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ცხრა შემთხვევაა.**



1. **RFID ჩიპები** მცირე ზომისაა, რაც კანქვეშ მათი ჩანერგვის შესაძლებლობას იძლევა. მათი გამოყენება შეიძლება კომპიუტერის ან ბინის კარის განბლოკვისთვის — ჩიპი გააღებს კარს მიახლოებისას და გასაღების ტარებაც აღარ იქნება საჭირო.




2. **სამედიცინო სენსორები** დროულად აღმოაჩენს სნეულების საწყის სტადიას და ამცნობენ მის მფლობელს.



3. **Energy Harvesters-ის ჩიპები** წარმოადგენს მოქნილ პიეზოელექტრონულ აპკს, რომელიც შეიძლება კანქვეშ ჩაინერგოს. აპკი სხეულის მოძრაობას გარდაქმნის ელექტრონულ ენერგიად, რაც გაჯეტთა კვების წყაროდ გამოიყენება.




4. **შუქდიოდური ჩიპები** შეცვლის ჩვეულებრივ ტატუირებას, შექმნის დისპლეის კანის ზედაპირზე ან კიდევ შეიძლება გამოყენებული იქნას ფარნად.



5. ტელევიზორები უზარმაზარი ეკრანით მალე არავისთვის იქნება საჭირო, რადგან მალე შეიმუშავებენ **საკონტაქტო ლინზებს**, რომლებიც პირდაპირ თვალში აწარმოებენ გამოსახულების პროეცირებას.



6. **ჩიპები, რომლებიც ჩანერგილი იქნება ადამიანის თავის ტვინში**, შექმნის პირდაპირ ინტერფეისს ტექნიკასა და ადამიანს შორის. მათ დროს უკვე საჭირო აღარ იქნება არც დისტანციური მართვის პულტები და არც კლავიატურა.



7. **კიბერნეტიკული პროთეზირება** არა მარტო შეცვლის დაკარგულ კიდურებს, არამედ საკუთარი შესაძლებლობებით გადააჭარბებს კიდეც მათ. ასე, მაგალითად, მექანიკურ ხელის მტევანს შეუძლია 360 გრადუსით შემობრუნება.



8. **ხელოვნური თვალები** შესაძლებლობას მისცემენ ადამიანს ნატურალურზე მილიონობით უფრო მეტ ფერში დაინახონ გარემო, თანაც ნებისმიერ დიაპაზონში.



9. **ჩიპი Orgasmatrons** შემუშავებულია სიამოვნების ცენტრების სტიმულაციის დახმარებით ქრონიკული ტკივილების შესამსუბუქებლად. ამასთან, მოცემულ ტექნოლოგიას მზა პროდუქციის სტატუსი აქვს, თუმცა ჯერჯერობით ის მხოლოდ მდიდრებისთვის არის ხელმისაწვდომი. მისი ფასი 12 000 დოლარია.



# ღორების აგარაკი




**ჩინეთის სოფელ ჟანგპუში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ღორებისთვის საცხოვრებელი კომპლექსი ააგეს. იგი 600 პატარა სახლისგან შედგება. ჟანგპუშის მკვიდრი ღორები ძალიან განებივრებულები არიან — მათ საკუთარი სოფელი აქვთ.**

ჩინური მედიის ცნობით, ადგილობრივები ღორებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, ხოლო ამ პირობებში გაზრდილი ცხოველები განსაკუთრებით ჯანმრთელები არიან და მათი ხორციც გაცილებით ხარისხიანია.

თითოეული საღორე ავეჯითა და გოჭების გასართობი სათამაშოებით არის აღჭურვილი. გარდა ამისა, ინტერიერში დამონტაჟებულია ვიდეოკამერა, რათა საკუთარი ღორების ცხოვრებას პატრონმა ონლაინ-რეჟიმში ადევნოს თვალი. საღორის ექსტერიერი მოხატულია. ყოველდღე ღორები მდიდრულ „ვილას“ ტოვებენ და ტყეში სეირნობენ, ხოლო საღამოს სახლებს უბრუნდებიან.

# NASA-მ დაბერების საწინააღმდეგო საშუალება გამოიგონა

**ნასამ დაბერების საწინააღმდეგო საშუალება გამოიგონა. „კოსმიური სასმელი AS10“ — ასე ეწოდება სითხეს, რომელიც სასწაულებს ახდენს. ის ამცირებს ნაოჭებს და ახანგრძლივებს ახალგაზრდობას. სასმელი, რომელსაც კოსმონავტები ულტრაიისფერი სხივებისგან დასაცავად იყენებენ, იუტის შტატის უნივერსიტეტის პროფესორებმა აღმოაჩინეს.**

ექსპერიმენტში მონაწილეობა 180-მა ადამიანმა მიიღო, ყველა მათგანს კანის სხვადასხვა ნაკლოვანება ქონდა. ორი ყლუპი სითხის დალევის შემდეგ, 4 თვის განმავლობაში ექსპერიმენტის მონაწილეებს პიგმენტური ლაქების 30% გაუქრათ და ნაოჭების 17% გადაექიმათ.

სასმელის შემადგენლობაში შედის წითელი ჩაი, ეგზოტიკური ხილის ნარევი, ასაის კენკრა, კაკაო, აპუნცუუს კაქტუსი, ბროწეული და ყურძენი. ინგრედიენტები სხეულს ვიტამინების დიდი დოზით და ფიტოელემენტებით ამარაგებენ, რომლებიც რადიაციულ ზემოქმედებას ანეიტრალებენ.

გარდა ამისა, „ახალგაზრდობის ელექსირი“ შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ორგანიზმს უჯრედების დამაზიანებელი და კიბოს გამომწვევი მოლეკულებისგან იცავს.

კვლევის ხელმძღვანელმა და ავტორმა აარონ ბარსონმა განაცხადა, რომ ზაფხულში კიდევ ერთი, შედარებით მასშტაბური ექსპერიმენტი იგეგმება. AS10-ს 700 მილიგრამის ფასი 50 დოლარია.

მეცნიერების დასკვნით, დაბერებას შოკოლადიც ებრძვის. შოკოლადის მოლეკულები კანს ჟანგბადით ავსებს, ხოლო ახალი ტექნოლოგია ამ ეფექტს აუმჯობესებს. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორებმა შოკოლადს ახალი ინგრედიენტი Coco-Lycosome დაუმატეს. მას კანისთვის ჟანგბადის მიწოდების პროცესის დაჩქარება და გაზრდა 20-ჯერ შეუძლია. პროდუქტის შემქმნელების განცხადებით, ახალი ტექნოლოგია შოკოლადის გემოზე არ აისახება.



# წყლის აღლუმი «გინესის რეკორდების წიგნში» მოხვდა



**მდინარე ტემზაზე დიდი ბრიტანეთის დედოფლის — ელიზაბეტ II-ს „ბრილიანტის“ იუბილის პატივსაცემად გამართული წყლის აღლუმი „გინესის რეკორდების წიგნში“ შევიდა. წიგნის წარმომადგენლებმა ფლოტილია მსოფლიოში ყველაზე დიდ მდინარის მსვლელობად აღიარეს. მსვლელობაში, დაახლოებით, 1100-მა გემმა და მოტორიანმა ნავმა მიიღო მონაწილეობა.**

აღლუმმა სტარტი ჰამერსმიტის ხიდიდან აიღო და ტაუერის ხიდთან დაასრულა. აღსანიშნავია, რომ მსვლელობის მთლიანი მარშრუტი 670 გემმა გაიარა.

დედოფალ ელიზაბეტს რამდენიმე რეკორდი უკავშირდება — იგი ყველა ქალ მონარქზე დიდხანს მეფობს. გარდა ამისა, ელიზაბეტ II, რომელიც 86 წლისაა, ბრიტანეთის მონარქებს შორის ყველაზე მხცოვანია. ბრიტანეთის დედოფლის პორტრეტი ყველაზე მეტი ქვეყნის ფულის ნიშანზეა გამოსახული (45 სახელმწიფო).

გარდა ამისა, ელიზაბეტ II ყველაზე მდიდარ დედოფლად ითვლება. მისი ქონება 310 მილიონ ფუნტად არის (476 მილიონი დოლარი) შეფასებული. არაბული ქვეყნების მონარქები მასზე გაცილებით მდიდრები არიან, მაგრამ ყველა მათგანი მამაკაცია.

# ვულოცავთ პოეტ რეზო ამაშუკელს

**არც საიუბილეო თარიღი აქვს ბატონ რეზო ამაშუკელს, დაბადების დღეც მხოლოდ მომავალ კვირასაა — 24 ივნისს, მაგრამ მისალოცად გული რომ გაგიწევს, არც იმაზე ფიქრობ, რომ წინასწარ მილოცვა არ ვარგაო, არც ის გადარდებს, უტაქტობა არ გამოგივიდეს, შეხსენება: დაპატიჟება არ დაგავიწყდესო.**

მოკლედ, ბატონო რეზო, „საქართველო და მსოფლიოს" გულმა შენკენ გამოუწია და მთელი ეს ჩვენი რედაქცია (საქართველო და მსოფლიო!) გულწრფელად გილოცავს დაბადების დღეს, რომელიც 24 ივნისს მშვიდობით გაგითენდება შენ, სიხარულით — ქართულ პოეზიას და ქართველ პოეტთა ამქარს, ამასთან, სრულიად საქართველოს, ანუ შენს ერთგულ და მადლიერ მკითხველებს.

დღეს შენს დიდ პოეზიაზე არაფერს გეტყვით, შენს შეუდარებელ მეტაფორულ, სახეებით აზროვნებაზე, რითმის სილაღესა და სტრიქონის აღმაფრენაზე, რადგან ეს ისეთი ერთობლივი მოცემულობაა, რომელიც ყველა ჩვენგანში ჩამოყალიბებულია ქართული სიტყვაკაზმულობის ნიმუშად.

ეს ერთი.

არ გეტყვით იმიტომ, და ეს მეორეა, რომ დღეს შენთვის სხვა რამაა მთავარი — **საქართველო ბრძოლაშია შესული და რეზო ამაშუკელი — როგორც ჭეშმარიტი პოეტი და მამულიშვილი მეომართა ავანგარდში დგახარ და ხარ, როგორც ყოველთვის, „ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა" და ხვალინდელი დღის იმედით გამსჭვალული საქართველოს ყველა მოქალაქის.**

და — არამოქალაქის...

წელთა სიმრავლე შენს ორლესულს უფრო უმახვილებს პირს, შენს ლექსს უმეტეს აცისკროვნებს და უხვად აპკურებს კაცთმოყვარეობის აიაზმას:

**„გასჭერ, გაგვიძეხ წინაო!"**

* * *

**გთავაზობთ რეზო ამაშუკელის ლექსს „გადმოაფურთხა ისტორიამ ბევრი ტირანი", რომელიც დაიწერა მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთის ტირანები ჯერ კიდევ მყარად ისხდნენ სავარძლებში და ჩრდილოაფრიკული რევოლუციების სახსენებელი არსად იყო.**



# გადმოაფურთხა ისტორიამ ბევრი ტირანი

... „თოვლი იყო ირიბი, „ალმაცერი"
*გალაკტიონი*

... „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია
ჩვენც მალე სადმე „ჩაგვაძაღლებენ"...
*ტიციან ტაბიძე*

— გადმოაფურთხა ისტორიამ
ბევრი ტირანი!
დრონი მეფობენ,
მეფობენ და დრონი მიდიან...
... მე თვალწინ მიდგას მარიამი
ჯვართან მტირალი,
ხოლო იუდა
თოკით ისევ ხეზე ჰკიდია...
მამულისათვის,
როგორც გინდათ, ისე გაიგეთ,
ეს გაკორტნილი თავი ბევრჯერ
გადამიდია!..
— გლახად ფაფხურობთ,
ნახავთ, ბოლოს, რასაც წაიღებთ!
დრონი მეფობენ,
მეფობენ და მერე მიდიან...
— სისხლხორცო ჩემო,
თვალნი რისთვის გადაგბინდვია?!
ასი ზეიმობს,
წარეკვეთათ სასო ათასებს...
კვლავ გამოჩნდება
ანთებული კვარით მინდია!
და მხოლოდ რწმენა,
მხოლოდ უფლის რწმენა დაგვარჩენს!..
ამ ქრისტეშობას
ვერ გიპნიე ფერხთით ბრდღვიალა
ლალი და ლანგრით
ვერ დაგიდგი თაფლი ჭვირვალი,..
ტკივილმა, შხამით დასერილმა,
არ გამიარა,
— დამრჩა იარა,
იქით ცხუმით, აქეთ ცხინვალით!
თან თავს ვიტყუებ, თავს დავცინი,
წასვლის დროც არის!..
ცოტაც და ალბათ,
ველარც მნახავთ გავლილს ვერაზე...
ხან მეროჭიკე ვიყავი და
ხან მომლოცავი,
ვზი და გავყურებ
ამ დეკემბრით ჩამქრალ ტერასებს...
ხეც ელოდება, ნაზამთრალი
მარტსა და აპრილს,
როგორც მორწმუნე ქრისტიანი
აღდგომას უფლის!..
— გადააგვარეს თაობები გარყვნილი
ზღაპრით,
ასე უგვანოდ,
გაწყვეტილი ძარღვით და შუბლით!..
ცრუ და პრანჭია,
ბარე ცხრაჯერ ნაპანღურები,
კარგად გაამლეს, იმისთვის,
რომ ჭკუა გვარიგოს!..
გული ერევა საქართველოს
მათი ყურებით,
... და დგანან ცხვრები მიკროფონთან
სათადარიგოდ!..
გასუსულ დარბაზს,
შემკულს, მეფურ სამყოფელითაც,
„ძველი სიმღერით",
წარბშეკრული ტუქსავს „ნერონი"!
... და იმ საღამოს
კვლავ გაკრიჭეს „ბიზნეს-ელიტა"! —
— იყო თვალები მოჟუჟუნე,
საპირფერონი...
იდგა სურნელი
„შანელის" და „ივ სენ ლორანის",
ეს მათი დროის,
სხვა „მითია", სხვა „ეპოსია"!
... მეზობლის ნაძვზე
მედიდურად დაჯდა ყორანი, —
— და ეს განწყობა
უსათუოდ ედგარ პოსია!..
უკვდავებიდან მაცქერალნი,
დიდი ბავშვები,
თხზავენ მინანქარს,
ხატავენ და ძერწავენ დღესაც!..
... და ლურჯი თეფში, ქაშანურის,
წითელ ვაშლებით,
ისევ და ისევ
სველი ფუნჯით ეძახის სეზანს!..
... დავბერდი, მაგრამ,
თვალი მაინც დარჩა მშიერი,
ვნახე უდაბნო,
სულს ტკივილი იქაც ერია!
... მიდევს ლიმონი, შავ ლამბაქზე,
ყვითლად მღვიერი,
და მახსენდება
ქაირო და ისკანდერია...
მე ჩიტს მაგონებს ეს ნარინჯი,
ბულბულს კანარის,
ყვითელ ჩიჩახვით მოჭიკჭიკეს
და მოფრთხიალეს!..
და თავს ბავშვივით ვისულელებ,
რადგან არ არის
სხვა რამ საშველი,
როცა ლექსი ხორხით ხრიალებს...
არა ჩანს თოვლი,
ახალი წლის ეშხი რაც არის,
არა ჩანს თოვლი,
არც „ირიბი",
არც „ალმაცერი"...
... და რაც შევძელი, მისხალ-მისხალ,
რაც მოვასწარი,
ყოველი სიტყვა
გულის სისხლით არის ნაწერი!..
თქვენ ვერ გაიგებთ
სამშობლოსთვის ჭეშმარიტ ქვითინს,
ვერც იმას,
ლიმონს ჰგავს თუ არა
კანარის ჩიტი...
— და აჟღარუნებთ ბორკილებს და
ციხის გასაღებს,
რომ გადედლებულ საქართველოს
უქნიოთ თითი!
მინდოდა ლოცვა სიყვარულის
ცად აღმეყვანა,
მაგრამ, ვაი, რომ ქარს მიყვება
სიტყვა მეჩხერი...
— თუ თქვენს საჯიჯგნად
კვლავაც დარჩა ჩემი ქვეყანა,
— წინ წყალი,
შუა შადრევანი,
უკან მეწყერი!..

2006 წლის 31 დეკემბერი

# მინდია გულუას 20 წლის დისწული არ დაატირებინეს!

**რა ხდება, ხალხო, საქართველოში?! რატომ არ უშვებს ხელისუფლება საქართველოდან გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს თავის სამშობლოში, როცა მამულიშვილებს ხალხის უანგაროდ დახმარების ინტერესი უჩნდებათ? ვინ მოგვისაჯა ეს საშინელი ცხოვრება?! ვინ განაგებს ჩვენ სიცოცხლეს? ვინ აგვიკრძალა მოყვასისა და პატრონის გამოქომაგება? ვინ გადასცა საქართველო კერძო საკუთრებაში? საიდან აქვთ მათ უფლება, ვინც მოესურვებათ, შემოუშვან და ვინც არა, საზღვარს არ მიაკარონ?**



**ამ დღეებში აფხაზეთიდან დევნილ გულუების ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. მოძრაობა „განახლებული საქართველოს" თავმჯდომარე ნანა გულუას მოულოდნელად 20 წლის ვაჟი გარდაეცვალა.** როგორია, როცა ამ დროს, გაუბედურებულს, თავზარდაცემულს, ძმა ვერ დაგიდგება გვერდით? **მინდია გულუა საქართველოს ხელისუფლებამ დისწულის დასატირებლად და დასაკრძალად საქართველოში არ ჩამოუშვა.** ეს არაადამიანური დამოკიდებულებაა. რატომ უნდა ვითმენდეთ ამხელა შეურაცხყოფას?

მე სოხუმელი ვარ, გულუების ოჯახს და ბატონ მინდიას შესანიშნავად ვიცნობ. ეს ღირსეული და სოხუმში გამორჩეული კოლორიტული ოჯახი დაანგრია აფხაზეთის ომმა. ახლა კიდევ ასეთი ტრაგედია დაატყდა თავს. რამხელა დაუნდობლობაა მისი გაზრდილი საყვარელი დისშვილის, 20 წლის ირაკლი ესაიას, გარდაცვალების შემდეგ ძმა რომ არ მიუშვეს დასთან, როცა ის თავზარდაცემული და უნუგეშო ჭირისუფალია!

**ქალბატონო ნანა! ბატონო მინდია! მონაწილე ვართ თქვენი უზომო მწუხარების. ღმერთმა ეს ტკივილი გადაგატანინოთ და შეგაძლებინოთ თქვენი დიდი სიკეთის განხორციელება მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.**

**ლამარა გურული**

# პენტაგონი ავღანეთიდან გამოტანილ სამხედრო ტექნიკას ტაჯიკებსა და ყირგიზებს დაურიგებს

**2014 წელს ამერიკული და ნატოს ჯარის ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ ISAF-ის მიერ გამოყენებული სამხედრო ტექნიკა, შესაძლოა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს გადაეცეს. პენტაგონი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ტაჯიკეთთან, ყირგიზეთთან და უზბეკეთთან.**

იარაღის ნაწილი მათ უსასყიდლოდ გადაეცემა, ნაწილი კი — შენახვაზე პასუხისმგებლობის დაკისრებით. საუბარია ჯავშანმანქანებზე, ტანკების გადამზიდ ტრაილერებზე, სპეციალიზებულ გრეიდერებზე, ბულდოზერებზე, წყლის გადამზიდ მანქანებზე. ამერიკელი სამხედროები სამედიცინო მოწყობილობის, კავშირგაბმულობის საშუალებების, სახანძრო მანქანებისა და სამხედროთა ყოფითი პირობების უზრუნველსაყოფი დანადგარების (მაგალითად, გადასატანი ტრენაჟორული დარბაზების) გადაცემაზეც მსჯელობენ.

**ვაშინგტონი ავღანეთის მეზობლებთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებით რეგიონის სამხედრო ბაზებზე ტვირთების ტრანზიტისა და საკუთარი ძალების განლაგებაზე პრეფერენციების მიღებას შეძლებს.**

მოსკოვისთვის ამგვარი სცენარი სრულიად მიუღებელია, რადგან, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მიხედვით, ხელშემკვრელ სახელმწიფოში მესამე ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგება მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობით შეიძლება.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009